საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეთერ ორჯონიკიძე

XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

9(c41)
9(47.922)
ო 718

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები. შესწავლილია მიწით სარგებლობისა და მიწათმფლობელობის ახალი ფორმები (მიწის იჯარა, უწოდებრიო საკუთრების წარმოქმნა), ფეოდალური რენტა და მისი ფორმების ხვედრითი წონა, ბატონყმობისაგან თავდახსნისა და გლეხობის კლასობრივი დაშლის პროცესი.

ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ რეფორმის წინარე წლების საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა კრიზისს განიცდიდა და მის წიაღში ახალი, კაპიტალისტური წყობა იყო ჩამოყალიბებული.

რედაქტორი ი. ანთელავა

ო 10604 / M607(06)—79 181—79.

© გამომცემლობა „მეცნიერება". 1979

ისტორიოგრაფია

გაბატონებული ფორმაციის წიაღში ახალი ფორმაციის ელემენტების ჩასახვა-განვითარება ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ერთი ფორმაციიდან მეორეში გარდამავალი ხანის საზოგადოებაში ყველაფერი ამოძრავებულია, მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალთა ჭიდილი. ასეთი გარდამავალი ეპოქის ყოველმხრივი შესწავლა საზოგადოების პროგრესული განვითარების ისტორიულ კანონზომიერებათა დადგენა-ახსნის საშუალებას იძლევა და სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელიც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქის შესწავლაში შეიმჩნევა.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება, უპირველესად სავაჭრო და სამრეწველო სფეროში იჩენს თავს. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციის, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლასაც, ვინაიდან მხოლოდ აგრარულ ურთიერთობათა სფეროში მომხდარ ცვლილებებს შეუძლია ბატონყმური სისტემის მსხვრევას მისცეს საყოველთაო, ყოვლისმომცველი ხასიათი. საქართველოსათვის კი, როგორც ისეთი ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკის განმსაზღვრელ და ძირითად სექტორს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

XIX ს-ის რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მომხდარი ძვრების შესწავლას ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი და დისკუსია-განხილვა მიეძღვნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის საკითხი სავსებით ამომწურავად არ არის შესწავლილი. ჯერ კიდევ არქივთსაცავებიდან ახლად გამოვლენილი მასალა ამ საკითხის ამა თუ იმ ასპექტის უფრო ღრმად შესწავლისა

და მისი ახლებურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. ასეთი ჩაღრმავებული კვლევის საჭიროება იმ გარემოებითაც არის გამართლებული, რომ დღემდე XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური დონის შესახებ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. დღემდე მრავალ ისტორიკოსსა თუ ეკონომისტს განსახილველი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური დონის გადაჭარბებულ შეფასებას საყვედურობენ.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ყველა ის ნაშრომი, რომელიც XIX ს-ის რეფორმამდელ საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებების აღიარებას ან უარყოფას, ანუ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლას ეხება და წარმოვაჩინოთ თუ რა მდგომარეობაა დღეისათვის ამ საკითხის შესწავლის მხრივ.

განსახილველი ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აგრარული ურთიერთობის ევოლუციის კვლევა-ძიებას რევოლუციამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აღნიშნულ საკითხებს შეეხო, იყო შემდეგში ცნობილი მეცნიერი, ეკონომისტი ფ. გოგიჩაიშვილი. იგი ჯერ კიდევ 1902 და 1904 წლებში ჟურნალ „კვალსა“ და „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიებში ავითარებდა თვალსაზრისს, რომ XIX ს-ის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა „ეკონომიურათ კარჩაკეტილ მხერეს, რომელსაც სხვა ქვეყნებთან ძალიან, ძალიან სუსტი დამოკიდებულება ჰქონდა...“[1]. თუმცა იმავე წერილში გოგიჩაიშვილი აღიარებდა, რომ „დიდი ეკონომიური ცვლილება დაიწყო საქართველოში რუსეთის შემოსვლის დღიდანვე“[2]. დაიწყო ქალაქების ზრდა-გაღონიერება, რამაც ბაზარი გაუდიდა სოფლის სამეურნეო ნაწარმოებებს, მთავრობას საშუალება მიეცა გლეხთა ნატურალური გადასახადი ფულადზე გადაეყვანა, რაც კიდევ უფრო აკავშირებდა გლეხურ მეურნეობას ბაზართან[3], და სხვ. მაგრამ საბოლოო ჯამში იგი მაინც რეფორმამდელი ხანის საქართველოს ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობის ტიპურ ქვეყნად თვლიდა. „არ უნდა დავივიწყოთ, — წერდა იგი 1904 წელს დაბეჭდილ წერილ-

---

[1] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები (აკად. პ. გუგუშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), ტ. I, თბ., 1974, გვ. 154.

[2] იქვე, გვ. 162.

[3] იქვე, გვ. 163—164.

ში, — რომ ამ 40—50 წლის წინათ ჩვენში ნატურალური მეურნეობა არსებობდა და თითქმის ნასახიც არ იყო მოქალაქეობრივის ცხოვრებისა. გლეხკაცობა, ე. ი. თითქმის მთელი ქართველი ხალხი სოფელზე იყო მიჯაჭვული და ბატონების აუარებელ მოთხოვნილებათა სიმძიმის ქვეშ სულს ძლივს ითქვამდა. ქალაქი და ქალაქური ცხოვრება მაშინ ქართველისთვის არ არსებობდა. ვაჭრობა და მრეწველობა მცირედ იყო განვითარებული და ისიც, რაც იყო, მხოლოდ უცხო ტომის ხალხს ჰქონდა ხელში ჩაგდებული. პირადს თავისუფლებასა და ადამიანურ უფლებას მოკლებულ ქართველ ხალხს არ შეეძლო რასაკვირველია, გარედ გაეხედა, ვაჭრობა-მრეწველობაში ფეხი მოეკიდა და ახალი კულტურული ძალა განევითარებინა“[4].

როგორც ამონაწერებიდან ჩანს, ფ. გოგიჩაიშვილი რეფორმამდელი ხანის საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობაში თითქმის ვერავითარ ძვრებს ვერ ხედავდა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას თავისი დებულებები სათანადო საბუთებით შემაგრებული არა აქვს და იგი მხოლოდ ზოგადი მსჯელობით კმაყოფილდება.

აგრარული ურთიერთობის ევოლუციისა და სოფლის მეურნეობაში მომხდარი ძვრების შესახებ რევოლუციამდელ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის ყველაზე სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს პროფ. ს. ავალიანის ოთხტომიანი მონოგრაფია „Крестьянский вопрос в Закавказье“. ნაშრომი უმთავრესად მეფისნაცვლის არქივში დაცული მასალების შესწავლა-განზოგადოების საფუძველზეა დაწერილი. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, იგი იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსთაგანი, რომელმაც XIX ს-ის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის კვლევისას გამოიყენა საარქივო მასალები. მაგრამ, რა თქმა უნდა, არქივში დაცული მასალის ამომწურავად და ყოველმხრივ შესწავლა-გამოყენება ერთი ადამიანის ძალღონეს დიდად აღემატებოდა, გარდა ამისა, მეფისნაცვლის კანცელარიის არქივში დაცული მასალა ცალმხრივ წარმოდგენას იძლეოდა რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობაში მომხდარი ძვრების შესახებ და ალბათ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის წინააღმდეგობა, რომელსაც მის გამოკვლევაში ვხვდებით. კერძოდ, ს. ავალიანს დაწვრილებით და დეტალურად აქვს გაშუქებული საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორია, განხილული აქვს ბატონების მიერ გლეხთა ექს-

[4] იქვე, გვ. 332.

პლოატაციის გაძლიერება და მათი ურთიერთობის გამწვავება. ყოველივე ამის საფუძველზე ს. ავალიანმა პირველმა, საკმაოდ მართებულად, წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ საგლეხო რეფორმის გატარება ქვეყნის შინაგანი განვითარებით იყო გამოწვეული. მაგრამ იმავე ნაშრომში სოფლის მეურნეობის მიმოხილვისას ავტორი სოფლის მეურნეობისა და სამიწათმოქმედო ტექნიკის განვითარების მეტისმეტად დაბალ, თითქმის პირველყოფილ დონეს აღნიშნავს და სავსებით უარყოფს ნატურალური — კარჩაკეტილი ურთიერთობის რღვევის დასაწყისსაც. „იმ მეურნეებსაც კი, — ვკითხულობთ ნაშრომში, — რომლებსაც ზედმეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გააჩნდათ, ბაზრებისა და მოსახერხებელი სამიმოსვლო გზების არარსებობის გამო, მათი გასაღების არავითარი საშუალება არ ჰქონდათ. უშეცდომოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რეფორმამდელ ხანაში მთელი ამიერკავკასია, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნატურალური მეურნეობის ტიპური ფორმების ფარგლებში არსებობდა“[5]. რა თქმა უნდა, გარკვეულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარება ასეთ დაბალ დონეზე იდგა და კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა იყო საყოველთაოდ გაბატონებული, საგლეხო რეფორმის გატარება ადგილობრივი პირობებით ვერ იქნებოდა გამოწვეული. მაგრამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ავალიანისეული შეფასება მცდარია და ფაქტიური მასალით არ დასტურდება.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევისა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის შესწავლას მარქსისტთაგან პირველად ფ. მახარაძემ მიაქცია ყურადღება. 1904 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი წერდა, რომ „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე იწყება ჩვენში ნატურალური მეურნეობის დარღვევისა და გაქრობის ნელი პროცესი“[6]. შემდეგ ნაშრომებში მან ეს აზრი კიდევ უფრო განავითარა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში გარკვეულ ძვრებს ჰქონდა ადგილი, რაც გამოიხატებოდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობისა და ვაჭრობის განვითარებაში, ამ ნიადაგზე გლეხთა ექს-

---

[5] С. П. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912, с. 179.

[6] ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, ტფ., 1929 (დაბეჭდილი იყო ცალკე წიგნაკად 1904 წ.), გვ. 28.

პლოატაციისა და ბატონყმური ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებაში, გლეხების ბატონყმობიდან თავდახსნის მისწრაფებაში, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საფუძვლების ჩასახვასა და ქვეყნად საგლეხო რეფორმის გატარებისათვის სათანადო პირობების შექმნაში[7].

მართალია, ყველა ამ პროცესის მიმდინარეობას ფ. მახარაძე მეტად ნელი ტემპით გულისხმობდა, მაგრამ XIX ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის იმ ეტაპზე, როდესაც არ იყო დაწყებული არქივებში დაცული ურიცხვი მასალის გამოვლენა-პუბლიკაცია და ერთადერთ წყაროს ხსენებული საკითხის გასარკვევად ცარიზმის ერთგული მოხელეების მიერ მეფისნაცვლის კანცელარიის არქივიდან ამოკრებილი „აქტები" წარმოადგენდა, სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეუძლებელი იყო.

XIX ს-ის რეფორმამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე აგრარული ურთიერთობისა და მოძრაობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პ. გუგუშვილის მიერ სათანადო საბუთების შეკრება-პუბლიკაციას. მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულებში[8] საარქივო მასალა და XIX ს-ის ჟურნალ-გაზეთებიდან ამობეჭდილი სტატიები თემატურადაა დალაგებული და საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას. აქვე ასახულია აგრარულ ურთიერთობაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება, აგრარული მოძრაობის გამწვავება და სხვ.

დოკუმენტების პუბლიკაციის პარალელურად პ. გუგუშვილმა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესწავლას, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების გაშუქებას, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში, მრავალი ნაშრომი უძღვნა[9] და არაერთი საყურადღებო დასკვნა გააკეთა. კერძოდ რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მის ნაშრომებში მეც-

---

[7] ფ. მახარაძე. საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში, თხზ. კრებული, ტ. I, თბ., 1924; Ф. Махарадзе. Грузия в XIX столетии. Краткий исторический очерк, Тб., 1933.

[8] სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა. ტ. I, 1938, რეფორმამდელი პერიოდი, ტ. II, 1939, საგლეხო რეფორმა.

[9] პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ., 1941; მისივე, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. ტ. I, II, III, IV, V, თბ., 1949—1962 წწ.; П. В. Гугушвили. Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1968 და სხვ.

ნიერულადაა დასაბუთებული და მკაფიოდ ნაჩვენები, რომ 30—50-იანი წლებიდან საქართველოში იწყება ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების პროცესი, ამ დროიდან არაერთმა მემამულემ შეიგნო ბურჟუაზიული მეწარმეობის უპირატესობა და თავისი მამულების შესაბამის პრინციპებზე მოწყობას მიჰყო ხელი, სასაქონლო ურთიერთობის განვითარების კვალად გაძლიერდა გლეხთა ექსპლოატაცია, უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ბატონებსა და ყმებს შორის, თავი იჩინა ბატონყმური მეურნეობის საერთო კრიზისმა, გარდაუვალი გახდა საგლეხო რეფორმის გატარება.

დებულება იმის შესახებ, რომ 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმები (კერძოდ საგლეხო რეფორმა) გარეშე ფაქტორებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მათი გატარებისათვის საქართველოში არსებობდა ყველა საჭირო პირობა, შექმნილი ქვეყნის შინაგანი განვითარების შედეგად, ჯერ კიდევ 1943 წელს, ყველაზე უფრო მკაფიოდ, გამოთქმული ჰქონდა პროფ. შ. ჩხეტიას. იგი, მიუთითებდა რა 1. საქართველოს სოფელში კაპიტალისტურ საფუძველზე მოწყობილი ფერმერული მეურნეობების, 2. ქალაქებში კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის ფაბრიკა-ქარხნების არსებობასა და 3. კერძო პირთა ხელში ფულადი კაპიტალის დაგროვებაზე, ასკვნიდა, რომ „ბატონყმობის ინსტიტუტის დასამხობად და საერთოდ 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების გატარებისათვის საქართველოში არსებობდა ყველა (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური) წანამძღვრები შექმნილი ადგილობრივი პირობებითა და ქვეყნის განვითარების შინაგანი პროცესით გამოწვეული. ამიტომ ბურჟუაზიული კულტურის წარმოქმნა და განვითარება (ისევე, როგორც კაპიტალიზმისა მთლიანობაში), გარედან (რუსეთიდან) მოტანილ მოვლენას კი არ წარმოადგენდა, არამედ ქვეყნის შინაგანი განვითარების შედეგი იყო. ეს კარგად მტკიცდება როგორც ეკონომიური ხასიათის მონაცემებით, ასევე იდეოლოგიურითაც“[10]. ეს იყო ერთგვარი წინასწარი დასკვნა, რომლის საბოლოოდ დასასაბუთებლად თვითონ ავტორი საჭიროდ სცნობდა მთელი რიგი პრობლემების დამატებით და უფრო ღრმად შესწავლას[11].

---

[10] შ. ჩ ხ ე ტ ი ა. საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის, თბილისის სახ.-ფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1943, № 3, გვ. 148.

[11] შ. ჩ ხ ე ტ ი ა. დასახ. ნაშრომი. გვ. 140.

იგივე დებულება გამეორებული აქვს შ. ჩხეტიას 1948 წელს გამოცემულ საგლეხო რეფორმის ამსახველ საარქივო საბუთებისათვის დართულ ვრცელ წინასიტყვაობაშიც[12].

ასეთსავე თვალსაზრისს იზიარებდა გ. ხაჭაპურიძეც, რომელიც XIX ს-ის საქართველოს ისტორიის კვლევისას აღნიშნავდა, რომ რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების კვალად საქართველო სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდა სრულიად რუსეთის ბაზარს, ქვეყანაში შეიმჩნეოდა ნათესი ფართობების ზრდა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლება, იწყებოდა კაპიტალისტური წყობისათვის დამახასიათებელი ელემენტების ჩასახვა, 60-იანი წლებისათვის მწიფდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, აშკარა იყო, რომ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომელმაც ბატონყმობის გაუქმება გარდაუვალი გახადა[13].

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, 50-იანი წლებისათვის ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ გარკვეული შეხედულებები იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მომხდარი ცვლილებების შესწავლა უმთავრესად ჯერ კიდევ ზოგად ხასიათს ატარებდა და ამ პრობლემის ამა თუ იმ ასპექტის გაღრმავებული კვლევა მომავლის საქმე იყო.

1954 წელს საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე მუშაობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის სახ-ის ისტორიის ინსტიტუტში მოეწყო დისკუსია საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისის საკითხებზე.

დისკუსიაზე მოხსენებით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში“ გამოვიდნენ ზ. ანჩაბაძე და მ. დუმბაძე. მომხსენებლებმა წამოაყენეს დებულება, რომელიც ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულ თვალსაზრისს მკვეთრად დაუპირისპირდა; სახელდობრ მათ მიაჩნდათ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ისეთ დაბალ დონეზე

---

[12] შ. ჩ ხ ე ტ ი ა. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, 1948, № 4.

[13] Г. В. Х а ч а п у р и д з е. К истории Грузии первой половины XIX века. Тб., 1950, с. 204; 500.

იყო, რომ არავითარი კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის არ შეიძლებოდა არსებულიყო, რომ წარმოების განვითარების ასეთ დაბალ დონეს არ შეეძლო ფეოდალური ბაზისის რღვევა გამოეწვია და რომ საგლეხო რეფორმის გატარების ძირითადი მიზეზი იყო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების ამოცანები. „ახალ ეკონომიურ მოვლენათა განვითარება აქ ჯერ კიდევ არ იყო მისული სიმწიფის იმ დონემდის, — ვკითხულობთ მოხსენების თეზისებში, — როცა იწყება ძლიერი კონფლიქტი საწარმოო ძალების ზრდასა და გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობას შორის, კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისები ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ახალ ეკონომიურ წყობად („უკლად"), რომელსაც უნდა დაეშალა ფეოდალური წესწყობილება და დღის წესრიგში დაეყენებინა მისი რევოლუციური დამსხვრევა, ან საფუძვლიანი გარდაქმნა"[14]. ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა გამოთქმული ზ. ანჩაბაძეს იმავე 1954 წელს დაბეჭდილ წერილში, რომელშიც საქართველოში მოქმედი სავაჭრო-სავახშო კაპიტალის როლი იყო გაშუქებული[15].

მართალია, დისკუსიის მსვლელობაში მ. დუმბაძისა და ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისი გაკრიტიკებული იყო, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის პროცესში ლაპარაკი იყო უმთავრესად კაპიტალიზმის ელემენტებისა და ჩანასახების როლის შეფასებაზე, კაპიტალისტური წყობის არსებობა კი, XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, საეჭვოდ იყო მიჩნეული.

დისკუსიის ძირითადი შედეგი, როგორც ეს 1954 წლის ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის ისტორიის ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშში იყო აღნიშნული, „მდგომარეობდა იმის აუცილებლობის აღიარებაში, რომ შემდგომი კვლევა-ძიებისას საჭიროა მეტი ყურადღება

---

[14] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში (თეზისები, ხელნაწერის უფლებით), თბ., 1954, გვ. 7.

[15] წერილში ზ. ანჩაბაძე წერდა: „ამგვარად რეფორმამდელ საქართველოს როგორც ქალაქსა, ისე სოფელში სავაჭრო-სავახშო კაპიტალი არამც თუ არ უწყობდა ხელს სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებას, არამედ პირიქით მშრომელების ექსპლოატაციის ძველი ფორმების კონსერვირებას ახდენდა და თამაშობდა რეაქციულ როლს; З. В. А н ч а б а д з е. К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии, მასალები [საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, გვ. 70.

შიექცეს სწორედ იმ ახალს, იმ მზარდ ძალებს, რომელთაც ამ ეპოქაში ჩვენ უკვე ვხედავთ საქართველოში და რომელნიც მალე აქ კაპიტალისტური წყობის გაბატონების საფუძველი შეიქმნენ«[16].

იმავე 1954 წელს ისტორიის ინსტიტუტში ცალკე გამოიყო და კადრებით დაკომპლექტდა კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის შემსწავლელი განყოფილება. ამ განყოფილებაში და სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე დაიგეგმა ნაშრომები, რომლებიც კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემიდან ამა თუ იმ საკითხის ყოველმხრივ შესწავლას გულისხმობდნენ. 50-იანი წლების შუახანებიდან თანდათან გამრავლდა ამ პრობლემასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის კონკრეტული შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიდა მრავალი ახალი მასალა და კაპიტალიზმის გენეზისური მოვლენების თეორიულ ასპექტში კვლევაც შესაძლებელი გახდა.

1955 წელს გამოქვეყნდა ი. ანთელავას მონოგრაფია «Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в.». მონოგრაფიაში მდიდარი საარქივო და გამოქვეყნებული მასალების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სახელმწიფო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; მიწათმფლობელობის ფორმები, სახაზინო გლეხებს შორის საკუთარი, ნასყიდი მიწის პატრონი გლეხების არსებობა და მათ გვერდით უმიწო და მცირემიწიანი გლეხების მომრავლება, რომელთა ძირითად საარსებო წყაროს გარესამუშაოები წარმოადგენდა, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების კომუტაცია და ამ ფაქტის მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მისი ფორმები და სხვ. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მძიმე პირობების მიუხედავად სახელმწიფო გლეხები საბატონო ყმებთან შედარებით უკეთესი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ, უფრო ადვილად ებმებოდნენ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში და დიფერენციაციაც მათ შორის უფრო ღრმად იყო წასული. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, საბატონო გლეხების სწრაფვა სახაზინო უწყებაში გადარიცხვისათვის, სავსებით მართებულად, შეფასებულია როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი სრული თავისუფლების მოპოვებისაკენ.

---

[16] ივ. ჯავახიშვილის სახ-ის ისტორიის ინსტიტუტის მუშაობა 1954 წელს, ამავე ინსტიტუტის შრომები, 1955, ტ. 1, გვ. 510.

ხსენებულ მონოგრაფიასა და 1956 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში[17] ი. ანთელავას მოცემული აქვს რეფორმამდელი საქართველოს სოფლის განვითარების სურათი, აღნიშნულია ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, მოტანილია სათანადო მონაცემები მწარმოებელი მოსახლეობის რაოდენობისა და ნათესი ფართობის ზრდის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ გარემოებას, რომ XIX ს-ის 30—40-იანი წლებიდან საქართველოს სოფელში ადგილი ჰქონდა არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ ცვლილებებსაც. კერძოდ, ნაჩვენებია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების—მარცვლეული მეურნეობის, მესაქონლეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და სხვ. სასაქონლო პროდუქციის ზრდა, ცვლილებანი გაბატონებულ წოდებაში, დაგირავებული მამულების მასშტაბების ზრდა და მის პარალელურად რაციონალურად მოწყობილი საბატონო მეურნეობების გაჩენა, სადაც ყმის სავალდებულო შრომის გვერდით დაქირავებული მუშახელისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება იწყებოდა, აქა-იქ მსხვილი კაპიტალისტური ფერმების (ბარონ ნიკოლაის, ანანოვის, კუჩენბახის ფერმები) ორგანიზაცია; მოტანილი და სათანადოდ შეფასებულია გლეხთა ბატონყმობისაგან თავდახსნის ფაქტები და სხვ.

ყოველივე ამის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ რეფორმამდელ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წიაღში არსებული სასაქონლო წარმოება ამ ფორმაციის თანდათანობით დაშლას უწყობდა ხელს და ამზადებდა ზოგიერთ წინაპირობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის[18]. სტატიაში კი ეს დასკვნა უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და აქ უკვე ლაპარაკია რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობაზე[19].

1955 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულ სადისერტაციო ნაშრომში[20] ე. ხოშტარიამ განიხილა XVIII ს-ის

---

[17] И. Г. Антелава. К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период. Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа, Сухуми, 1956, XXVII.

[18] И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, т. I, с. 180.

[19] И. Г. Антелава. К вопросу о характере экономического развития Грузии..., с. 70.

[20] ე. ხოშტარია. დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1955.

მეორე ნახევრისა და XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება. რაც შეეხება სოფლად მიმდინარე პროცესებს, ე. ხოშტარია აღნიშნავს, რომ უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოში იწყება ფეოდალური კარჩაკეტილი ურთიერთობის რღვევა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი ხდება XIX ს-ის I ნახევარში. მის ნაშრომში მოტანილი კონკრეტული მონაცემები ასახავენ მარცვლეულით ნათესი ფართობისა და მოსავლის შეფარდებით ზრდას, ამ პროდუქტის სასაქონლო წარმოების ზრდას, სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაციას, სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას, გლეხობის მასობრივ ლტოლვას ბატონყმობისაგან განთავისუფლებისაკენ და სხვ. აქვე აღნიშნულია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებიც, რამაც განაპირობა საბატონო მეურნეობის ნელი ევოლუცია.

ნაშრომში, როგორც მოსალოდნელიც იყო, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაქირავებული შრომის წყაროების შესწავლას და გარკვეულია, რომ დაქირავებული მუშახელის უმნიშვნელოვანეს რეზერვს წარმოადგენდა ბატონყმობის უღელში ჩაბმული გარესამუშაოებზე გასული გლეხობა; ეს გარემოება კი,—აღნიშნულია ნაშრომში, — გლეხობის დაშლის გაღრმავების მაჩვენებელი იყო.

სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მომხდარი ცვლილებების შესწავლის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში „კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება საქართველოში იწვევს ფეოდალური წყობილების დაშლას. მწვავდება კონფლიქტი განვითარებად საწარმოო ძალებსა და გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებს შორის, რაც ამზადებს ნიადაგს აქ საგლეხო რეფორმის გასატარებლად“ [21].

აგრარული ურთიერთობის განვითარების შესახებ მეტად საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა 1957 წელს ა. ფანცხავამ[22]. შემდეგში, 1973 წელს ა. ფანცხავა კვლავ დაუბრუნდა იმავე საკითხებს და დამატებითი მასალის მოშველიებით უფრო დაწვრილებით განიხილა ისინი[23] (ვინაიდან გაღრმავებული კვლევის შემდეგაც ავტო-

---

[21] Э. В. Хоштария. Наемный труд в Грузии во второй половине XVIII и в первой половине XIX в. (автореферат), Тб., 1955.

[22] А. Я. Панцхава. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957.

[23] А. Я. Панцхава. Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1973.

რის ძირითადი დებულებები არ შეცვლილა, ორივე ნაშრომს ერთად განვიხილავთ).

ა. ფანცხავამ განიხილა ცარიზმის აგრარული პოლიტიკა და სათანადო ფაქტების მოშველიებით გამოავლინა მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი.

შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გლეხთა დიფერენციაციის შესწავლას და მათი ეკონომიკური ჯგუფების დადგენას. ამ მიზნით ა. ფანცხავამ პირველმა გამოიყენა გლეხთა კამერალური აღწერები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს მონაცემებს შეიცავენ აღნიშნული საკითხის გასარკვევად. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად ავტორმა წარმოაჩინა რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოს სოფელში გლეხთა სოციალური დიფერენციაციის საწყისები: გლეხთა საერთო მასისაგან, ერთი მხრივ, ღარიბი, საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით მცხოვრები ფენისა და, მეორე მხრივ, კულაკური ფენის გამოყოფა. მაგრამ, იმის გამო, რომ ფანცხავას კამერალური აღწერის მონაცემები მთლიანად, თუნდაც ერთი რომელიმე მაზრის მიხედვით კი არა აქვს დაჯგუფებული, არამედ ცალკეული მაზრების სოფლები შერჩევით არის წარმოდგენილი, მის მიერ წარმოჩენილი სურათი მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე ან მის რომელიმე კუთხეზე ვერ გავრცელდება.

ა. ფანცხავას განხილული აქვს გლეხური მიწათმფლობელობის ფორმები, რომელთა შორის იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯარით აღებული და „ნასყიდი" მიწების როლის გარკვევას. მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, ყმა გლეხები ძველთაგანვე თავის სახელზე მიწის ნაკვეთის საკუთრად შეძენის უფლებით სარგებლობდნენ. შრომებში სათანადო საბუთების ანალიზის შედეგად ნაჩვენებია, გაბატონებული, ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მიწათმფლობელობის პარალელურად, გარდამავალი ფორმების (საჯარო ურთიერთობა, ნასყიდი მიწები) არსებობა და განსაკუთრებით გლეხობის ზედაფენის მეურნეობაში სანადელო მიწის ხვედრითი წონის შემცირების ტენდენცია, რაც ავტორის მიერ სავსებით მართებულად ფეოდალიზმის ეკონომიკური ბაზისის რღვევისა და მის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის მაჩვენებლადაა მიჩნეული[24].

---

[24] А. Я. Панцхава. К вопросу о развитии аграрных отношений..., с. 154; მისივე: Вопросы аграрной истории Грузии..., с. 83.

მაგრამ შემდგომი მსჯელობის დროს ფანცხავა ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება. მას მიაჩნია, რომ გლეხის მიერ „ნასყიდი“ მიწაც ისევე იყო დაბეგრილი ბატონის სასარგებლოდ, როგორც მის მფლობელობაში მყოფი „ნადელი“ და ამდენად გლეხების ხელში ნასყიდი მიწების თავმოყრა მებატონის ინტერესებში შედიოდა, მათ მიერ მითვისებული ზედმეტი პროდუქტის ნორმის გაზრდას უწყობდა ხელს[25]. შემდეგ იგი წერს, რომ „საკუთარი „ნასყიდი“ მიწის პატრონი გლეხები არაფრით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენი ყმა გლეხებისაგან, მათი ფეოდალური ექსპლოატაციის სრულიად ხარისხტებოდა, ისინი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებული მესაკუთრე გლეხები. მათი საკომლო მიწა შედგებოდა: ა) მათზე მიმაგრებული ნადელისაგან (სახელმწიფო, საეკლესიო, საბატონო მიწა), ბ) თავის სახელზე ნასყიდი მიწისაგან“[26].

როგორც ვხედავთ, აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. გამოდის, რომ ფეოდალიზმის ეკონომიკური ბაზისის რღვევა მებატონის გამდიდრება-გაძლიერებას უწყობდა ხელს, რაც რა თქმა უნდა, არ არის სწორი. მართალია, იყო შემთხვევები „ნასყიდი“ მიწის დაბეგვრისა, მაგრამ, როგორც წესი, „ნასყიდი“ მეპატრონის სრულ, დაუბეგრავ საკუთრებას წარმოადგენდა, ნასყიდი მიწა სავსებით გამოდიოდა ფეოდალური ურთიერთობის სფეროში მოქცეული მიწების რიცხვიდან და გლეხობის ხელში მათი თავმოყრა გარდა იმისა, რომ მონოპოლიური ფეოდალური საკუთრების შესუსტებას უწყობდა ხელს, ფეოდალური ექსპლოატაციის მატერიალური საფუძვლის მოშლასაც მოასწავებდა.

დასახელებულ შრომებში განხილულია მთელი რიგი სხვა საკითხებისა, როგორიცაა, მაგალითად, სავახშო კაპიტალის როლი სოფლად, დაქირავებული შრომის გამოყენება, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება, სავაჭრო მიწათმოქმედების ჩასახვა საბატონო მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და ფეოდალური რენტის ფორმების განვითარება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის დამსახურება ამ უკანასკნელი საკითხის გარკვევაში. მან, მეცნიერულ მიმოქცევაში პირველმა, შემოიტანა

---

[25] А. Я. Панцхава, К вопросу о развитии..., с. 157; Вопросы аграрной истории Грузии..., с. 91.

[26] А. Я. Панцхава, К вопросу о развитии..., с. 159; Вопросы аграрной истории Грузии..., с. 93.

მასალა, რომელიც სხვა დამკვირვებლებს მხედველობიდან გამორჩათ და რომელიც ჯერ კიდევ 1818 წელს ჩატარებულ მასობრივ კომუტაციას ასახავს. სახელდობრ, ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაცია და საფუძნადოდ შეაფასა ეს ფაქტი.

ფეოდალური რენტის ფორმების ხვედრითი წონის გარკვევისას ა. ფანცხავა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, მართალია, საბატონო გლეხებში რეფორმის გატარების წინ რენტის გაბატონებულ ფორმას ჯერ კიდევ პროდუქტადი რენტა წარმოადგენდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხებში (სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო) ფულადი რენტის წამყვანი როლი სულ უფრო იზრდებოდა და ეს უკანასკნელი XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის რენტის გაბატონებულ ფორმად იქცეოდა[27].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს ფანცხავა განიხილავს, როგორც ფეოდალიზმის დაშლისა და მის წიაღში ახალი საზოგადოებრივი წყობილების ჩასახვის მაჩვენებელს[28].

როგორც აღვნიშნავდით, 1954 წელს გამართულ დისკუსიაზე ბ. დუმბაძე ზ. ანჩაბაძესთან ერთად უარყოფდა რეფორმამდელი ხანის საქართველოში ძლიერი კონფლიქტის არსებობას საწარმოო ძალთა ზრდასა და ფეოდალურ ურთიერთობებს შორის და საგლეხო რეფორმის ძირითად მიზეზად გარეგან ფაქტორს მიიჩნევდა. მაგრამ ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის გაღრმავებისას მან უფრო მეტი ყურადღება მიაქცია იმ ახალსა და მზარდ მოვლენებს, რომლებიც 40—50-იანი წლების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის რღვევას იწვევდნენ და რამდენადმე განსხვავებული პოზიციები დაიკავა. სახელდობრ, 1957 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიასა[29] და 1958 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში[30] (რომლის XIX ს-ის რეფორმამდელი პერიოდის ნაკვეთის ავტორია მ. დუმბაძე) ავტორი, იხილავს რა სოფლად

---

[27] А. Я. Панцхава. К вопросу о развитии..., с. 274, 277; Вопросы аграрной истории..., с. 299.

[28] А. Я. Панцхава. К вопросу о развитии .., с. 278; Вопросы аграрной истории..., с. 300.

[29] მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

[30] საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX ს-ის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ბ. რატიანი, თბ., 1958.

მიმდინარე პროცესებს, აღნიშნავს; „სასაქონლო პროდუქციის ზრდა ფეოდალურ-ბატონყმურ მეურნეობაში ფეოდალური ფორმაციის შიგნით წინააღმდეგობას ამწვავებდა. ეს განსაკუთრებით 30—40-იანი წლებიდან გახდა შესამჩნევი"[31], „საბატონო მეურნეობის კარჩაკეტილობა შეუჩერებლივ ირღვეოდა, ეს ამ მეურნეობის კრიზისის ერთი ნიშანი იყო"[32], „სასაქონლო წარმოების ზრდა ფეოდალურ ურთიერთობას არყევდა და ამზადებდა ზოგიერთ წინაპირობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის"[33], „...თავს იჩენდა წინააღმდეგობა წარმოების ძველ წესსა და ახლის ელემენტებს შორის, ნათლად ჩანდა თავისუფალი დაქირავებული შრომის უპირატესობა"[34], „სოფლად მკრთალად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა წარმოების საშუალებათაგან უშუალო მწარმოებლის თანდათან მოწყვეტის პროცესი და ისახებოდა სოფლის მუშათა კატეგორია, რომლის ძირითადი საარსებო წყარო სამუშაო ძალის გაყიდვა იყო"[35].

დაბოლოს მ. დუმბაძე 1954 წელს გამოთქმულ მოსაზრებათაგან განსხვავებით ასკვნის, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმის ჩატარება, საგარეო ფაქტორთან ერთად, უმთავრესად მაინც, ქვეყნის შინაგანი განვითარებით იყო გამოწვეული. „ბატონყმობა აფერხებდა საწარმოო ძალების და, საერთოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, — ვკითხულობთ მის მონოგრაფიაში, — გამწვავდა წინააღმდეგობა შედარებით განვითარებულ საწარმოო ძალებსა და არსებულ საწარმოო ურთიერთობას შორის. საქართველოშიაც აღარ შეიძლებოდა რეფორმის დაყოვნება. ჩვენში რეფორმის ჩატარებას მოითხოვდა, აგრეთვე, რუსეთის მზარდი კაპიტალიზმის ინტერესები და საქართველოს ეკონომიური ათვისების ამოცანები, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე რომ იდგა"[36].

XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეა ასახული 1959 წელს

---

[31] მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 337.
[32] იქვე, გვ. 343.
[33] საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 447.
[34] იქვე, გვ. 456.
[35] იქვე, გვ. 457.
[36] მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 400.

გამოქვეყნებულ დ. გოგოლაძის მონოგრაფიაში[37]. ნაშრომში განხილულია XIX ს-ის 30-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება, ახალი ტექნიკური კულტურების დანერგვა, მოტანილია სათანადო მონაცემები სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის სასაქონლო პროდუქციის ზრდის შესახებ, საგარეო და საშინაო ვაჭრობის განვითარების შესახებ, შესწავლილია ახლად დაარსებული ბურჟუაზიული მეურნეობანი, რაციონალურ საწყისებზე მოწყობილი მსხვილი მემამულური მეურნეობანი; გამოვლენილია ამ უკანასკნელთა ბურჟუაზიული ხასიათი; მეორე მხრივ აღნიშნულია სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად საბატონო მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვა-დაგირავება-გაყიდვა.

ნაშრომში ყურადღება ექცევა ბურჟუაზიული ურთიერთობის შეჭრას გლეხურ მეურნეობებშიც, რაც გამოიხატებოდა გლეხების მხრიდან გარესაშოვრებზე გასვლის გავრცელებაში, სასამართლოს საშუალებათა თუ სათანადო თანხის გადახდით ბატონყმური უღლისაგან თავის დახსნაში, გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებაში. კამერალური აღწერებიდან მოტანილია ცალკეული ფაქტები, საიდანაც ჩანს, რომ 40—50-იანი წლებიდან ყმა გლეხების მასას თანდათანობით გამოეყოფა გლეხური ბურჟუაზია, რომელიც ახერხებს თავის გამოსყიდვას, დიდი რაოდენობით საწარმოო საშუალებათა ხელში ჩაგდებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზროდ წარმოებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლეხების მდიდარ ფენას თავის მეურნეობის გასაძღოლად დაქირავებული შრომის გამოყენებისათვისაც უნდა მიემართა და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ ბატონყმობის კრიზისი გამოიწვია. საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას აბრკოლებდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის არსებობა და მისი მოსპობა აუცილებელი გახდა[38].

XIX ს-ის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების შესწავლისადმი მიძ-

---

[37] დ. გოგოლაძე. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959 (ამ თემაზე საკანდიდატო დისერტაცია დ. გოგოლაძემ დაიცვა ჯერ კიდევ 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე).

[38] იქვე, გვ. 105.

ღვნილ ნაშრომში [39] ლ. გვახარია ავითარებს თვალსაზრისს, რომ 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმისათვის ნიადაგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით იყო შემზადებული და რომ, თავის მხრივ, ფულადი გადასახადების შემოღებამ ხელი შეუწყო სასაქონლო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, „ხოლო სასაქონლო წარმოებამ მოამზადა ზოგიერთი პირობა კაპიტალიზმის განვითარებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში“[40].

XIX ს-ის რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი დახასიათება მოცემული აქვს გ. მეგრელიშვილს თავისი გამოკვლევის შესავალში, რომლის ძირითადი მიზანი არის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის შესწავლა[41].

ნაშრომის პირველ თავში ავტორი აღნიშნავს, რომ XIX ს-მდე საქართველოს საწარმოო ძალების განვითარება ერთ წერტილზე იყო გაყინული და ქვეყანაში კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა განუყოფლად ბატონობდა. რუსეთთან შეერთების შედეგად კი შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისათვის აუცილებელი წანამძღვრები, რაც გამოიხატებოდა: ხელისუფლების ცენტრალიზაციაში, ქვეყნის გაერთიანებაში, ცალკეული სამეფო-სამთავროების ფეოდალური ბაჟებისა და საბაჟოების გაუქმებაში, ფულის ნიშნების ერთიანი სისტემის შემოღებაში, ზომისა და წონის ერთეულების უნიფიკაციაში, ტყვის სყიდვის აკრძალვაში, სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებაში, მხარის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფაში, საერთოდ მოსახლეობისა და განსაკუთრებით ქალაქების მოსახლეობის სწრაფ ზრდაში, საქართველოში მყოფი რუსის ჯარისა და მრავალრიცხოვანი სამოხელეო აპარატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის ბაზრის გაფართოებაში, საგარეო და საშინაო ვაჭრობის ზრდაში და სხვ. ყოველივე ეს იწვევდა საწარმოო ძალების განვითარებას. ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში ებმებოდა როგორც გლეხობა, ისე გაბატონებული წოდება, რაც ფეოდალური ფორმაციის

---

[39] ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა. სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1960.

[40] ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[41] Г. И. М е г р е л и ш в и л и. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX в. Тб., 1960, т. I.

რღვევაზე მიუთითებდა. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევა განაპირობებდა გლეხთა ექსპლოატაციის უკიდურესობამდე გამწვავებას, მის ბარბაროსულ ფორმებს.

გ. მეგრელიშვილი თვლის, რომ რეფორმისწინა პერიოდის საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება შემდეგი ფორმებით გამოიხატა: 1. გლეხობის (განსაკუთრებით სახელმწიფო და ხიზანი გლეხების) დაშლა, 2. კოლონისტების მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია, 3. მიწათმოქმედების სფეროში სავაჭრო-სავახშო კაპიტალის შეჭრა და 4. მემამულეთა მიერ ყმის სავალდებულო შრომის პარალელურად, რიგ შემთხვევებში, დაქირავებული შრომის გამოყენება. მაგრამ ყველა ამ პროცესის მიმდინარეობას, საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას ძალიან აბრკოლებდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა. აშკარა იყო, რომ გამწვავდა კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და გაბატონებულ ურთიერთობებს შორის.

როგორც ვხედავთ, გ. მეგრელიშვილს ქვეყნის შინაგანი განვითარებით გამოწვეული ბატონყმური სისტემის კრიზისი მკაფიოდ აქვს ნაჩვენები, მაგრამ რაც შეეხება XVIII საუკუნის საქართველოს საწარმოო ძალების სრულ უძრაობას, ჩვენ ავტორს ვერ დავეთანხმებით. რა თქმა უნდა, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ხელსაყრელი პირობების შექმნის შედეგად, საგრძნობლად დაჩქარდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე ქვეყანაში არავითარ ძვრებს არ ჰქონია ადგილი.

60-იანი წლების დასაწყისში ქვეყნდება სტატიები, რომლებიც მიძღვნილია სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისთან დაკავშირებულ ამა თუ იმ კერძო საკითხის შესწავლისადმი. სახელდობრ ე. ორჯონიკიძისა და ნ. ნაცვლიშვილის წერილებში ლაპარაკია მემამულური მეურნეობის კაპიტალისტურ ევოლუციაზე [42]. სათანადო ფაქტების ანალიზის შედეგად აღნიშნულია, რომ რეფორმამდელი საქართველოს მთელი რიგი საბატონო მეურნეობების წამყვან მოტივად იქცა საცველი ღირებულების წარმოება. მრავალმა მებატონემ,

---

[42] ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება XIX ს. რეფორმამდელ საქართველოს საბატონო მეურნეობაში; ნ. ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია საქართველოში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. I, 1961, და ტ. VII, 1964.

საბაზრო პროდუქციის წარმოების მიზნით, ხელი მიჰყო ახალი ტექნიკური კულტურების გაშენებას და ყმის სავალდებულო შრომის გვერდით დაქირავებული შრომისა და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ მსგავსი მეურნეობები შეიცავდნენ კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტებს.

1960 წელს დასტამბულ სტატიაში[43], თელავის მაზრის კამერალური აღწერების მონაცემების საფუძველზე, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ხსენებული მაზრის გლეხთა დიფერენციაციის სურათი. წერილში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში თელავის მაზრაში არსებობდა უმიწო გლეხების ფენა, რომლის ძირითად საარსებო წყაროს საკუთარი შრომის გაქირავება წარმოადგენდა. ამავე დროს გვხვდებიან ისეთი შეძლებული გლეხებიც, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ სოფლის ნახევრადპროლეტარულ მოსახლეობას და სპეციალურად საბაზროდ აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ეს გარემოება კი თელავის მაზრის გლეხებს შორის კლასობრივი დიფერენციაციის არსებობაზე მიუთითებს.

XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის დამდეგის გლეხთა საბატონო ბეგარა-გადასახადებში ფულადი გამოსაღების ზრდას ყურადღება მიაქცია გ. აკოფაშვილმა[44]. მან ძირითადად მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობის მასალების შესწავლით დაადგინა, რომ ამ დროისათვის ფულადი საბატონო გადასახადების გავრცელება ხდება: 1. გადასახადების გაწერით, 2. ზოგიერთი საგლეხო ვალდებულების ფულადი სახის მიღებით და 3. რიგ შემთხვევებში ძირითადი პროდუქტადი გადასახადის — ღალა-კულუხის ფულად ექვივალენტზე გადაყვანით. ავტორი ამ მოვლენას სავსებით მართებულად სასაქონლო ურთიერთობის გავრცელებით ხსნის, თუმცა იქვე ასკვნის, რომ ფულადი გადასახადები არსებითად შემთხვევით, სპორადულ ხასიათს ატარებენ და მათი გაღება გლეხებისათვის დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ მათი აყრა-გაქცევის

---

[43] ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960.

[44] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი. ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს-ის დამლევისა და XIX ს-ის დამდეგის საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964.

მიზეზიც კი ხდებაო[45]. ამ დასკვნას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. როგორც ი. ანთელავამ აღნიშნა, გ. აკოფაშვილის „მიერ მოტანილი მასალიდან სრულიად არა ჩანს ფულადი გადასახადების შემთხვევითობა და სპორადულობა. პირიქით, დადასტურებულია ფულადი რენტის საკმაოდ მყარად არსებობისა და მისი თანდათანობითი განვითარების ფაქტი, პროდუქტადი გადასახადების ფულადით შეცვლის ფაქტი"[46]. სტატიაში მოტანილი მასალიდან ასევე ჩანს, რომ რიგ შემთხვევებში თვით გლეხებს ურჩევნიათ ნატურალური გამოსაღების შეცვლა ფულადით[47] და მათი პროტესტი იმდენად ბეგარა-გადასახადების კომუტაციით კი არ უნდა იყოს გამოწვეული, რამდენადაც საერთოდ ექსპლოატაციის დამძიმებით. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ, როგორც იმავე ავტორის მეორე წერილიდან ჩანს, გლეხები ასევე გაურბოდნენ უჩვეულოდ გაზრდილი გამოსაღებების პროდუქტებით გადახდასაც[48].

1965 წელს მოსკოვში მოეწყო საკავშირო დისკუსია, რომელიც რუსეთში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პრობლემის განხილვისადმი იყო მიძღვნილი. იქ წარმოდგენილ კოლექტიურ მოხსენებასა და მისი ერთ-ერთი ავტორის ა. ნოვოსელცოვის[49] გამოსვლაში გაკრიტიკებული იყო ქართველ მკვლევართა უმეტესობის თვალსაზრისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის შესახებ. მოხსენების ავტორთა აზრით, ქართველ ისტორიკოსთა რიგ ნაშრომებში შეიმჩნევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის გადაჭარბებული შეფასება, მისი გათანაბრება რუსეთის ცენტრალური რაიონების დონესთან; ქვეყანაში მიმდინარე ისეთი პროცესების გაზვიადება, როგორიც იყო პროდუქციის საქონლიანობის ზრდა, კაპიტალისტურ-მემამულურ მეურნეობათა ორგანიზაცია, დაქირავებული შრომის გამოყენების გავრცელება, მანუ-

---

[45] გ. აკოფაშვილი. ფულადი საბატონო გადასახადები..., გვ. 103.

[46] ი. ანთელავა. XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 102—103.

[47] გ. აკოფაშვილი. ფულადი საბატონო გადასახადები..., გვ. 100.

[48] გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 407—408.

[49] სწორედ ნოვოსელცოვია მოხსენების იმ მონაკვეთის ავტორი, სადაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

ფაქტურული წარმოების ზრდა და სხვ[50]. ა. ნოვოსელცოვის აზრით, XIX ს-ის 30—50-იან წლებშიც კი, საქართველოს ეკონომიკის ერთგვარი ალმავლობის მიუხედავად, ქვეყანაში ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაცია-განმტკიცებას ჰქონდა ადგილი[51].

დისკუსიაზე საწინააღმდეგო პოზიციის დაცვით გამოვიდა ი. ანთელავა, რომელიც XIX ს-ის 30—50-იან წლების საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წყობის არსებობას ამტკიცებდა[52]. მაგრამ ა. ნოვოსელცოვმა მის მიერ წარმოდგენილი მასალა საკმარისად არ ჩათვალა და ეს დებულება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ყველა ფაქტისა და მოვლენის ყოველმხრივი გათვალისწინებით დაწერილი ნაშრომის გამოქვეყნებამდე საეჭვოდ მიიჩნია[53].

საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისის გარკვევას მიეძღვნა 1966 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ-ის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოწყობილი დისკუსიაც. დისკუსიაზე მოხსენებით გამოვიდა ზ. ანჩაბაძე, რომელიც შეეცადა როგორც საერთოდ კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემის თეორიულ ასპექტში გაშუქებას, ასევე კერძოდ საქართველოში მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას. ზ. ანჩაბაძემ თავის მოხსენებაში წარმოადგინა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების ზოგადი სქემა და განავითარა ჯერ კიდევ 1954 წელს გამოთქმული შეხედულება რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ. ანჩაბაძისეული სქემის მიხედვით „კაპიტალისტური წყობა საქართველოში რეფორმის შემდგომ პერიოდში, დაახლოებით 70-იანი წლების შუახანებისათვის

---

[50] Переход от феодализма к капитализму в России (материалы Всесоюзной дискуссии), М., 1969, с. 14—16.

[51] იქვე, გვ. 342.

[52] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ანთელავამ თავის გამოსვლაში უარყო XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრები. შემდეგში ამ საკითხის სპეციალურად შესწავლის შედეგად ი. ანთელავამ შეიცვალა შეხედულება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ნიადაგს ამზადებდნენ ძველი ფორმაციის დასამხობად და ახლის გასამარჯვებლად მომავალში; იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.

[53] Переход от феодализма к капитализму в России, с. 342.

ჩამოყალიბდა“[54]. მომხსენებელი, მართალია, აღიარებს რეფორმისწინარე ხანის საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ღრმა კრიზისის არსებობას და კლასობრივი ბრძოლის მკვეთრ გამწვავებას, მაგრამ იგი ამას ხსნის მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი ფაქტორით—„საქართველოს ჩაბმით საერთო რუსულ და მსოფლიო ეკონომიურ ურთიერთობაში, რასთანაც ვერ შეძლო შეგუება ქართულმა ფეოდალიზმმა“[55]. დისკუსიის მსვლელობაში მოკამათეების უმეტესობამ გააკრიტიკა როგორც კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების ანჩაბაძისეული სქემა, ასევე მისი შეხედულება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ და XIX ს-ის I ნახევარში კაპიტალისტური წყობის არსებობის დასამტკიცებლად მრავალი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი კონკრეტული მასალა მოიტანა. მაგრამ ზ. ანჩაბაძე, როგორც მის მიერ იმავე წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიიდან ირკვევა[56], კვლავ იმავე თვალსაზრისზე რჩება და ამ თვალსაზრისის განვითარება-დასაბუთებას განაგრძობს. სახელდობრ, მას ნაშრომში საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისის შესახებ[57] შემდეგი მოსაზრებანი აქვს გატარებული: XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის მთელ მანძილზე საქართველოს საწარმოო ძალებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი ცვლილებები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ერთობ დაბალ დონეზე იყო, ცალკეული მებატონეების მიერ ახალი სამეურნეო წამოწყებები, როგორც წესი, მარცხს განიცდიდნენ და რეფორმამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები არ აღმოცენებულა; სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის საქონლიანობის გარკვეული ზრდის მიუხედავად მთლიანობაში სოფლის მეურნეობას არ მიუღწევია კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების დონემდე. XIX ს-ის რეფორ-

---

[54] დისკუსია, კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1968, № 2, გვ. 234.

[55] იქვე.

[56] З. В. Анчабадзе. Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1966.

[57] ჩვენ აქ განვიხილავთ ზ. ანჩაბაძის შეხედულებებს მხოლოდ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის ჩასახვის შესახებ. ნაშრომის ყოველმხრივი კრიტიკული შეფასება მოცემული აქვთ გრ. მარგიანსა და ე. ხოშტარიას; იხ. საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ლენინური მოძღვრების შუქზე; კრებულში „ქართული ისტორიოგრაფია“, 1971, № 2.

მამდელ ხანაში საქართველოში ადგილი ჰქონდა არა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევას, არამედ რუსული ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მის „გაჯანსაღება-განმტკიცებასთან გვაქვს საქმე“ და ა. შ.

ავტორი, მართალია, სცნობს რეფორმისწინარე წლების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის კრიზისისა და ქართველი გლეხების ბრძოლის შედეგად რევოლუციური სიტუაციის არსებობასაც კი, მაგრამ მათ გამომწვევ მიზეზად ქვეყნის შინაგან განვითარებას კი არ მიიჩნევს, არამედ ძირითადად გარეგანი ფაქტორებით ხსნის. „ბატონყმობის წინააღმდეგ ქართველი გლეხების ბრძოლამ, — წერს ზ. ანჩაბაძე, — უეჭველია დააჩქარა საქართველოში ბატონყმობის გაუქმება, მაგრამ მისი გამწვავების მთავარი მიზეზი იყო, საბოლოო ჯამში, საქართველოს ჩათრევა საერთო რუსულ და რუსეთის მეშვეობით მსოფლიო ეკონომიურ კავშირებში, რომელთანაც შეგუება ქართულმა ფეოდალიზმმა თავისი სისუსტისა და ჩამორჩენილობის გამო (მით უმეტეს იმ დროინდელ პირობებში) ვერ შესძლო. სწორედ ამან გამოიწვია მისი კრიზისი...“[58].

ჩვენის აზრით, ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველს ავტორს ცალმხრივი და ტენდენციური წყაროების სიუხვე და მათი კრიტიკულად შეუფასებლობა აძლევს. იგი იმდენად ხვდება ნიჰილისტურად განწყობილი მოხელეების მიერ შედგენილი ანგარიშების გავლენის ქვეშ, რომ მის წიგნში აქა-იქ შემობნეული მასალაც კი, რომელიც აშკარად ფეოდალიზმის რღვევაზე მიუთითებს (მემაულეების დავალიანება და მათი ქონების დაგირავება, მამულების დიდი ნაწილის გადასვლა ვაჭარ-მოქალაქეთა ხელში, გლეხების ხელთ ნასყიდი მიწების მომრავლება, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების საქონლიანობის არაჩვეულებრივი ზრდა, როგორიც იყო მებოსტნეობა და მეხილეობა და სხვ.), ვერა აქვს სათანადოდ შეფასებული და ფეოდალიზმის რღვევის ნაცვლად მის „გაჯანსაღება-განმტკიცებაზე“ მსჯელობს.

გარდა ამისა, როგორც გრ. მარგიანმა და ე. ხოშტარიამ აღნიშნეს, ზ. ანჩაბაძე რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შეფასებისას გადაჭარბებულ მოთხოვნებს აყენებს. „ის დონე,—წერენ ისინი,—რომელზედაც ლაპარაკობს ზ. ანჩაბაძე, შეეფერება არა წინაკაპიტალისტურს, გნებავთ გარდამავალ ხანასაც კი, არამედ უკვე განვითარებულ კაპი-

[58] ზ. ანჩაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

ტალიზმს, რომლის არ არსებობა, ცხადია, არ გამოდგება იმის საბუთად, რომ თითქოს აქ ადგილი არ ჰქონდა ნატურალური მეურნეობის რღვევას"[59].

სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისია განვითარებული 1967 წელს გამოქვეყნებულ ი. ანთელავას, ე. ორჯონიკიძისა და ე. ხოშტარიას კოლექტიურ ნაშრომში, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების შესწავლას მიეძღვნა[60].

ნაშრომში რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისის გასარკვევად, საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურისა და საარქივო საქმეების გათვალისწინებით, განხილულია: 1. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების საქონლიანობის ზრდა, მოტანილია კონკრეტული მასალა, რომელიც ადასტურებს საკმაოდ განვითარებული შინაგანი ბაზრის, სასაქონლო წარმოების და ფულადი ურთიერთობის, ე. ი. კაპიტალიზმის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის არსებობის ფაქტს; 2. მემამულური მეურნეობის ევოლუციის ხასიათზე მსჯელობის დროს დაახლოებით დადგენილია განსახილველი ხანის საქართველოში არსებული მეთაოსნე მემამულეთა რიცხვი, რომლებიც აწარმოებდნენ დიდი რაოდენობით საბაზრო პროდუქციას და იძულებითი შრომის პარალელურად იყენებდნენ თავისუფალ, დაქირავებულ შრომას და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. აქვე აღნიშნულია, რომ მართალია, ასეთი მემამულეები არც თუ ისე ბევრი იყვნენ, ისინი თავადაზნაურთა ოჯახების საერთო რიცხვის 2,3%-ზე მეტს არ შეადგენდნენ, მაგრამ ამ დროისათვის რუსეთშიაც ასეთი მემამულეების ხვედრითი წონა (3%) დიდად არ აჭარბებდა საქართველოსას. 3. შესწავლილია გლეხთა მესარეწეობისა და გარესამუშაოებზე გასვლის ფართოდ გავრცელება, განსაკუთრებით 40—50-იანი წლებისათვის და მისი გავლენა გლეხური მეურნეობის ევოლუციაზე. 4. კონკრეტული მასალის მოშველიებით დადასტურებულია, რომ 1843—1845 წლებში გატარებული სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია წარმოადგენდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერ შედეგს და ფულადი საგადასახადო

---

[59] გრ. მარგიანი, ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[60] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария. К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967.

სისტემის შემოღება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ახალ (ბურჟუაზიულ) ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. 5. გლეხთა კლასობრივ დიფერენციაციაზე მსჯელობისას ყურადღება არის გამახვილებული მათი უმცირესობის ხელში ძირითადი საწარმოო საშუალებების (მიწისა და გამწევი ძალის) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრაზე. ნაშრომში დასახელებული ფაქტები ცხადყოფენ რეფორმამდელი საქართველოს სოფელში მძლავრი კულაკური ბირთვის წარმოქმნას, რომელიც დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციით აწარმოებდა მნიშვნელოვანი რაოდენობით სასაქონლო პროდუქციას. სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუციის დამაჩქარებელ ფაქტორებად მიჩნეულია: სახელმწიფო გლეხთა მრავალრიცხოვანი ფენის არსებობა და გლეხთა ზედაფენის ხელში საკუთარი, ნასყიდი მიწების თავმოყრა. 6. შეძლებისდაგვარად აღნუსხულია რეფორმამდელ სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის გამოყენების ფაქტები. გამოვლენილია გლეხთა ისეთი ფენის წარმოქმნა, რომლის ძირითად საარსებო წყაროს საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავება წარმოადგენდა და ამ ფენის შედარებით მცირერიცხოვნობის მიუხედავად, აქცენტი გაკეთებულია ამ მოვლენებით გამოხატული ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ტენდენციაზე. მითითებულია საზოგადოებრივ აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებზე, რაც თანდათანობით, იძულებით შრომასთან შედარებით დაქირავებული შრომის უპირატესობის აღიარებაში გამოიხატა. 7. გლეხთა გაძლიერებული მისწრაფება, მიმართული ბატონყმობისაგან თავდახსნისაკენ, სასამართლოს საშუალებით თუ სათანადო საზღაურის გადახდით, და თავადაზნაურობის დიდი ნაწილის დავალიანება, მათი მამულების გადასვლა სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენლებისა და გამდიდრებული გლეხების ხელში, განხილულია როგორც ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების დაშლის პროცესი. 8. ნაშრომში აგრეთვე შენიშნულია ექსპლოატაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენდა სტიქიურად მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე და აჩქარებდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის პროგრესულ პროცესს.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ XIX ს-ის 30—50-იანი წლების საქართველოს სოფელში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილებები და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა

ადასტურებდა ამ ხანის საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობას, რამაც შეამზადა ნიადაგი ბატონყმობის გაუქმებისათვის[61].

1971 წელს გამოქვეყნდა დ. გოგოლაძის მონოგრაფია — „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში". ნაშრომში გოგოლაძეს XIX ს-ის I ნახევრის საქართველოში ფეოდალიზმის ყოველმხრივი, საყოველთაო რღვევის პროცესი აქვს ნაჩვენები. სახელდობრ, იგი განიხილავს ფეოდალიზმის რღვევის პროცესის ორივე მხარეს — სათავადო-სენიორიის — ვასალურ-სენიორალური დამოკიდებულებისა და ყმაგლეხთა საბატონო მეურნეობის თანდათანობით რღვევას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ეს პროცესი მეტად შენელებული ტემპით აქვს წარმოდგენილი, რაშიც ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

ნაშრომში შესწავლილია რუსეთის მთავრობის ღონისძიებების შედეგად გაბატონებული კლასის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები: საეკლესიო აზნაურთა და დაბალი საშღდელოების სახაზინოდ აღრიცხვა, შემდეგში მთელი საეკლესიო ყმა მამულის ხაზინის გამგებლობაში გადასვლა და სასულიერო წოდების ჯამაგირზე გადაყვანა, სათავადო (საბატონო) აზნაურების განთავისუფლება თავადთა დამოკიდებულებისაგან და სახელმწიფო აზნაურებად აღრიცხვა, ვასალურ-სენიორალურ იმუნიტეტზე დამყარებულ სათავადოთა სისტემის მოსპობა და სხვ. წარმოდგენილია ამ ღონისძიებებისა და ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგად სათავადოს საერთო-საგვარეულო მიწათმფლობელობის რღვევა და მის ნაცვლად ინდივიდუალური კერძო-საბატონო მიწათმფლობელობის განვითარება, საკუთრების ინდივიდუალიზაციისაკენ მისწრაფება. ყოველივე ეს,

---

[61] ზუსტად იგივე თვალსაზრისი ნაშრომის ავტორების მიერ წარმოდგენილი იყო 1969 წელს ბაქოში მოწყობილ დისკუსიაზე, რომელიც ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. დისკუსიაზე გამოსულ მკვლევართა უმეტესობა ა/კ-ის ყველა ქვეყნისათვის ფეოდალიზმის რღვევის დასაწყისად XIX ს-ის შუა ხანებს მიიჩნევდა, მაგრამ ზოგიერთმა მონაწილემ გაიზიარა ქართველი მკვლევრების მიერ წარმოდგენილი შეხედულება საქართველოში XIX ს-ის 30—40-იანი წლებისათვის კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების შესახებ (ინფორმაცია ბაქოს სიმპოზიუმის შესახებ იხ. История СССР, 1969, № 6, „მაცნე", 1970, № 3).

ხსენებული თვალსაზრისია გატარებული საქართველოს ისტორიის ნარკვევების V ტომშიც.

საკითხით მართებულად, ბატონყმური ურთიერთობის რღვევის დამაჩქარებელ მოვლენებად არის მიჩნეული.

რაც შეეხება მწარმოებელი კლასის — გლეხობის ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს, მონოგრაფიაში განხილულია ცვლილებები ფეოდალური რენტის ფორმების ხვედრითი წონის და საგლეხო მიწათმფლობელობის ფორმების ხვედრითი წონის შეფარდებებში, ყმობისაგან თავდახსნისა და თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა რიცხვის ზრდის საქმეში, სოფლად ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების, ანტიბატონყმური მოძრაობის გაძლიერებისა და მწარმოებელი კლასის ცხოვრების სხვა სფეროში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველა ეს ცვლილება დ. გოგოლაძეს სათანადო სიღრმით ვერა აქვს გათვალისწინებული. კერძოდ, ფეოდალური რენტის ფორმების ხვედრითი წონის განხილვისას იგი, მართალია, ფულადი რენტის განუწყვეტელ ზრდასა და ქვეყნის საადგილმამულო ურთიერთობაში მის განვითარების სასარგებლოდ არსებულ ტენდენციას აღნიშნავს, მაგრამ ამავე დროს რენტის ფორმებს შორის პირველ ადგილს შრომამიგებით რენტას, მეორე — პროდუქტადს და მესამე — ფულადს ანიჭებს.

ვერ არის სათანადოდ შეფასებული ნასყიდი მიწის როლი გლეხის მეურნეობაში, გაღარიბებულად არის წარმოდგენილი გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი და სხვ. ყველა ამ საკითხში ჩვენ ავტორს ვერ დავეთანხმებით და წინამდებარე ნაშრომში, ახლად გამოვლენილი საარქივო მასალის ანალიზის საფუძველზე, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის უფრო ღრმად წასული პროცესის წარმოჩენა-დასაბუთებას შევეცდებით.

1974 წელს გამოქვეყნდა ჩვენი მონოგრაფია, რომელიც რეფორმამდელი ხანის საქართველოში ვაჭრობისა და ვაჭართა ფენის განვითარების შესწავლას ისახავს მიზნად[61]. ნაშრომში მოტანილი მასალა XIX ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს ვაჭრობის გაფართოება-გაძლიერებაზე მეტყველებს. სახელდობრ, საქართველოში შემოტანილი საქონლის ღირებულება XIX ს-ის დასაწყისთან შედარებით ამავე საუკუნის 60-იანი წლებისათვის 10-ჯერ გაზრდილი ჩანს. ჩვენი აზრით, იმპორტის ასეთი ზრდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებით, ნატურა-

---

[61] ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში. თბ., 1974.

ლური მომხმარებლობის ხარჯზე სასაქონლო მომხმარებლობის გაზრდით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

გაცილებით უფრო დიდი იყო გატანილი ადგილობრივი საქონლის ღირებულების ზრდის ტემპი. XIX ს-ის დასაწყისთან შედარებით 60-იანი წლებისათვის ექსპორტის საშუალო წლიური ღირებულება 36-ჯერ იყო მომატებული. ექსპორტის ასეთი ზრდა ჩვენ ძირითადად ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განვითარებით ავხსენით. როგორც ნაშრომში მოტანილი მასალით დასტურდება, უკვე XIX ს-ის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საგარეო მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ, საქართველოში სამეურნეო ცხოვრების განვითარება სწრაფი ტემპით წავიდა წინ, საშინაო ბაზარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, დაიწყო სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია. 40-იანი წლებიდან სასაქონლო ხასიათი მიიღო სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგმა: მარცვლეულის მეურნეობამ, მეღვინეობამ, მესაქონლეობამ და სხვ. ამ დროისათვის მარცვლეულის მოსავლის — 18—20% გამოდიოდა ბაზარზე, ბოსტნეულის — 37%, საკმაოდ მაღალი იყო მეღვინეობისა და მესაქონლეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. თანდათანობით მეურნეობის წამყვან მოტივად საცვლელი ღირებულების წარმოება იქცეოდა, ასეთ პირობებში 1850 წელს გატარებულმა ღონისძიებამ — ევროპულ საქონელზე ბაჟების შემცირებამ და ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებამ — საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქონია. მან ადგილობრივი სიმდიდრის ამოძრავებას მძლავრი ბიძგი მისცა და შედარებით მოკლე დროში (1850-დან — 1864 წ-მდე) საქართველო თავისი ნედლეულით მტკიცედ ჩააბა მსოფლიო საქონელბრუნვაში. ეს გარემოება კი თავის მხრივ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას უწყობდა ხელს და ქმნიდა ყველა პირობას ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის, „რადგან საქონელწარმოება და საქონელმიმოქცევა კაპიტალისტური წარმოების წესის საყოველთაო წინამძღვარია“[62].

ნაშრომში, XIX ს-ის I ნახევრის მთელ სიგრძეზე, ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად, წარმოჩენილია ვაჭრობაში ჩაბმულ პირთა რაოდენობის განუხრელი ზრდა. როგორც ჩანს, ვაჭართა რაოდენობა უმთავრესად სახელმწიფო გლეხების ხარჯზე იზრდებოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელთ უფრო ადვილად

[62] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 448.

შეეძლოთ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმა, ეს გარემოება კი მათ შემდგომ დიფერენციაციას კიდევ უფრო აღრმავებდა.

დასასრულ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ პროფ. ი. ანთელავას 1977 წელს გამოცემულ მონოგრაფიაზე, რომელიც XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის გარკვევას მიეძღვნა.[63] მართალია, ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო ხანას არ განეკუთვნება, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასში განხილული საკითხები.

ი. ანთელავას მიერ უპირატესად ახლად გამოვლენილი უამრავი საარქივო მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველა ის პროცესი, რომელიც XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში მიმდინარეობდა, დაწყებული იყო ჯერ კიდევ XVIII ს-ის II ნახევარში. სახელდობრ, როგორც მონოგრაფიიდან მკაფიოდ ჩანს, აღნიშნული ხანის საქართველოს სოფელში შემდეგი პროგრესული ძვრები შეიმჩნეოდა: სასაქონლო წარმოების გაფართოება, ცვლილებები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებში (არაპრივილეგირებული წოდების წარმომადგენლების მიერ მიწების საკუთრად შეძენა, ბატონყმობისაგან გლეხთა თავდახსნის საგრძნობი პროცესი), ფეოდალური რენტის ფორმათა შორის ფულადი რენტის ხვედრითი წონის განუხრელი ზრდა, გლეხთა ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავება და კლასობრივი დიფერენციაციის საწყისები, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება.

მართალია, ყველა ეს ზემოჩამოთვლილი პროგრესული ძვრები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ხელსაყრელი პირობების შექმნის შედეგად საგრძნობლად გაღრმავდა და თვისებრივი ცვლილებებიც განიცადა, მაგრამ ი. ანთელავას გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს XVIII ს-ის II ნახევრიდან გავადევნოთ თვალი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას და მისი განვითარების ერთიანი უწყვეტი ხაზი წარმოვაჩინოთ[64].

---

[63] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.

[64] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აგრარული ურთიერთობის ევოლუციის ისტორიიდან ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები: 1. „ნასყიდი" მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე", 1974, № 1; 2. ცვლილებები გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში რეფორმამდელი ხანის საქართველოში (ახეთი), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, II, 1975; 3. ფულადი და ნატურა-

როგორც ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან ჩანს, XIX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხის — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის — შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში მკვეთრად გამოიკვეთა ორი განსხვავებული ტენდენცია, მკვლევართა უმეტესობის თვალსაზრისით განსახილველი ხანის საქართველოში მიმდინარეობს კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების საკმაოდ ინტენსიური პროცესი. მეორე მხრივ კი, უპირატესად, ზ. ანჩაბაძის მიერ რეფორმამდელი პერიოდის საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობა უარყოფილია.

აკად. გ. მელიქიშვილი 1968 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლის მანძილზე საქართველოს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღწეული შედეგებია შეჯამებული, მიუთითებს ამ ორი განსხვავებული ტენდენციის არსებობაზე[65] და აღნიშნავს რა კაპიტალისტური ელემენტების დონის გაზვიადების საფრთხეს, მიაჩნია, რომ „მთავარი საფრთხე საქართველოს ამდროინდელი სოციალურ-ეკონომიური განვითარების არასწორი შეფასებისა მდგომარეობს ქართული ვითარების იზოლირებულ შესწავლაში. მხოლოდ საერთორუსული და კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ვითარების გათვალისწინებით შეიძლება ჩვენ ობიექტურად შევაფასოთ ამ ეპოქაში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური პროცესების ხასიათი და მიმართულება“[66].

პროფ. ი. კაჭარავა 1969 წელს გამოქვეყნებულ ისტორიოგრაფიულ ნარკვევში[67] იხილავს რა ი. ანთელავას, ე. ორჯონიკიძის, ე. ხოშტარიას კოლექტიურ ნაშრომსა და ზ. ანჩაბაძის ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიას, XIX ს-ის 30—50-იანი წლებიდან საქარ-

---

ლური გადასახადები და ფეოდალური რენტის ფორმები რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, № 3, 1976; 4.მიწის იჯარის ფორმები XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, № 2, 1977; ვინაიდან ყველა ეს წერილი მთლიანად ან ნაწილობრივ წინამდებარე ნაშრომში არის შესული, აქ ჩვენ მათ შესახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

[65] გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის შესწავლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, საისტორიო წერილები, ნაკვ. პირველი, თბ., 1968.

[66] იქვე, გვ. 25.

[67] Ю. М. Качарава. О современном состоянии научного изучения новой и Новейшей истории Грузии. Тб., 1969.

თველოში კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას ეჰვს ქვეშ აყენებს და უფრო სწორად მიიჩნევს ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისს რეფორმამდელ ხანაში კაპიტალისტური წყობის არარსებობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ „დასახელებულ შრომებში მოტანილი მონაცემები ადასტურებენ, რომ რეფორმამდელი პერიოდის საქართველოში გზას იკაფავდა სასაქონლო წარმოება დაქირავებული შრომის უმნიშვნელო (ნაწილობრივი) გამოყენებით და ადგილი ჰქონდა მანუფაქტურების ჩასახვას, ყველა ეს მოვლენა წარმოადგენდა მხოლოდ კაპიტალისტური წყობის ჩანასახს (სწორედ ჩანასახს) ფეოდალური საქართველოს წიაღში; ესენი იყვნენ კაპიტალისტური ურთიერთობის (ზოგიერთი) ელემენტები, რომლებიც მაინც ახდენდნენ ერთგვარ ზემოქმედებას და გარკვეული ზომით (სრულიად უმნიშვნელოდ) ასუსტებდნენ ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლებს".[68] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი მსჯელობისას ავტორი თანამიმდევრობას ვერ იჩენს და იმავე ნაშრომში ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვის დასაბუთებასა და საგლეხო რეფორმის გატარებისათვის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური პირობების ჩვენებას აღიარებს[69]. რა თქმა უნდა, ახალ ურთიერთობათა ბირთვის იმ მასშტაბით არსებობა, როდესაც იგი არღვევს ძველ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას და დღის წესრიგში საგლეხო რეფორმის გატარების აუცილებლობას აყენებს, სხვა არაფერია თუ არა კაპიტალისტური წყობა, თუ კი ამ უკანასკნელ ტერმინში გადაჭარბებულ მოთხოვნებს არ ვიგულისხმებთ, ანუ ისეთ ურთიერთობებს, რომლებსაც გამარჯვებული კაპიტალისტური ფორმაცია შეესაბამება[70].

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში კაპიტალიზმის გენეზისის შესახებ არსებული ორივე ტენდენცია გააკრიტიკა ფ. ლომაშვილმა 1976 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში[71]. ამ შემთხვევაში ავტორი ერთგვარი არბიტრის როლში გვევლინება, იგი უარყოფს

---

[68] ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[69] იქვე. გვ. 34—35.

[70] ტერმინ „წყობის" არსის არასწორად გაგებას საყვედურობენ ი. კაჭარავას გ. მარგიანი და ე. ხოშტარიაც; იხ. „საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ლენინური მოძღვრების შუქზე", ქართული ისტორიოგრაფია, 2, გვ. 25.

[71] ფ. ლომაშვილი, საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის; ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

როგორც ერთს, ისე მეორე თვალსაზრისს და ალბათ სურს შეგვთავაზოს რაღაც მესამე, საშუალო მათ შორის, თვალსაზრისი, მაგრამ დასახელებულ წერილში ამის შესახებ აღარაფერია ნათქვამი.

სტატიის დასაწყისშივე ფ. ლომაშვილი აღნიშნავს, რომ „არც თუ ისე შეუვალად მოჩანს აგრეთვე იმ მკვლევართა პოზიცია, რომლებიც საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობის საწყის თარიღად XIX ს. 30-იან წლებს მიიჩნევენ“[72] და ქვემოთ ამ მოსაზრების დასაბუთებას გვპირდება, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დაპირება დაპირებად რჩება და ხსენებული თვალსაზრისის ავტორების (ი. ანთელავას, ე. ორჯონიკიძის, ე. ხოშტარიას) მიმართ იგი სტატიის დასასრულს ორიოდე დაუსაბუთებელი საყვედურით კმაყოფილდება. სახელდობრ, იგი წერს, რომ: „ჯერ ერთი: ავტორებს არ მოაქვთ საკმარისი მასალა, რომელიც დამაჯერებლად დაადასტურებდა კაპიტალისტური წყობის არსებობას უკვე XIX ს.-ის 30-იანი წლების საქართველოში. მეორე: საერთოდ მეტად ძნელია, უნდა ითქვას, შეუძლებელიცაა ზუსტად, ცალკეული წლების ან თუნდაც რამდენიმე წლის ფარგლებში განვსაზღვროთ ისეთი მოვლენის საწყისი, როგორიცაა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა, კერძოდ კაპიტალისტური წყობა“[73]. ეს არის და ეს. სამწუხაროდ, ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ფ. ლომაშვილი სათანადოდ ვერ იცნობს სპეციალურ ლიტერატურას. საქმე იმაშია, რომ ხსენებულ ავტორებს კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების ზუსტ თარიღად არსად არა აქვთ დასახელებული ერთი რომელიმე წელი, ან თუნდაც 30-იანი წლები. ისინი ყველგან აღნიშნავენ, რომ XIX ს-ის 30—50-იანი წლების საქართველოში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები, რაც იმის მკაფიო მაჩვენებელია, რომ აღნიშნული ხანის საქართველოში შეიქმნა კაპიტალისტური წყობა[74]. ვფიქრობთ, ამ მხრივ სადავო არაფერი უნდა იყოს. რაც შეეხება სათანადო, დამაჯერებელი მასალის უკმარისობას, აქ წერილის ავტორს უნდა დაესახელებინა თუ სახელდობრ რომელი საკითხის შესახებ არ არის მისი აზრით საკმარისი დამაჯერებელი მასალა მოტა-

---

[72] ფ. ლომაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

[73] იქვე, გვ. 346.

[74] იხ. კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისი, დისკუსიის მასალები, „მაცნე“, № 2, 1968; И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе. Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, с. 35; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 120.

ნილი და სათანადოდ დაესაბუთებინა თავისი მოსაზრება, წინააღმდეგ შემთხვევაში სწორედ მისი განცხადება ვერ გამოიყურება დამაჯერებლად.

ასევე ზერელე და არადამაკმაყოფილებელია ფ. ლომაშვილის მიერ საწინააღმდეგო თვალსაზრისის ავტორის ზ. ანჩაბაძის კრიტიკაც. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ მაგალითს. ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისით XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვან მოვლენას წარმოადგენდა ფეოდალურ-წარმოებით ურთიერთობათა განმტკიცება-გაჯანსაღებისაკენ მისწრაფება[75]. აკრიტიკებს რა ამ დებულებას, ფ. ლომაშვილი წერს, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს „ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წყობის არსებობაზე, მანამ, სანამ მის განვითარებაში მთავარ ადგილს არ დაიკავებს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისაკენ მისწრაფება"[76]. სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ ავტორს ამაში არავინ ედავება და ზ. ანჩაბაძის დებულებასაც ამ პასუხით არაფერი აკლდება. მთავარი ისაა, რომ, რადგანაც კაპიტალისტური წყობა გულისხმობს ახალი ურთიერთობის ბირთვის იმ მასშტაბით არსებობას, რომელიც უკვე არღვევს ძველ ფორმაციას, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ ნებისმიერ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობის არსებობაზე, თუ კი იქ ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცება-გაჯანსაღების პროცესი მიმდინარეობს. ერთდროულად ერთიდაიმავე ფორმაციის რღვევა და განმტკიცება კი, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ, ფ. ლომაშვილს თუ ზ. ანჩაბაძის დებულების გაკრიტიკება სურდა, პირველ რიგში ყურადღება უნდა გაემახვილებინა მართლა მიმდინარეობდა თუ არა ფეოდალიზმის განმტკიცების პროცესი XIX ს-ის I ნახევრის საქართველოში, თუ, პირიქით, მის რღვევასთან გვქონდა საქმე?

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ უპირატესად ისეთ მომენტებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც უტყუარად მოწმობენ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალურწარმოებითი ურ-

---

[75] ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[76] ფ. ლომაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 344.

თიერთობის რღვევის ინტენსიური პროცესის მიმდინარეობას, კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების შედეგად 50—60-იანი წლებისათვის წარმოებით ურთიერთობასა და საწარმოო ძალთა შორის ძლიერი კონფლიქტის წარმოქმნას. სახელდობრ, ნაშრომში პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში სასაქონლო წარმოების ზრდაზე, რაც ბატონყმური სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნის — კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის მოშლის მაჩვენებლად არის აღიარებული.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების თანახმად სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბება-განვითარება, პირველყოველისა, ფეოდალური წყობილების საფუძვლის — მიწაზე ფეოდალური საკუთრების მოშლასა და ფეოდალური რენტის ფორმების ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ნაშრომში სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობათა გავრცელების კვალად ფულად რენტაზე გადასვლისა და მიწაზე მონოპოლიური ფეოდალური საკუთრების რღვევის პროცესის წარმოჩენის ცდაა გაკეთებული. ასევე, ახლად გამოვლენილი საარქივო მასალის მოშველიებით წარმოჩენილია, ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებისა და გლეხობის ექსპლოატაციის გამწვავების შედეგად, ფეოდალური დამოკიდებულებიდან უშუალო მწარმოებელთა განთავისუფლების პროცესი, მოცემულია ყველა ზემოაღნიშნული ძვრის შედეგად გლეხობის შემადგენლობის სტრუქტურული ცვლილებების სურათი, მათი კლასობრივი დაშლა და ნაჩვენებია ქართული სოფლის განვითარების ბურჟუაზიული ტენდენცია.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის დასამტკიცებლად ჩვენ უპირატესად ახლად გამოვლენილი საარქივო მასალის ანალიზს ვემყარებით, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულსა და ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას XIX ს-ის 30—50-იანი წლების საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის გენეზისის შესახებ.

თავი I

ვაჭრობისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაჭრობისა და სასაქონლო წარმოების განვითარების დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალისტური წესის ჩასახვა-განვითარებისათვის, ვინაიდან, როგორც მარქსი წერს „...საქონელწარმოება და საქონელმიმოქცევა კაპიტალისტური წარმოების წესის საყოველთაო წინამძღვარია"[1]. განვითარებული სასაქონლო წარმოების არსებობა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ნიშნის — ნატურალური მეურნეობის თანდათანობით მოსპობას გულისხმობს და ამდენად მის შესწავლას ამა თუ იმ ქვეყნის აგრარულ ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში.

რევოლუციამდელი ისტორიკოსი ს. ავალიანი, რომელმაც ამიერკავკასიაში გლეხთა საკითხის შესწავლას ოთხტომიანი ნაშრომი მიუძღვნა, კატეგორიულად აცხადებს, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოში ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა იყო საყოველთაოდ გაბატონებული და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არავითარი ნიშანწყალიც კი არ არსებობდა. «Безошибочно можно утверждать, — ვკითხულობთ მის ნაშრომში, —что в дореформенную эпоху все Закавказье, а восточное и западное в особенности, существовало в пределах типичных форм натурального хозяйства»[2].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 448.

[2] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, Одесса, 1912, т. I, с. 179.

მაგრამ ხსენებული ნაშრომის შემდეგ მეცნიერულ მიმოქცევაში დიდძალი ახალი საარქივო მასალა შემოვიდა და დღეისათვის, ის ამბავი, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში ნატურალური მეურნეობის ღრეობა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება უკვე დაწყებული იყო, აღარავისთვის სადავო აღარ არის. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების დონეს შეეხება. მკვლევართა ერთი ნაწილი მთელი რეფორმამდელი ხანისათვის საქართველოს სოფელში ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარების ისეთ დაბალ დონეს აღნიშნავს, რომლის დროსაც გაბატონებულ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წიაღში, ახალი ფორმაციის ჩასახვა-ჩამოყალიბებისაკენ მიმართულ ცოტად თუ ბევრად სერიოზულ ძვრებს არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. მაგალითად, პროფესორი ზ. ანჩაბაძე თვლის, რომ XIX ს-ის I ნახევარში საქონლიანობის გარკვეული ზრდის მიუხედავად სოფლის მეურნეობა ძირითადად ნატურალური რჩებოდა[3].

პროფ. მ. დუმბაძე კი, მართალია, დასავლეთ საქართველოში ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების საკმაოდ დაბალ დონეს აღიარებს[4], მაგრამ ამავე დროს ბატონყმური ურთიერთობის რღვევაზე მის გარკვეულ გავლენას არ უარყოფს. „სასა-

---

[3] З. В. Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века. Тб., 1966,с. 66.

[4] მისი ნაშრომის შესაბამის ადგილებში საქონელწარმოების განვითარების შესახებ შემდეგი აზრებია გამოთქმული: „საერთოდ, იმერეთის მეფის ფეოდალურ მეურნეობას თვითკმარი, ნატურალური ხასიათი ჰქონდა. იგი ძლივს აკმაყოფილებდა სამეფო-სახელმწიფო ხარჯებს". „გლეხურ მეურნეობასაც, ძირითადად, თვითკმარი, ნატურალური ხასიათი ჰქონდა. გლეხები ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი ბაზართან. ისინი უმთავრესად შინ აწარმოებდნენ ნედლეულის გადამუშავებას. გამონაკლის შემთხვევათა გარდა, ბაზარზე გლეხური მეურნეობის შემთხვევითი ჭარბი პროდუქცია გადიოდა". „რეფორმა (ლაპარაკია 1840წლის სამოქალაქო მმართველობის რეფორმაზე.— ე. ო.) ითვალისწინებდა ნატურალურ ბეგარათა გადაყვანას ფულზე და არ უწევდა ანგარიშს ქვეყნის ეკონომიური განვითარების დონეს; ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში კი ფულად რენტაზე გადასვლა ძნელი იყო". „საქონელწარმოება ამ დროს არსებობდა ნატურალური მეურნეობის წიაღში, როგორც ასეთი მეურნეობის რღვევის ერთი ფაქტორი, როცა იგი პირადი მოხმარებისთვის წარმოების გაბატონებულ ფორმას ვერ ცვლიდა" (მ. დუმბაძე დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 80, 84, 271 და 326).

ქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება საქართველოში, — წერს იგი თავის ნაშრომის დასკვნაში, — თანდათანობით არყევდა დასავლეთ საქართველოს სამთავროთა ეკონომიურ კარჩაკეტილობას და ფეოდალურ-პოლიტიკური სისტემის აღსასრულს აახლოებდა"[5].

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, როდესაც იგი ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში ახალი, კაპიტალისტური წარმოების წესის შექმნას აქტიურად უწყობდა ხელს.

დ. გოგოლაძე, რომელმაც თავის ნაშრომში სპეციალური თავი მიუძღვნა სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებასა და ნატურალური მეურნეობის რღვევას, იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „XIX ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველოში ნატურალური მეურნეობა სწრაფად განიცდის ევოლუციას ფულად-სასაქონლო მეურნეობისაკენ"[6] და რომ „სასაქონლო მეურნეობის ზრდამ, ქალაქსა და სოფელს შორის ხაზოგადოებრივი დანაწილების განვითარებამ, გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირის გაძლიერება, რეფორმამდელ საქართველოში ძველი ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ვითარდება წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი, რაც გამოიხატა ბურჟუაზიულ მეურნეობათა და კაპიტალისტურ საწარმოთა წარმოშობასა და ზრდა-განვითარებაში"[7].

კიდევ უფრო საინტერესოა პროფ. ი. ანთელავას ნაშრომი: „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის", სადაც ავტორი XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა ამსახველ მასალათა შესწავლა-განხილვის შემდეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ არამც თუ XIX ს-ის I ნახევარში, არამედ XVIII ს-ის არც ერთ მონაკვეთში ქვეყანაში სასაქონლო ურთიერთობა არ ჩამკვდარა და რომ „სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა

---

[5] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 415.

[6] დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959, გვ. 50.

[7] იქვე, გვ. 51.

განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც (ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად) ძირს უთხრიდა ძველს და ნიადაგს უმზადებდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის გამარჯვებას მომავალში. ის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ერთ-ერთი ნიშნის — ნატურალური მეურნეობის მოშლის მკაფიო მაჩვენებელი იყო"[8].

XVIII ს-ის საქართველოში შედარებით განვითარებული საქონელწარმოების არსებობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის დასაწყისისათვის საქართველო რუსეთთან საკმაოდ მნიშვნელოვან საექსპორტო ვაჭრობას აწარმოებდა. ამ დროისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან რუსეთის ქალაქებში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ადგილობრივად წარმოებული ქსოვილები უპირველესად ბამბეულის, აგრეთვე აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის, სხვადასხვა ბეწვეული, ტყავეული და სხვ. მ. სამსონაძის გამოანგარიშებით მარტო ერთი, 1815 წლის, განმავლობაში საქართველოდან მოზდოკის კარანტინში 800 000 არშინამდე სხვადასხვა ადგილობრივი ქსოვილები გაუტანიათ[9]. გარდა ამისა XIX ს-ის დასაწყისში, როგორც 1819 წელს იოსებ შახგუბატოვის მიერ შესრულებულ საქართველოს მოკლე აღწერიდან ვგებულობთ, გორისა და ანანურის მაზრებიდან თბილისის ბაზარზე დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ ნარმა, სახიანი ჩითი, ბურმენტი და სხვა ქსოვილები. ამ საქონლის შესაძენად თბილისში მოდიოდნენ მთიელები, ფშაველები, ხევსურები, ლეკები, ჩერქეზები, ოსები და სხვ. დიდი რაოდენობით ბამბის ქსოვილები გაჰქონდათ იმერეთშიც. იმერეთში ბამბის ქსოვილებს გარდა გაჰქონდათ აბრეშუმის ქსოვილები, მატყლი, რკინა, შაბი, ლურჯი საღებავი (ლილა), ენდრო, სხვადასხვაფრად შეღებილი თხის ტყავები და მისგან შეკერილი წაღები, ცხენის აღკაზმულობა, ფეტვი, საპონი, შაქარი, ჩაი, ხმელი თევზი, ხიზილალა და სხვ. იმერეთიდან შემოჰქონდათ: ბეწვეული—ბელიის, კვერნის, წავისა და თახვის ქურქები; ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ნართი, ადგილობრივად დამზადებული აბრეშუმის ქსოვილები, წმინდა და უხეში ტილო, სელის ძაფი, ცვილი, თაფლი და წაბლი, რომელიც იმერეთის ტყეებში მრავ-

---

[8] ი. ანთელავა, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 62—63.

[9] მ. სამსონაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში, „მაცნე", 1972, № 1, გვ. 30—31.

ლად მოიპოვებოდა. გორისა და ანანურის მაზრებიდან ბამბის ქსოვილებს გარდა თბილისში მოჰქონდათ კამეჩის ტყავები, მატყლი, უხეში მაუდი, თაფლი, ცვილი, კარაქი და ყველი დიდი რაოდენობით, პურის ფქვილი, ქერი, ნახშირი, მტკვარზე აცურებდნენ ხეტყეს. შახგუბატოვი გორისა და ანანურის მაზრებიდან ჩამოტანილ საქონელს შორის განსაკუთრებით ასახელებს სხვადასხვა ბოსტნეულს. ბოსტნეული ამ დროისათვის რომ გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვის საგნად იყო ქცეული და მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოჰქონდათ სოფლებიდან ქალაქებში, ამას ისიც ადასტურებს, რომ საბაჟო გადასახადთა ნუსხაში, სამინბაშო გამოსაღებისა და კახეთის „საბეჭდავის მოსაკრებში“ სოფლებიდან ქალაქში შეტანილ ბოსტნეულზე ბაჟის აღება იყო გათვალისწინებული.

გორისა და ანანურის მაზრებიდან ჩამოტანილი საქონლის ნაცვლად გლეხები თბილისში იძენდნენ ადგილობრივსა თუ უცხოურ საქონელს, ლეკურ ნაბდებს, პირუტყვსა და სხვა[10].

თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან თბილისში გასაყიდად მოჰყავდათ უამრავი წვრილფეხა პირუტყვი, უმთავრესად ღორები, მაგრამ მთავარი ადგილი კახეთიდან თბილისში შემოტანილ საქონელს შორის მაინც ღვინოს ეკავა, სახელდობრ ამ დროისათვის ყოველწლიურად თბილისში 3000 ურემი (800 000-მდე ვედრო) ღვინო იყიდებოდა[11].

სხვადასხვა წვრილმანი საქონელი: ქათმები, ლობიო და სხვ. მოჰქონდათ თბილისში ფშავლებს, მთიულებსა და ხევსურებს, სამაგიეროდ ისინი აქ პირველმოხმარების საგნებს იძენდნენ. თბილისში მოჰქონდათ თავიანთი საქონელი: ნაბდები, უხეში მაუდი, თოფიარაღი, ქეჩა, მოჰყავდათ ცხენები და პირუტყვი ლეკებს, ჩერქეზებსა და ოსებს, რის სანაცვლოდაც ბამბის ქსოვილებს გარდა იძენდნენ სპილენძის ჭურჭელს. იმერეთის, კახეთის, ქართლის თავადაზნაურობა, შამშადილის, უაზახისა და ბორჩალოს აღალარები თბილისელი ვაჭრებისაგან იძენდნენ ყოველგვარ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო, უცხოურ საქონელს[12].

რა თქმა უნდა, XVIII ს-ში დაწყებული რომ არ ყოფილიყო ნა-

---

10 საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ros. d 110.

11 Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. V, № 396.

12 საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ros d 110.

ტურალური კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, XIX ს-ის დასაწყისისათვის სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველური პროდუქციის აღებ-მიცემობა ასეთ გაცხოველებულ ხასიათს ვერ მიიღებდა, მით უმეტეს რომ გასული საუკუნის პირველ მესამედში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივი ომები და შინაგანი არეულობანი თითქმის განუწყვეტლივ სცვლიდნენ ერთმანეთს. ამ გარემოებებით გამოწვეული მთელი სიმძიმე: მეფის მოხელეთა გაუკითხაობა, სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებათა განუწყვეტელი მოთხოვნა, სამხედრო ეგზეკუციების გამანადგურებელი საქმიანობა და სხვ. მწარმოებელ მოსახლეობას აწვა კისერზე და ეკონომიური ცხოვრების წინსვლა-განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

შემდგომი ძვრები საქართველოს ეკონომიკაში, კერძოდ კი სოფლის მეურნეობაში, შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 40—50-იან წლებში. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შედარებით მყუდროება დამყარდა და ბოლო მოეღო გაუთავებელ თავდასხმებს, რომლებიც დიდი ხნით სწყვეტდნენ მშრომელ მოსახლეობას თავის უშუალო საქმიანობას.

მეტ-ნაკლებად ნორმალურ საგარეო და საშინაო პირობების შექმნას შედეგად მოჰყვა მოსახლეობის ზრდა. გაიზარდა, კერძოდ, მწარმოებელი კლასის — გლეხობის რიცხვი. სახაზინო ექსპედიციის მიერ 1811 წელს შედგენილი უწყისის თანახმად, თბილისის გუბერნიაში, რომელიც მაშინ მოიცავდა თბილისის, თელავის, სიღნაღის, გორისა და ანანურის მაზრებსა და ელისავეტოპოლის ოკრუგს ბორჩალოს, შამშადილისა და ყაზახის დისტანციებით, ითვლებოდა ორივე სქესის სულ 153 077 სული გლეხი[13], ხოლო 1861 წლისთვის ეს რაოდენობა თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა და 518 100 სულს გადააჭარბა[14]. დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოშიც.

გარეშე საშიშროების მოსპობამ და მშვიდობიანობის დამყარებამ საგრძნობლად გააძლიერა მშრომელი ხალხის სტიმული სამეურნეო საქმიანობისადმი. გადიდდა, კერძოდ, ნათესების ფართობი. თუ, მაგალითად, 1821 წელს საშემოდგომო (озимый) პურის

---

[13] ЦГВИА, ф. ВУА, д. 18495. ეს ცნობები, ჩვენი აზრით, რამდენადმე შემცირებულად წარმოგვიდგენს გლეხთა რაოდენობას.

[14] სცსსა, ფ. 678, ანაწ. 1, საქ. 275, ფურც. 107—109.

ფართობი თბილისის გუბერნიაში 47 308 დესეტინას უდრიდა[15], 1861 წლისათვის 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა და 157 340 დესეტინას მიაღწია. იზრდებოდა აღებული მარცვლეულის რაოდენობაც. 1807—1850 წლებში ის თბილისის გუბერნიაში გაიზარდა 5-ჯერ, 398 254 „ჩეტვერტიდან" 2 054 000 ჩეტვერტამდე[16], ხოლო ქუთაისის გუბერნიაში პური შემდეგი რაოდენობით მოუყვანიათ: 1847 წელს 865 436 ჩეტვერტი, 1849 წელს 1 097 484 ჩეტვერტი, 1852 წელს — 1 962 590 ჩეტვერტი და 1853 წელს — 2 157 239 ჩეტვერტი[17].

საერთო წარმატებაზე მეტყველებს ისეთი ფაქტიც, როგორიცაა პურის წარმოების გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ზრდა, ვიდრე მოსახლეობისა. პირველი მათგანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში გასული საუკუნის პირველ ნახევარში 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მეორე — მხოლოდ ორჯერ.

შესაბამისად გაიზარდა საშინაო ვაჭრობაც. საზღვარგარეთიდან ან რუსეთის შიდაგუბერნიებიდან ჩამოტანილი და ადგილობრივი საქონელი ძირითადად თბილისში იყიდებოდა, რომლის ქარვასლებსა, მაღაზიებსა და ბაზრებში, როგორც მთავარმართველი როზენი აღნიშნავდა, ყოველდღიური გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა. აქ საქონლის შესაძენად თითქმის მთელი ამიერკავკასიელი მომხმარებელი და ვაჭარი იყრიდა თავს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებში არ იყო ვაჭრობა. ბარონი როზენი 30-იანი წლების დასავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობას შემდეგნაირად აგვიწერს: „ქუთაისში არის დიდი ბაზარი, სადაც ყოველდღიურად იყიდება როგორც უცხოური, ისე რუსული საქონელი, გარდა ამისა, ყოველ კვირაობით აქ თავს იყრიან იმერლები, მეგრელები და გურულები, რომლებსაც მოაქვთ გასაყიდათ პური, მოყავთ პირუტყვი და სხვა ადგილობრივი საქონელი. ასეთივე ვაჭრობა წარმოებს ხონში, სადაც უპირატესად მეგრელები მოდიან. ასეთივე სავაჭრო დაბა არის ჩხარი... საჩხერესა და ონში სავაჭროდ მოეშურებიან ოსები შორეული მთიანი ოსეთიდანაც კი და ლეჩხუმელები.

ზემოთ ჩამოთვლილი დაბების ბაზრებში უმთავრესად სომხები და ებრაელები ვაჭრობენ, რომლებიც ყიდიან შაქარს, ჩაის, ყავას,

---

[15] იქვე, ფ. 16, საქ. 2725, ფურც. 55.

[16] CX AO, I, c. 29, 34—35. ჩეტვერტი უდრიდა 9 ფუთს.

[17] იქვე, გვ. 30, 31, 37, 40.

რომსა და სხვა სასმელებს, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, ადგილობრივი წარმოების მაუდს და სხვ.

გურიაში ასეთივე ვაჭრობა წარმოებს დაბა დვაბზუში, სადაც თავს იყრიან: იმერლები, გურულები, მაჰმადიანები ქობულეთიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტებიდან. ნაგომარსა და ლანჩხუთში ეწყობა ყოველწლიური 8-დღიანი ბაზრობები 17 ივლისიდან და 8 სექტემბრიდან. ასეთივე ბაზრობები არის სოფელ ვანისქედში აღდგომის პირველ კვირაში და ჯუმათის მონასტერთან 13 სექტემბრიდან.

სამეგრელოში, სოფ. მურში ოდითგანვე იმართება ბაზრობა 13 სექტემბრიდან, რომელიც 1 კვირა გრძელდება. აქ მოდიან იმერლები, სვანები, ოსები და მეგრელები მთელი სამეგრელოდან. გასაყიდად და გასაცვლელად მოჰყავთ ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი; მოაქვთ უხეში მაუდი, ადგილობრივი შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, სპილენძის, რკინის, თიხისა და ხის ჯამ-ჭურჭელი, მარცვლეული, უმთავრესად სიმინდი და ღომი. სოფელ სენაკში ბაზრობა იმართება ივნისში. ამ ბაზრობაზე მეგრელებს გარდა მოდიან იმერლები, გურულები, აფხაზები და სვანებიც კი. უმთავრესად ვაჭრობენ ცხენებით და პირუტყვით და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქონლით. მარანსა და ლაილაშში არის მუდმივი და ყოველკვირეული ბაზრები და დუქნები, სადაც ვაჭრობენ იმავე საქონლით"[18].

30-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან (დაახლოებითი ცნობების თანახმად) საზღვარგარეთ და აღმოსავლეთ საქართველოში წლიურად გამოჰქონდათ 147 000 მან. (ვერცხლით) ღირებულების ადგილობრივი საქონელი. ეს იყო აბრეშუმი 60 000 მანეთის, ცვილი — 18 000 მანეთის, თაფლი — 5 000 მანეთის, სიმინდი — 24 000 მანეთის, ბეწვეული — 25 000 მანეთის, კაკალი — 10 000 მანეთის, დაფნის ფოთოლი 18 000 მანეთის და წაბლი 5000 მანეთისა[19]. სააქციზო სამმართველოს ცნობით კი, 1838 — 1840 წლებში მხოლოდ ქუთაისის მაზრიდან გატანილი იყო 593 ფუთი აბრეშუმის ნედლეული და ძაფი[20]. იმავე ხანებში სამეგრელოდან გურიასა, იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში წლიურად 10 000 ფუთი თამბაქო გამოჰქონდათ[21]. ბორჩალოს დისტანციიდან კი თბი-

---

[18] აკტები, ტ. VIII, გვ. 183—184, № 101.

[19] აკტები, VIII, გვ. 181—182, № 100.

[20] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. I, д. 469, л. 3.

[21] სცსსა, ფ. 378, ანაწ. I, საქ. 230.

ლისში წლიურად 7 000 ფუთი თამბაქო იყიდებოდა[22]. საერთოდ, როგორც გაგემაისტერი აღნიშნავს, ამიერკავკასიის მცხოვრებნი წელიწადში 150 000-მდე ფუთ თამბაქოს მოიხმარდნენ. მარტო თბილისში 15-დან 20 000 ფუთამდე თამბაქო შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან, დანარჩენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი ადგილობრივად მოყვანილ თამბაქოს ხარჯზე ხდებოდა და, როგორც გაგემაისტერი ასკვნის, ამიერკავკასიაში თამბაქო საკმაოდ დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო წარმოებული[23]. მართლაც, როგორც თამბაქოს გამყიდველ სახელმწიფო კომისიონერების არა ერთი საჩივრიდან ჩანს, XIX ს-ის დასაწყისში ქართლში, კახეთსა და ბორჩალოს დისტანციაში თითქმის ყველა მცხოვრებს ჰქონია თამბაქოს ნათესები; მათ თამბაქო მოჰყავდათ როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად და ამით თამბაქოთი სახელმწიფო მონოპოლიურ ვაჭრობას დიდ ზარალს აყენებდნენ[24].

გაგემაისტერისავე ცნობით, ხაზინა ჯარის საჭიროებისათვის ამიერკავკასიის მოსახლეობისაგან 170 000 „ჩეტვერტ“ მარცვლეულს შეისყიდდა, აქედან 25—30 000 „ჩეტვერტს“ ყიდულობდა კასპიის ოლქში, დანარჩენს კი — სამხედრო უწყებას საქართველო-იმერეთის გუბერნია აწვდიდა. ასევე დიდი რაოდენობით გამოდიოდა საქართველოს ბაზარზე ღვინო. საბაზროდ ღვინოს აყენებდნენ გურიისა და გორის მაზრაში — ატენის ხეობაში და სხვ. მაგრამ ბაზარზე ღვინის მიმწოდებელი ძირითადად კახეთი — თელავისა და სიღნაღის მაზრები იყო. 30-იან წლებში, იმდროინდელი მიმომხილველის ცნობით, მხოლოდ თელავის მაზრიდან ბაზარზე ყოველწლიურად 1 300 000 ვედრო ღვინო გამოდიოდა[25]. რაგინდ გადაჭარბებული არ უნდა იყოს ეს ცნობა, ის მაინც მეღვინეობაში სასაქონლო წარმოების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. თელავის მაზრის სოფლებში — ყვარელი, კონდოლი, რუისპირი, ფშაველი, გულგულა, ახმეტა, წინანდალი და სხვ. — მოსახლეობა ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდა[26]. აქ მრავლად იყო გლეხთა

---

[22] იქვე, ფ. 4, ანაწ. 2, საქ. 8.

[23] იქვე.

[24] იქვე, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 91, ფურც. 71; საქ. 95, ფურც. 26; საქ. 520, ფურც. 1162; საქ. 521, ფურც. 672—676.

[25] Обозрение российских владений за Кавказом, ч. I, СПб, 1836, с. 383.

[26] ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, ცვლილებები გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში რეფორმამდელი ხანის საქართველოში, ახალი ისტორიის საკითხები, 1975, II, გვ. 27.

ისეთი კომლები, რომლებიც 20-დან 40-45 საპალნემდე ღვინოს აყენებდნენ და ღვინის გაყიდვით მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ.

30-იანი წლებისათვის კახეთის საშინაო ვაჭრობის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ კახეთის „საბეჭდავის მოსაკრები", რომელიც აქ შემოტანილ თუ აქედან გატანილ ყოველგვარ ადგილობრივ თუ უცხოურ საქონელზე ბაჟის აღებას ითვალისწინებდა, 800-იანი წლების დასაწყისში 2700 მანეთად გაიცემოდა იჯარით[27]. 1834—1838 წლებში კი 8813 მანეთად[28]. ე. ი. ამ დროისათვის კახეთის საშინაო ბაზარი სამჯერ და მეტად გაზრდილა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1800-იანი წლებისაგან განსხვავებით რუსულ საქონელსა და სოფლიდან ქალაქებში შემოტანილ სურსათ-სანოვაგეზე ბაჟის აღება კახეთის „საბეჭდავის მოსაკრების" კომპეტენციაში აღარ შედიოდა, მაშინ გამოვა, რომ კახეთის საშინაო ბაზარი გაცილებით უფრო მატად იყო გაფართოებული. მართალია 1834 წელს კახეთის „საბეჭდავის მოსაკრები" თბილისელ მოქალაქეებს მირიმანოვს, ბასტამოვსა და ისარლოვს 8813 მანეთად ჰქონდათ შესყიდული, მაგრამ მათი შემოსავალი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან მოიჯარეებს ბაჟის აკრეფასთან დაკავშირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები უნდა დაეფარათ და მოგებაც დარჩენოდათ. ასე რომ ამ მუხლის საერთო შემოსავალი სულ ცოტა 16 000 მანეთი უნდა ვიგულისხმოთ. ბაჟს სხვადასხვა საქონელზე სხვადასხვა რაოდენობით იღებდნენ. საშუალოდ ყოველი 10 მანეთის ღირებულების საქონლიდან 25 კაპიკი ბაჟი რომ ვივარაუდოთ, კახეთის საშინაო ბაზრის საქონელბრუნვა 640 000 მანეთი გამოდის. ამას თუ დავუმატებთ რუსული საქონლითა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის თანხას, მარტო კახეთის საშინაო ბაზრის საქონელბრუნვა დაახლოებით 1 მილიონ მანეთამდე მიაღწევს. მართალია, ჩვენი ანგარიში სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ საშინაო ვაჭრობაზე დაახლოებით მაინც გვიქმნის წარმოდგენას და ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ 30-იანი წლებიდან საქართველოში ნატურალური კარჩაკეტი-

---

[27] აქტები, ტ. I, № 583.

[28] სცსსა, ფ. 2, ანაწ. I, საქ. 3629.

ლი მეურნეობის რღვევა და საქონელწარმოების განვითარება საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

30-იანი წლების დამლევისა და 40-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს ქალაქების ვაჭრობა დაახლოებითი მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა. თბილისის ვაჭრობის წლიური ბრუნვა 4 მილიონ მანეთს უდრიდა, ადგილობრივი ვაჭარი იყო 400-მდე, უცხოელი და სხვა ქალაქელი კი — 500. თბილისში ვაჭრობდნენ სპზღვარგარეთული,რუსული და ადგილობრივი საქონლით. საზღვარგარეთული საქონელი თბილისელ ვაჭრებს მოჰქონდათ თავრიზიდან კონსტანტინოპოლიდან, ჰამბურგიდან, ლაიპციგიდან; რუსული—მოსკოვიდან, ნიჟნინოვგოროდიდან და სხვ. ადგილობრივი საქონელი კი თბილისში მოდიოდა ამიერკავკასიის ყველა კუთხიდან. თბილისელი მუდმივი ვაჭრებიდან ბევრი (დაახლოებით 1 მილიონი მანეთის ღირებულების) აღებ-მიცემობას აწარმოებდა რუსეთის სხვა ქალაქებშიც და საზღვარგარეთაც[29].

თელავში ითვლებოდა 78 ვაჭარი, ქალაქის წლიური სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 235000 მანეთს, თითოეული ვაჭრისა კი 200-დან —8000 მანეთამდის. საზღვარგარეთული, რუსული და ადგილობრივი საქონლით მოვაჭრენი იყვნენ — 35, მათი სავაჭრო ბრუნვა 119600 მანეთს აღწევდა; ჩაით, შაქრითა და საგალანტერიო საქონლით ვაჭრობდა 10 კაცი — 14000 მანეთის საქონლით,—9 კაცი 17800 მანეთის თევზით, ქალაქი ყოველწლიურად მოიხმარდა 10000 მანეთის ხორცსა და 72000 მანეთის ღვინოს. გარდა ამისა, ქ. თელავის მცხოვრებლებს საკუთარ და იჯარით აღებულ ვენახებში დაყენებული ღვინო ყოველწლიურად 50000 მანეთისა გაჰქონდათ. თელაველი ვაჭრები საზღვარგარეთულ და რუსულ საქონელს იძენდნენ თბილისში, ადგილობრივი ვაჭრებისაგან[30].

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო სიღნაღის ვაჭრობა. აქ ადგილობრივი ვაჭარი იყო 239, სხვა ქალაქელი კი — 20. წლიური სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 400000 მანეთს, აქედან 65 ვაჭარი რუსულ, უცხოურ და ადგილობრივ ფართლეულს წელიწადში ყიდდა 341110 მანეთისას. ზოგიერთი ვაჭარი საქონლის შესაძენად მიდიოდა რუსეთსა და ირანში. უმეტესწილად კი საქონელს ბითუმად იძენდნენ თბილისელი ვაჭრებისაგან. ზოგიერთი სიღნაღელი ვაჭარი

---

[29] სცსსა, ფ. 16, საქ. 7166, ფურც. 34.

[30] იქვე, ფურც. 8, 9, 55.

აღებ-მიცემობას აწარმოებდა მოსკოვში, ნოგოროდში, ნახიჭევანში თბილისსა და სხვა ქალაქებშიც[31].

გორის სავაჭრო ბრუნვა 150 000 მანეთს შეადგენდა. მეწვრილმანეებს გარდა, გორში 14 მსხვილი ვაჭარი იყო. აქედან სამს საქონელი ჩამოჰქონდა ლაიპციგიდან, ხუთს თურქეთიდან, ექვსს მოსკოვსა და ნიჟნინოვგოროდიდან. თითოეული მათგანის ფულადი კაპიტალი 6 000-დან 25 000 მანეთამდე აღწევდა. უმთავრესად ვაჭრობდნენ საზღვარგარეთული საქონლით, ადგილობრივიდან გორის ბაზარზე გამოდიოდა უხეში ბამბის ქსოვილები მცირე რაოდენობით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები[32].

ახალციხეში იყო 80 ადგილობრივი ვაჭარი და 20 სხვა ქალაქებიდან მოსული. ქალაქის წლიური სავაჭრო ბრუნვა 150 000 მანეთს უდრიდა. აქედან საზღვარგარეთული საქონელი იყიდებოდა დაახლოებით 50 000 მანეთისა, რუსული—55 000 მანეთის, ადგილობრივი—45 000 მანეთის. უცხოური საქონლის შესაძენად ახალციხელი ვაჭრები მიემგზავრებოდნენ კონსტანტინეპოლში, ერზრუმში, ტრაპიზონსა და ყარსში, რუსულ საქონელს უმეტესწილად თბილისელი ვაჭრებისაგან შეისყიდიდნენ, ადგილობრივს კი მახლობელ სოფლებში ყიდულობდნენ[33].

ქუთაისში 230 ვაჭარი იყო, მათი სავაჭრო ბრუნვა წელიწადში 20000 მან. უდრიდა. ვაჭრობდნენ უმთავრესად უცხოური და რუსული ფაბრიკული ნაწარმით. ადგილობრივი საქონლის როლი ქუთაისის ვაჭრობაში შედარებით უმნიშვნელო იყო[34].

ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების გარდა, მუდმივი ვაჭრობა წარმოებდა სხვა დაბა-ქალაქებშიც: დუშეთში, ახალქალაქში, ხერთვისში და სხვ. მაგრამ მათი ვაჭრობა შედარებით უმნიშვნელო იყო. თითოეული მათგანის სავაჭრო ბრუნვა 10 000-დან—30 000 მანეთამდე აღწევდა.

ამრიგად, საქართველოს მთავარი ქალაქების წლიური სავაჭრო ბრუნვა 30-იანი წლების მიწურულისათვის 5 035 000 მანეთს შეადგენდა.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შეჭრა სოფლის მეურ-

---

[31] სცსსა, ფ. 16, საქ. 7166, ფურც. 45, 46, 56.
[32] იქვე, ფურც.61.
[33] იქვე, ფურც. 57.
[34] იქვე, ფურც. 58.

ნეობის სხვადასხვა დარგში, მათი კავშირის განმტკიცება ბაზართან და სასაქონლო პროდუქციის წარმოება განსაკუთრებით გაძლიერდა 40-იანი წლებიდან, როდესაც სასაქონლო ხასიათი მიიღო სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგმა — მარცვლეულის მეურნეობამ, მეღვინეობამ, მესაქონლეობამ, მეხილეობა-მებოსტნეობამ და სხვ. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი 1846 წლის ანგარიშში აღნიშნავდა: „ბოსტნეული და ხილი მოჰყავთ არა მარტო თავისთვის, არამედ ამით მუდმივად ამარაგებენ ქალაქის ბაზრებს და ბაღ-ბოსტნების პატრონებს მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვთ. მეხილეობა-მებოსტნეობა განსაკუთრებით მომგებიანია თბილისის ახლომახლო სოფლების მოსახლეობისათვის, ვინაიდან თბილისში მუდმივად დიდი მოთხოვნილებაა ხილ-ბოსტნეულზე“[35].

საქართველოში სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველური პროდუქციის გასაღების შესახებ ყველაზე უფრო სრული სტატისტიკური მონაცემები ჩვენ გვაქვს 1845 წლისა. ამ ცნობების მიხედვით, აღნიშნულ წელს თბილისის გუბერნიაში მოუყვანიათ 1057544 ჩეტვერტი მარცვლეული, აქედან გაყიდულა 186967 ჩეტვერტი[36]. ე. ი. ბაზარზე გამოტანილი იყო მარცვლეულის მთელი მოსავლის 18%. ცალკეულ მაზრებში საბაზროდ წარმოებული მარცვლეულის ხვედრითი წონა კიდევ უფრო მეტი იყო, კერძოდ, თბილისის მაზრაში გაიყიდა მთელი მოსავლის 25%, თელავის მაზრაში—26%, ახალციხის მაზრაში — 21%, ქუთაისის მაზრაში—20,1%[37]. ბოსტნეული თბილისის გუბერნიაში მოიყვანეს 209907 ფუთი, გაყიდეს—80066 ფუთი. ე. ი. ბოსტნეულის მთელი მოსავლის 37,1% ბაზარზე იყო გამოტანილი. სულ თბილისის გუბერნიაში[38] ბოსტნეულისა და მარცვლეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 540617 მანეთს უდრიდა. იმავე წელს თბილისის გუბერნიაში ღვინო და აბრეშუმი გაიყიდა 1459751 მანეთისა[39], რჩოსანი საქონელი და მესაქონლეო-

---

[35] სცსსა, ფ. 4, ანაწ. 8, საქ. 129, ფურც. 17.

[36] იქვე, ფ. 16, საქ. 8888 და ფ. 4, საქ. 43.

[37] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967, с. 6.

[38] ერევნის, ნახჭევნის, ალექსანდროპოლისა და ელისავეტპოლის მაზრების გამოკლებით.

[39] აქ უნდა აღინიშნოს, რომ საარქივო საქმეებში თელავის მაზრაში 820964 ვედრო ღვინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ნაჩვენებია 55865 მანეთი, რაც,

ბის პროდუქტები — 232 672 მანეთისა, თაფლი და ცვილი — 33185 მანეთისა. სულ საქართველოს საშინაო ბაზარზე გამოტანილი და გაყიდული იყო 2266225 მანეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველური პროდუქცია. გარდა ამისა, იმავე 1845 წელს ადგილობრივი ხელოსნური და „მანუფაქტურული" ნაწარმი დამზადებული და გაყიდული იყო 227837 მანეთისა[40], ე. ი. 1845 წელს საქართველოს საშინაო ბაზარზე მხოლოდ ადგილობრივი საქონელი 2,5 მილიონი მანეთისა იყიდებოდა. მართალია, სხვა წლებისათვის ასეთი სრული ცნობები სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველური პროდუქციის გაყიდვის შესახებ არა გვაქვს, მაგრამ დიდი რაოდენობით საქონლის საბაზროდ წარმოება, რომ შემთხვევითი და მხოლოდ ჯარგი მოსავლით არ იყო გამოწვეული, ამაზე შემდეგი წლების ცალკეული მაზრების უფროსების ანგარიშებიც მეტყველებს. მაგალითად, 1850 წელს თბილისის მაზრაში მოყვანილი მარცვლეულის 22,7% ბაზარზე იყო გამოტანილი[41]. ბოსტნეულის—37,4%[42]. მარცვლეულისა და ბოსტნეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 577692 მანეთს უდრიდა, ღვინის გაყიდვით—431454 მანეთს[43], რქოსანი საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტების — 70623 მანეთს[44]. მხოლოდ თბილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 1089769 მანეთს შეადგენდა, ე. ი. 1850 წელს 1845 წელთან შედარებით თბილისის მაზრაში 2 1/2-ჯერ მეტი პროდუქცია ყოფილა გამოტანილი ბაზარზე. ეს გარემოება კი სასაქონლო წარმოების განვითარებასა და ნატურალური მეურნეობის რღვევაზე მიუთითებდა და საშინაო ბაზრის გაფართოების სწრაფი ტემპების მაჩვენებელი იყო.

რეფორმის წინ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. ქ. თბილისის 100000-იანი მოსახლეობა წელიწადში 3 1/2-დან

ჩვენი აზრით, აშკარა შეცდომა უნდა იყოს. ჩვენ ამ შემოსავალს 558650 მანეთს მაინც ვთვლით (ვედრო ღვინო 1 მანეთზე ნაკლებად).

[40] ЦГИА, СССР, ф. 560, оп. 22, д. 112, л. 8—19.

[41] მოიყვანეს 1199850 ჩეტვერტი, გაყიდეს 272484 ჩეტვერტი (სცსსა, ფ. 26, ანაწ. 2, საქ. 797, ფურც. 30).

[42] მოიყვანეს 240930 ფუთი, გაყიდეს 127578 ფუთი (იქვე).

[43] სცსსა, ფ. 26, ანაწ. 2, საქ. 797, ფურც. 31.

[44] იქვე, ფურც. 33.

5 1/2 მილიონამდე მანეთის სურსათ-სანოვაგეს მოიხმარდა. აქ ყოველწლიურად შემოჰქონდათ:

პურის ფქვილი	400000 ფუთი 240-დან 320 ათასამდე მანეთისა.
ღვინო	500000 ვედრო 500 ათასიდან — 1 მლ-მდე მანეთისა,
სპირტი და არაყი	50000 ვედრო 150-დან 250 ათასამდე მანეთისა,
ძროხის ხორცი	150000 ფუთი 210-დან 240 ათას მანეთამდე.
ცხვრის ხორცი	150000 ფუთი 240-დან 300 ათას მანეთამდე.
დამარილებული თევზი და ხიზილალა	25000 ფუთი 125-დან 200 ათას მანეთამდე.
ახალი თევზი	8000 ფუთი 32-დან 64 ათას მანეთამდე
ზეთი	50 000 ფუთი 300-დან 400 ათას მანეთამდე.
ერბო-კარაქი	40 000 ფუთი 240-დან 260 ათას მანეთამდე.

ბოსტნეული, ხილი, რძე და სხვა დაახლოებით 200 ათას მანეთამდე. გასანათებელი საშუალებანი (სანთლები) 35 ათასი ფუთი—350000 მან. ფურაჟი (ქერი, თივა)... 500000 ფუთი—95 ათასი მანეთის, საწვავი საშუალებანი (შეშა, ნახშირი)... 712 ათასი მანეთის. ძვირფასი ღვინოები და სხვა ფუფუნების საგნები — 200 ათასი მანეთის[45]. თბილისში იყო 4 ყოველდღიური ბაზარი: 1. თათრის მოედანზე — აქ იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე, 2. სარდარ-აბადის მოედანზე უმთავრესად იყიდებოდა პური და ბოსტნეული, 3. ავლაბრის მოედანზე იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე, 4. ერევნის მოედანზე დილაობით იყიდებოდა თივა და შეშა[46]. ამ ყოველდღიურ ბაზრებს გარდა ე. წ. „რუსულ“ ანუ „სალდათის“ ბაზარზე კვირაობით ახლო-მახლო სოფლების მანგლისის, თეთრიწყაროს და სხვ. მოსახლეობას მოჰქონდა სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე, თბილისის გარნიზონის

---

[45] Документы по истории Грузии (1862—1917 гг) под ред. Ш. К. Чхетия, Тб., т. I, ч. 2, с. 63—64.

[46] იქვე, გვ. 65.

ჯარისკაცებს კი ავეჯი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი და სხვა წვრილმანი საქონელი. რიყეზე, სადაც უმთავრესად მალაკნები ცხოვრობდნენ, მუდმივი ვაჭრობა იყო ცხენებით, ფურაჟითა და თევზით. როგორც სტატისტიკური კომიტეტის მოხელე აღნიშნავდა, ყველა ამ ბაზარზე გაცხოველებული აღებ-მიცემობა მიმდინარეობდა და განსაკუთრებით თათრის მოედანი და კვირაობით რუსული ბაზარი პატარა იარმარკებს წააგავდა[47].

თბილისის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მრავლად შემოჰქონდათ საქონელი რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან. თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა რა ამიერკავკასიის ვაჭრობის გაძლიერებას, წერდა, რომ „ვაჭრობის ეს გაძლიერება განსაკუთრებით შესამჩნევია თბილისში, რომელიც წარმოადგენს საერთო პუნქტს, შეიძლება ითქვას, მთელი ამიერკავკასიის საერთო საზომს. აქ საქონელი მოაქვთ ყოველი მხრიდან და ამ მხარის ყველა ქალაქში გააქვთ. მოსკოვი და ნიჟნინოვგოროდი ამარაგებს მას ყოველგვარი ნაწარმით ხავერდიდან დაწყებული რკინით გათავებული, რის ნაცვლადაც გააქვთ აბრეშუმის ნედლეული, სხვადასხვანაირი სპარსული საქონელი, შემახიის აბრეშუმის ქსოვილები, ცივი იარაღი და მცირე რაოდენობით კახური ღვინო. პარიზი და ლონდონი თბილისს აწვდის უმთავრესად მოდურ საქონელს, ირანიდან და თურქეთიდან მოაქვთ აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ხალიჩები, შაქარი, ყავა, თამბაქო და სხვა კოლონიური საქონელი“[48]. ამ დროისათვის თბილისის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 11 მილიონ მანეთს აღწევდა[49], ამას თუ დავუმატებთ სურსათ-სანოვაგით ვაჭრობაზე დაბანდებულ თანხას 5 1/2 მილიონს, გამოდის, რომ 40-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, სულ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში თბილისის ვაჭრობა 4-ჯერ იყო გაზრდილი. თბილისი, როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის ეკონომიკური ცენტრი იყო და იგი ამ მხრის სხვადასხვა ქალაქებისათვის საქონლის ერთგვარი გამანაწილებელი პუნქტის როლს ასრულებდა. 1864 წლისათვის თბილისში იყო 2870 სავაჭრო მაღაზია და დუქანი და 14 ქარვასლა[50].

თბილისის შემდეგ ყველაზე გაცხოველებული ვაჭრობა ქ. გორ-

---

[47] ДИГ, т. I, ч. 2, с. 93.
[48] ЦГИА, СССР, ф. 1268, оп. 8, д. 21, л. 29.
[49] ДИГ, т. I, ч. 2, с. 63.
[50] იქვე, გვ. 90.

ში წარმოებდა. გორის მაზრიდან თბილისის ბაზარზე მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოჰქონდათ მარცვლეული, მატყლი, საამშენებლო ხე-ტყე და საწვავი შეშა. ყოველწლიურად მდ. მტკვარზე გორის მაზრიდან თბილისში აცურებდნენ 900-დან 2500-მდე ტივს. ტივი საშუალოდ 20 მორისაგან შედგებოდა და მისი ღირებულება მორების სისქის მიხედვით 25-დან 150 მანეთამდე უდრიდა. შეშას აცურებდნენ 10000-დან 15000 საჟენამდე წლიურად[51]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დამდეგისათვის ქ. თბილისისა და ქ. გორის ბაზრების მოთხოვნილების შესაბამისად მაზრაში მნიშვნელოვნად განვითარდა სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობა. 1865 წელს შესრულებულ გორის მაზრის აღწერაში ნათქვამია, რომ იშვიათად იყო ისეთი მებატონე ან გლეხი, რომელიც მეხილეობა-მებოსტნეობას არ მისდევდა. ხეხილიდან უმთავრესად აშენებდნენ ვაშლს, მსხალს, ატამს, ქლიავს, კაკალს და სხვ. აქაური ვაშლი და მსხალი განთქმული ყოფილა მთელს მხარეში და თბილისელი მებაყლეები მოდიოდნენ ჯერ კიდევ მოუკრეფავი მოსავლის შესასყიდად. თითქმის ყველა მეურნე ბაღების მოვლა-გაშენებას ახლებური წესების მიხედვით მისდევდა და ნარგავების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა, ასე რომ მოსავლიან წლებში ხილით დატვირთული ურმების ქარავანი მიემართებოდა თბილისისაკენ[52]. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა სავაჭრო მებოსტნეობას. იმის გამო, რომ ქ. თბილისისა და გორის მოსახლეობა ბოსტნეულს (კარტოფილსა და კომბოსტოს) დიდი რაოდენობით მოიხმარდა და მისი გაყიდვით მიღებული შემოსავალი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, ბოსტნების მოშენებას გორელმა მეურნეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და «В урожайные годы, кроме удовлетворения своих домашних нужд вывозится на продажу по уезду и в г. Тифлис и Гори в огромном количестве капуста, картофель лук, чеснок и орехи[53]».

ყოველივე ზემოთ ნათქვამის მერე ჩვენ ვერ დავეთანხმებით გორის მაზრის მიმომხილველს, რომელიც აჯამებს რა მის მიერ განხილულ მხარის ვაჭრობას, ასკვნის, რომ მაზრის საშინაო ვაჭრობა უმნიშვნელოა და რომ თბილისიდან, რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან შემოაქვთ მხოლოდ გლეხებისათვის საჭირო პირველი

---

[51] ДИГ, т. I, ч. 2, გვ. 879.

[52] იქვე, გვ. 880.

[53] იქვე.

მოხმარების საგნები და უმაღლესი წოდებისათვის ფუფუნების საგნები, მით უმეტეს, რომ იგივე მოხელე იძულებულია აღიაროს, რომ ამ მხარიდან თბილისში მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვთ მარცვლეული, მატყლი, ხე-ტყე, ხილი და ბოსტნეული და რომ ბაზართან კავშირის განმტკიცების შედეგად აღგილობრივმა მცხოვრებლებმა ხელი მოჰკიდეს სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობას და წლითიწლობით ბაღ-ბოსტნების ფართობს ზრდიან და რომ ბოლო ხანებში გლეხობის საერთო მასას გამოეყო მცირერიცხოვანი შეძლებული ფენა, რომლის ყოფაში ფუფუნების საგნების მოხმარებაც კი შეიჭრა[54].

ქ. თელავისა და მისი მიდამოების აღებ-მიცემობის მთავარ სავანს ღვინო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თელავი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საკმაოდ დაშორებული იყო სავაჭრო გზებსა და მნიშვნელოვან პუნქტებს, იგი საუკეთესო ხარისხის ღვინით ამარაგებდა თბილისს, საქართველოს სამხედრო გზას, ვლადიკავკაზს, მთელი კავკასიის ხაზსა და თემირხანშურასაც კი, თითქმის მთელი მისი მოსახლეობა ღვინის გაყიდვით მიღებული შემოსავლით არსებობდა[55].

განსაკუთრებით საინტერესო ცნობები გვაქვს 50-იანი წლების ბოლოსათვის, კერძოდ 1858 წელს სიღნაღის მაზრიდან ბაზარზე გამოტანილი სოფლის მეურნეობის და შინამრეწველური პროდუქციის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, სიღნაღის მაზრის მოსახლეობას თბილისის, თელავის და სიღნაღის ბაზრებზე გასაყიდად გამოუტანია 90000 ჩეტვერტი მარცვლეული 290000 მანეთისა. 1350000 ვედრო ღვინო 1 350 000 მანეთისა, 100 000 ვედრო არაყი 180 000 მანეთისა, 1 930 000 მანეთის მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი და მესაქონლეობის პროდუქცია, ცვილი და თაფლი 216 000 მანეთისა, ხელოსნური და საფეიქრო ნაწარმი 157 700 მანეთისა და სხვ. სულ აღნიშნული მაზრის მოსახლეობას სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველური პროდუქციის გაყიდვით 4169150 მანეთის შემოსავალი მიუღია[56], ე. ი. 1859 წელს ბაზარზე მარტო სიღნაღის მაზრიდან თითქმის ორჯერ მეტი პროდუქცია ყოფილა გამოტანილი, ვიდრე 1845 წელს თბილისის მთელი გუბერნიიდან[57].

---

[54] ДИГ, т. I, ч. 2, с. 883.

[55] იქვე, გვ. 20.

[56] სცსსა, ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 119, ფურც. 52—53.

[57] 1845 წელს თბილისის გუბერნიიდან ბაზარზე გამოტანილი და გაყიდული იყო 2 266 225 მანეთის საქონელი.

ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები, რაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს, მაინც სიღნაღის მაზრაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობაში წამყვან მოტივად საცვლელი ღირებულების წარმოება უნდა ყოფილიყო.

1863 წლის ქ. სიღნაღის აღწერილობაში ნათქვამია, რომ „სიღნაღელი მცხოვრებლების უმთავრესი ვაჭრობა თავმოყრილია თვით სიღნაღში, სადაც აქაურ მოქალაქეებს საკმაო რაოდენობით მოაქვთ საქონელი შეძენილი თბილისში, ნაწილობრივ კი რუსეთში ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე. ეს არის უმთავრესად: ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები, მატყლი, ფოლადის ნაწარმი, საგალანტერიო საქონელი, შაქარი, ჩაი, ყავა, საზღვარგარეთული სასმელები და სხვ. გარდა ამისა (სიღნაღელი მცხოვრებლები) ეწევიან ყოველგვარ ვაჭრობას, განსაკუთრებით კი შეისყიდიან აბრეშუმს, ღვინოსა და პურს ამიერკავკასიის სხვადასხვა მაზრებში. ბაზარი არის კვირაობით. იარმარკა დაწესებულია 1854 წლის 10 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. საქონელბრუნვა აღწევს 85000 მანეთს (ვერცხლით)«[58]. რა თქმა უნდა, 85 000 მანეთის საქონელბრუნვა ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საიარმარკო ვაჭრობა სავსებით აღარ შეესატყვისებოდა ამ ხანას და მთავარი და გადამწყვეტი ამ დროისათვის მუდმივი, ყოველკვირეული ბაზრობები იყო, რომელთა საქონელბრუნვის შესახებ ზუსტი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ციფრების საფუძველზე ვასკვნით, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო[59].

დასავლეთ საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შესახებ მეტად არასახარბიელო წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთა ანგარიშები. მაგალითად, 1864 წელს დაწერილ ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ვაჭრობა ნაკლებადაა განვითარებული და „საშინაო ვაჭრობა შემოიფარგლება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სასოფლო მრეწველობის უმარტივესი ნაწარმით: უხეში მატყლი, თივთიკი, ჩოხები, ნაბდები, ქეჩა, მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვი, ღორები და ცხენები და ასევე ყიფიანის მამულის ცნობი-

[58] ДИГ, т. I, ч. 2, с. 13.

[59] როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიღნაღის მაზრის მცხოვრებლები ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველური პროდუქციის გაყიდვით 3—4 მილიონ მანეთამდე შემოსავალს იღებდნენ.

ლი ღვინო წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საგანს რაჭის ბაზრის დაბა ონსა და სოფელ ბუგეულში. გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი საქონელი ადვილად საღდება რაჭის მაზრის საზღვრებს გარეთაც.

გუბერნიის დანარჩენ მაზრებში, ახალციხის გამოკლებით, ვაჭრობენ მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, რომელსაც უმთავრესად ცვლიან ფართლეულზე. ასეთი სავაჭრო პუნქტებია: შორაპნის მაზრაში დაბა საჩხერე და ჩხარი, ქუთაისის მაზრაში დაბა ხონი და ბაღდადი, გურიაში დაბა ოზურგეთი.

ზემოთ ჩამოთვლილი საქონლით მოვაჭრეები უმთავრესად არიან სომხები და ებრაელები. უცხოეთთან ვაჭრობაც მათ ხელშია და ქუთაისსა და ახალციხეშია თავმოყრილი. ოთხი მაზრის მოსახლეობა თავისი მოთხოვნილების საუკეთესო საგნებს, ისევე როგორც ევროპიდან შემოტანილ ფუფუნების საგნებს იძენს იმდენად, რამდენადაც ეს საქონელი შემოდის ამ ღარიბ მხარეში — ქუთაისში. ევროპული საქონლის შესაძენად ქუთაისშივე მოდიან მეგრელებიც"[60].

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ საბუთში დასავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობა მეტად გაღარიბებულად არის წარმოდგენილი და, ჩვენი აზრით, სავსებით არ შეესატყვისება ფაქტიურ მდგომარეობას.

60-იანი წლებისათვის დასავლეთ საქართველოს არა მარტო სამაზრო ქალაქებში, არამედ ყველა სავაჭრო დაბა-სოფლის დუქნებში იყიდებოდა ფართლეული და პირველი მოხმარების სხვა საგნებიც.

საარქივო საქმიდან, რომელიც ეხება 60-იანი წლების დასაწყისში ოზურგეთის მაზრის სოფლებში საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობას, ჩანს, რომ არა მარტო დაბა ოზურგეთში, არამედ მაზრის ყველა დაბაში და უმრავლეს სოფლებში გახსნილი ყოფილა სავაჭრო დუქნები, სადაც გლეხებს შეეძლოთ შეეძინათ ფართლეული და საერთოდ პირველი მოხმარების საგნები. აღებ-მიცემობაში მონაწილეობას იღებდნენ წარჩინებული ფენის წარმომადგენლებიც. კერძოდ, გურულ თავადებს—ერისთავებს, მაჭუტაძესა და გუგუნავას თავის საკუთარ მიწაზე ნაგომარის მახლობლად აუგიათ დუქნები, სადაც ისინი ივაჭრებდნენ საკუთარი საქონლით, რომელსაც გაასაღებდნენ მდ. სუფსაზე მდებარე სხვადასხვა სოფლებში[61]. საერთოდ, ფართლეულით, პირველი მოხმარების საგნებითა და ადგილობრივი სა-

[60] ДИГ, т. I, ч. 2, с. 843.

[61] სცსსა, ფ. 10, ანაწ. I, საქ. 2605, ფურც. 11—18.

ქონლით ვაჭრობა გურიაში იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ ამ გარემოებას მნიშვნელოვანი ზარალი მიუყენებია ოზურგეთის ვაჭრებისათვის. მათ უცდიათ მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნება და 1863 წ. მეფისნაცვლისათვის მიუმართავთ თხოვნით აეკრძალათ სასოფლო დუქნებში ფართლეულით და პირველი მოხმარების საგნებით ვაჭრობა[62].

სამეგრელოშიც მრავლად იყო სავაჭრო დაბა-ქალაქები, სადაც მოსახლეობა იძენდა თავისთვის საჭირო საქონელს და აბაღებდა ადგილობრივს. მაგალითად, ზუგდიდი აკმაყოფილებდა სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილის მოთხოვნილებებს და უკავშირდებოდა ჯვარსა და სამურზაყანოს, ჯვარისა და ხონის იარმარკები ამარაგებდა საქონლით ენგურის მთიანი მხარისა და ზუგდიდისაკენ მიმავალ დიდ გზაზე მცხოვრებ მოსახლეობას, სენაკი მოსახერხებელი პუნქტი იყო ტეხურის დაბლობსა და მდ. აბაშისა და ცივის ქვემო წელის მოსახლეობის აღებ-მიცემობისათვის; სუჯუნა იზიდავდა რიონის ქვემო დინების მარჯვენა მხარის მოსახლეობას, ნაოღლევში მარტვილის დაბლობისა და მდ. აბაშის და ტეხურის ზემო დინების გასწვრივ მცხოვრებნი ასაღებდნენ ადგილობრივ საქონელს და იძენდნენ თავისთვის საჭირო საგნებს; ლაილაში და ახალშალა ქუთაისის ვაჭრობას აკავშირებდა ლეჩხუმთან; ცაგერის იარმარკაზე სავაჭროდ მოდიოდნენ ლეჩხუმელები და სვანები, დაბოლოს ორპირი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო ადგილობრივი საქონლის რუსულ და ევროპულ საქონელზე გაცვლისათვის. საერთოდ ორპირში ხდებოდა მთელი ამიერკავკასიისათვის მოტანილი საქონლის გადმოტვირთვა გემებსა და ბარჟებიდან ურმებსა და აქლემებზე და საქართველოდან გასატანი საქონლით: სიმინდით, ძვირფასი ხე-ტყით, დაფნის ფოთლით, აბრეშუმით, ბამბით, თამბაქოთი და სხვ. გემების დატვირთვა.

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ასევე მრავლად იყო სავაჭრო დაბა-სოფლები. სამწუხაროდ, ამ სავაჭრო პუნქტების საქონელბრუნვის შესახებ ზუსტი ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნია თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და შინამრეწველური ნაწარმით მტკიცედ დაუკავშირდა მსოფლიო ბაზარს და ამ ბაზრის მოთხოვნილებათა შესაბა-

[62] იქვე.

მისად სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ესა თუ ის დარგი სწრაფი ტემპით იწყებდა განვითარებას. 1850 წელს დასავლეთ საქართველოდან 2 976 ფუთი აბრეშუმის ნედლეული გაიტანეს საზღვარგარეთ 168 938 მანეთისა, 1851 წელს — 2408 ფუთი 204225 მანეთისა, 1852 წელს — 9034 ფუთი 622990 მანეთის და ა. შ.[63] აბრეშუმის ნედლეულის გატანა და მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მატულობდა და უკვე 1863 წელს 1 180 843 მანეთს (35 013 ფუთი), ხოლო 1864 წელს კი 2 016 943 მანეთს (37175 ფ.) მიაღწია[64]. ე. ი. სულ რაღაც 14 წლის განმავლობაში აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობა დაახლოებით 12-ჯერ გაიზარდა და ბოლო 5 წელიწადში (1860 წლიდან—1864 წ-მდე) მისი გაყიდვით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ 5 656 911 მანეთი, ანუ წელიწადში 1 131 382 მანეთი შემოსავალი მიიღო. აბრეშუმის ნედლეული გლეხებს მიჰქონდათ ქუთაისის, ხონის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ანაკლიის, შეკვეთილის და სხვა ბაზრებზე, სადაც მათგან ამ საქონელს ვაჭარ-შემსყიდველები იძენდნენ და გზავნიდნენ საზღვარგარეთ. გარდა ამისა შემსყიდველები თვითონ დადიოდნენ სოფლებში და ადგილზევე ყიდულობდნენ გლეხებისაგან ამ საქონელს. ასევე სწრაფი ტემპებით იზრდებოდა დასავლეთ საქართველოდან, განსაკუთრებით სამეგრელოდან, სიმინდის გატანა. სიმინდის გაყიდვით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა 60-იანი წლების დასაწყისში საშუალოწლიურად 250 000 მანეთამდე შემოსავალს იღებდა და წლითიწლობით ზრდიდა ნათესის ფართობსა და გატანილი მარცვლეულის რაოდენობას[65].

საერთოდ 50—60-იანი წლებისათვის საქართველო-ამიერკავკასიის იმპორტ-ექსპორტი მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. სახელდობრ იმპორტის საშუალო წლიური ღირებულება XIX ს-ის დასაწყისთან შედარებით 60-იანი წლებისათვის 10-ჯერ გაიზარდა[66]. იმპორტის ზრდა ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებით, ნატურალური მომხმარებლობის ხარჯზე სასაქონლო მომ-

---

[63] სცსსა, ფ. 4, ანაწ. 5, საქ. 632, ფურც. 55.

[64] ДИГ, т. I, ч. 2., с. 493.

[65] იქვე; სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან სიმინდი დასავლეთ საქართველოდან გაცილებით მეტი რაოდენობით გაჰქონდათ.

[66] XIX საუკუნის დასაწყისში 1812—1822 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ღირებულება 580000 მანეთს უდრიდა; 1860—1864 წლებში კი 5 884 729 მანეთს მიაღწია; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, გვ. 151.

ხმარებლობის გაზრდით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ექსპორტის ღირებულება კი 60-იანი წლებისათვის XIX ს-ის დასაწყისთან შედარებით 36-ჯერ იყო მომატებული[67]. ექსპორტის ასეთი სწრაფი ზრდა ადგილობრივი საქონლის გატანის ხარჯზე ხდებოდა. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამ დროისათვის საქართველო-ამიერკავკასიაში საკმაოდ ღრმად იყო წასული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია და თანდათანობით მეურნეობის წამყვან მოტივად საცვლელი ღირებულების წარმოება იქცეოდა.

ყოველივე ზემონათქვამის მერე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ჯერ კიდევ XVIII ს-ში დაწყებული ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში წარმატებით გრძელდებოდა. ამ პროცესის განსაკუთრებით გააქტიურებას 40-იანი წლებიდან ჰქონდა ადგილი, როდესაც გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი განაწილება, მკაფიოდ გამოიხატა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია და თითქმის ყველა დარგმა სასაქონლო ხასიათი მიიღო. თანდათანობით მეურნეობის წამყვან მოტივად საცვლელი ღირებულების წარმოება იქცეოდა. ეს კი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისის მომასწავებელი იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ფეოდალური ფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი თვითკმარი კარჩაკეტილი მეურნეობის ბატონობა იყო.

---

[67] XIX საუკუნის დასაწყისში, 1812—1822 წლებში, ექსპორტის საშუალო წლიური ღირებულება 96400 მანეთს უდრიდა, 60-იანი წლებისათვის კი, 1860—1864 წლებში, 3 524 622 მანეთს მიაღწია; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, გვ. 151.

თავი II

გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია

გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის საკითხის შესწავლას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში მომხდარი ცვლილებების დასადგენად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ქონებრივი უთანასწორობის გაჩენა გლეხობის დაშლის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს[1].

გლეხთა ქონებრივ უთანასწორობას ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე ჰქონდა ადგილი, მაგრამ XVIII ს-ში იგი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა[2]. XIX ს-ში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომი განვითარების შედეგად, რა თქმა უნდა, ეს უთანასწორობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო, ამ საკითხის შესწავლას ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, სახელდობრ სახელმწიფო გლეხების მიწით უზრუნველყოფა შესწავლილი აქვს პროფ. ი. ანთელავას ნაშრომში «Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в». ავტორს არქივიდან ამოკრებილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შედგენილი აქვს ცხრილები სახელმწიფო გლეხების სახნავ-სათესი მიწებითა და ვენახებით მეტ-ნაკლები უზრუნველყოფის შესახებ, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს ყველა კუთხის სახელმწიფო გლეხები მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ. ნაშრომში გამოვლენილია აგრეთვე საყოველთაოდ დამახასიათებელი მცირემიწიანობის მიუხედავად განსხვავება ცალკეული მაზრებისა და სოფლების გლეხების მიწით მომარაგებას შორის. დადგენილია, რომ ზოგიერთი მაზრის გლეხები შედარებით უკეთ იყვნენ მიწით უზრუნველყოფილი. ასე მაგ., XIX ს-ის დასაწყისში სიღნაღის მაზრაში კომლზე საშუალოდ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 3, გვ. 187

[2] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 143.

მოდიოდა 2, 3 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, თელავის მაზრაში — 4,5, თბილისის მაზრაში — 3,4, გორის მაზრაში — 2,4, ანანურის მაზრაში — 5, 07 დესეტინა[3]. კიდევ უფრო მეტი იყო განსხვავება ცალკეული სოფლების გლეხების მიწათმფლობელობაში. მაგ. თელავის მაზრის სოფ. ენისელის ერთ კომლ სახელმწიფო გლეხზე საშუალოდ მოდიოდა 1,7 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, სოფ. ფშაველში კი კომლზე 8,1 დესეტინა იყო[4]. გლეხთა მიწით უზრუნველყოფის შესწავლის საქმეში შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ცალკეულ კომლებს შორის ქონებრივი უთანასწორობის გამოვლენა.

ცალკეული კომლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად მდიდარი მასალა ახრის შემონახული ე. წ. კამერალურ აღწერებში, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ფისკალურ-ეკონომიკური მიზნით XIX ს-ის დამდეგიდანვე შეუდგა. ასეთი აღწერები ჩატარებული იყო 1804—1805, 1816—1818, 1821—1824, 1841—1842 წლებში.

საქართველოს კამერალური აღწერები, რუსეთის შიდა გუბერნიებში წარმოებულ აღწერებთან, ე. წ. „რევიზიებთან" შედარებით ბევრად არასრულია. „რევიზიები" გაცილებით უფრო სრულყოფილ და დეტალურ ცნობებს გვაწვდიან გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. საქართველოს გუბერნიაში წარმოებულ კამერალურ აღწერათა პროგრამაში მთელი რიგი კითხვებისა საერთოდ არ იყო შეტანილი, არ წარმოებდა აღწერების შედეგად მიღებული ცნობების შემოწმება, გაპარული იყო უხეში შეცდომები, ვერ ახერხებდნენ მთელი მოსახლეობის აღწერას და სხვ. ყველა წლებისა და მაზრების აღწერები ერთი პრინციპით შედგენილი არ არის. ზოგ მათგანში მხოლოდ 3—4 გრაფაა მოცემული, სადაც აღნიშნულია მხოლოდ კომლის რიცხობრივი შემადგენლობა და მათი ძირითადი საქმიანობა. ან, მართალია, აღნიშნულია სახნავი მიწისა და ვენახის ფართობი, მაგრამ არ არის მოცემული მარცვლეულის და ღვინის მოსავლის რაოდენობა, მუშა პირუტყვის რაოდენობა. ამ ცნობების გათვალისწინებას კი გლეხთა ეკონომიკური ყოფის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხშირი იყო შემთხვევები, როცა ცალკეული გლეხები მუშა პირუტყვის არყოლის, ან საქართველოში ე. წ. სანასვენო სისტემის არსებობის გამო თავისი „სახნავ-

---

[3] И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955, с. 214.

[4] იქვე, გვ. 233.

სათესი მიწების მთლიანად დამუშავებას ვერ ახერხებდნენ და მიწით თანაბრად უზრუნველყოფილი კომლები ეკონომიკური მდგომარეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

ზემოთ აღნიშნული ნაკლის მიუხედავად კამერალურ აღწერებში შემონახული ცნობების კრიტიკული შესწავლა-დაჯგუფება და მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით გავითვალისწინოთ გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა და საერთოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში მომხდარი ცვლილებები.

1804 წლის, 1818—1821 წლების და 1842 წლის კამერალური აღწერების ზოგიერთი მონაცემის საფუძველზე პროფ. არ. ფანცხავას ნაშრომში «К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной восточной Грузии» ნაჩვენები აქვს აღმოსავლეთ-საქართველოს გლეხობის დიფერენციაციის პროცესი. ასევე კამერალური აღწერების მონაცემები უხვად არის გამოყენებული დ. გოგოლაძის ნაშრომში «საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში». კერძოდ მას დაწვრილებით აქვს შესწავლილი ანანურის მაზრის 1804 წლის კამერალური აღწერა, სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 1817 წლის აღწერა, თელავის მაზრის სახელმწიფო და საბატონო გლეხთა 1821 წლის აღწერა, ანანურის მაზრის 1821 წლის აღწერა, იმერეთის საეკლესიო გლეხთა 1819 წლის აღწერა და კახეთის 1842-1844 წლების სახელმწიფო გლეხთა აღწერა. მას ჩატარებული აქვს მეტად შრომატევადი სამუშაო, შედგენილი აქვს დაწვრილებითი ცხრილები და ცალკეულ კომლებს სახნავ-სათესი მიწების ფართობის მიხედვით აჯგუფებს ღარიბ, საშუალო და მდიდარ გლეხებად. მაგრამ, გლეხთა ეკონომიკური ყოფის რეალური სურათის აღსადგენად, იქ, სადაც ამის საშუალებას მასალა იძლევა, კარგი იქნებოდა ცალკეული კომლების მფლობელობაში მყოფი მუშა პირუტყვისა და მოყვანილი მარცვლეულის რაოდენობის გათვალისწინებაც, ვინაიდან გლეხები თავისი „ნადელების“ მხოლოდ ნაწილის დამუშავებას ახერხებდნენ. საქართველოში გაბატონებული სანასვენო სისტემის შესაბამისად, გლეხები, როგორც წესი, მიწის ნაწილს ასვენებდნენ. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოში მიწას ხნავდნენ ე. წ. დიდი, ანუ ქართული გუთნით, რომელიც 8—10 უღელ ხარ-კამეჩს საჭიროებდა. ამდენი მუშა პირუტყვი იშვიათად ვინმეს ჰყავდა და მიწის მოსახნავად გლეხები ადგენდნენ ამხანაგობას, რომელიც წინასწარ განსაზღვრული რიგის მიხედვით ხნავდა

მათ ნაკვეთებს. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი მუშაპირუტყვის პატრონი იყო გლეხი, მით უფრო მეტი მიწის მოხვნას მოახერხებდა და პირიქით—იყო კომლები, რომელთაც თავის მფლობელობაში არსებული სახნავი მიწის მხოლოდ მცირე ნაწილის დამუშავება თუ შეეძლოთ გამწევი ძალის არყოლის გამო. ამიტომ გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სახნავ-სათესი მიწის ფართობთან ერთად მუშა პირუტყვის ყოლასაც ენიჭება.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, იქ სადაც მასალა ამის საშუალებას იძლევა, სახნავი მიწის ფართობის, მარცვლეულისა და მუშა პირუტყვის რაოდენობის გათვალისწინებით, გლეხთა ეკონომიკური ჯგუფების დადგენას.

კამერალურ აღწერებს შორის ყველაზე მეტი სისრულით გამოირჩევა 1818 წელს შესრულებული გორის მაზრის სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხთა აღწერები. აქ აღნიშნულია ცალკეულ კომლთა რიცხობრივი შემადგენლობა, თითოეული კომლის სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი მიწის ფართობი (დღიურებში), ვენახების ფართობი, მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის ოდენობა, შსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა. ცალკე გრაფაში აღნიშნულია მათი ძირითადი საქმიანობა, თუ რითი ცხოვრობდნენ უმთავრესად: მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით, ორივე დარგით თუ გარესაშოვრებით: ე. ი. დღიური შრომით, ხელოსნობით, წვრილმანი ვაჭრობით და სხვ.

1818 წელს გორის მაზრაში აღწერილი იყო 3278 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაც მებატონეების მიერ მფლობელობაში მიცემული ჰქონდათ 15819 1/2 დღიური სახნავ-სათესად ვარგისი მიწა[5], რაც კომლზე საშუალოდ 5 დღიურამდე ანუ 2 1/2 დესეტინას შეადგენდა, მაგრამ ეს მიწები ცალკეულ კომლებს შორის შემდეგნაირად იყო განაწილებული:

720 კომლს არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა,
1—2 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა 442 კომლს,
3-დან 15 დღიურამდე მიწა ჰქონდა 1788 კომლს,
15 და მეტი დღიური მიწა ჰქონდა 328 კომლს.

უმიწაწყლო 720 კომლიდან 213 შინაყმა იყო. დანარჩენი უმიწა-

[5] სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა გამოანგარიშებულია აღწერის მონაცემების საფუძველზე. სცსსა, ფ. 254 ანაწ. 1, საქ. 542.

წყლოები კი ხვადასხვა საქმიანობით ირჩენდნენ თავს: ხელოსნობით — 117 კომლი, წვრილმანი ვაჭრობით—18 კომლი, მოწყალებით—10 კომლი. მეწისქვილე იყო 8, მწყემსი — 26, მებაღე—2 და სხვ. 249 კომლი კი დღიური შრომით ცხოვრობდა. ამრიგად უკვე 1818 წ. გორის მაზრის საბატონო გლეხთა 7,6% იძულებული იყო სამუშაო ძალის გაყიდვით ეცხოვრა. მაგრამ, როგორც გორის მაზრის საბატონო გლეხთა კამერალური აღწერის გულმოდგინედ შესწავლა გვარწმუნებს, დღიური შრომით, ხელოსნობითა და წვრილმანი ვაჭრობით მცხოვრებ გლეხთა რიცხვი კიდევ უფრო მეტი იყო, კერძოდ, 1—2 დღიური სახნავ-სათესი მიწის მქონე 442 კომლი გლეხის მარცვლეულის მოსავალი ისეთი მცირე იყო (10—15 კოდი), რომ მათ ძირითად საქმიანობას, როგორც ეს აღწერის ცალკე გრაფაშია აღწერილი, დღიური შრომა და წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობა წარმოადგენდა. 3-დან 15 დღიურამდე მიწის პატრონი გლეხების შემოსავალი წლიდან წლამდე გაჭირვებით უნდა ყოფილიყო საკმარისი ოჯახის სარჩენად და სამეურნეო დავალიანების დასაფარავად. როგორც აღწერიდან ჩანს, ხშირად მათაც, განსაკუთრებით 3—4 დღ. მიწის პატრონ გლეხებს, დამატებითი შემოსავლის მისაღებად გარესაშოვარზე სჭირდებოდათ გასვლა. 15 დღიური და მეტი მიწის მფლობელები კი მდიდარი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა მეურნეობაში მიღებული ჭარბი პროდუქცია ბაზარზე შეიძლებოდა ყოფილიყო გამოტანილი სარეალიზაციოდ. თუ ჩვენ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ და უმიწაწყლო და 1—2 დღიური სახნავ-სათესი მიწის პატრონ გლეხებს ღარიბებს მივაკუთვნებთ, 3-დან 15 დღიურამდე მიწის მფლობელებს — საშუალოს და 15 დღიური და მეტი მიწის მფლობელებს კი — მდიდარ გლეხებს, მაშინ 1818 წელს გორის მაზრის საბატონო გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ შემდეგ სურათს მივიღებთ:

ღარიბი	გლეხი	იყო	1162	კომლი,	ანუ	კომლთა	საერთო რაოდენობის 35,5%,
საშუალო	„	„	1788	„	„	„	54,5%,
მდიდარი	„	„	328	„	„	„	10%,

მაგრამ, როგორც ჩვენს ხელთ არსებული აღწერიდან ჩანს, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სახნავ-სათესი მიწით შედარებით კარგად უზრუნველყოფილი გლეხები მუშა-პირუტყვის სათანადო რაოდენობით არყოლის გამო თავისი მიწის მხოლოდ მცირე ნაწილის დამუშავებას თუ ახერხებდნენ და ეკონომიურად უფრო სუს-

ტები იყვნენ, ვიდრე ისეთი გლეხები, რომელთა მიწის ნაკვეთი შედარებით ნაკლები იყო, მაგრამ სამაგიეროდ გამწევი ძალა სათანადო რაოდენობით ჰყავდათ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სოფ. თორტიზაში მცხოვრები ერთი კომლი გლეხი, რომელსაც მხოლოდ 3 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავდა (აქედან შეიძლება მუშა პირუტყვი არც ერთი არ იყო), 20დღიური მიწიდან მხოლოდ 2 დღიურს ამუშავებდა[6]. ასევე სოფ. ტყვიავში მცხოვრები გლეხი მუშა პირუტყვის სიმცირის გამო 20 დღიურიდან 2-ს ამუშავებდა[7], უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე მიზეზით სოფ. ქვემო ნიქოზში მცხოვრები ერთი კომლი გლეხი 30-დან 3 დღიურს ხნავდა (მას მხოლოდ 2 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავდა[8]), სამი კომლი 10—10 დღიური მიწიდან 2—2 დღიურს ამუშავებდა[9], მათ საქონელი საერთოდ არ ჰყავდათ, სოფ. ფხვენისში მცხოვრები გლეხი მუშა-პირუტყვის არყოლის გამო 40 დღიური მიწიდან მხოლოდ 2-ს ამუშავებდა, რუისელი გლეხი 40 დღიურიდან 4 დღიურს ხნავდა[11]. ასევე დირბელი ერთი კომლი გლეხი 40 დღიურიდან 4 დღიურს ამუშავებდა[12], მაშინ როცა იგივე დირბში მცხოვრები მეორე კომლი 40 დღიურიდან 30-ს ხნავდა და 400 კოდი მარცვლეული მოჰყავდა, მას 20 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავდა[13], უნდა ვიფიქროთ, რომ აქედან უმეტესობა მუშა პირუტყვი იქნებოდა და მას დამოუკიდებლადაც კი შეეძლო გუთნის გამართვა. ხელთუბნელ გლეხს, რომელსაც 14 სული საქონელი ჰყავდა, 8 დღიურიდან 160 კოდი მარცვლეული მოჰყავდა, იმავე ხელთუბნელ გლეხს 10 დღიურიდან 150 კოდი მოჰყავდა, მასაც მსხვილფეხა რქოსანი საქონელი საკმარისი რაოდენობით ჰყავდა, ახალსოფლელ გლეხს, რომელსაც 16 სული საქონელი ჰყავდა, 13 დღიურიდან 200 კოდი პური მოჰყავდა, ე. ი. 10-ჯერ მეტი, ვიდრე 20 დღიურის პატრონ თორტიზელ გლეხს. ასეთი მაგალითების მოტანა ჩვენ მრავლად შეგვეძლო, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თითქმის როგორც წესი 10 და მეტი სული მსხვილფეხა —

---

[6] საქ. ცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 542.
[7] იქვე, ფურც. 220.
[8] იქვე, ფურც. 345.
[9] იქვე, ფურც. 346.
[10] იქვე, ფურც. 375.
[11] იქვე, ფურც. 449.
[12] იქვე, ფურც. 228.
[13] იქვე.

რქოსანი საქონლის პატრონი გლეხები თავისი მიწების უმეტეს ნაწილს ამუშავებდნენ და ხშირი იყო შემთხვევები, როცა 8—10 დღიური მიწის მქონე კომლი გაცილებით უფრო მეტ მოსავალს იღებდა, ვიდრე 20—40 დღიურის მფლობელი მუშა პირუტყვს მოკლებული გლეხი.

ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითების შემდეგ ვფიქრობთ ნათელია რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გლეხების სოციალურ-ეკონომიკური ყოფის განსაზღვრისათვის მიწის ფართობთან ერთად მათ მიერ მიღებული მოსავლისა და მუშა პირუტყვის რაოდენობის დადგენას.

როგორც აღწერიდან ჩანს, 1818 წელს გორის მაზრაში მცხოვრებ 3278 კომლ საბატონო გლეხებს ჰყავდათ სულ 15 177 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აქედან 768 კომლს, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 23,4% საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი. 379 კომლს კი ჰყავდა 10 და მეტი სული საქონელი. საერთოდ მათ მფლობელობაში იყო სულ 4929 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 11,5%-ის ხელში იყო თავმოყრილი მთელი საქონლის 32,5%. დანარჩენი 10246 სული პირუტყვი კი 2131 კომლზე იყო განაწილებული[14]. აქედან, როგორც წესი, 1—2 დღიური მიწის მქონე გლეხებს თითო-ოროლა პირუტყვი ჰყავდათ, დანარჩენებს კი 4-5, ზოგიერთებს 8—9 სულიც.

ახლა რაც შეეხება მოსავალს. როგორც აღწერის მონაცემებიდან დავიანგარიშეთ, 1818 წელს გორის მაზრაში საბატონო გლეხებს მოუყვანიათ 145 799 კოდი პური[15], რაც კომლზე საშუალოდ 44,5 კოდს შეადგენს (კოდი 3—4 ფუთს უდრიდა). ერთი კომლის წლიურ სარჩოდ, სათესლედ, შინაური ფრინველისა და პირუტყვის გამოსაკვებად და გადასახადების დასაფარავად 45—50 კოდი მარცვლეული საკმარისი უნდა ყოფილიყო. საშუალო ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ გორის მაზრის საბატონო გლეხებს თავისი მოსავალი გაჭირვებით ჰყოფნიდათ და ბაზარზე არც ერთი კოდი არ გაჰქონდათ. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათი გვაქვს. 3278 კომლიდან 721-ს საერთოდ არ მოჰყავდა არავითარი მოსავალი და იძულებული იყო წლიური სარჩო თავის სამუშაო ძალის გაყიდვით, ან წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობით

---

[14] პირუტყვის რაოდენობა და მათი განაწილება გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ აღწერის მონაცემებიდან, იხ. საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. I, საქ. № 542, ფ. 1—542.

[15] იქვე.

შეეძინა. 100 და 100-ზე მეტი კოდი პური მოიყვანა 415 კომლმა. ე. ი. თითოეული მათგანი თავისი მოსავლის 50%-ს და ზოგჯერ მეტსაც კი საბაზროდ აწარმოებდა (იყო კომლები, რომელთაც მოჰყავდათ 200, 300, ზოგჯერ 400 ან 500 კოდიც კი). სულ 415-მა კომლმა ანუ მათი საერთო რაოდენობის 12,6%-მა მოიყვანა 54875 კოდი მარცვლეული, ე. ი. მთელი მოსავლის თითქმის 38%. გამოდის, რომ 415 კომლს ბაზარზე შეეძლო გამოეტანა 34125 კოდი პური. როგორც აღვნიშნეთ, 10 და მეტი პირუტყვის პატრონი იყო 379 კომლი ანუ 11,5%—სწორედ ამათი უმეტესობა იყო 100 და მეტი კოდი პურის მომყვანი გლეხები.

ახლა მიწის ფართობთან ერთად მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და მოსავლის რაოდენობის გათვალისწინებით თუ შევეცდებით გლეხობის დაჯგუფებას და ზემოთ აღებული პრინციპის შესაბამისად 30—40 კოდამდე მარცვლეულის მომყვან გლეხებს და ვისაც საერთოდ არ მოჰყავდა მარცვლეული, ღარიბ გლეხებს მივაკუთვნებთ, 40 კოდიდან 150 კოდამდე პურის მომყვან გლეხებს — საშუალოს და 150 და მეტი კოდის მომყვანთ კი მდიდრებს, შემდეგ სურათს მივიღებთ[16]:

ღარიბი გლეხი იყო 1741 კომლი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის						53,1%,
საშუალო	„	1399	„	„	„	„ 42,7%,
მდიდარი	„	138	„	„	„	„ 4,2%.

როგორც ვხედავთ, მარცვლეულის მოსავლის გათვალისწინების შედეგად გაცილებით უფრო მეტი ღარიბი გლეხი გამოვლინდა, ვიდრე ეს მარტო მიწის ფართობით განსაზღვრის დროს ჩანდა. შემცირდა საშუალო გლეხების რაოდენობა გლეხთა საერთო მასის 45%-დან 42,7%-მდე, ასევე შემცირდა მდიდარი გლეხების რაოდენობაც, 10%-დან 4,2%-მდე; საერთოდ, მარცვლეულის მოსავლისა და პირუტყვის რაოდენობის გათვალისწინების შედეგად უფრო აშკარად გამოჩნდა გლეხთა ქონებრივი უთანასწორობა.

იმავე 1818 წელს აღწერეს გორის მაზრის სახელმწიფო და

---

[16] XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში 1 დღიურ მიწაზე საშუალოდ 10 კოდ პურის მოსავალს ანგარიშობდნენ. მიწის ფართობის მიხედვითაც ასე იყო გლეხობა დაჯგუფებული; უმიწო და 3 დღიურამდე მიწის პატრონი გლეხები ღარიბებს მიეკუთვნებოდნენ, 3-დან 15 დღიურის მფლობელი—საშუალოს და 15 დამეტი დღიურის მფლობელი — მდიდარს.

საეკლესიო გლეხები. სახელმწიფო გლეხი აღწერილი იყო 841 კომლი, რომელთაც მფლობელობაში მიცემული ჰქონდათ მხოლოდ 1483 დღიური სახელმწიფო მიწა[17]. მიწის სიმცირის გამო სახელმწიფო გლეხები ამავე რაოდენობით ამუშავებდნენ საბატონო და საეკლესიო მიწებს, სათანადო ღალის გადახდით. საერთოდ სახელმწიფო გლეხების უმრავლესობა ღარიბი გლეხებია, ისინი უმთავრესად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ახლად მოსული გლეხები არიან, ბატონყმობას გამოქცეული და სახელმწიფო უწყებას შეფარებული, ტყვედ ნამყოფი ან თავგამოსყიდული. კერძოდ, თავგამოსყიდული არის 16 კომლი. ცალკეულ კომლებს შორის სახნავ-სათესი მიწა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

259 კომლს არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, არც ვენახი			
1—2 დღ. სახნავი მიწა ჰქონდა	—	—	102 კომლს,
3-დან 15 დღ-მდე მიწა ჰქონდა	—	—	423 „ ,
15 დღ. და მეტი „ „	—	—	57 „ .

უმიწაწყლო 259 კომლიდან 33 საღალედ იღებდა სხვებისაგან მიწას და ამუშავებდა, ხელოსნობით ცხოვრობდა 60 კომლი, ვაჭრობით—18 კომლი, მწყემსობით—10 კომლი. მეწისქვილე იყო—3, მებაღე—1, ცირეწლოვანი—1, მოწყალებით—9 და დღიური შრომით ცხოვრობდა 124 კომლი. მაგრამ აქაც, ისევე როგორც საბატონო გლეხებს შორის, გარესაშოვრებს უფრო მეტი გლეხი მიმართავდა. 1—2 დღიური მიწის პატრონების ცხოვრების ძირითადი წყარო დღიური შრომა და წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობა იყო. მიწის ფართობის მიხედვით რომ დავაჯგუფოთ, მაშინ 1818 წელს გორის მაზრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ შემდეგ სურათს მივიღებთ:

ღარიბი გლეხი იყო 361 კომლი ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 43%,							
საშუალო	„	„	423	„	„	„	„ 50,3%
მდიდარი	„	„	57	„	„	„	„ 6,7%.

მაგრამ, როგორც აღვნიშნავდით, აქაც საჭიროა გავითვალისწინოთ მუშა-პირუტყვისა და მოსავლის რაოდენობა. 1818 წელს გორის მაზრის სახელმწიფო გლეხებს ჰყავდათ სულ 3690 სული

---

[17] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 541; სახნავ-სათესი მიწის ფართობი გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ.

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[18], აქედან 209 კომლს, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 24,8% საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი, 97 კომლს — თითოეულს ჰყავდა 10 და მეტი სული. სულ მათ ხელში თავმოყრილი იყო 1266 სული, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 11,6%-ის ხელში თამოყრილი იყო პირუტყვის საერთო რაოდენობის 37%.

1818 წელს გორის მაზრაში სახელმწიფო გლეხებს მოუყვანიათ სულ 32366 კოდი პური. 226 კომლ უმიწაწყლო გლეხს საერთოდ არ მოჰყავდა მოსავალი. 100 და მეტი კოდი პური მოიყვანა 93 კომლმა, სულ 93 კომლმა, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 11%-მა მოიყვანა 12 870 კოდი, ანუ მთელი მოსავლის 39,7%. გამოდის, რომ 93 კომლს (კომლზე სარჩოდ თუ 50 კოდს ვიანგარიშებთ), ბაზარზე შეეძლო გაეტანა 8220 კოდი პური, ანუ მარცვლეულის საერთო მოსავლის 25%. 100 და მეტი კოდი პურის მომყვანი გლეხების უმეტესობა, როგორც აღწერიდან ჩანს, გამწევი ძალით შედარებით კარგად იყო უზრუნველყოფილი.

ახლა, თუ სახელმწიფო გლეხებსაც ზემოთ აღებული პრინციპის, მიხედვით, მოსავლის რაოდენობის გათვალისწინებით დავაჯგუფებთ, გამოვა, რომ:

ღარიბი გლეხი იყო	498	კომლი	ანუ კომლთა საერთო რაოდენობის	59,2%,
საშუალო	„	„ 307 „	„	36,5 %,
მდიდარი	„	„ 36 „	„	4,3 %.

აქაც, ისევე როგორც საბატონო გლეხების დაჯგუფებისას, უფრო აშკარად გამოჩნდა გლეხთა ქონებრივი უთანასწორობა. შემცირდა უმთავრესად საშუალო გლეხების რაოდენობა (13,8%-ით) და გაიზარდა ღარიბი გლეხების რიცხვი (16,2%).

სახელმწიფო და საბატონო გლეხებთან შედარებით გორის მაზრის საეკლესიო გლეხები, როგორც ეს აღწერიდან ჩანს, გაცილებით უკეთ იყვნენ მიწით უზრუნველყოფილი. 1818 წელს აქ აღწერილი იყო 741 კომლი საეკლესიო გლეხი, რომლებიც საეკლესიო, სახელმწიფო, საბატონო და ნასყიდ მიწებს ფლობდნენ სულ 6179 1/2

---

[18] მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1818 წლის გორის მაზრის სახელმწიფო გლეხების აღწერის მონაცემების მიხედვით. სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 541, ფურც. 1—253.

დღიურს,[19] ე. ი. კომლზე საშუალოდ მოდიოდა 7,4 მეათედი დღიური. ცალკეულ კომლებზე ეს მიწა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

უმიწაწყლო გლეხი იყო	—	101 კომლი,
1—2 დღიური მიწა ჰქონდა	—	82 კომლს,
3-დან 15 დღიურამდე „ „	—	439 კომლს.
15 დღ. და მეტი „ „	—	119 კომლს.

მიწის არათანაბარი განაწილება საეკლესიო გლეხებში კიდევ უფრო შესამჩნევი იყო. აქ უმიწაწყლო გლეხების გვერდით იყვნენ ისეთები, რომელთაც 100 და 200 დღიური სახნავი მიწაც კი ჰქონდათ.

101 კომლი უმიწაწყლო გლეხებიდან 51 კომლი ცხოვრობდა დღიური შრომით, 21 — ხელოსნობით, 12—წვრილმანი ვაჭრობით, 5—მოწყალებით; მწყემსია—6, მებაღე—1. უმიწაწყლო გლეხების გარდა დღიური შრომისა და წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობით ირჩენდა თავს 1—2 დღ. მიწის პატრონი 82 კომლი. ე. ი. 1818 წელს გორის მაზრაში მცხოვრები 183 კომლი საეკლესიო გლეხი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 24,4% იძულებული იყო თავის სარჩენად გარესაშოვრებისათვის მიემართა.

გორის მაზრის საეკლესიო გლეხები მიწის ფართობის მიხედვით რომ დავაჯგუფოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ღარიბი გლეხი იყო 183 კომლი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის		24,7%
საშუალო „ „ 439 „ „ „ „		59,3%
მდიდარი „ „ 119 „ „ „ „		16%

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობა იყო მსხვილფეხა პირუტყვისა და მოსავლის რაოდენობის მხრივ.

საეკლესიო გლეხებს ჰყოლიათ სულ 4319 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[20]. 125 კომლს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი,

---

[19] გორის მაზრის საეკლესიო გლეხების მიწების ფართობი გამოანგარიშებული გვაქვს აღწერის მონაცემების მიხედვით. სცსსა, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 544, ფურც. 1—193.

[20] მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1818 წლის გორის მაზრის საეკლესიო გლეხების აღწერის მონაცემების მიხედვით, სცსსა , ფ. 254, ან. I. საქ.544.

10 და მეტი სული ჰყავდა 161 კომლს. სულ მათ ხელში იყო 2049 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 22,5%-ს ჰყავდა საქონლის საერთო რაოდენობის 47,4%.

რაც შეეხება მოსავალს, გორის მაზრის საეკლესიო გლეხებმა მოიყვანეს სულ 43737 კოდი მარცვლეული. 169 კომლმა, ე. ი. კომლთა საერთო რაოდენობის 22,5%-მა მოიყვანა (თითოეულს მოჰყავდა 100 და მეტი კოდი პური) 23330 კოდი, ანუ მთელი მოსავლის 53,3%. წლიურ სარჩოდ კომლზე 50 კოდს თუ ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ 169 კომლს შეეძლო ბაზარზე გაეტანა 14880 კოდი, ანუ მთელი მოსავლის 34% საბაზროდ იყო წარმოებული. 100 და მეტი კოდი პურის მომყვანი გლეხების უმეტესობა შედარებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი გამწევი ძალით[21].

პურის მოსავლის რაოდენობის გათვალისწინებით რომ დავაჯგუფოთ გორის მაზრის საეკლესიო გლეხები, გამოვა, რომ:

ღარიბი გლეხი იყო	284	კომლი,	ანუ კომლთა საერთო რაოდენობის	39%,
საშუალო	„	„	390	„	„ 52 %,
მდიდარი	„	„	67	„	„ 9 %:

აქაც მოსავლის რაოდენობის მიხედვით გლეხთა დაჯგუფების შედეგად უკეთ გამოვლინდა მათი ქონებრივი უთანასწორობა.

სულ 1818 წელს მაზრაში აღწერილი იყო სამივე კატეგორიის 4860 კომლი გლეხი, აქედან:

ღარიბი გლეხი იყო	2523	ანუ კომლთა საერთო რაოდენობის	52%,
საშუალო	„	„	2096	„	„	„	„	43%,
მდიდარი	„	„	241	„	„	„	„	5%.

უკვე 1818 წელს გორის მაზრის 2523 კომლი გლეხის, ანუ 52%-ის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება კი აღარ იყო, არამედ მათი ნაწილი საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს, ნაწილი კი წვრილმან ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა, გლეხური მეურნეობის ევოლუციის საქმეში ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობათა

---

[21] მარცვლეულის მოსავლის რაოდენობაც დავიანგარიშეთ იმავე აღწერის მონაცემების მიხედვით.

განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მოწყვეტილი იყო მიწათმოქმედებას და ჩაბმული იყო გარესამუშაოებში.

1818 წელს გორის მაზრის ყველა კატეგორიის გლეხების მიერ მოყვანილი იყო 221902 კოდი მარცვლეული, აქედან 91075 კოდი, ანუ საერთო მოსავლის 41,04% მოყვანილი იყო 677 კომლის, ანუ მათი საერთო რაოდენობის 14%-ის მიერ. 677 კომლის წლიურ სარჩოდ 33850 კოდი პური რომ ვიანგარიშოთ, დანარჩენი 57225 კოდი, ანუ საერთო მოსავლის 25,7% შეიძლებოდა რომ ბაზარზე გამოტანილიყო. ეს კი სასაქონლო ურთიერთობის სათანადო დონით განვითარებაზე მეტყველებს.

დაახლოებით ასეთივე დაწვრილებითი ცნობებია მოცემული კიდევ 1842 წლის კახეთის (სიღნაღისა და თელავის მაზრა) სახელმწიფო გლეხების კამერალურ აღწერაში[22]. სულ 1842 წელს კახეთის 112 სოფელში აღწერილი იყო 6689 კომლი სახელმწიფო გლეხი. ამათგან 1529 კომლი სახელმწიფო მიწების სიმცირის გამო საბატონო და საეკლესიო მიწებზე სახლობდნენ. მათ შესახებ აღწერებში მხოლოდ ზოგადი ცნობებია მოცემული. ამიტომ მათი დაჯგუფება ვერ ხერხდება. სახელმწიფო მიწებზე მცხოვრები 5160 კომლის ქონება კი დაწვრილებით არის აღნუსხული. აღნიშნულია თითოეული კომლის სარგებლობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწის ფართობი, მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის ოდენობა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა და სხვ. როგორც აღწერებიდან დავიანგარიშეთ, კახეთის 5160 კომლ სახელმწიფო გლეხის სარგებლობაში ყოფილა სულ 28107 დღიური მიწა, რაც კომლზე საშუალოდ დაახლოებით 5 1/2 დღიურს შეადგენს. მაგრამ სინამდვილეში ეს მიწები ცალკეულ კომლებს შორის შემდეგნაირად ყოფილა განაწილებული:

არ ჰქონდა მიწა, არც ვენახი	560	კომლს
არ ჰქონდა მიწა, ჰქონდა ვენახი	495	„
1—2 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა	1223	„
3-დან 15 დღიურამდე მიწა ჰქონდა	2365	„
15 დღიური და მეტი მიწა ჰქონდა	509	„

მიწის ფართობის მიხედვით რომ დავაჯგუფოთ გლეხები, გამოვა, რომ კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრაში):

[22] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 1933, 1942, 1943, 2041, 2042.

ღარიბი გლეხი იყო 2286 კომლი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 44,3%

საშუალო „ 2365 „ „ „ „ 45,8%

მდიდარი „ 509 „ „ „ „ 9,8%

მაგრამ გლეხთა ეკონომიკური ყოფის რეალური სურათის აღსადგენად, როგორც აღვნიშნავდით, საჭიროა გავითვალისწინოთ ცალკეული კომლების მუშა პირუტყვისა და მათ მიერ მოყვანილი მოსავლის რაოდენობაც. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კახეთის გლეხების დაჯგუფების დროს, ვინაიდან აქ სახელმწიფო გლეხებს საკუთრად დაჩემებული მიწის ნაკვეთების გარდა დიდი რაოდენობით ჰქონდათ საერთო სასოფლო მიწები. საერთო სასოფლო მიწების ფართობი განსაკუთრებით დიდი იყო სიღნაღის მაზრაში, აქ იგი ცალკეული კომლების სარგებლობაში მყოფი მიწების ფართობს ბევრად აჭარბებდა. ასეთ პირობებში, გლეხობის ეკონომიკური ჯგუფების დასადგენად მუშა პირუტყვისა და მარცვლეულის მოსავლის გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მცირე ნაკვეთის მქონე, მაგრამ მუშა პირუტყვით უზრუნველყოფილ გლეხს შეეძლო განუსაზღვრელი რაოდენობით დაემუშავებინა საერთო სასოფლო მიწა და ეკონომიკურად გაცილებით უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით, მხოლოდ საკუთრად დაჩემებული მიწის ფართობის განსაზღვრის დროს გამოჩნდა, ანდა პირიქით, მიწის დიდი ნაკვეთის მქონე, მაგრამ გამწევ ძალას მოკლებულმა გლეხმა შეიძლება ეკონომიკურად უფრო სუსტ ჯგუფში გადაინაცვლოს. კახეთის გლეხების დაჯგუფების დროს აუცილებელია მარცვლეულთან ერთად ღვინის მოსავლის გათვალისწინებაც, ვინაიდან კახეთი ძველთაგანვე მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი იყო. აქ მეღვინეობას დიდი ხანია სასაქონლო ხასიათი ჰქონდა მიღებული და მრავლად იყვნენ ისეთი გლეხები, რომლებსაც მარცვლეული ან სავსებით არ მოჰყავდათ, ან მცირე რაოდენობით თესლნენ მას და უმთავრეს ყურადღებას ღვინის დაყენება-დაწურვას უთმობდნენ. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის, ღვინის მოსავლისა და მუშა პირუტყვის გათვალისწინებას, კარგად ჩანს 1842 წლის კახეთის სახელმწიფო გლეხთა აღწერებიდან. საილუტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სოფელ ფანიანში მცხოვრებ გლეხს გოგია ბეგიაშვილს, რომელსაც მხოლოდ 2 დღიური მიწა ჰქონდა, მაგრამ ჰყავდა 80 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ე. ი. მას სავსებით

დამოუკიდებლად შეეძლო გუთნის გამართვა), მოჰყავდა 400 კოდი პური, 100 კოდი ქერი და 21 1/2 საპალნე ღვინო[23]. იმავე ფანიანში მცხოვრებ სესია ღვედაშვილს საერთოდ არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, ჰყავდა 30 სული პირუტყვი და მოჰყავდა 200 კოდი პური, 100 კოდი ქერი და 14 საპალნე ღვინო[24], ასევე უმიწო, მაგრამ 12 სული პირუტყვის პატრონ გრიგოლ ჯალიაშვილს მოჰყავდა 200 კოდი პური, 100 კოდი ქერი და 6 საპალნე ღვინო[25]; ფანიანშივე მცხოვრებ სოსო ბასილაშვილს არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, მაგრამ ჰყავდა 40 სული ხარ-ძროხა და მოჰყავდა 300 კოდი პური, 180 კოდი ქერი და 14 საპალნე ღვინო[26], სოფელ პრასიანში მცხოვრებ სოლომონ მამაიაშვილს არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, ჰყავდა 18 სული საქონელი და მოჰყავდა 240 კოდი მარცვლეული და 7 საპალნე ღვინო[27], სოფელ მირზაანში უმიწო გლეხების ერთ კომლს, რომელსაც 20 სული პირუტყვი ჰყავდა, მოჰყავდა 280 კოდი მარცვლეული და 6 საპალნე ღვინო[28]. მეორე 16 სული პირუტყვის პატრონ კომლს — 230 კოდი მარცვლეული და 6 საპალნე ღვინო[29], მესამე 15 სული პირუტყვის პატრონ კომლს — 300 კოდი მარცვლეული და 3 საპალნე ღვინო[30], მეოთხე კომლს კი, რომელსაც 40 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავდა, მოჰყავდა 490 კოდი მარცვლეული და 4 საპალნე ღვინო[31]; სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრებ ნინია რობიტაშვილს ჰქონდა 3 დღიური სახნავ-სათესი მიწა, ჰყავდა 48 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და მოჰყავდა 600 კოდი მარცვლეული და 21 1/2 საპალნე ღვინო[32], სოფელ ზემო ხოდაშენში მცხოვრებ ერთ კომლ გლეხს, რომელსაც 4 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა, მარცვლეული საერთოდ არ მოჰყავდა, სამაგიეროდ აყენებდა 12 საპალნე ღვინოს[33], ასევე სოფელ ველისციხეში მცხოვრებ მეორე კომლს 2 დღიურ სახნავ-სათეს მიწაზე მარცვლეული

---

[23] სცსსა, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 1933, ფურც. 227.
[24] იქვე, ფურც. 232.
[25] იქვე, ფურც. 234.
[26] იქვე, ფურც. 225.
[27] იქვე, ფურც. 306.
[28] იქვე, ფურც. 339.
[29] იქვე
[30] იქვე.
[31] იქვე, ფურც. 361.
[32] იქვე, ფურც. 453.
[33] იქვე, საქ. 1943, ფურც. 10.

არ მოჰყავდა, ღვინოს ისიც 12 საპალნეს სწურავდა[34], სოფელ ენისელში მცხოვრებ გლეხს 5 დღიურ სახნავ-სათეს მიწაზე მოჰყავდა 25 კოდი მარცვლეული, ღვინოს აყენებდა 10 საპალნეს[35], სოფ. პატარა საქობოში მცხოვრებ ერთ კომლ გლეხს 10 დღიურ სახნავ-სათეს მიწაზე მოჰყავდა მხოლოდ 35 კოდი მარცვლეული, ღვინოს სწურავდა 9 საპალნეს[36], სოფელ ჯუღაანში მცხოვრებ გლეხს, რომელსაც სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არა ჰქონდა, მოჰყავდა 13 საპალნე ღვინო[37], ველისციხელ გლეხს, რომელსაც 8 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა, მოჰყავდა მხოლოდ 40 კოდი მარცვლეული, ღვინოს კი სწურავდა 36 საპალნეს[38]. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეგვეძლო, მაგრამ ვფიქრობთ საჭირო აღარ არის. მხოლოდ მიწის ფართობის, ან მხოლოდ მარცვლეულის მოსავლის რაოდენობის მიხედვით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გლეხი ღარიბი გლეხობის ჯგუფს მიეკუთვნება, მაშინ, როცა ფაქტიურად მათი უმეტესობა სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტს წარმოადგენს. სავსებით აშკარაა კახეთის გლეხობის ეკონომიკური ჯგუფების დადგენისას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის, ღვინის მოსავლისა და მუშა პირუტყვის რაოდენობის გათვალისწინებას.

როგორც აღწერის მონაცემებიდან დავიანგარიშეთ, 1842 წელს კახეთში 5160 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰყოლია სულ 25 776 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აქედან 2368 კომლს, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 45,9%-ს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი. ე. ი. ეს 2368 კომლი მოკლებული იყო გამწევ ძალას და მათ ნაწილს ან საკსებით არ მოჰყავდა მარცვლეული, ან უმთავრესად მოჰყავდა მცირე რაოდენობით. 904 კომლს კი ჰყავდა თითოეულს 10 და მეტი სული საქონელი; მათ მფლობელობაში იყო 13 352 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 17,5%-ის ხელში თავმოყრილი იყო მთელი საქონლის 67,3%. როგორც ვხედავთ, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის უდიდესი ნაწილი ერთი მუჭა მდიდარ გლეხთა საკუთრება იყო. როგორც წესი, მცირე გამონაკლისის გარდა, სწორედ ეს გლეხები იყვნენ მარცვლეულის დიდი

---

[34] იქვე, საქმე 2041, ფურც. 56.
[35] იქვე, საქ. 1942, ფურც. 5.
[36] იქვე, საქ. 1933, ფურც. 124.
[37] იქვე, საქ. 1933, ფურც. 219.
[38] იქვე, საქ. 2041, ფურც. 39.

რაოდენობით ძოძყვანნი[39]. დანარჩენ 1888 კომლზე 8424 სული პირუტყვი მოდიოდა; ზოგ მათგანს ჰყავდა თითო-ოროლა სული, ზოგს 4—5 და ზოგს 8—9-ც. 1842 წელს კახეთის სახელმწიფო გლეხებს მოუყვანიათ სულ 327344 კოდი მარცვლეული, რაც კომლზე საშუალოდ 63 კოდს შეადგენს[40]. ერთი კომლის წლიურ სარჩოდ, შინაური ფრინველისა და პირუტყვის გამოსაკვებად და გადასახადების დასაფარავად 50—60 კოდი მარცვლეული რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ კახეთის სახელმწიფო გლეხების მიერ მოყვანილი მოსავლიდან 17744 კოდი, ანუ მოსავლის 5,4% შეიძლებოდა მხოლოდ გამოტანილიყო ბაზარზე. მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა სხვაგვარი იყო. 5160 კომლიდან 761 კომლს საერთოდ არ მოჰყავდა მარცვლეული და იძულებული იყო წლიური სარჩო თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ან წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობით შეეძინა; 1709 კომლს მოჰყავდა 30 კოდამდე მარცვლეული, რაც, რა თქმა უნდა, წლიურ სარჩოდ არ უნდა ყოფილიყო საკმარისი და იძულებული იყო დამატებით გარესაშოვრებისათვის მიემართა. 100 და მეტი კოდი პური მოიყვანა 977 კომლმა, ე. ი. თითოეული მათგანი თავისი მოსავლის 50% და ხშირად მეტსაც საბაზროდ აწარმოებდა. სულ 977 კომლმა, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 19%-მა 178786 კოდი, ანუ მარცვლეულის საერთო მოსავლის ნახევარზე მეტი — 54% მოიყვანა. 977 კომლის წლიურ სარჩოდ 58620 კოდი უნდა ყოფილიყო საკმარისი. გამოდის, რომ 977 კომლს ბაზარზე შეეძლო გამოეტანა 120166 კოდი პური, ანუ საერთო მოსავლის 36,6% გამოდიოდა გასაყიდად. 100 და მეტი კოდი პურის მომყვან 977 კომლიდან 695 კომლი ნახევრად ან სავსებით უზრუნველყოფილი იყო მუშა პირუტყვით.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, კახეთის გლეხობის დასაჯგუფებლად აუცილებელია ღვინის მოსავლის რაოდენობის გათვალისწინებაც. 1842 წელს კახეთის 5160 კომლ სახელმწიფო გლეხს

---

[39] 10 და მეტი სული საქონლის მფლობელი 904 კომლიდან დიდი რაოდენობით მარცვლეული (100 და მეტი კოდი) მოჰყავდა 695 კომლს, დანარჩენ 209 კომლს კი შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით მოჰყავდა მარცვლეული. სამაგიეროდ მათი ნაწილი დიდ ყურადღებას უთმობდა მეღვინეობას.

[40] მარცვლეულის მოსავლის რაოდენობა გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ კახეთის სახელმწიფო გლეხების 1842 წლის აღწერების მონაცემების მიხედვით. სცსსა, ფ. 254, ან. I, საქ. 1933, 1942, 1943, 2041, 2042.

14706 საპალნე ანუ 308826 ფუთი ღვინო დაუყენებია[41], 908 კომლს არ ჰქონდა ვენახი და ღვინოს არ წურავდა. 10 და მეტ საპალნე ღვინოს აყენებდა 197 კომლი, მათ დააყენეს სულ 3176 1/2 საპალნე; ე. ი. კომლთა საერთო რაოდენობის 3,8%-ის ხელთ ღვინის მთელი მოსავლის 21,6% იყო კონცენტრირებული.

მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის რაოდენობის მიხედვით გლეხების დასაჯგუფებლად საჭიროა გამოვნახოთ ექვივალენტი ღვინისა და მარცვლეულისათვის. 40-იან წლებში კახეთში ერთი საპალნე ღვინო ოფიციალური მოხელეების მიერ 10 მანეთად იყო შეფასებული, 1 კოდი პური კი — 1 მანეთად. მაშასადამე, ჩვენ არ შევცდებით, თუ 1 საპალნე ღვინოს 10 კოდ მარცვლეულს გავუთანაბრებთ და პირობითად საპალნე ღვინის მოსავალს 10 კოდ მარცვლეულად ვიანგარიშებთ[42]. 40-იან წლებში 1 დღიურ მიწაზე საშუალოდ 10 კოდი მარცვლეული მოდიოდა. ჩვენ თუ ამით ვიხელმძღვანელებთ და ზემოთ აღებული პრინციპის შესაბამისად 30—40 კოდამდე ღვინისა და მარცვლეულის მომყვან გლეხებს და ვისაც საერთოდ არ მოჰყავდა პური და ღვინო, ღარიბ გლეხებს მივაკუთვნებთ, 40 კოდიდან 150 კოდამდე პურისა და ღვინის მომყვანებს—საშუალოს და 150 და მეტი კოდის მომყვანთ კი—მდიდრებს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ღარიბი გლეხი იყო 1968 კომლი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის					38,14%,
საშუალო	„	2242	„	„	„ 43,45%,
მდიდარი	„	950	„	„	„ 18,41%.

როგორც ვხედავთ, მარცვლეულისა და მოსავლის გათვალისწინების შედეგად, გაცილებით უფრო მეტი შეძლებული გლეხი გამოვლინდა, ვიდრე ეს მხოლოდ მიწის ფართობის მიხედვით გლეხობის დაჯგუფების დროს ჩანდა[43].

---

[41] საპალნე უდრიდა 21 ფუთს. ღვინის მოსავლის რაოდენობა, ისევე როგორც მარცვლეულისა და მსხვილფეხა საქონლისა, გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1842 წლის თელავისა და სიღნაღის მაზრების სახელმწიფო გლეხთა აღწერების მონაცემების მიხედვით. იხ. სცსსა, ფ. 254, ან.1 , საქ. 1933, 1942, 2041, 2042, 1943.

[42] ქვემოთ, გლეხობის დაჯგუფებისას ჩვენ ვითვალისწინებთ ღვინისა და მარცვლეულის მოსავალს და ერთ საპალნე ღვინოს 10 კოდ მარცვლეულად ვანგარიშობთ.

[43] მიწის ფლობის მიხედვითაც ხომ ასე იყო დაჯგუფებული: უმიწო და 3 დღ. მიწის პატრონი გლეხები ღარიბებს მიეკუთვნებოდნენ, 3-დან 15-მდე დღიურის მფლობელნი — საშუალოს და 15 და მეტი დღიურისა — მდიდარს.

ფეოდალურ-ბატონყმური ხანის სოფლისათვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო საშუალო გლეხის ტიპი, რომელიც გლეხური მოსახლეობის უმრავლესობას, დაახლოებით 2/3-ს შეადგენდა. კახეთის სახელმწიფო გლეხებში კი 1842 წლისათვის საშუალო გლეხობა ნახევარზე ნაკლებია. იგი მათი საერთო მასის 43%-ს შეადგენს. სამაგიეროდ მის საერთო მასას გამოყოფია ერთი მხრივ ღარიბი (38,14%) და მეორე მხრივ შეძლებული (18,41%) გლეხობა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, კახეთის საბატონო და საეკლესიო მიწებზე მცხოვრებ 1529 კომლ სახელმწიფო გლეხის შესახებ აღწერებში მხოლოდ ფრაგმენტული ცნობებია მოცემული და მათი დაჯგუფება ვერ ხერხდება. მაგრამ ამ ცნობების გულდასმით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მათ შორისაც ქონებრივი დიფერენციაცია ღრმად უნდა ყოფილიყო წასული. 1529 კომლიდან 1021 ცხოვრობდა საეკლესიო მიწებზე, 443—საბატონო მიწებზე და 65 კომლი — საკუთარ, „ნასყიდ“ მიწებზე. თუ რამდენი დღიური მიწა ჰქონდა „ნასყიდი“ თითოეულ მათგანს, აღწერიდან არ ჩანს. მხოლოდ ზოგიერთის შესახებ არის ასეთი ცნობები მოცემული, მაგ. კარდანახში მცხოვრებ ერთ კომლს ჰქონდა 6 დღიური ნასყიდი მიწა, 2 კომლს 4—4 დღიური და ერთ კომლს 15 დღიური[44]; ვეჯინში მცხოვრებ რევაზ ხარიტონაშვილს ჰქონდა „ნასყიდი“ 40 დღიური სახნავ-სათესი მიწა და 4 დღიური ვენახი[45], სოფელ ბაკურციხეში მოსახლე 2 კომლს ჰქონდა 15—15 დღიური ნასყიდი სახნავ-სათესი მიწა, ამავე სოფელში მცხოვრებ გოგია ჯამასპაშვილს ჰქონდა 60 დღიური სახნავ-სათესი მიწა, 8 დღიური ვენახი და წისქვილი[46]. სოფელ საყდრიონში მცხოვრებ ერთ კომლს ჰქონდა 36 დღიური ნასყიდი მიწა, საიდანაც მოჰყავდა 300 კოდი პური, ჰქონდა 4 დღიური ვენახი—აყენებდა 15 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 40 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 800 ცხვარი[47]. მათ გვერდით იყვნენ ისეთი გლეხები, რომლებსაც არაფერი არ გააჩნდათ და იძულებული იყვნენ საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ეცხოვრათ. სახელდობრ, საბატონო და საეკლესიო მიწებზე მოსახლე 161 კომლ სახელმწიფო გლეხის შესახებ აღწერაში ნათქვამია, რომ არაფერი არ აქვთ და დღიური შრომით ირჩენენო თავს. საეკლესიო მიწებზე მოსახლე

---

[44] სცსსა, ფონდი 254, ანაწ. 1, საქ. 2041, ფურც. 93—99.

[45] იქვე, ფურც. 105—107.

[46] იქვე, ფურც. 100—102.

[47] იქვე, საქ. 2042, ფურც. 290—296.

სახელმწიფო გლეხების ქონებრივი უთანასწორობა კარგად ჩანს მათი გადასახადებიდანაც. 851 კომლი სახელმწიფო გლეხი[48] საეკლესიო მიწებით სარგებლობისათვის იხდიდა ფულად რენტას 2236 მანეთის რაოდენობით, რაც საშუალოდ კომლზე 2 მანეთსა და 62 კაპიკს შეადგენს. მაგრამ სინამდვილეში გადასახადები ასე თანაბრად განაწილებული არ ყოფილა. გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო გლეხის ეკონომიკურ შეძლებაზე. 60—80 კაპიკი გადასახადის გამომღები გლეხების გვერდით იყვნენ გლეხები, რომლებიც იხდიდნენ 5, 6, 10, 15, 20 და 33 მანეთსაც კი.

თელავის მაზრიდან ჩვენ განზრახ ცალკე გამოვყავით თუშეთი, ვინაიდან თუშეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა და არა მიწათმოქმედება და მეღვინეობა. თუშეთში— გომეწრის, პირიქით, ჩაღმა და წოვათუშეთის 46 სოფელში ცხოვრობდა 906 კომლი სახელმწიფო გლეხი. მათ ჰქონდათ 3791 დღიური სახნავ-სათესი მიწა, რაც კომლზე საშუალოდ 4,18 დღიურს შეადგენდა[49]. 305 კომლს არ ჰქონდა სახნავი მიწები. წოვა-თუშეთში ასევეთით არ იყო სახნავი მიწები. საერთოდ თუშეთის მაღალმთიანი ჰავა მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი იყო. მარცვლეულის მოყვანას აქ მეორეხარისხოვანი, დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. თუშეთში სულ მოჰყავდათ მხოლოდ 17 740 კოდი პური[50], ე. ი. კომლზე საშუალოდ მოდიოდა 19—20 კოდი, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო. იყვნენ გლეხები, რომელთაც 20—30 დღიური მიწა ჰქონდათ, მაგრამ ერთი კომლის მაქსიმალური მოსავალი 50—60 კოდს არ აღემატებოდა. ამიტომ თუშეთის გლეხთა ეკონომიკური ჯგუფების დადგენისას მიწის ფართობსა და მარცვლეულის რაოდენობას ვერ დავუდებთ საფუძვლად. ასევე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებასაც. 966 კომლს ჰყავდა სულ 3558 სული პირუტყვი.

თუშების ძირითად საარსებო წყაროს მეცხვარეობა წარმოადგენდა და ჩვენ არ შევცდებით თუ გლეხობის ეკონომიკური დაჯგუფებისათვის საფუძვლად ცხვრის რაოდენობას ავიღებთ. 1842 წელს

---

[48] დანარჩენი გლეხების გადასახადების შესახებ ცნობები არ არის.

[49] თუშეთის სახელმწიფო გლეხების სახნავ-სათესი მიწის ფართობი გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1842 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით; იხ. სცსსა, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 2042, ფურც. 69—235.

[50] მარცვლეულის მოსავლის რაოდენობაც გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ იმავე აღწერის მონაცემების მიხედვით.

თუშეთში 906 კომლს ჰყავდა სულ 85420 სული ცხვარი[51], რაც საშუალოდ კომლზე 94 სულს შეადგენდა. მაგრამ სინამდვილეში ცხვრის რაოდენობა ასე როდი იყო განაწილებული. 906 კომლიდან სულ არ ჰყავდა ცხვარი 426 კომლს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 47,01%-ს; 300-მდე ცხვარი ჰყავდა 420 კომლს. მათ ჰყავდათ სულ 43 120 ცხვარი, ანუ სახელმწიფო გლეხების 46,35%-ს ჰყავდა ცხვრის საერთო რაოდენობის 50%. 300-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა 60 კომლს. მათ ჰყავდათ სულ 42 300 სული, ანუ გლეხობის რაღაც 6,6%-ის ხელში იყო თავმოყრილი ცხვრის საერთო რაოდენობის თითქმის 50%.

უცხვარო გლეხებს თუ ღარიბ-ღატაკთა რიცხვს მივაკუთვნებთ, 300-მდე ცხვრის პატრონებს—საშუალოს და 300 და მეტი ცხვრის მფლობელებს — მდიდრებს, გამოვა, რომ:

ღარიბი გლეხობა იყო 426 კომლი ანუ მათი საერთო რაოდენობის 47%,					
საშუალო	„	„	420	„	„ 46,4%.
მდიდარი	„	„	60	„	„ 6,6%.

თუშეთი მთიანი მხარეა და აქ მიმოსვლისა და ტვირთის გადასაზიდი ერთადერთი საშუალება ცხენი იყო, ამიტომ მეცხვარეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენების რაოდენობასაც. სულ 906 კომლს ჰყავდა 2629 ცხენი. 328 კომლს საერთოდ არ ჰყავდა ცხენი, 10 და მეტი ცხენი ჰყავდა 65 კომლს. სულ მათ ჰყავდათ 1147 ცხენი, ე. ი. მათ ხელში იყო ცხენების საერთო რაოდენობის 43,62%. უმთავრესად სწორედ ეს 65 კომლი იყო 300-ზე მეტი ცხვრის პატრონი მდიდარი გლეხი.

როგორც ვხედავთ, გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია ამ მთიან მხარეშიც ღრმად იყო წასული, საშუალო გლეხების მასიდან ერთი მხრივ გამოყოფილი იყო ღარიბ-ღატაკი გლეხობა და მეორე მხრივ ერთი მუჭა მდიდრები, რომელთა ხელშიც თავმოყრილი იყო თუში გლეხების საარსებო საშუალებათა თითქმის 50%.

დაბოლოს ჩვენ განვიხილავთ ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკურ მდგომარეობას.

1842 წელს ახალციხის მაზრის 51 სოფელში სახელმწიფო მიწებზე მცხოვრები 1302 კომლი სახაზინო გლეხი იყო აღწერილი,

---

[51] თუშეთის სახელმწიფო გლეხების ცხვრის რაოდენობა გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ აღწერის მონაცემების მიხედვით; იხ. სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქმ. 2042.

რომლებიც ფლობდნენ სულ 3816 დღიურ სახნავ-სათეს მიწას, ე. ი. კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,9 დღიური. როგორც ვხედავთ, ახალციხის მაზრის გლეხების სარგებლობაში გაცილებით უფრო ნაკლები მიწა ყოფილა, ვიდრე სხვა მაზრებისა (მაგ. თელავის მაზრაში საშუალოდ 8 1/2 დღიური მოდიოდა კომლზე, სიღნაღის მაზრაში 3,7 დღიური, გორის მაზრაში 5 დღიური და სხვ.). რა თქმა უნდა, კომლებს შორის მიწა ასე თანაბრად არ ყოფილა განაწილებული. იყო კომლები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ მიწა, სახელდობრ 252 კომლს სავსებით არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა.

1—2 დღიური მიწა ჰქონდა	399 კომლს,
3-დან 15 დღიურამდე მიწა ჰქონდა	644 კომლს,
15 და მეტი დღიური „ „	7 კომლს[52].

ახალციხის მაზრაში ერთი კომლის სარგებლობაში მყოფი მიწის მაქსიმალური ფართობი 20 დღიურს არ აღემატებოდა, ისიც მხოლოდ 2 კომლს ჰქონდა. მიწის ფართობის მიხედვით რომ დავაჯგუფოთ გლეხები, გამოვა, რომ ახალციხის მაზრაში:

ღარიბი გლეხობა იყო			651	კომლი,	ანუ	მათი	საერთო	რაოდენობის 50%,
საშუალო	„	„	644	„	„	„	„	49,5%,
მდიდარი	„	„	7	„	„	„	„	0,5%.

მხოლოდ მიწის ფართობის მიხედვით გლეხების დაჯგუფებიდან გამომდის, რომ ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხების ნახევარი ღარიბი იყო, ნახევარი კი საშუალო შეძლებისა და მხოლოდ 7 კომლი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 0,5% შეიძლება მივაკუთვნოთ ასე თუ ისე შეძლებულთა რიცხვს, მაშინ, როცა აღწერის შემდგენლები 174 კომლის შესახებ აღნიშნავდნენ, რომ ისინი საუკეთესოდ ცხოვრობდნენ (живут отлично), 361 — კომლის შესახებ კარგად და საშუალოდ (живут хорошо и посредственно) და 656 კომლის შესახებ ღარიბულადო. მართალია, ახალციხის მაზრის გლეხებს მიწა შედარებით მცირე რაოდენობით ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთი საქართველოს პურის ბეღელს წარმოადგენდა. აქაური მიწები მეტად ნაყოფიერი იყო და ჰავაც მარცვლეულის მოსაყვანად შესაფერისი, ამიტომ აქაურ მოსახლეობას შედარებით

[52] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1945.

პატარა ფართობზე დიდი მოსავალი მოჰყავდა. იყვნენ ისეთი კომლები, რომელთაც 200, 300 და 400 კოდზე მეტი მარცვლეულიც კი მოჰყავდათ. რა თქმა უნდა, ასეთებს ჩვენ ღარიბებისა და საშუალო გლეხების კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ.

როგორც აღწერის მონაცემებიდან დავიანგარიშეთ, 1842 წელს ახალციხის მაზრაში სახელმწიფო გლეხებს მოუყვანიათ სულ 107717 კოდი მარცვლეული, რაც კომლზე საშუალოდ 82,73 კოდს შეადგენს[53]. ერთი კომლის წლიურ სარჩოდ, სათესლედ, შინაური ფრინველისა და პირუტყვის გამოსაკვებად და გადასახადების დასაფარავად 50 კოდი მარცვლეული რომ ვიანგარიშოთ, საშუალო ციფრების მიხედვით გამოდის, რომ ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხების მიერ მოყვანილი მოსავლიდან 42617 კოდი ანუ მოსავლის 39,56% შეიძლებოდა გამოტანილიყო ბაზარზე. მაგრამ სინამდვილეში კიდევ უფრო მეტი მარცვლეული იწარმოებოდა საბაზროდ. 1302 კომლიდან 250 კომლს საერთოდ არ მოჰყავდა მარცვლეული და იძულებული იყო წლიური სარჩო წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობით, ან თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით შეეძინა, 371 კომლს მოჰყავდა 30 კოდამდე პური, რაც, რა თქმა უნდა, წლიურ სარჩოდ არ უნდა ყოფილიყო საკმარისი და მათი უმეტესობა იძულებული იყო დამატებით გარესაშოვრისათვის მიემართა. 100 და მეტი კოდი მარცვლეული მოიყვანა 313-მა კომლმა, ე. ი. თითოეული მათგანი თავისი მოსავლის 50% და ხშირად მეტსაც საბაზროდ აწარმოებდა. სულ 313-მა კომლმა ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 24%-მა მოიყვანა 74204 კოდი მარცვლეული, ანუ მთელი მოსავლის 68,88%. 313 კომლის წლიურ სარჩოდ 15650 კოდი უნდა ყოფილიყო საკმარისი. გამოდის, რომ 313 კომლს ბაზარზე შეეძლო გაეტანა 58 554 კოდი პური, ე. ი. საერთო მოსავლის 54, 3% გადიოდა ბაზარზე.

მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით თუ დავაჯგუფებთ გლეხებს და ზემოთ აღებული პრინციპის თანახმად, 30 კოდამდე პურის მომყვანთ, და ვისაც საერთოდ არ მოჰყავდა მარცვლეული ღარიბ გლეხებს მივაკუთვნებთ, 40-დან 150 კოდამდე პურის მომყვანებს — საშუალოს და 150 და მეტი კოდის მომყვანთ კი—მდიდრებს, გამოვა, რომ:

---

[53] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 1945, ფურც. 13—520.

ღარიბი გლეხი იყო 618 კომლი, ანუ საერთო რაოდენობის 47,5%,
საშუალო „ „ 457 „ „ 35,1%,
მდიდარი „ „ 227 „ „ 17,4 %.

მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით გლეხობის დაჯგუფებამ სრულიად სხვა სურათი მოგვცა. აქ უკვე აშკარად გამოჩნდა გლეხობის დიფერენციაცია. ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხების თითქმის ნახევარი ღარიბი იყო, დაახლოებით 1/3 საშუალო და დაახლოებით 1/4 მდიდარი. როგორც არაერთხელ აღვნიშნავდით, მარცვლეულის მოყვანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობის გათვალისწინებასაც. ამ მხრივ 1842 წ. ახალციხის მაზრაში შემდეგი მდგომარეობა იყო. 1302 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰყავდა სულ 8938 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[54]. აქედან 174 კომლს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 13,36%-ს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი. ე. ი. ეს 174 კომლი საკვებით მოკლებული იყო გამწევ ძალას და მათ ნაწილს ან საკვებით არ მოჰყავდა მარცვლეული, ან მოჰყავდა მცირე რაოდენობით. 410 კომლს კი ჰყავდა თითოეულს 10 და მეტი სული საქონელი. საერთოდ მათ ჰყავდათ 5864 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 34,8%-ის ხელში თავმოყრილი იყო მთელი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 65,6%. როგორც წესი, თითოეროლა გამონაკლისის გარდა სწორედ ეს გლეხები იყვნენ 100 და მეტი კოდი პურის მომყვანნი.

მარცვლეულის მოყვანის გარდა ახალციხის მაზრის გლეხები მებაღეობა-მეხილეობასაც მისდევდნენ. მაგრამ, როგორც ეტყობა, 40-იანი წლებისათვის სოფლის მეურნეობის ამ დარგს მათთვის მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა და მებაღეობა-მეხილეობიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 803 მანეთს უდრიდა.

ჩვენ მიერ განხილული მასალების საფუძველზე შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფელში ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად, ქონებრივი დიფერენციაცია ღრმად იყო წასული და გლეხობის ძირითად ბირთვს, მათ უმეტესობას საშუალო გლეხობა კი აღარ წარმოადგენდა, როგორც ეს ფეოდალურ-ბატონყმური ხანი-

---

[54] ახალციხის მაზრის სახელმწიფო გლეხების პირუტყვის რაოდენობა გამოვიანგარიშეთ აღწერის მონაცემების მიხედვით. იხ. სცსსა, ფ. 254, ან. I, საქ. 1945, ფურც. 13—520.

სათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, არამედ მათი უმეტესობა ღარიბი გლეხობა იყო. გარდა ამისა საშუალო გლეხებს გამოეყო მდიდარი გლეხების ფენა. თუ რამდენად იყო გადასული ქონებრივი დიფერენციაცია გლეხობის კლასობრივ დაშლაში, რას წარმოადგენდა ღარიბი და მდიდარი გლეხობის ფენა, ამის შესახებ მსჯელობა გვექნება სხვა საკითხების შესწავლის შემდეგ, როცა უფრო ნათლად გამოჩნდება ღარიბი და მდიდარი გლეხების საქმიანობა.

თავი III

ფულადი და ნატურალური გადასახადები და ფეოდალური რენტის ფორმები

§ 1. სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო ბეგარა-გადასახადები

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში XIX ს-ის ბეგარა-გადასახადების საკითხი არაერთმა მკვლევარმა გაიხადა სპეციალური, ყოველმხრივი კვლევის ობიექტად, რის შედეგადაც ამ საკითხზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს[1], რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ გამოკვლევებზე, სადაც სხვა საკითხებთან დაკავშირებით ავტორების მიერ ბეგარა-გადასახადების ესა თუ ის მხარეც არის შესწავლილი[2].

დადგენილია ცალკეული სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო ბეგარა-გადასახადის წარმოშობა-ოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, დაწვრილებითაა განხილული მათი მრავალრიცხოვანი ფორმები, აღნიშნულია ის ძვრები, რაც მოხდა ბეგარა-გადასახადების სახეობათა ხვედრითი წონის ცვალებადობა-

---

[1] И. Г. Антелава. Подати и повинности государственных крестьян Грузии до введения новой податной системы в 1843—1845 гг, Государственные крестьяне Грузии в XIX веке. т. I, Сухуми, 1955; ლ. გვახარია. სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1960; А. Я. Панцхава. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М, 1957; Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1973; დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ. 1971; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970; ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967 და სხვ.

[2] Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—20 гг. МИК. 1942, вып-III; ვ. ტოგონიძე. ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წ., თბ., ა. კიკვიძე. გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ. თბ., და სხვ. მრავალი.

ში XIX ს-ის პირველი ნახევრის მთელ სიგრძეზე და მრავალი სხვა საკითხი. ამის გამო ჩვენ აღარ შევჩერდებით ცალკეული ბეგარა-გადასახადის წარმოშობის კვლევაზე, არამედ დავკმაყოფილდებით იმ სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო ბეგარა-გადასახადების უბრალო ჩამოთვლით, რომელიც არსებობდა საქართველოში მისი რუსეთთან შეერთების პერიოდში. ჩვენ ყურადღებას უმთავრესად გავამახვილებთ ბეგარა-გადასახადების სახეობათა ხვედრითი წონის შესახებ არსებულ მსჯელობაზე და ჩვენ მიერ გამოვლენილი ახალი, დღემდე უცნობი მასალების მოშველიებით შევეცდებით გამოვავლინოთ ის ტენდენციურობა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ საკითხებზე მსჯელობისას მკვლევართა უმეტესობას ახასიათებს.

XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგი სახელმწიფო გადასახადები არსებობდა:

ს უ რ ს ა თ ი—საყოველთაო სახელმწიფო გადასახადი. მას იხდიდა ყველა უწყების გლეხი სახელმწიფო, საეკლესიო თუ საბატონო ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული რაოდენობით, სახელდობრ კომლზე 2 კოდ პურსა და 1 კოდ ქერს. როგორც ლ. გვახარიას აქვს გამოკვლეული, იყო შემთხვევები, როცა სურსათს თათრული დისტანციის მოსახლეობის ნაწილი ფულით, ანუ თეთრით იხდიდა. ეს გადასახადი ჯარის გამოსაკვებად იყო განკუთვნილი[3].

კ ო დ ი ს პ უ რ ი ერთ-ერთი ძველი გადასახადი იყო და XIX საუკუნიდან მას იხდიდნენ 4 კოდამდე ხორბლის რაოდენობით[4] მხოლოდ სახელმწიფო გლეხები, ისიც არა ყველა მათგანი, არამედ მიწით სავსებით უზრუნველყოფილნი. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას მოწმობს ჩვენ ხელთ არსებული 1811 წლის საბუთი «О сборе в Кахетии (Телавском и Сигнахском уездах) сверх сурсати, податного хлеба под названием кодис пури, с одних государственных крестьян, изобилующих в хлебопашестве, с каждого дыма по 4 коды пшеницы»[5]. ასეთი კოდის პურის გადამხდელი მიწით სავსებით უზრუნველყოფილი სახელმწიფო გლეხი, изобилующие в хлебопашестве

---

[3] И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. I, 1969, с. 268—269; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა. სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 23—26.

[4] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 269—274; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 27—30.

[5] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 273, ფურც. 1.

ამ საბუთის მიხედვით 1811 წლისათვის კახეთში ყოფილა 1945 კომლი[6].

ღ ა ლ ა — საადგილმამულო გადასახადი მარცვლეულით იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელზეც იგი ითესებოდა. ღალა იყო მიწის გადასახადი, რენტა, მას იხდიდნენ ის სახელმწიფო გლეხები, რომელთაც ნადელს გარდა კიდევ ჰქონდათ აღებული დასამუშავებლად სახელმწიფო მიწები. გარდა ამისა ღალას იხდიდნენ ის საბატონო და საეკლესიო გლეხებიც, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული სახელმწიფო მიწები. ღალის რაოდენობა მერყეობდა მოყვანილი მარცვლეულის 1/10-დან — 1/5-მდე[7].

კ უ ლ უ ხ ს იხდიდნენ ის სახელმწიფო გლეხები, რომელთაც ჰქონდათ ვენახი (უმთავრესად გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში), აგრეთვე სახელმწიფო მიწებზე ვენახის მქონე სხვა კატეგორიის გლეხებიც. კულუხი იყო ღვინით გადასახადი იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელზეც ვენახი იყო გაშენებული და მერყეობდა ღვინის მოსავლის 1/10-დან — 1/4-მდე[8].

შ ა ხ ტ ა — ფეოდალურ საქართველოში გვიან დაწესებული გადასახადი ჩანს. იგი ორი სახისა იყო: ფულადი და პურადი (ნატურალური). მას იხდიდნენ მოქალაქეები, აღმოსავლეთ საქართველოს ის სახაზინო გლეხები, რომლებიც ვაჭრობა-მესაქონლეობას მისდევდნენ, და ყაზახის, ბორჩალოსა და შამშადილის დისტანციების მაჰმადიანი მოსახლეობა.

---

[6] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 273, ფურც. 1—4.

[7] ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 40; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 274—278; მისივე, გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის 30—50-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 144; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ანთელავა მხოლოდ ღალას თელის მიწის რენტად. კოდის პური, ყალანი და მახტა კი ჩვეულებრივ სახელმწიფო გადასახადებად მიაჩნია. ჩვენი აზრით, ამ საკითხში უფრო სწორი მოსაზრება გააჩნია ა. ფანცხავას, რომელიც სურსათს გარდა სხვა სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებს სახელმწიფო ფეოდალურ მიწის რენტად მიიჩნევს (А. П а н ц х а в а. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957, с. 252—253). ამ მოსაზრების დასადასტურებლად გამოდგება თუნდაც ის საბუთი, რომლის მიხედვით სახაზინო გლეხებისაგან სახელმწიფო მიწებით სარგებლობისათვის ღალა არ იკრიფებოდა საქართველოს იმ რაიონებში, სადაც კოდის პურს, ყალანს,ან მახტას იხდიდნენ (საბუთი მოტანილი აქვს ლ. გვახარიას, დასახ. ნაშრომი, გვ. 39).

[8] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 278—279; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—45.

პურად მახტას იხდიდა უმთავრესად დისტანციებში მოსახლე ვაჰმადიანი მოსახლეობა. იგი გარკვეული რაოდენობით გაიწერებოდა სასოფლო (სათემო) საზოგადოებებზე, ხოლო შემდეგ ნაწილდებოდა მის წევრებს შორის.

ფულადი მახტა ხაზინისათვის მთავარი ფულადი შემოსავალი იყო საქართველოში. როგორც ი. ანთელავას აქვს დადგენილი, იგი ხაზინის მთელი ფულადი შემოსავლის 85,3% უდრიდა. იგი იკრიფებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და მაზრებში და თათრულ დისტანციებში[9].

მ ა ლ ი სახელმწიფო ფულადი გამოსაღები იყო, რომელსაც იხდიდნენ გორისა და თბილისის მამრობითი სქესის მოქალაქეები და სახელმწიფო გლეხები. მალი იკრიფებოდა უცოლშვილო მამაკაცებიდან (15 წლის ზევით) 3 აბაზის, ხოლო ცოლშვილიანებიდან — 6 აბაზის რაოდენობით[10].

სახელმწიფო გადასახადს ს ა ბ ა ლ ა ხ ე ს იხდიდნენ ის გლეხები (ყველა კატეგორიისა), რომლებიც სახელმწიფო საძოვრებზე საქონელს აძოვებდნენ. საბალახეს უმთავრესად იხდიდა მთიანი რაიონების მოსახლეობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში, რომელთათვისაც მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. საბალახეს იხდიდნენ ყოველ 100 სულ ცხვარზე 2 ცხვარსა და ერთ ბატკანს[11].

ყ ა ლ ა ნ ს XIX ს-ში მხოლოდ დუშეთის მაზრის სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ პურის შემოსავლის ნაწილის სახით. ყალანით იბეგრებოდა არა კომლები, არამედ საკომლო მიწის ნაკვეთები და ანგარიში ეწეოდა არა ამ საკომლოზე მოსახლე კომლთა რაოდენობას, არამედ საკომლოთა რაოდენობას[12].

ეს იყო ძირითადი სახელმწიფო გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში. გარდა ამისა არსებობდა სხვა სახელმწიფო გადასახადებიც: ს ა ა ღ დ გ ო მ ო, ს ა შ ო ბ ო, ძ ღ ვ ე ნ ი, ს ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო, ს ა ჩ ე ქ მ ო, ს ა ქ ვ რ ი ვ ო, გ ა ს ა მ ყ რ ე ლ ო, ნ ა ბ ა დ ი, შ ე ვ ა რ დ ე ნ ი და სხვ., რომლებიც პირადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბატონყმური რიგის გადასახადები იყო. ყველა ამ

---

[9] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 287—289; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—32.

[10] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, იქვე, გვ. 289—291; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, იქვე, გვ. 33—37.

[11] ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—46.

[12] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 281—282.

გადასახადს საბატონო გლეხები საკუთარ ბატონს უხდიდნენ, ხოლო სახაზინო გლეხები — ხაზინას[13].

ნატურალური და ფულადი გადასახადის გარდა გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა შრომითი ბეგარაც, რომელიც განსაკუთრებით ძნელი შესასრულებელი იყო ომიანობის დროს, როცა გლეხები ვალდებული იყვნენ საომარ საჭიროებათა გადასაზიდად თვითონაც გამოსულიყვნენ და დიდი რაოდენობით ხარ-ურემიც გამოეყვანათ.

დასავლეთ საქართველოში ხაზინის უმთავრეს შემოსავალს წარმოადგენდა გადასახადები საურიდან, საუდიეროდან და საციხოდან.

საური საყოველთაო სახელმწიფო ფულადი გადასახადი იყო, კომლზე ორი მარჩილის (მარჩილი — დაახლოებით 26 კაპიკი) რაოდენობით; მოიხმარებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის.

საციხეც ფულადი გადასახადი იყო. ეს გამოსაღებიც იმავე რაოდენობით და ასევე კომლობრივად იკრიფებოდა და სამხედრო დანიშნულებისათვის მოიხმარებოდა.

საუდიერო ნატურალური სახელმწიფო გადასახადი იყო და მას იხდიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით — კომლზე 15 ბათმანი ღომი, ან 6 ბათმანი ხორბალი და 40 კოკა ღვინო. გარდა ამისა, ყოველი 20—25 კომლი იხდიდა ერთ მსხვილფეხა რქოსან საქონელს[14]. არსებობდა სხვა წვრილმანი საქვეყნო გადასახადებიც, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში ხაზინა ამ გადასახადებით ძალიან მცირე შემოსავალს იღებდა, ვინაიდან ამა თუ იმ საერო თუ სასულიერო ფეოდალის გლეხები თვით ამ ფეოდალების სასარგებლოდ გათარხნებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან; გარდა ამისა სახელმწიფო გადასახადებით არ იყვნენ დაბეგრილი განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკი გლეხები, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირე იყო.

საბატონო გლეხთა საბატონო გადასახადები

საბატონო გლეხები სახელმწიფო გადასახადის სურსათის გარდა, ბატონის სასარგებლოდ სამივე სახის პროდუქტადი, შრომითი და ფულადი რენტით იყვნენ დაბეგრილი.

---

[13] ლ. გვახარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[14] ი. ანთელავა. გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის 30—50-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თავი მესამე, გვ. 148; დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 130—131.

აღმოსავლეთ საქართველოს პროდუქტად რენტაში მთავარი ადგილი ღალასა და კულუხს ეკავა. ღალა იყო მემამულის მიწაზე მოყვანილი მოსავლიდან პურის გადასახადი, კულუხი კი — ვენახზე გაწერილი საადგილმამულო გადასახადი ღვინით. ღალასა და კულუხს სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ. მათი სიდიდე მოსავლიანობაზეც იყო დამოკიდებული და მისი მოცულობის 1/10-დან 1/5-მდე მერყეობდა. აღმოსავლეთ საქართველოში ღალა-კულუხის შეწერის ორი განსხვავებული პრინციპი არსებობდა: ზოგან მისი რაოდენობა მიწის ფართობით განისაზღვრებოდა, ზოგან კი მოსავალზე იყო დამოკიდებული[15]. საბალახე — 100 ცხვარზე 2 ცხვრისა და 1 ბატკნის გადახდა.

ამ ძირითადი ნატურალური გადასახადების გარდა გლეხები დაბეგრილი იყვნენ პირად, ბატონყმურ ურთიერთობაზე დამყარებული საგლეხო ვალდებულებებით. ასეთ გამოსალებთა რიცხვს განეკუთვნებოდა საჩექმე, საქვრივო, საქორწილო, გასამყრელო, საშობაო და სხვ. ეს გადასახადები უმთავრესად ფულადი იყო. ყმა გლეხი ქალიშვილის გათხოვებისას ვალდებული იყო მებატონისათვის საჩექმე 60 კაპიკიდან 4 მანეთამდე ვერცხლის ფული გადაეხადა; გლეხის ქვრივის გათხოვებისას კი ე. წ. საქვრივო გადასახადის ოდენობა 5-დან 50 მანეთამდე მერყეობდა. ბატონის ქორწილის შემთხვევაში ყმა გლეხი 5-დან 50 მანეთამდე საქორწილო გადასახადსა და საკლავს იხდიდა. საგლეხო კომლის გაყრისას გლეხს ბატონის სასარგებლოდ თავისი ქონების 1/10 გასამყრელო უნდა გადაეხადა.

საბატონო გლეხს უმძიმეს მოვალეობად აწვა შრომითი ბეგარაც. ყმა გლეხებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბატონის სახნავ-სათესი მიწებისა და ზვარ-ვენახების დამუშავებაში—მოეხნათ და დაეთესათ მიწა, გაეთიბათ, გაელეწათ და გაენიავებინათ პური, შემოეღობათ მემამულის ვენახები, მოეტანათ სარები, გაემარგლათ, გაესხლათ ვენახები, დაერეცხათ ქვევრები, დაეკრიფათ და დაეწურათ ყურძენი, მიეღოთ მონაწილეობა ბატონის მშენებლობაში, გამოეყვანათ ხარ-ურემი და ცხენები, მოეპრათ ხე-ტყე, მოემზადებინათ

---

[15] ი. ანთელავა. გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა..., გვ. 157; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155; გ. აკოფაშვილი, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის I ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 140.

და მოეტანათ შეშა და სხვ. ბატონის სასარგებლოდ სამუშაო დღეების რაოდენობა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული არ ყოფილა. იგი სხვადასხვა კუთხეებსა და სოფლებში სხვადასხვა რაოდენობის იყო და რამდენიმე ათეულ დღეს უდრიდა.

საბატონო გლეხების გადასახადების ტვირთი კიდევ უფრო მძიმე იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ბეგარა-გადასახადების მრავალრიცხოვნობა შეინიშნებოდა.

იმერეთში საბატონო გლეხობა თავისი ქონებრივი შეძლებისა და გადასახადის სიდიდის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფოდა:

1. პირველ ანუ უდიდეს გადამხდელ გლეხს მართებდა წელიწადში 30 კოკა ღვინო, 10 კოდი პური, საშობაო ხორცის ფასი—2 მანეთი, სააღდგომოდაც 2 მანეთი, წელიწადში 8 ქათამი, ქორწილის დროს—1 ძროხა, ბატონის სტუმრობის დროს მისი და მისი ამალის გამასპინძლება, კვირაში სამი დღე უღელი ხარით მუშაობა, მთიან ადგილებში, ბარელებისაგან განსხვავებით, „პირველი გადამხდელი“ გლეხები არ იხდიდნენ ღვინოს, სამაგიეროდ იხდიდნენ 15 კოდ პურს, კვირაში სამ დღეს მუშაობდნენ უხაროდ, დანარჩენი ბეგარა-გადასახადები კი ისეთივე ჰქონდათ, როგორც ბარელებს.

2. „მეორე გადამხდელი გლეხის“ გამოსაღები იყო 20 კოკა ღვინო, 6 კოდი პური, საშობაო—1 მანეთი, სააღდგომო—4 აბაზი, წელიწადში 5 ქათამი, ქორწილის დროს მესამედი ძროხის ფასი. „ჯარით და კაცით“ მუშაობა კვირაში 3 დღე. მთაში მოსახლე მეორე ჯგუფის გლეხიც ასევე იბეგრებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ღვინოს არ იხდიდა და მის ნაცვლად 2 კოდი პურით მეტს აძლევდა მებატონეს.

3. „მესამე გადამხდელი“ გლეხი ბატონს აძლევდა 10 კოკა ღვინოს, 4 კოდ პურს, ქორწილის დროს—ძროხის მეექვსედი ნაწილის ფასს, საშობაოს და სააღდგომოს—სამ-სამ აბაზს, შრომითი ბეგარა ისეთივე ედოთ, როგორც პირველი და მეორე ჯგუფის გლეხებს. მთაში მოსახლე მესამე ჯგუფის გლეხი ღვინოს არ იხდიდა, პურს იხდიდა 5 კოდს, საშობაო-სააღდგომოდ—ორ-ორ აბაზს... მუშაობა კი ისევე მართებდა, როგორც ზემოთ აღწერილ გლეხებს.

4. მეოთხე ჯგუფის გლეხები — „აზატები“ გადასახადს არ აძლევდნენ ბატონს, ბატონის ან მისი მოხელის წვევის შემთხვევაში მასპინძლობდნენ მათ, ქორწილის დროს შეძლებული აზატი მთელ ძროხას იხდიდა, შუა — ნახევარს, მესამე — მესამედს. მთის აზატი გლეხი კი „მსახურს აძლევდა ბატონს მოუცილებლად“.

გარდა ამისა, ოთხივე ჯგუფის გლეხები ვალდებულნი იყვნენ ყმისა და მამულის ყიდვის დროს, ვალში ჩავარდნის დროს, ლაშქრობისას და სხვა რამე საჭიროების დროს მემამულეს ფულით ან ცხენით (ლაშქრობისას) შესწეოდნენ[16].

საბატონო ბეგარა-გამოსაღებები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო სამეგრელოში, სადაც განსაკუთრებით დამძიმებული იყო შრომითი საბატონო ბეგარა-ვალდებულებანი და დამამცირებელი პირადი სამსახური.

საყოველთაო საეკლესიო გადასახადები

საეკლესიო გლეხები, სახელმწიფო გადასახადის გარდა, ეკლესიის სასარგებლოდ შემდეგ გადასახადებს იხდიდნენ: ღალას—საეკლესიო მიწებზე მოყვანილი მარცვლეულის მოსავლიდან გადასახადს. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ და იგი მოსავლის 1/10-დან 1/5-მდე მერყეობდა. კულუხს—საეკლესიო მიწებზე გაშენებული ვენახებისათვის გადასახადი ღვინით ან ტკბილით უმთავრესად მოსავლის 1/10-ის რაოდენობით, მახტას—ფულად საეკლესიო გადასახადს—იხდიდნენ თბილისში მცხოვრები საეკლესიო გლეხები.

გარდა ამ ძირითადი გადასახადებისა, არსებობდა აგრეთვე შეწთხვევებთან დაკავშირებული საეკლესიო გადასახადები: საქვრივო, საკანონო და გასამტეხლო.

საქვრივოს საეკლესიო გლეხი უხდიდა მლვდელმთავარს ქვრივი ქალის შერთვისას, იგი ფულადი გადასახადი იყო და 3—12 მანეთის ფარგლებში მერყეობდა.

საკანონოს იხდიდნენ საეკლესიო გლეხები და მღვდლები რელიგიური წესის დარღვევისათვის.

თავის გასამტეხლოს საეკლესიო გლეხები იხდიდნენ ურთიერთშორის ჩხუბისა და ზიანის მიყენებისათვის. საეკლესიო გლეხები შრომითი რენტითაც იყვნენ დაბეგრილი. როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესია მსხვილი ფეოდალური მესაკუთრე იყო. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მას მრავლად ჰქონდა სახნავ-სათესი მიწები, ხოდაბუნები და ზვრები. საეკლესიო გლეხები წელიწადის გარკვეულ დროს ვალდებული

---

[16] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი. გვ. 159—160; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160; ო. სოსელია. დასავლეთ საქართველოს გლეხების ეკონომიური მდგომარეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 228—229.

იყვნენ ამ მინდვრებსა და ზვრებში ემუშავათ, ისევე როგორც საბატონო გლეხები მუშაობდნენ ბატონის მეურნეობაში.

ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადებს გარდა არსებობდა კიდევ საყოველთაო-საეკლესიო გადასახადი დრამა, რომელსაც ყველა კატეგორიის გლეხი (საეკლესიო, საბატონო და სახელმწიფო) იხდიდა. დრამას იხდიდნენ პროდუქტებით, უმთავრესად საკლავით, ან ფულით სხვადასხვა რაოდენობით.

ეკლესიის მსახური მღვდლები (ყმა გლეხები და აზნაურებიც) მღვდელმთავარს უხდიდნენ გადასახადს სახუცოს — პროდუქტით, ან ფულით — შეძლების მიხედვით.

§ 2. ცვლილებები სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო ბეგარა-გადასახადებში XIX ს-ის ნახევრის მანძილზე

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველ ხანებში აქ არსებული ბეგარა-გადასახადები უცვლელად იყო დატოვებული. რუსი მოხელეები ხაზინის შემოსავლის გაზრდის მიზნით მხოლოდ მათი აღწერა-გამორკვევით კმაყოფილდებოდნენ.

რუსული მმართველობამ, პირველ ხანებში, მოსახლეობისათვის გადასახადის გადახდის გასაადვილებლად ნება დართო მათ, თუკი მოისურვებდნენ, პურადი გადასახადი: სურსათი, კოდის პური, პურადი მახტა, ყალანი — ფულით გადაეხადათ. მაგრამ ხულ მალე მთავარმმართველ ციციანოვისათვის აშკარა გახდა, რომ პურადი გადასახადის შეცვლა ფულით ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან პურადი გადასახადი იყო მთავარი წყარო ამიერკავკასიაში დაბანაკებული ჯარის გამოსაკვებად და არამც თუ მთლიანად ხმარდებოდა ამ საქმეს, არამედ საკმარისიც არ იყო და ხელისუფლებას მოსახლეობისაგან წინასწარ დაწესებულ დაბალ ფასებში პურის იძულებით შესყიდვისთვისაც უნდა მიემართა.

ფულზე გადაიყვანეს სააღდგომო, საშობაო, ძღვენი, სამასპინძლო, საჩექმე, საქვრივო, გასამყრელო, ნაბადი, შევარდენი და სხვა შედარებით წვრილმანი პირადი ვალდებულებებიდან გამომდინარე ბატონყმური რიგის გადასახადები, რომლებითაც სახელმწიფო გლეხები მეფისა (ანუ „პატონის“) და სახელმწიფოს სასარგებლოდ იბეგრებოდნენ. ეს გადასახადები ქართული ხელისუფლების დროსაც უმთავრესად ფულით იკრიფებოდა. ასევე თავისი სურვილის მიხედ-

ვით ფულით შეეძლოთ გადაეხადათ სახ-ფო გლეხებს ის ძირითადი გადასახადები, რომლებიც პურით არ იკრიფებოდა (კულუხი, საბალახე და სხვ). პურადი გადასახადები და იძულებითი შესყიდვით აკრეფილი პური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში ჩაყენებული ჯარის გამოსაკვებად იყო განკუთვნილი. აქ დაბანაკებული ჯარის რიცხვი კი XIX ს-ის პირველი მესამედის განმავლობაში რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომების გამო ყოველწლიურად იზრდებოდა. ასეთ პირობებში, ვიდრე მეფის ხელისუფლება ამიერკავკასიაში პურის შემოსატან იაფ გზას არ გამონახავდა, პურადი გადასახადების ფულით შეცვლა მიზანშეწონილი არ ჩანდა და მეფის მოხელეები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, რათა ეს გადასახადები კვლავ ნატურით ყოფილიყო აკრეფილი.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მკვლევრის აზრით, XIX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში ფულადსასაქონლო ურთიერთობის განვითარების დონე მეტად დაბალი იყო და კვლავ ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული. ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში კი მწარმოებული მოსახლეობისათვის, რომლის ნება-სურვილზედაც დამოკიდებული იყო ზოგიერთი გადასახადის ფულით თუ ნატურით გადახდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან ანგარიშსწორება ნატურით უფრო მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ხელთ არსებული მასალა საშუალებას იძლევა წინააღმდეგობაზე მიუთითებს. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს. როგორც სახაზინო ექსპედიციის დავთრებიდან ჩანს, 1802 წ. ყაზახის დისტანციის გლეხებს პურადი მახტის — 6500 კოდი პურის ნაცვლად გადაუხდიათ 4000 მანეთი[17]. კახეთის სოფელ ტოღნიანის გლეხები 1801 და 1802 წლებში პურისა და ღვინის გადასახადს იხდიან ფულით[18]; 1802 წ. სიღნაღის მაზრის ქიზიყის სახელმწიფო გლეხები «კოდის პურს» იხდიან ნაწილობრივ მარცვლეულითა და ნაწილობრივ ფულით. ამავე საბუთში, და არაერთხელ სხვაგანაც, ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ «სურსათის» და საერთოდ სხვა მარცვლეული გადასახადის ფულით აკრეფა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვისაც უცხო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო: «в здешних местах вместо хлеба по прежним здешним

[17] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 28, ფურც. 161.
[18] იქვე, ფურც. 313.

установлениям приемлется деньгами за самару по 4 р. 50 коп., полагая же в самаре 4 1/2 коды следует за каждую коду по 1 рублю», — ვკითხულობთ სახაზინო ექსპედიციის სხდომათა ოქმებში[19]. 1803 წ. თელავის მაზრის სოფლების: პატარძეულის, ბერთუბანის, კალაურის, შაშიანის, ქვემო ხოდაშენისა და მარტყოფის სახელმწიფო გლეხები «კულუხს» ღვინის ნაცვლად ფულით იხდიან;[20] 1803 წელს სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხები თხოვნით მიმართავენ სახაზინო ექსპედიციას, რომ მათ დართონ ნება «სურსათი» 4620 კოდი პური გადაიხადონ ფულით — 4620 მანეთის რაოდენობით, მაგრამ გადაჭრით უარს ეუბნებიან: « . . .без всяких отговорок взыскать и доставить хлеб в магазины, а за вино и прочее можно деньги», — წერია სახაზინო ექსპედიციის სხდომათა გადაწყვეტილებებში[21]. ქალაქებში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ, რომ ყოველგვარი გადასახადები ფულით გადაეხადათ, მაგრამ ქ. თბილისის სახელმწიფო გლეხებს ხაზინა ამის ნებას არ აძლევდა და მოითხოვდა პურადი გადასახადების აუცილებლად მარცვლეულით გადახდას. ქ. სიღნაღისა და თელავის გლეხებმა კი, როგორც ჩანს, მიაღწიეს იმას, რომ «სურსათსა» და «კოდის პურს», როგორც წესი, მარცვლეულის ნაცვლად ფულით იხდიდნენ. მაგ. 1802 წ. ქ. სიღნაღის გლეხებს 347 კოდი პურისა და 273 კოდი ქერის ნაცვლად გადაუხდიათ 483 მან. ვერცხლით[22], 1803 წ. 273 კოდი ხორბლისა და 136 კოდი ქერის ნაცვლად გადაიხადეს ფული 246 მანეთი, 1804 წ. — 347 კოდი პურის და 273 კოდის ქერის ნაცვლად 483 მანეთი, 1806 წ. — 363 მანეთი[23]; ქ. თელავის გლეხებს 1805 წ. 296 კოდი პურისა და 148 კოდი ქერის ნაცვლად გადაუხდიათ 394 მანეთი[24], 1806 წ. კი გადასახადის იმავე მუხლებით ხაზინისათვის ჩაუბარებიათ 473 მანეთი[25]. სოფელ ენისელის ნაცვალის 1839 წ. განცხადებებიდან ჩანს, რომ ქართველი მეფეებიდან მოყოლებული დღემდე სოფ. ენისელის სახელმწიფო გლეხები «კულუხსა» და «სურსათს» ნატურის ნაცვლად ფულით იხდიდნენ. ასევე იმთავითვე ფულით იხდიდნენ «კულუხს» ურიათუბნელი სახელმწიფო

---

[19] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 28 ფურც. 104.
[20] იქვე, საქ. 151, ფურც. 171—172.
[21] იქვე, საქ. 29, ფურც. 378.
[22] იქვე, საქ. 67, ფურც. 148.
[23] იქვე, საქ. 150, ფურც. 136.
[24] იქვე.
[25] იქვე, ფურც. 167.

გლეხები 120 მანეთის რაოდენობით[26]. 1803 წ. ფამბაკის დისტანციის სახელმწიფო გლეხებს პურადი მახტის 292 სამარი[27] ხორბლის ნაცვლად გადაუხდიათ 1314[28] მანეთი, ასევე 1314 მანეთი გადაუხდიათ მათ 1804 წელსაც[29]. 1818 წ. საქმიდან კი ჩანს, რომ 800-იანი წლებიდან მოყოლებული ფამბაკის დისტანციის სახელმწიფო გლეხები ყოველწლიურად პურად «მახტას» იხდიდნენ ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ ნატურით. სახელდობრ იხდიდნენ 4020 მანეთსა და 1500 კოდ პურს[30]. როგორც ვხედავთ, პურადი გადასახადის უმეტესი ნაწილი ფულით იყო გადახდილი; თელავის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკის თულაშვილის 1806 წ. ანგარიშიდან ჩანს, რომ მას მაზრის სხვადასხვა სოფლების სახელმწიფო გლეხებიდან პროდუქტების ნაცვლად აუკრეფია 1048 მანეთი[31]. 1804 წ. ანანურის მაზრაში სახელმწიფო გლეხებმა «საბალახე» ცხვრისა და ბატკნის ნაცვლად გადაიხადეს ფულით — 506 მან.[32]. 1808 წ. იგივე «საბალახე» და «საარღგომო» გადახდილი იყო 219 მან., «კულუხი» — 131 მანეთი, «საქვრივო» და «ყალანი» — 330 მანეთი[33]. თუშები კი 1807-1808 წლებიდან მოყოლებული «საბალახეს», როგორც წესი, ფულით იხდიდნენ — 1040 მანეთის რაოდენობით[34]. 1809—1810 წლების პურის დავალიანება თბილისის მაზრის სახელმწიფო გლეხებისაგან აკრიფეს ფულით — 411 კოდი ხორბლის ნაცვლად 411 მანეთი[35]; 1818 წელს ბორჩალოს დისტანცია სოფ. მუღანლოს გლეხებს 2200 ლიტრი მარცვლეულის ნაცვლად გადაუხდიათ 660 მან., 1823 წელს კახეთის 24 სოფლიდან გადასახადი «კულუხი» ხაზინამ აკრიფა 27172 მან.[36]. უმთავრესად ფულით იღებდა გადასახადს ხაზინა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებებში მონაწილე თავადაზნაურებისათვის ჩამორთმეული მამულებიდან. 1813—1817 წლებში ამ მამულებიდან შემოსავალი ხაზინამ მიიღო:

---

[26] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 511, ფურც. 7.
[27] სამარი უდრიდა 9 ფუთს.
[28] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 28, ფურც. 73.
[29] იქვე, საქ. 67, ფურც. 407.
[30] იქვე, საქ. 521, ფურც. 602.
[31] იქვე, საქ. 150, ფურც. 432.
[32] იქვე, ფურც. 277.
[33] იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 175, ფურც. 132—133.
[34] იქვე, საქ. 8269, ფურც. 3, 6.
[35] იქვე, ფ. 254, ან. 1, საქ. 221, ფურც. 371.
[36] იქვე, საქ. 563, ფურც. 222.

ბორჩალოს დისტანციიდან — 383 მან. და 24 კოდი პური,
გორის მაზრიდან — 339 მან. და 347 კოდი პური,
თელავის მაზრიდან — 4500 მან.

სულ 5 წლის განმავლობაში თავადაზნაურებისათვის ჩამორთმეული ყმამამულიდან შემოსავალი ხაზინამ მიიღო 12518 მანეთი და 1472 კოდი პური[37]. ასევე უმთავრესად ფულით კრეფდა გადასახადებს ხაზინა უფლისწულებისათვის ჩამორთმეული ყმამამულიდან. 1816 წელს ქართლ-კახეთის ბაგრატიონების საგვარეულოს ყოფილ ყმამამულიდან მიღებული შემოსავალი 21290 მანეთს, 7642 კოდ ხორბალსა და 3136 კოდ ქერს შეადგენდა[38], 1838 წელს კი ქართლ-კახეთის ყოფილი მეფისა და მისი საგვარეულოს 7091 კომლ გლეხიდან 20751 მანეთი იყო აკრეფილი[39], იმერეთის სამეფო სახლის 879 კომლიდან კი 1969 მანეთი[40]. აქ ჩვენ სხვა მაგალითების ჩამოთვლას აღარ შევუდგებით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ ორიოდე საბუთზე, რომელიც ბორჩალოს მაზრის გადასახადებს შეეხება. პირველი მათგანი არის ბორჩალოს მაზრის ბოქაულის მოხსენებითი ბარათი 1831 წლით დათარიღებული. ბორჩალოს მაზრის ბოქაული აღნიშნავს, რომ მ ა ზ რ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი ს ე რ ვ ი ლ ი ა პ უ რ ა დ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი «ს უ რ ს ა თ ი», «პ უ რ ა დ ი მ ა ხ ტ ა» და «ღ ა ლ ა» ფ უ ლ ი თ ი ხ ა დ ო ნ და ჩ ე მ ი ა ზ რ ი თ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ამ ამ გ ა რ ე მ ო ე ბ ას ს ა თ ა ნ ა დ ო უ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა უ ნ დ ა მ ი ა ქ ც ი ო ს და დ ა ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ო ს მ ა თ ი ს ე რ ვ ი ლ ი თ[41]. მეორე საბუთი კი წარმოადგენს ბორჩალოს დისტანციის სოფ. სარვანის მცხოვრებლების თხოვნას, დათარიღებულს 1840 წლით. სოფ. ს ა რ ვ ა ნ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი თ ხ ო ვ ნ ა შ ე ე ხ ე ბ ა პ უ რ ა დ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს „ღ ა ლ ი ს“ ფ უ ლ ი თ შ ე ც ვ ლ ა ს. «...просили означенного сбора галлы,—ვკითხულობთ საბუთში,— как обременительного для их крестьянского быта с них не взыскивать, а вместо сего обложить их постоянной каждогодной податью... каковую подать они с охотой и бездоймочно взносить обязываются»[42]. სახაზინო ექსპედიციამ საქმის გარკვევა უფ-

37 სცსსა, ფ. 254, ან. I. საქ. 480, ფურც. 2.
38 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 496, ფურც. 30—39.
39 იქვე, ან. 2, საქ. 277, ფურც. 48.
40 იქვე.
41 იქვე, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 1236, ფურც. 73.
42 იქვე, საქ. 1696, ფურც. 229—230.

როს ბოქაულს დაავალა. ეს უკანასკნელი კი შემდეგს მოახსენებდა ექსპედიციას: მართალია, სარვანის მოსახლეობის ერთობლივი სურვილია გადასახადი ღალა მარცვლეულის ნაცვლად ფულით იხადონ და აქვთ კიდეც იმის შესაძლებლობა, რომ დაუვალიანებლად და დროზე შეიტანონ ხაზინაში ეს გამოსაღები, მაგრამ თუ ხელისუფლება არ აპირებს დისტანციის სხვა სოფლებშიაც ამ გადასახადის ფულით შეცვლას, მაშინ არც სარვანის მოსახლეობისათვის უნდა დაუშვას ასეთი გამონაკლისი, ვინაიდან ბორჩალოს დისტანციის უველა სოფლის მცხოვრები «ღალის» ფულით გადახდას მოინდომებსო. მაგრამ, იქვე დასძენდა ბოქაული, თუ ხაზინას გადაწყვეტილი აქვს ამ გამოსაღების ფულით შეცვლა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო გაადვილდება მისი აკრეფაო[43].

ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ XIX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა საკმაოდ შორს იყო წასული. როგორც დავინახეთ, სოფლის მწარმოებელი საზოგადოება ისეთ შემთხვევაშიც კი ცდილობდა სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებას ფულით, როდესაც მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ პროდუქტებით, კერძოდ მარცვლეულით, გადასახადების გადახდას და ზოგჯერ კიდეც ახერხებდა ამას. ისეთ შემთხვევაში კი, როცა გადასახადის გადახდა მის არჩევანზე იყო დამოკიდებული, იგი უმთავრესად ფულით ანგარიშსწორებას ირჩევდა.

რაც შეხება ხელისუფლების მიერ ოფიციალურად ჩატარებულ კომუტაციას, 1818 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ საეკლესიო რეფორმებთან დაკავშირებით საეკლესიო გლეხების ნატურალური გადასახადი ღალა და კულუხი ფულადი გადასახადით შეცვალა. ამ ფაქტის სათანადო შეფასება მოცემულია ა. ფანცხავას ნაშრომში. აი რას წერს იგი ამ საკითხის შესახებ: «Преобразования церковных податей (1818г.), безусловно представляло первый серьезный шаг, первый этап процесса массовой ком-

[43] სცსსა, ფ. 254, აწ. 1, საქ. 1696, ფურც. 232.

мутации крестьянских повинностей в Восточной Грузии. Перемены в положении церковных и частично казенных крестьян не могли не отразиться и на положении помещичьих крестьян, ибо все они составляли один класс бесправного, эксплуатируемого населения. Церковные крестьяне и после преобразования продолжали платить в виде налога казне хлебную подать (сурсати), а также отбывали разные земские повинности и сборы. Феодальная же рента вместо прежних оброков продуктами (гала, кулухи) взималась теперь деньгами. Что касается феодальной ренты в виде барщины, хотя о ней не упоминается в вышеприведенном докладе о церковных доходах (1811 г.) , но она отбывалась церковными крестьянами преимущественно на церковных строительных работах и обработкой церковных садов»[44]. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეფასებას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების შესახებ კი არაფერია ნათქვამი. საერთოდ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი, რომ იმერეთში საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, საეკლესიო რეფორმებით გამოწვეული აჯანყების (1819—1820 წ.) შედეგად, ვერ გატარდა და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხები გადასახადებს საგლეხო რეფორმამდე ნატურით იხდიდნენ. დ. გოგოლაძე დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ბეგარა-გადასახადების კომუტაციას კატეგორიულად უარყოფს. «საერთოდ,— წერს იგი,— იმერეთ-გურიაში XIX ს. ბატონყმურ ხანაში საეკლესიო ბეგარა-გადასახადების კომუტაცია არ მომხდარა და საეკლესიო ბეგარა-გადასახადებს საეკლესიო გლეხები ძველებურად, უმთავრესად პროდუქტითა და პირადი ვალდებულებებით იხდიდნენ. მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების წინ, 1864 წელს, შეადგინეს პროექტი იმერეთ-გურიაში საეკლესიო ბეგარა-გადასახადების ფულადი გადასახადით შესაცვლელად.

XIX ს. 40-იანი წლებიდან, სახელმწიფო გადასახადების ახალი სისტემის შემოღების შემდეგ, როგორც აღინიშნა, საეკლესიო გლეხებს, ისე როგორც სახელმწიფო და საბატონო ყმებს, დაუწესდათ ფუ-

[44] ა. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 237—238.

ლადი კომლობრივი სახელმწიფო გადასახადი, საეკლესიო გადასახადები კი უცვლელი დარჩა»[45].

დ. გოგოლაძე ასეთი კატეგორიული მსჯელობისას ემყარება ერთ-ერთ, 1865 წელს შედგენილ საარქივო საბუთს — «По устройству быта помещичьих крестьян Кутаисской губернии», სადაც მართლაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადები დღემდე ნატურალურ ხასიათს ატარებს და რომ 1864 წელს შედგენილ იქნა პროექტი საეკლესიო გლეხების ნატურალური გადასახადის ფულად გადასახადებზე გადაყვანის შესახებ. «... еще в прошлом 1864г.,— სწერდა ქუთაისის გუბერნატორი ამიერკავკასიის მეფისნაცვალს,— предместник мой представил Вашему Сиятельству проэкт, вызванный духовным ведомством, обложения церковных крестьян денежною повинностью, взамен отбываемых ныне личных и натуральных. С разрешением означенного денежного обложения будет устранено последнее препятствие к передаче церковных крестьян в гражданское ведомство и потому полагаю необходимым для введения в действие положения о сельских обществах получить утверждение о замене личных и натуральных повинностей церковных крестьян денежными.,.»[46]

მართლაც, აღნიშნული საბუთის შემდეგ, მკვლევარს თითქოს ეჭვიც კი აღარ უნდა შეეპაროს, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაცია არ გატარებულა, მაგრამ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდში დაცული მასალების გულმოდგინედ შესწავლამ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგინა. ჩვენ ხელთაა იმერეთის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა, შესრულებული 1825 წ. გენათელი არქიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ[47]. 1825 წ. აღწერის მიზანი იყო გამოევლინებინა საეკლესიო გლეხების კომლთა რიცხვის ზრდა უკანასკნელ, 1820 წლის, აღწერასთან შედარებით, რათა შესატყვისად გაეზარდათ გადასახადიც. აღწერაში დაწვრილებითაა მოცემული თითოეულ ეპარქიაში მცხოვრები საეკლესიო გლეხებისა და გადასახადების რაოდენობა 1820 წელს და 1825 წელს. აღწერიდან

[45] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 154.
[46] სცსსა, ფ. 220, ან. 1, საქ. 6, ფურც. 19—20.
[47] იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 1871.

ჩანს, რომ იმერეთ-რაჭის საეკლესიო გლეხები ფულად გადასახადებს იხდიდნენ 1820 და 1825 წლებში. კერძოდ, 1825 წელს აღწერილი 2288 კომლი საეკლესიო გლეხი დაბეგრილი იყო 11 117 მანეთით[48]. იმდროინდელი იმერეთისათვის ეს ძალიან დიდი თანხა იყო, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1818 წელს იმერეთის ხაზინის მთელი შემოსავალი 16745 მანეთს ვერცხლით არ აღემატებოდა[49]. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ აღწერის მიხედვით მტკიცება იმისა, რომ იმერეთში საეკლესიო გლეხები ფულად გადასახადზე იყვნენ გადაყვანილნი და XIX ს-ის I ნახევრის მთელ სიგრძეზე ფულით იხდიდნენ გადასახადს, შეცდომა იქნებოდა, რადგანაც ადვილად შესაძლებელია, რომ ცხოვრებაში ამ აღწერის მონაცემები არ ყოფილიყო გატარებული, მაგრამ ჩვენ ამ აღწერის გარდა ზემოთ დასახელებულ ფონდში მივაკვლიეთ იმერეთის საეკლესიო ყმათა და მამულთაგან შემოსავლის უწყებებს 1827, 1840, 1841 და სხვა წლებისას[50]. უწყებათა ცალკეულ გრაფებში აღნიშნულია „საეკლესიო ყმათაგან შემოსასვლელი ხარკი თეთრის“ რაოდენობა, „პირისპირ მისსა შემოსულისა“ და „აუღებლად დაშთომილი“ ფულის რაოდენობა. შესატყვისი წლების უწყებებიდან ჩანს, რომ 1827 წელს „სრულებით ხარკის თეთრი გლეხთაგან ოთხივეს იმერეთის მაზრისა“, ანუ „оброчных со четырем округам Имеретии“ უნდა შემოსულიყო 11 110 მანეთი, 1841 წ. კი 11 121 მანეთი; „პირისპირ მისსა“ შემოვიდა 10576 და 10438 მანეთი; დავალიანება ორივე წელს სრულიად უმნიშვნელო 533[51] და 682 მანეთი დარჩა[52]. ამავე უწყებიდან ჩანს, რომ საეკლესიო მიწებზე მოსახლე საბატონო და სახაზინო გლეხებიც კი ეკლესიას, როგორც წესი, ფულით უსწორებდნენ ახგარიშს. ასევე ფულად გადასახადზე იყო გადაყვანილი სამეგრელოს საეკლესიო გლეხობის ნაწილი, რომლის ბეგარა-გადასახადები წელი-

[48] იქვე, ფურც. 13.

[49] Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—20 гг. МИГК, 1942, вып. III, с. 63.

[50] სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 2648, 10128, 10127 .

[51] იქვე, საქ. 2648, ფურც. 8.

[52] იქვე, საქ. 10127.

წადში 7075 მანეთს შეადგენდა[53]. ჩვენ ხელთ არსებული საბუთები იმასაც კი მოწმობს, რომ რიგ შემთხვევებში ფულადი გადასახადის გადახდით გლეხები უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე ეკლესია. მაგალითად, 1853 წლის სოფელ მოწამეთის 20 კომლი საეკლესიო გლეხის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი მიმართულ თხოვნაში წერია, რომ „ვიდრემდის იქნებოდა იმერეთსა შინა საეკლესიო ყმათადმი დაწესებული ხარკის ფულის გადასახადი, მანამდის ვითარცა ჩვენ, თანასწორ სხვანიცა საეკლესიო ყმანი, ვაძლევდით საეკლესიო ბეგარასა ხორაგით; გარნა უმაღლესის ნებით განწესდა რა საეკლესიო ყმათადმი არა ძლევა ხორაგისა, არამედ ფულად, საეკლესიო ხარკი თანასწორ სხვათა საეკლესიო ყმათა ჩვენზედა შემოწერილ იქნა ფულად; გარნა წინამძღვართა მოწამეთის მონასტრისათა ჩვენდამი შესახვედრი ხარკის ფული შეაქვთ საეკლესიოდ თავიანთის საკუთრებისაგან და ჩვენ გვაიწროებენ და მიაქვთ უწინდელისამებრ ბეგრად ხორაგი, რომლით ვართ შეყენებულნი ფრიადსა მწუხარებასა და სიგლახაკესა შინა, თუმცა ზოგად იმერეთსა შინა საეკლესიო ყმათა ხდებათ განწესებული ფული, მაგრამ ჩვენ ვართ დატევებულნი იმავე უბედურებასა და რამიზეზის, ანუ რა შეცდომებისათვის არა უწყით. თუმცა ამა საგანსა ზედა არა ერთგზის შევჩივლეთ აქაურს სასულიერო მთავრობასა, რათა ჩვენც თანასწორ სხვათა საეკლესიო ყმათა გარდაგვეხადა ჩვენზედ შემოწერილი და დაწესებული ხარკი ფულად და არა ხორაგით... ნაცვლად კმაყოფილებისა მოიწერენ სახორციელო მთავრობისადმი დასჯისათვის ჩვენისა და ჩამოგვართვეს პოდპისკანი, რათა რომ აღარ გავბედოთ ამასთანასა ზედა ჩივილი და ძლივს განვერიდეთ როზგით დასჯისაგან“[54].

ჩვენ მიერ მოტანილი მასალიდან აშკარაა, რომ 1818 წ. საეკლესიო გადასახადების კომუტაცია დასავლეთ საქართველოშიც გატარებულა და რაჭა-იმერეთის საეკლესიო გლეხე-

---

[53] სამეგრელოს საეკლესიო გლეხების დიდი ნაწილი, კერძოდ მარტვილის საეპისკოპოსო გლეხები ჯერ კიდევ სამთავროს გაუქმებამდე გადაყვანილი იყვნენ ფულად გადასახადზე; სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 20176, ფურც. 4.

[54] სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 15528, ფურც. 3.

ბი XIX ს-ის მთელ სიგრძეზე ეკლესიასთან ანგარიშსწორების ფულით აწარმოებდნენ. ისმის კითხვა: მაშ რაღა საჭირო იყო ზემოხსენებული პროექტის შედგენა? —საქმე ისაა, რომ 1825 წლის შემდეგ სასულიერო ხელისუფლებას გადასახადების მოწესრიგებაზე აღარ უზრუნია და ნატურალური გადასახადი დარჩათ გურიის სამთავროს საეკლესიო გლეხებს, (574 კომლს), რომელიც რუსეთმა 1829 წელს შემოიერთა; 1825 წლიდან 1861 წლამდე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების კამერალური აღწერა აღარ ჩატარებულა და მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო გლეხთა კომლების რაოდენობა 2 1/2-ჯერ იყო გაზრდილი, ისინი გადასახადს კვლავ 1825 წელს შეწერილი რაოდენობით იხდიდნენ. ზემოთ ნახსენები პროექტიც სწორედ გურიის საეკლესიო გლეხების ფულად გადასახადზე გადაყვანითა და ახალი აღწერის მონაცემების მიხედვით გადასახადების გადაანგარიშებით იყო გამოწვეული და არა იმის გამო, რომ დას. საქართველოს მთელი საეკლესიო გლეხობა რეფორმამდე ნატურალურ გადასახადს იხდიდა. თვით პროექტის ერთ-ერთი შემდგენელი იმერეთის ცნობილი ეპისკოპოსი გაბრიელი აღნიშნავდა, რომ 1825 წლიდან 1865 წლამდე 40 წლის განმავლობაში რაჭა-იმერეთის საეკლესიო გლეხები დაუვალიანებლად იხდიდნენ საკმაოდ მაღალ ფულად რენტას (ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორ შემოწმებას მოითხოვს გუბერნატორების მიერ მოწოდებული ცნობები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათმა უკრიტიკოდ მიღებამ ხშირად შეიძლება ლაფსუსებამდე მიგვიყვანოს).

1818 წ. გატარებული ღონისძიების შედეგად ფულადი რენტა გაბატონდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას არა მარტო საეკლესიო გლეხებს შორის, არამედ საბატონო და სახელმწიფო გლეხებს შორისაც. ყველა ესენი ერთიან უუფლებო, ექსპლოატირებულ კლასს შეადგენდნენ, მაგრამ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში საეკლესიო გლეხები რომ უფრო მეტად იყვნენ ჩაბმულნი, ამას ადასტურებს თუნდაც თბილისის სამხედრო გუბერნატორის 1849 წ. მიმართვა სინოდალურ კანტორისადმი, სადაც იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საეკლესიო გლეხებში ფულის სესხება-გადახდის საქმე სანიმუშოდ არისო მოწესრიგებული, რომ მის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა კრედიტორს საეკლე-

სიო გლეხზე როგორც ვალის ურჩ გადამხდელზე აღეძრასო საჩივარი. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ საეკლესიო გლეხები იძულებული იყვნენ სახელმწიფო და საეკლესიო გამოსაღებების დასაფარავად იმთავითვე საცველი ღირებულების შექმნაზე ეზრუნათ[55], ეს გარემოება კი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლებს თანდათანობით არყევდა.,

1828 წ. რუსეთის ხელისუფლებამ ცვლილებები შეიტანა იმერეთის სახელმწიფო გადასახადებში. მან კომლობრივი ნატურალური გადასახადის ნაცვლად დააწესა სულადობრივი ფულადი გადასახადი. ამიერიდან იმერეთის ყოველი მამრობითი სქესის სახელმწიფო გლეხი სულზე 1 მანეთს იხდიდა. საბატონო და საეკლესიო გლეხები კი სახელმწიფო გადასახადებს ნაწილობრივ ფულით იხდიდნენ და ნაწილობრივ მარცვლეულით. 1835 წლიდან შეუდგნენ გურიის სახელმწიფო გლეხების გადასახადების მოწესრიგებასაც. როგორც ცნობილია, გურიის სამთავროს შემოერთების შემდეგ აქაური ბეგარა-გადასახადები უცვლელად იქნა დატოვებული. ხაზინაში, გადასახადის ხარჯზე, სხვადასხვა სახის პროდუქტები შედიოდა, რაც მოუხერხებელი იყო როგორც ხელისუფლებისათვის, ისე მწარმოებელი მოსახლეობისათვის. 1840 წელს იმერეთის მმართველი გენერალი ესპეხო ატყობინებდა მთავარმმართველს, რომ გლეხები მზად არიან იხადონ ფულადი გადასახადი, რაც მათთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელიაო. «В бытность мою перед сим в Гурии, —სწერდა იგი გოლოვინს,— я удостоверился лично от Председателей Правления бывшего, полковника Бреверна и настоящего, полковника Снаксарева, членов онаго, равно и распросом некоторых из жителей, что взыскивание с них податей произведениями для них слишком обременительно, не говоря о ничтожности оных, жители должны перевозить таковые за несколько десятков верст в Озургеты, где нередко бракуются оные по негодности, и что для них весьма бы было выгоднее платить подати деньгами»[56]

1840 წლიდან გურიაში ნატურალური სახელმწიფო გადასახადები ფულადი გადასახადით შეცვალეს. აქაც ისევე, როგორც იმერეთში სულადობრივი გადასახადი შემოიღეს: ყოველ 1 სულ მამრობითი სქესის სახელმწიფო გლეხზე — 1 მანეთი, საბატონო და საეკლესიო გლეხებზე კი 50 კაპიკი. ვინაიდან გურიის დამოუკიდე-

[55] სცსსა, ფ. 501, ან. 1, საქ. 104, ფურც. 10—11.

[56] იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 6444, ფურც. 188.

ბელი სამთავროს არსებობის დროს სამთავრო გადასახადებისაგან შეუვალობა თავის გლეხებისათვის მრავლად საერო და სასულიერო ფეოდალებს ჰქონდათ მოპოვებული, ამჯერადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ დაიბეგრა მხოლოდ ის გლეხები, რომლებიც ადრე სამთავრო გადასახადებს იხდიდნენ. ასეთი იყო სულ 1209 კომლი. 753 კომლი სახაზინო, 385 კომლი საბატონო და 71 კომლი საეკლესიო გლეხი[57]. სახელმწიფო გადასახადებისაგან თარხნობა გურიაში 1860 წლამდე შეშორჩა.

30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში აღმ. საქართველოში პურადი გადასახადის გარდა ყველა სხვა სახელმწიფო გადასახადი: კულუხი, საბალახე, ყალანი, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, სამოურავო, ნაბადი, საჩექმე და სხვ. ფულადი გადასახადის ნუსხაში იყო შეტანილი და, როგორც წესი, ფულით იკრიფებოდა.

როგორც ვხედავთ, საფინანსო რეფორმის გატარების წინ ფულადი გადასახადები საქართველოში იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფულით იყო დაბეგრილი (საეკლესიო გლეხები, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები). ეს გარემოება კი ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებდა. ასეთ პირობებში სახელმწიფო გადასახადების შემდგომი კომუტაციაზე ვიდანმოხვეულ ნაადრევ ღონისძიებას კი არ წარმოადგენდა, არამედ პირიქით—შინაგანი პირობებით უფრო იყო გამოწვეული დარუსეთისხელისუფლება XIX ს-ის I მესამედში მარცვლეულის აღებით რომ არ ყოფილიყო დაინტერესებული, მისი განხორციელება უფრო ადრეც იქნებოდა შესაძლებელი.

ამ მოსაზრებას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მაზრის გლეხი პროდუქტადი გადასახადების ფულადით შეცვლას მოითხოვდა.

---

[57] იქვე, საქ. 4185.

როგორც ცნობილია, 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმით სახელმწიფო გადასახადებში საბოლოოდ მოისპო პროდუქტადი რენტა და მთელი საქართველოს სახელმწიფო გლეხობის გადასახადები, საეკლესიო და საბატონო გლეხების სახელმწიფო გადასახადები მთლიანად ფულით შეიცვალა.

საფინანსო რეფორმით კომლობრივი გადასახადები დაწესდა. გადასახადის გადამხდელი საზოგადოება მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად დაიყო, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ გადასახადს. ახალციხის მაზრაში, სადაც ყველაზე ადრე, 1843 წელს გატარდა რეფორმა, ორი ასეთი ჯგუფი გამოიყო. სახაზინო მიწებზე მოსახლე შესატყვისი ჯგუფის სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ 6 და 4 მანეთს. სახაზინო მიწების არმქონე სახელმწიფო გლეხები კი — 3 და 2 მანეთს. 1844 წელს რეფორმა გატარდა ქართლ-კახეთში. თბილისისა და გორის მაზრაში გადასახადვალდებული ფენა ეკონომიკური შეძლების მიხედვით 4 ჯგუფად იყო დაყოფილი, მანეთნახევრიდან 10 მანეთამდე გადასახადის გადახდით; თელავისა და სიღნაღის მაზრაში კი 3 ჯგუფად 3-დან—6 მანეთამდე გადასახადით.

იმერეთში რეფორმა 1845 წელს განხორციელდა. აქ სულადობრივი გადასახადი შეიცვალა კომლობრივით. სახაზინო მიწებზე მცხოვრები სახელმწიფო გლეხები 3 ეკონომიკურ ჯგუფად დაიყო სამიდან 5 მანეთამდე გადასახადით. მებატონეთა მიწებზე მცხოვრები გლეხები კი ყველა თითო მანეთს იხდიდა.

რეფორმას, როგორც მისი სპეციალურად შესწავლის შემდეგ ი. ანთელავაც აღნიშნავს, ბევრი უარყოფითი მხარის მიუხედავად დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. პროდუქტადი რენტის ფულადით შეცვლა თავისთავად მოითხოვდა ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების გარკვეული დონით არსებობას და თავის მხრივ მის შემდგომ განვითარებას, ფულად ურთიერთობაში მწარმოებელი მოსახლეობის უფრო მჭიდროდ ჩაბმას, კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებასა და საერთოდ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისს უწყობდა ხელს.

§ 3. პროდუქტადი, შრომითი და ფულადი რენტის ხვედრითი წონა

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური რენტის სხვადასხვა ფორმების ხვედრითი წონა საბოლოოდ დადგენილად ჯერ კიდევ არ შეიძლება რომ ჩაითვალოს. ჯერჯერობით მკვლევარ-

თა უმრავლესობა რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას პროდუქტად და შრომით რენტას ანიჭებს, ფულადი რენტის როლს კი შედარებით უმნიშვნელოდ მიიჩნევს. მაგ. პროფ. მ. დუმბაძეს XIX ს-ის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ფეოდალური რენტის საერთო მოცულობაში ფულადი რენტის ხვედრითი წონა 4%-მდე მიაჩნია, 30—40-იანი წლებისათვის მის ზრდას 11%-მდე ვარაუდობს[58]. მას სავსებით ეთანხმება ო. სოსელია[59]. ფეოდალური რენტის ცალკეულ ფორმათა ხვედრითი წონის განსაზღვრას დიდი ყურადღება დაუთმო დ. გოგოლაძემ და სრულიად ახალი მოსაზრება წამოაყენა. სახელდობრ, მისი აზრით, XIX ს-ის ბატონყმური ხანის საქართველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობაში გაბატონებული იყო შრომამიგებითი რენტა, მეორე ადგილზე იყო პროდუქტადი, ფულად რენტას კი დიდად გაზრდის მიუხედავად იგი მესამე ადგილზე აყენებს[60]. უმნიშვნელოდ მიაჩნია ფულადი რენტის ხვედრითი წონა პროფ. ზ. ანზაბაძეს[61]. მათგან განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს პროფ. ა.ფანცხავა, რომელსაც მოტანილი და გაანალიზებული აქვს უამრავი მასალა და ასკვნის, რომ XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის „აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხებისათვის ფულადი რენტა რენტის გაბატონებულ ფორმად იქცეოდა“[62]. XVIII ს-ის საქართველოს სოფელში ფულადი რენტის როლის შესახებ მეტად საინტერესო დაკვირვება აწარმოა ი. ანთელავამ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX ს-ის დამდეგისათვის ფულადმა რენტამ „მტკიცედ დაიკავა მეორე ადგილი. პირველი და მესამე ადგილები შესაბამისად პროდუქტად და შრომით რენტას ეჭირა, მაგრამ, ... განვითარების ტენდენცია ფულადი რენტის სასარგებლოდ იყო, რაც საბოლოო ჯამში

---

[58] მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ. 1957, გვ. 93 და გვ. 385.

[59] ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან.

[60] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 170—171.

[61] З. В. Анчабадзе. Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, с. 53.

[62] А. Я. Панцхава. Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX века, с. 299.

საგრძნობლად ზრდიდა მის ხვედრით წონას"[63]. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალის მოშველიებით გადმოვცეთ ჩვენი აზრი ფეოდალური რენტის ფორმათა ხვედრითი წონის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ რა ადგილი ეკავა ფულად რენტას საბატონო გლეხთა გადასახადებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბატონო გლეხთა ძირითადი გადასახადები ღალა და კულუხი იყო, რომელსაც ისინი ნატურით—მარცვლეულითა და ღვინით იხდიდნენ. ჯერ კიდევ XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში გ. აკოფაშვილი აღნიშნავს, რომ ამ გამოსაღების პროდუქტების ნაცვლად ფულით აკრეფის შემთხვევები შეინიშნება. მაგ., მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობაში ღალა და კულუხი ზოგჯერ ფულად სახეს ღებულობს და, რაც მთავარია, ეს უპირატესად გლეხის სურვილით ხდება[64]. ფულით იხდის ამ ძირითად გადასახადებს XIX ს-ის დასაწყისში კახეთის საბატონო გლეხების ნაწილი. ნ. ნაცვლიშვილის გამოანგარიშებით კახეთის 513 კომლ საბატონო გლეხიდან 277 კომლი ღალისა და კულუხის ნაცვლად იხდის ფულად გადასახადს 631 მანეთს. 164 კომლი კი იხდის კულუხს ნატურით[65]. იმავე კახეთში 1805 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. ზიარის 5 კომლი საბატონო ყმა მემამულე დიმიტრი აბაშიძეს შრომითა და ფულით 23 მანეთით უსწორდებოდა[66]. 40-იანი წლებისათვის სოფელ შილდის ყმა გლეხები თავად გურგენიძეებს ფულად გადასახადებს უხდიდნენ 15-დან 20 მანეთამდე[67]. როგორც 1841 წლის დავით ამილახვრის ყმა-მამულის აღწერიდან ჩანს, სოფელ ფხვენისში მცხოვრები 6 კომლი გლეხი ღალისა და კულუხის ნაცვლად ბატონს უხდიდა ფულს კოდ ხორბალში 1 მანეთსა და კოკა ტკბილის ნაცვლად მანეთნახევარს[68]. ასეთი საბუთების მოტანა სხვაც შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც მასა-

---

[63] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 141.

[64] გ. აკოფაშვილი. ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგის საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., ტ. VII, 1963, გვ. 100—102.

[65] ნ. ნაცვლიშვილი. ქართველი თავადაზნაურობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს-ის პირველი მესამედი), ისტორიის ინსტ-ის კრებული, ახალი ისტორიის საკითხები, II, 1975, გვ. 61.

[66] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 181, ფურც. 8—9.

[67] იქვე, ფ. 16, საქ. 6774, ფურც. 77—78.

[68] იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 6044, ფურც. 25—34.

ლებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, ძირითადად ფულზე გაზრდილი შოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მებატონეები მეორეხარისხოვანი, პირადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბატონყმობის რიგის გამოსაღებების ხარჯზე ახდენდნენ. XIX ს-ის მთელი I ნახევრის განმავლობაში თავადაზნაურობა ფუფუნების საგნებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადასახადებს: საჩექმეს, ფულის ერთდროულ გაწერას, საქვრივოს, საქორწილოს და სხვ., რომლებიც ფულით იკრიფებოდა და რომელთა მოცულობაც ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დადგენილი არ იყო, განუსაზღვრელად ზრდიდა. მაგალითად, 1835—1836 წლებში იმერეთის მმართველი ატყობინებდა ბარონ როზენს, რომ მეტისმეტად გახშირდა გლეხთა საჩივრები მათი ქალიშვილების გათხოვებისას 20 მანეთით და მეტი თანხით დაბეგვრის გამო[69]. 1838 წელს გორის მაზრის სოფ. აბისში მცხოვრებ საბატონო ყმა თამაზ ირემაძისა და მისი ნათესავებისათვის, სულ 6 კომლი გლეხისათვის, ამირეჯიბებს 100 მანეთის გადახდა შეუწერიათ. ვინაიდან გლეხებმა გადასახადის ასაკრეფად მოსულ მოხელეს წინააღმდეგობა გაუწიეს და უარი თქვეს ფულის გადახდაზე, მოხელემ მათ გადასახადის ანგარიშში მუშა პირუტყვი წაართვა. ირემაძისა და მისი ნათესავების საჩივარზე კი გორის მაზრის უფროსი პასუხობდა, რომ მემამულის ვალის დასაფარავად გადასახადის ასეთი ერთდროული გაწერა ჩვეულებრივი მოვლენა არის. რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში თანხა ირემაძეებისათვის ძნელად გადასახდელი არ არის, მათი საჩივარი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. საქმის გაცნობის შემდეგ საქართველოს მთავარმმართველიც სავსებით დაეთანხმა მაზრის უფროსის გადაწყვეტილებას[70]. იმავე გორის მაზრის მებატონეს ფალავანდიშვილს თავის ებრაელ ყმებზე ყოველწლიურად გაწერილი ჰქონდა საკმაოდ დიდი თანხის გადახდა, კერძოდ დათია მარდახაშვილზე—50 მანეთი, აბრამ იოსებაშვილზე—40 მანეთი, იოსებ ისრელაშვილზე—30 მანეთი, ცოცე ისრელაშვილზე — 30 მანეთი, ელო ბატოშვილზე — 25 მანეთი და სხვ[71]. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ აღარ შევუდგებით მათ ჩამოთვლას. მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უსაზღვროდ შეეძლოთ გაეზარდათ ბატონებს ფულადი გადასახადი, მოვიტანთ შემდეგ საბუთს. 1831 წ.

---

[69] სცსსა, ფ. 2. ან. 1, საქ. 3971, ფურც. 2.
[70] იქვე, საქ. 5606, ფურც. 1—13.
[71] იქვე, ფ. 214, საქ. 1502, ფურც. 28, 35.

იმერეთის სოფ. კორბოულის 20 კომლმა საბატონო ყმამ უჩივლა თავად როსტომ წერეთელს, რომელმაც „თავის ძმისწულებისათვის მზითვად მისაცემი 30000 მანეთის ვერცხლით გადახდა ჩვენ შემოგვაწერა და თითეულს 60 მანეთიდან 100 მანეთამდე გვახდევინებს, რაც ჩვენ შეძლებას აღემატებაო“[72]. როგორც გაირკვა, როსტომ წერეთელს მართლაც მთელი თანხის—30000 მანეთის აკრეფა თავის გლეხებისაგან ჰქონია განზრახული. მას ეს ფული 6 წლის მანძილზე გაუნაწილებია, სათანადო ნუსხაც შეუდგენია და 2000 მანეთი შეუგროვებია კიდეც. იმავე საქმეში მეორე საჩივარიც არის თავად ბერი წერეთელზე, ბერი წერეთელსაც თავისი ვალების გადასახდელად საჭირო თანხა (ამჯერად თანხა მითითებული არ არის) ამავე გლეხებზე გაუნაწილებია. გლეხების ენერგიული პროტესტი რომ არა, ადგილობრივ ხელისუფლებას შეიძლება ყურადღება არც კი მიექცია ამ საჩივრებისათვის. მაგრამ სოფ. კორბოულის გლეხობამ ეკლესიაში თავშეყრისას ერთმანეთს შეჰფიცა, რომ არ შეასრულებდნენ ბატონების ამ უსაზღვროდ გაზრდილ მოთხოვნებს და ერთმანეთს დაუჭერდნენ მხარს. გლეხების დასაწყნარებლად ერთი ასეულის გაგზავნაც კი გახდა საჭირო. მართალია, იმერეთის მმართველმა წერეთლებს აუკრძალა გლეხებისათვის ასეთი უზომო მოთხოვნილებების წაყენება, მაგრამ მეორეს მხრივ გლეხებიც მკაცრად დასჯა, არეულობის მოთავეები 34 კაცი ცოტა ხნით დააპატიმრეს და გაროზგეს კიდეც[73].

როგორც ვხედავთ, საბატონო გლეხთა გადასახადებშიც ფულადი რენტა თანდათანობით იკიდებდა ფეხს, მაგრამ აქ ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლას უმთავრესად სპორადული ხასიათი ჰქონდა და მისი მასობრივი კომუტაცია არ მომხდარა. საბატონო მეურნეობებში ფულადი რენტა ნატურალურის — პროდუქტადი და შრომითი რენტის გვერდით არსებობდა. რენტის თითოეული ფორმის ზუსტი მოცულობის დადგენა სათანადო მასალების სიმცირის გამო არ ხერხდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდის მიუხედავად საბატონო მეურნეობებში 40-იანი წლებისთვისაც წამყვანი ადგილი ნატურალურს — პროდუქტადს და შრომით რენტას უჭირავს. სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ მთელი საქართველოს მასშტაბით საადგილმამულო ურთიერთობაში. რო-

[72] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 2712, ფურც. 1.

[73] იქვე, ფურც. 24, 25.

გორც უკვე აღვნიშნეთ, გოგოლაძე აქაც პირველ ადგილზე შრომით და პროდუქტად რენტას აყენებს. „მაგრამ, — წერს იგი, — თუ ჩვენ ავიღებთ საერთოდ რენტას XIX ს. ბატონყმური ხანის საქართველოს მთელ სააღგილმამულო ურთიერთობაში, ღრმა დაკვირვებების შედეგად დავრწუნდებით, რომ მოცემულ ხანაში რენტის სახეებს შორის (შრომითი, ნატურალური, ფულადი) გაბატონებული იყო ნატურალური და შრომამიგებითი რენტა“[74] პროდუქტადი და ფულადი რენტის ხვედრითი წონის გასარკვევად და შესადარებლად მას ფულად ექვივალენტში გადაჰყავს საბატონო გლეხების პროდუქტადი რენტა (გულისხმობს რა თითოეულ კომლზე საშუალოდ 15 მანეთით დაბეგვრას) და იმის გამო, რომ ამ გზით მიღებული თანხის რაოდენობა დიდად აჭარბებს სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების ფულად გადასახადებს, პროდუქტადი რენტის უპირატესობას აღიარებს. მაგრამ ამჯერად ეს მეთოდი არ გამოდგება. ის გარემოება, რომ საბატონო გლეხები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილი, ვიდრე სახელმწიფო და საეკლესიო, პროდუქტადი რენტის ბატონობაზე როდი მიუთითებს. მთავარია პროდუქტადი და ფულადი რენტის გადამხდელი გლეხების კომლთა რაოდენობის დამათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის შედარება. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, 1818 წლიდან საეკლესიო გლეხები მთლიანად გადაყვანილი იყვნენ ფულად რენტაზე, 1845 წლიდან სახელმწიფო გლეხებში ასევე საბოლოოდ გაძევებული იყო პროდუქტადი რენტა. საეკლესიო და სახელმწიფო გლეხების რაოდენობა კი ამ დროისათვის 72413 კომლს შეადგენდა. საბატონო გლეხებისა—41397 კომლს. საბატონო გლეხებში ფულადი რენტის არსებობა საესებით რომ გამოვრიცხოთ, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, მაინც ამ დროისათვის მთელი ბატონყმური საქართველოს სააღგილმამულო ურთიერთობაში პროდუქტად რენტასთან შედარებით ფულადი რენტის ბატონობა უდავოა, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო გლეხები საბატონო ყმებთან შედარებით გაცილებით უფრო მეტი ფართობის მიწებს ფლობდნენ. მაგალითად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში საბატონო გლეხებს მფლობელობაში ჰქონდათ 84665 დესეტინა ყოველგვარი მიწა, სახელმწიფო და

[74] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

საეკლესიო გლეხებს კი დაახლოებით 10-ჯერ უფრო მეტი—842 636 დესეტინა. ე. ი. დაახლოებით 10-ჯერ უფრო დიდი ფართობის მიწის რენტა ფულით იკრიფებოდა.

რაც შეეხება შრომამიგებით რენტას. საბატონო მეურნეობებში შრომით რენტას საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. გლეხი ვალდებული იყო მოეხნა, დაეთესა და მოერწყა მემამულის მიწები, აეღო და მემამულის ბეღლებში დაებინავებინა ჭირნახული, გაესხლა, დაებარა ვენახი, ვაზებისათვის გამოეცვალა სარები, დაეკრიფა, დაეწურა ყურძენი, გარეცხილ ქვევრებში ჩაესხა ღვინო და სხვ. როგორც თავად დავით ამილახვარის ყმამამულის აღწერიდან ჩანს, მისი 6 კომლი გლეხიდან, ყველაზე უფრო მძიმედ დაბეგრილი 3 კომლი შემდეგ გადასახადებს იხდიდა:

1. სოსია ეშმაკურაშვილი, რომელსაც 2 ვენახი, 2 დღიური ნაფუზარი და 29 დღიური სარწყავი მიწა ჰქონდა, ბატონს უხდიდა:

1. ღალის ნაცვლად 1 კოდ ხორბალში 1 მანეთს
15 კოდში — 15 მანეთს
5 კოდი ქერის ნაცვლად — 3 მანეთს
2. 7 კოკა კულუხის ნაცვლად —10 მან. 50 კაპ.
3. საშობაოს — 2 მან.
4. ძღვენს — 1 მან. 60 კაპ.
5. მარხვაში 1/2 კოდ ლობიოსა და 1 ლიტრ კაკალს — 60 კაპ.
6. ყველიერში 1/4 ლიტრა კარაქსა და 20 კვერცხს — 1 მან. 60 კაპ.
7. 8 ქათამსა და 6 წიწილას — 1 მან. 60 კაპ.
8. მოჰქონდა ყოველ თვე თითო ურემი შეშა —6 მან.
9. 3 დღე თავისი გუთნით ხნავდა ბატონის მიწას—4 მან. 50 კაპ.
10. 4 დღე რწყავდა მოხნულ მიწას — 80 კაპ.
11. 2 დღე თესავდა და ფოცხავდა —2 მან.
12. 4 დღე მკიდა —80 კაპ.
13. 3 დღე მინდვრიდან ძნებს ზიდავდა თავის ურმით — 2 მან. 40 კაპ.
14. 15 დღე უღელი ხარით და ერთი დამხმარე კაცით ლეწავდა — 9 მან.
15. 3 დღე ვენახში ეზიდებოდა სარებს, 2 დღე ვენახში თიბავდა — 3 მან.
16. 2 დღე ვაზს სხლავდა — 40 კაპ.

17. 1 დღე ვენახში ბალახს ცელავდა — 20 კაპ.
18. 1 დღე ვენახს რწყავდა —20 კაპ.[75].

2. მეორე კომლი — დათუა ომაძე, რომელსაც 2 ვენახი, 9 დღიური ნაფუზარი და 40 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა, იხდიდა:

1. ღალის 20 კოდი ხორბლის ნაცვლად 20 მანეთს
10 კოდი ქერის ნაცვლად 6 მანეთს
2. 10 კოკა კულუხის ნაცვლად 15 მანეთს

დანარჩენ ბეგარა-გადასახადებს დაახლოებით ისეთივე რაოდენობით ასრულებდა, როგორც ეშმაკურაშვილი[76].

3. მესამე კომლი—თამაზ ომაძე, რომელსაც 2 ვენახი, 1 1/2 დღ. ნაფუზარი და 23 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა, შემდეგ გადასახადს იხდიდა:

1. ღალის 8 კოდი ხორბლის ნაცვლად 8 მანეთს
3 კოდი ქერის ნაცვლად 1 მან. 50 კაპ.
2. 6 კოდი კულუხის ნაცვლად 9 მანეთს
3. საშობაოს 1 მან. 10 კაპ.
4. ძღვენს 1 მან. 60 კაპ.
5. მარხვას 2 ჩანახ ლობიოს და 1 ლიტრ კაკალს 30 კაპ.
6. ყველიერში 2 გირვანქა კარაქს და 10 კვერცხს 30 კაპ.
7. 4 ქათამსა და 4 წიწილას 1 მან. 10 კაპ.
8. თევში მოჰქონდა თითო ურემი შეშა 6 მან.
9. 3 დღე თავისი გუთნით ხნავდა 4 მან. 50 კაპ.
10. 1 დღე რწყავდა 20 კაპ.
11. 1 დღე ფოცხავდა და თესდა 1 მან 20 კაპ.
12. 4 დღე მკიდა პურს 80 კაპ.
13. 8 დღე ლეწავდა 1 უღელი ხარით და 1 კაცის დახმარებით 4 მან. 80 კაპ.
14. 2 დღე ვენახში მუშაობდა, მოჰქონდა სარები, 2 დღე ვენახში თიბავდა 1 მან. 60 კაპ.
15. 2 დღე ვაზს სხლავდა 40 კაპ.
16. 1 დღე ბალახს ცელავდა ვენახში 20 კაპ.
17. 1 დღე ვენახს რწყავდა 20 კაპ[77].

---

[75] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 6044, ფურც. 25, 30, 31.
[76] იქვე, ფურც. 28, 33.
[77] იქვე, ფურც. 28, 30, 31, 32.

დანარჩენ გლეხებს სოსია ნებალაძეს, დათუა მაქაშვილს და ტერტერაშვილს დაახლოებით იგივე ბეგარა-გადასახადები ემართათ, რაც მესამე კომლს თამაზ ომაძეს. ფულად ექვივალენტში გადაყვანილი ყველა ეს გადასახადი რენტის სახეობათა მიხედვით რომ დავაჯგუფოთ, დავინახავთ, რომ იმ მრავალგვარი სამუშაოების მიუხედავად, რომელიც გლეხებს ემართათ, პირველ ადგილზე მაინც ფულადი რენტა მოდის (32, 44, 21 მან.), მას კი შრომამიგებითი რენტა მოჰყვება (29,29, 19 მან). ეს იმიტომ მოხდა, რომ ყმა გლეხები უმთავრესად ისეთ მარტივ სამუშაოს ასრულებდნენ, რომლის დღიური ფასი 20 კაპიკს არ აღემატებოდა. თითოეული მათგანის სამუშაო დღეების რაოდენობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში 40-მდე აღწევდა, აქედან 32 დღის დღიური ქირა 50 კაპიკს არ აღემატებოდა. პროდუქტადი რენტის ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო (3—4 მანეთამდე).

უფრო მეტი იყო ყმა გლეხის სავალდებულო სამუშაო დღეების რიცხვი კახეთში, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა იყო, რომლის მოვლა-პატრონობა გამუდმებულ მუშაობას საჭიროებდა. მაგალითად, სოფელ რუისპირში მცხოვრები 6 კომლი გლეხი თავად ტონიკე მაყაშვილს შემდეგ გადასახადებს უხდიდა: სამი კომლი—აბრამ ქვახარშიაშვილი, გოგია ღარიბაშვილი და რევაზ კალანდარიშვილი, რომელთაც 2—2 ვენახი და 15—10 დღიური სახნავი მიწა ჰქონდათ, თითოეული უხდიდა ბატონს: 2 საპალნე ღვინოს, 100 დღე მუშაობდა ბატონის მეურნეობაში, 3 დღე თავის გუთნით ხნავდა ბატონის მიწას და ძღვენს იხდიდა წელიწადში 2 მანეთს. მეორე სამი კომლი—სოლომონ იგრიაშვილი, ნინია ჩხუბიანიშვილი და გლახა ქიტესაშვილი იხდიდა თითოეული: 1 საპალნე ღვინოს, ბატონის მეურნეობაში მუშაობდა 90 დღე, 3 დღე საკუთარი გუთნით ხნავდა ბატონის მიწას და ძღვენს იხდიდა 2 მანეთს[79]. 100 და 90 დღე ბატონის მეურნეობაში მუშაობა იმას ნიშნავს, რომ ამ გლეხებს თითქმის მთელი თავისი სამუშაო დრო ბატონის მეურნეობაში უნდა ჰქონოდათ დაკავებული. მაგრამ იმავე საბუთში წერია, რომ ეს გლეხები ვალდებული იყვნენ ან 100—90 დღე ემუშავათ, ან 20 კაპიკი გადაეხადათ დღეში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, გლეხები მუშაობის ნაცვლად ფულს უხდიდნენ ბატონს, ვინაიდან მათ 1837 წელს ბატონის ყმამამულის საჯაროდ გაყიდვის დროს მოახერხეს და გამოისყიდეს თავი. პირველმა სამმა კომლმა თითოეულმა ბატონისათვის 462 მანეთის გადახდით და მეორე სამ-

[79] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 151, ფურც. 76—85.

მა კომლმა 342 მანეთის გადახდით[79]. რა თქმა უნდა, ეს გლეხები ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში რომ არ ყოფილიყვნენ ჩაბმული, ამ თანხის დაგროვებასა და თავის გამოსყიდვას ვერ მოახერხებდნენ.

მრავალგვარი საქმიანობის მიუხედავად უმაგლეხის შრომა მთლიანად ბატონის ნებასურვილზე რომ იყო დამოკიდებული, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ ჩვეულებებით და ტრადიციით ერთგვარად რეგლამენტირებულიც კი იყო. მაგალითად, თავადს ან აზნაურს თავის საკუთარ ვენახში მუდმივი, შედარებით კვალიფიცირებული სამუშაოების შესასრულებლად აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ორი-სამი დაქირავებული მეზვრე. დაქირავებული მებაღეების რაოდენობა ჩვეულებრივ ვენახის ფართობით განისაზღვრებოდა. ყმა გლეხის შრომა კი სეზონური შავი სამუშაოებისათვის შემოდგომასა და გაზაფხულზე უნდა გამოეყენებინა ვენახის დასაბარავად, გასასხლავად, ყურძნის დასაკრეფად, დასაწურად და სხვ. ვენახის პატრონი ვალდებული იყო სეზონური სამუშაოების დროს ვენახში მომუშავე გლეხების კვება პურით, ღვინითა და საკლავით თავის ხარჯზე უზრუნველეყო. ვენახებში მუშაობის ეს წესი რომ იყო გავრცელებული საქართველოში, კარგად ჩანს მეფის საგვარეულოს წევრების, ან აჯანყებული თავადებისათვის ჩამორთმეული ვენახების იჯარით გაცემის დროს დადებულ ხელშეკრულებებიდან. მაგალითად, ველისციხის ვენახის იჯარადარზე ნათქვამია, რომ . . . «предоставляется откупщику право употребить велисцихских жителей в марте месяце для очистки и пересадки виноградных лоз и фруктовых деревьев, а в сентябре, или октябре для снятия винограда, наблюдая при этом, дабы по отношению жителей излишних рабочих требовано не было, а смотря по необходимости, которые и обязан откупщик по прежним обычаем пищей довольствовать порядочною от себя»[80].

ვენახის იჯარით გაცემის ყველა ხელშეკრულებაში იყო სპეციალური მუხლი, რომლითაც გათვალისწინებული იყო იჯარადრის მიერ მეზვრეების დაქირავება და ვენახებში მომუშავე ყმა-გლეხების კვებით უზრუნველყოფა: «Откупщикам иметь непременно при садах во все продолжение откупного времени нужное число са-

[79] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 565, ფურც. 912.

[80] იქვე.

довников на своем содержании для всегдашних в оных садах работ; обработка же в нужное время садов должно быть по прежнему обычаю, где церковными крестьянами обрабатываемы были в прежнее время сады с продовольствием сих откупщиками хлебом и вином»[81].

ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ მეზვრეებს ყოველწლიურად აძლევდნენ ჯამაგირს 50—70 მანეთამდე და გარკვეული რაოდენობით ღვინოსა და ჭაჭას. მაგ., ახმეტის ვენახის მეზვრეები ბერა ბერძენიშვილი, პაატა ჩიტაშვილი და გამეხარდა ფიჩხაური, ზემო ხოდაშენის ვენახის მეზვრეები მახარობელა ხეიძე და დავითელა იმერელი, კონდოლის ვენახის მეზვრეები ქიტესა ლაფაჩი და კოტარა აბაშიძე მეფისაგან ყოველწლიურად იღებდნენ ჯამაგირს[82]. ვენახების შემუშავების ასეთივე წესი არსებობდა თავადაზნაურობის მეურნეობაშიც. მაშასადამე, ბატონისმეურნეობაში უველასამუშაო ყმის უფასო შრომით კი არ სრულდებოდა, არამედ მუდმივი სამუშაოებისათვის კვალიფიცირებული მუშები ჰყავდათ დაქირავებული. ყმურ შრომას კი სეზონური სამუშაოებისათვის იყენებდნენ და ხშირად გლეხს შეეძლო შრომის ნაცვლად ფულადი საფასურიც გადაეხადა.

საეკლესიო და სახელმწიფო გლეხების მეურნეობაში შრომაგიგების დიდი ადგილი არ უნდა სჭეროდა, ვინაიდან, როგორც პროფ. ი. ანთელავა აღნიშნავს, ყმა გლეხების შრომის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ საეკლესიო და სახაზინო ვენახებსა და წისქვილებში. სხვაგვარ საგზაო სამუშაოებსა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანას, რომლითაც ეს უკანასკნელნი უმოწყალოდ იყვნენ დაბეგრილნი, ი. ანთელავა სახელმწიფოსაგან ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფი ყმის ვალდებულებად კი არ მიიჩნევს, არამედ იმპერიის ქვეშევრდომთა გადასახადად თვლის, რასაც მიწის რენტასთან არავითარი კავშირი არ აქვს და რასაც ჩვენც სავსებით ვიზიარებთ[83].

მართალია, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაციის დროს ოფიციალურად შრომითი რენტის გადაყვანა ფულზე არ მომხდარა, მაგრამ,

---

[81] სცსსა, ფ. 489, აწ. 1, საქ. 1699, ფურც. 4.

[82] იქვე, ფ. 254, საქ. 150, ფურც. 300—302.

[83] ი. ანთელავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 347—348.

როგორც საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, სტიქიურად მისი ფულად რენტად გარდაქმნის პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა.

1818 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა სახაზინო ვენახები, ხეხილის ბაღები, სავენახე ადგილები, ბოსტნები და სხვა, თუ კი მსურველი აღმოჩნდებოდა, გაეყიდა, ვინაიდან იჯარით მათი გაცემის შედეგად სახელმწიფო მოგების ნაცვლად ზარალს ნახულობსო. მაზრის უფროსებს დაევალათ შეეკრიბათ ცნობები რომელ სახაზინო ვენახს, რომელი სოფლის მოსახლეები ამუშავებდნენ, ფულად ექვივალენტში გადაეყვანათ თითოეული მათგანის შრომა და ამ ვენახის გაყიდვის შემთხვევაში ეს ბეგარა ხაზინისათვის ფულით გადაეხადათ[84]. შეკრიბა თუ არა ხაზინამ ასეთი ცნობები, საქმიდან არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ სახაზინო ვენახის გაყიდვის შემთხვევაში მის დამმუშავებელ გლეხებს შრომითი რენტა ფულით ეცვლებოდათ.

1819 წელს ველისციხის სახაზინო ვენახი, რომელიც წელიწადში 700 მანეთად იყო იჯარით გაცემული, ხელისუფლებამ ალექსანდრე ჭავჭავაძეს უბოძა, ველისციხელ მოსახლეობას კი, რომელიც ამიერიდან ამ ვენახის მოვლის სამუშაოებიდან თავისუფლდებოდა, წელიწადში 400 მანეთის გადახდა დაავალა[85]. როგორც მერმინდელი საგადასახადო ნუსხებიდან ჩანს, ველისციხელები ბოლომდე იხდიდნენ ამ გადასახადს. იმავე 1819 წელს რუსეთის ხელისუფლებამ პოლკოვნიკ იოსებ ბებუთოვს ერთგული სამსახურისათვის მანავის დიდი სახაზინო ვენახი (ყოფილი უფლისწულ ფარნაოზის) უწყალობა, რის შედეგადაც მანავის სახელმწიფო გლეხებზე დადებული ბეგარა უქმდებოდა. «...нужный для огорожи сего сада,—ვკითხულობთ საქმეში,—и для подставок под виноградныя лозы лес употреблялся со стороны обывателей, обязанных было по прежнему положению обрабатыванием того сада из лесных дач вообще селению Манави принадлежащих, каковая обязанность по случаю всемилостивейшей отдачи того сада во владение Бебутову должна уже прекратится...»[86] და ბებუთოვიც პირდებოდა ხაზინას, რომ ამიერიდან ყველა სამუშაოს შეასრულებდა დაქირავებული მუშახელის სა-

---

[84] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 607, ფურც. 19.

[85] იქვე, საქ. 565, ფურც. 904—912.

[86] იქვე, საქ. 608, ფურც. 378—379.

შუალებით, მაგრამ თუ სახელდობრ რამდენს იხდიდნენ მანაველები ამ შრომითი რენტის ნაცვლად, საქმეში მითითებული აღარ არის.

1823 წლისათვის უკვე 10 სახაზინო ვენახი იყო გაყიდული[87]. ფაქტია, ყველა ამ ვენახის დამუშავება ამიერიდან დაქირავებული შრომით უნდა მომხდარიყო, იმ სახელმწიფო გლეხებს კი, რომელთაც ამ ვენახების დამუშავება ბეგარით ემართათ, მუშაობის ნაცვლად ხაზინაში ფული უნდა ეხადათ. სახელდობრ რამდენს იხდიდნენ ისინი, საქმიდან არ ჩანს, მაგრამ რადგანაც თითქმის ყველა ვენახი საკმაოდ დიდ ფართობზე მრავალრიცხოვანი ვაზით იყო გაშენებული, ფულადი გადასახადიც მნიშვნელოვანი იქნებოდა. გარდა ამისა, 1842 წ. ფულადი გადასახადის ნუსხიდან ჩანს, რომ მუღანლუსა და ქოლაგირის თათრები სახელმწიფო მინდვრებზე მარცვლეულის დათესვის ნაცვლად ხაზინას 350 მანეთს უხდიდნენ[88]. ასევე მცხეთის საეკლესიო გლეხები 1834 წლიდან მცხეთის საეკლესიო ვენახის დამუშავების ნაცვლად 50 მანეთს იხდიდნენ[89]. სოფ. არტოსნისა და გულგულის საეკლესიო გლეხები შუამთის მონასტრის ყარაულობის ნაცვლად 45 მანეთს იხდიდნენ[90]. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ არსებული საქმიდან ირკვევა, რომ საეკლესიო გლეხები პროდუქტადი გადასახადების კომუტაციის შედეგად ზოგიერთი სამუშაოსაგანაც განთავისუფლებულან. მაგ. 1844 წ. იჯარადარ ანდრია ჩხუბიანიშვილს, სოსია ნაცარაშვილს და მოქ. იაკობ იაგოროვს, რომელთაც ეკლესიისაგან მდ. ალაზანში თევზის ჭერა ჰქონიათ იჯარით აღებული, საეკლესიო სოფლების ახტალისა და ვარდისუბნის გლეხებისათვის მოუთხოვიათ მდინარე ალაზანში ფაცერების ჩადგმა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, რადგანაც „რაც საეკლესიო გამოსაღები თეთრი შეგვწერდა, მაშინ ამგვარი დებულების მუშაობისაგან თავისუფალი შევიქმენით და არც აქამომდე აღარ ჩაგვიდგამსო“[91].

როგორც ვხედავთ, შრომითი რენტის თანდათანობითი კომუტაცია განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და ფეოდალური რენტის ამ სახეობას 40-იანი წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში არცთუ ისე დიდი ადგილი უნდა

---

[87] სცსსა, ფ. 112, ან. 1, საქ. 1645, ფურც. 1—6, 21—23.
[88] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 14960, ფურც. 2.
[89] იქვე, ფ. 254, ან. 1, საქ. 1960.
[90] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 15488, ფურც. 1.
[91] იქვე, ფ. 501, ან. 1, საქ. 82, ფურც. 53.

სჭეროდა, როგორსაც მას ზოგიერთი მკვლევარი ანიჭებს.

დაბოლოს ჩვენ გვინდა სპეციალურად შევჩერდეთ საიჯარო ურთიერთობაში გავრცელებულ ანაზღაურების ფორმებზე. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოში მიწის მოიჯარე გლეხები მიწის მფლობელებს, როგორც წესი, ნატურალურ რენტას უხდიდნენ. ვ. დუმბაძე იხილავს რა დასავლეთ საქართველოს აგრარულ ურთიერთობას, წერს, რომ იჯარით აღებული მიწის საზღაურად ანუ მიწით სარგებლობისათვის გლეხი მიწისმფლობელს უხდიდა „მოდის“ — მოსავლის გარკვეულ ნაწილს. „მოდი“ დასავლეთ საქართველოში ღებულობდა „ღალის“ ფორმას. ამ ღალას „სანადელო“ მიწაზე კი არა, არამედ „საიჯარო მიწაზე“ იხდიდნენ, თუმცა ეს „საიჯარო მიწა“ იგივე „სანადელო“ (საკომლო) მიწად იქცეოდა და ამდენად არსებით განსხვავებას ადგილი არ ჰქონია. „მოდი“ მოსავლის 1/10-დან — 1/5-მდე აღწევდა[92].

ასეთივე აზრისაა დ. გოგოლაძეც. ის ორიოდე მაგალითის განხილვის საფუძველზე წერს, რომ „საბატონო გლეხები, რომლებიც საბატონო მიწებზე ცხოვრობდნენ, სოფლის მოიჯარე გლეხები, ასევე ხიზნები — მიწათმფლობელებს უფრო მეტად ნატურალურ რენტას უხდიდნენ ვიდრე ფულადს“[93]. ამის შემდეგ მას იჯარით გაცემულ მიწებზე ნატურალური რენტის უპირატესობა დამტკიცებულად მიაჩნია და ფეოდალური რენტის ფორმების ხვედრითი წონის დადგენისას საბატონო ყმაგლეხთა ფეოდალურ-ნატურალურ რენტას იჯარით გაცემულ მიწებზე აკრეფილ გადასახადს უმატებს, „ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის ნატურალური რენტის ხვედრითი წონის სიჭარბეს ფეოდალურ ფულად რენტასთან შედარებით XIX ს. ბატონყმურ ხანაშიო“[94],—ასკვნის იგი. მაგრამ სათანადო მასალების გულდასმით შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოს საიჯარო ურთიერთობაში ფულადი ქირის როლი გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე მას აქამდე თვლიდნენ.

ეკლესიის საშემოსავლო უწყისებიდან ირკვევა, რომ 1818

---

[92] ვ. დუმბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[93] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[94] იქვე, გვ. 169.

წლიდან საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაციის შემდეგ, როგორც წესი, თავისუფალი საეკლესიო მიწები მხოლოდ ფულადი ანაზღაურებით გაიცემოდა. ეკლესია კი საკმაოდ მსხვილი მიწათმფლობელი იყო. 40-იან წლებში მარტო აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ბაღ-ვენახებისა და სახნავი მიწების იჯარით მიღებული შემოსავალი წელიწადში 14000 მანეთს უდრიდა[95]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ დროისათვის საიჯარო ქირა შედარებით დაბალი იყო, ჩვენი გამოანგარიშებით დესეტინაზე 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე მერყეობდა (მაშინ როცა 70-იანი წლებისათვის იჯარის ქირამ დესეტინაზე 5—8 მანეთს მიაღწია), ცხადი გახდება, რომ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი ყოფილა ფულადი ანაზღაურებით გაცემული.

ეკლესიის გარდა ფულად იჯარაზე მიწებს სცემდა ხაზინაც. 1818 წელს სახაზინო ექსპედიციას დაევალა შეძლებისდაგვარად აეწერა თავისუფალი სახელმწიფო მიწები, რომლებიც აქამდე მოსავლის 1/7-ის გადახდით გაიცემოდა, და ამიერიდან ფულადი იჯარით გაეცათ[96]. ფულად იჯარაზე მიწების გაცემის შემთხვევები იყო კერძო მიწათმფლობელების მხრიდანაც. ასე რომ საიჯარო ურთიერთობაში ფულადი რენტის დომინირება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქვე თუ გავიხსენებთ, რომ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების მეურნეობაში პროდუქტადი რენტა საბოლოოდ იყო აღმოფხვრილი და ფულადი გაბატონებული, რომ ეს უკანასკნელი საბატონო ყმაგლეხების მეურნეობაშიც იყო შეჭრილი და შრომამიგებითი რენტის კომუტაციაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, ვფიქრობთ, სრული საფუძველი იქმნებაიმისათვის, რომ XIX ს-ის 40-იანი წლების საქარ-

[95] სცსსა, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 10135, 11574 და სხვ.

[96] იქვე, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 520, ფურც. 482—485.

თველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობაში ფულადი რენტის გაბატონებული მდგომარეობა ვაღიაროთ. ფეოდალური რენტის ამ უმაღლესი სახეობის ბატონობა კი გარდა იმისა, რომ ქვეყნის დაწინაურებაზე მიუთითებდა, მის შემდგომ ეკონომიურ პროგრესს აქტიურად უწყობდა ხელს და მთელი წარმოების წესის ცვლილებებს იწვევდა[97].

[97] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 418—419.

თავი IV

მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის ახალი ფორმები

§ 1. „ნასყიდი" მიწის როლი გლეხის მეურნეობაში

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისათვის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს პრივილეგირებული წოდების ხელში მიწის მობილიზაცია წარმოადგენს. სწორედ მიწის მონოპოლიური საკუთრება არის ფეოდალთა კლასისა და სახელმწიფოს მიერ გლეხების ექსპლოატაციის მატერიალური საფუძველი.

განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დროს მიწის საკუთრების მონოპოლიური და წოდებრივი ხასიათი მის თავისუფალ მობილიზაციას თითქმის სავსებით გამორიცხავს. ფეოდალური ფორმაციის წიაღში კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების პირობებში კი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, პირველ რიგში, ძირს უთხრის თავადაზნაურული წოდების სწორედ ამ პრივილეგიურ უფლებებს — მიწის მონოპოლიურ საკუთრებას.

XVIII ს-ის მანძილზე და XIX ს-ის დასაწყისში რუსეთში მიწის ფეოდალური საკუთრება მრავალმხრივ ცვლილებებს განიცდიდა. მართალია, ფეოდალური საკუთრება კვლავაც გაბატონებულ ფორმად რჩებოდა, მაგრამ მის პარალელურად მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის ახალი ფორმებიც იწყებდა განვითარებას. სახელდობრ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების და ამ ურთიერთობაში გლეხობის ჩაბმის შედეგად, დაუსახლებელი მიწების შეძენას არაპრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებიც იწყებდნენ [1]. XIX ს-ის დასაწყისში ეს მოვლენა ოფიციალურად დაკანონდა კიდეც. 1801 წელს გამოცემული კანონის

[1] დასახლებული მიწების საკუთრების უფლება 1861 წლის რეფორმამდე მხოლოდ ფეოდალთა წოდების პრივილეგიას წარმოადგენდა.

თანახმად რუსეთში, საბატონო ყმა გლეხების გარდა, ყველა წოდების წარმომადგენლებს დაუსახლებელი მიწის ნაკვეთების შეძენის უფლება ეძლეოდათ. 1858 წლისათვის რუსეთში დაახლოებით 268,5 ათასი სახელმწიფო გლეხი იყო მესაკუთრე. მათ შეძენილი ჰქონდათ 1 მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა[2].

როგორც აღვნიშნეთ, რუს საბატონო ყმებს კანონმდებლობა უფლებას არ აძლევდა საკუთრად შეეძინათ მიწები, მაგრამ მიწების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში ჩაბმას ისინი მოვლითი გზებით მაინც ახერხებდნენ და მიწის ნასყიდობის სიგელებს მებატონეების სახელზე აფორმებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება საბატონო ყმების საკუთრებას ერთგვარად ზღუდავდა, ყველა კატეგორიის გლეხთა მონაწილეობა მიწების ყიდვა-გაყიდვაში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანად მიჩნეულია როგორც გლეხობის წარმატებითი ცდა თავი დაეღწია მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმური საშუალებისაგან, გამხდარიყო შედარებით დამოუკიდებელი მეურნე. მიწათმფლობელობის ახალი ფორმების გავრცელების კვალად გლეხის მეურნეობაში „ნადელების“ ხვედრითი წონა მცირდებოდა, რაც თავის მხრივ ფეოდალური ექსპლოატაციის მატერიალური საფუძვლის მოშლას მოასწავებდა და ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისისა და მის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების მაჩვენებელი იყო[3] და იმაზე მიუთითებდა, რომ განვითარება განუხრელად მიდიოდა წოდებრივი კერძო საკუთრების უწოდებრიო საკუთრებად გადაქცევისაკენ[4].

საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება, ე. წ. „ნასყიდობის ინსტიტუტი“, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჯერ კიდევ ძალიან ადრე, ფეოდალური ურთიერთობის წინა ხანაში უკვე არსებობდა. იგი წერს, რომ „ყიდვა-გაყიდვის სფეროში იყო მოქცეული რაგინდარა მიწა, ე. ი. საკუთრების პრინციპი ფართოდ იყო გავრცელებული წარმოების ამ ძირითად საშუალებაზე, რაც თავისთავად

---

[2] М. К. Рожкова. Сельское хозяйство и положение крестьянства, «Очерки экономической истории России в первой половине XIX века», М., 1959, с. 40.

[3] И. Д. Ковальченко. Русское крепостное крестьянство в первой половине XIX века, М., 1967, с. 271—274; Н. Л. Рубинштейн. Сельское хозяйство России во второй половине XVIII в., М., 1957, с. 39, 72.

[4] А. А. Преображенский. Эволюция феодальной земельной собственности в России, «Вопросы истории», 1977, № 5, с. 62.

საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი განვითარების ნიშანია"[5]. მისი აზრით, ეს ინსტიტუტი საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და მისი შემუშავების საფუძველი ჩვენში ინტენსიური მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ქართული ფეოდალური სამართალი ნასყიდობას მტკიცედ იცავდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით „ნასყიდი" მამულის ხელის ხლება ხელმწიფის მეტს არავის შეეძლო, მაგრამ მეფესაც, როგორადაც არ უნდა დაესაჯა ყმა, ნასყიდი მაინც არ უნდა მოეშალა[6]. ნასყიდ მამულს საბატონო გადასახადები არ ედო და ასეთი მამულის პატრონს, გლეხი იქნებოდა ის თუ ფეოდალი, სრული უფლება ჰქონდა როგორც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ, ისე მოქცეოდა ამ მიწას — გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითვად მიეცა და სხვ. მართალია, ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ბატონის მხრიდან გლეხის ნასყიდი მიწის მითვისებას და მასზე გადასახადის დადებას, მაგრამ ეს ქართული ფეოდალური სამართლის იურიდიულ ნორმების დარღვევა იყო და უნდა ვიგულისხმოთ, რომ შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის ნასყიდობას აზრი დაეკარგებოდა და სრულიად გაუგებარი იქნებოდა გლეხების შეუნელებელი სწრაფვა მიწების საკუთრებად შეძენისაკენ.

ადრეფეოდალურ-ბატონყმურ ხანაში გლეხების მიერ მიწების შეძენა შედარებით იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, ხოლო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასთან დაკავშირებით მიწების ამოძრავება საკმაოდ შესამჩნევი გახდა და გლეხობაც მთელი ძალ-ღონით ცდილობდა შეეძინა მიწები, რათა ძირითადი საწარმოო საშუალების უზრუნველყოფის ბატონყმური ფორმებისაგან დაეღწია თავი. როგორც პროფ. ი. ანთელავას ნაშრომიდან ირკვევა, გლეხების მონაწილეობა მიწების ყიდვა-გაყიდვაში XVIII ს-ს II ნახევრიდან განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს,[7] ხოლო XIX საუკუნიდან მათი მონაწილეობა ხსენებულ ოპერაციებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო, რასაც მოწმობს ხელნაწერთა ინსტიტუტის და ისტორიული

---

[5] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, ტ. 1, გვ. 370.

[6] ვახტანგის სამართალი, 160.

[7] ი. ანთელავა. XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 64—86.

არქივის სათანადო ფონდებში არსებული მიწის ნასყიდობის ათასობით სიგელ-გუჯრები. მაგრამ, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება არ დაინტერესებულა საქართველოში გლეხობის მიერ ნასყიდი მიწების ფართობის სტატისტიკური აღრიცხვით, ამ მოვლენის შესახებ მსჯელობა ჩვენ უმთავრესად არაპირდაპირი დოკუმენტების მიხედვით გვიხდება. სახელდობრ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საწესდებო სიგელების შედგენის დროს, დასავლეთ საქართველოს დროებით ვალდებულმა გლეხებმა მომრიგებელ მოსამართლეებს წარუდგინეს 63 ათასზე მეტი მიწის ნასყიდობის სიგელი, შემდეგ წლებში კი 1876 წლამდე კიდევ დამატებით 21 ათასი სიგელი[8]. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ მარტო ერთი, 1867 წლის, განმავლობაში 1235 მიწის ნასყიდობის წიგნი წარადგინა[9].

რუსეთის ხელისუფლება და ქართველი მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ გლეხთა საკუთრების შეზღუდვას, ამ მიზნით ისინი მხოლოდ ნოტარიალური წესით დამტკიცებულ ნასყიდობის სიგელებს სცნობდნენ კანონიერად, რაც გლეხებს იშვიათად გააჩნდათ. შეზღუდვების მიუხედავად სულ რაღაც 2 წლის, 1865—1867 წლების, განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა წარდგენილი 19783 სიგელის საფუძველზე 10258 დესეტინა მიიწის დამტკიცება შეძლეს[10], 1871 წლისათვის კი დასავლეთ საქართველოში 15000 კომლს დაუმტკიცეს რეფორმამდელ ხანაში შეძენილი მიწები[11].

გლეხობის ხელთ არსებული ნასყიდი მიწების შესახებ საინტერესო ცნობები გაბნეულია სხვადასხვა წლებისა და სხვადასხვა მაზრების კამერალურ აღწერებში, მაგრამ მათი სისტემატური აღრიცხვა მოცემულია მხოლოდ 1818 წლის გორის მაზრის საბატონო, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების კამერალურ აღწერაში. ამიტომ 1818 წლის გორის მაზრის აღწერებს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ აღწერის მონაცემების დაჯამების შედეგად შემდეგი სურათი ვლინდება: 1818 წელს გორის მაზრაში აღწერილი იყო 3278 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაც ბატონების მიერ მფლობელობაში მიცემული ჰქონდათ 15819 1/2 დღეური სახნავ-სათესი მიწა; 325 კომლ საბატონო გლეხს, ანუ მათი საერთო რაო-

---

[8] ალ. ბენდიანიშვილი. აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 93.

[9] Д. Панцхава. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957, с. 159.

[10] სცსსა, ფ. 220, საქ. 883, ფურც. 154.

[11] იქვე, ფ. 5, საქ. 2577, ფურც. 2.

დენობის 10%-ს ჰქონდა ნასყიდი სახნავ-სათესი მიწა თითოეულს შემდეგი რაოდენობით:

ნასყიდი	სახნავ-სათესი	მიწა	1/2	დღიური	ჰქონდა	3	კომლს
„	„	„	1	„	„	17	„
„	„	„	11/2	„	„	7	„
„	„	„	2	„	„	39	„
„	„	„	21/2	„	„	2	„
„	„	„	3	„	„	19	„
„	„	„	4	„	„	36	„
„	„	„	41/2	„	„	1	„
„	„	„	5	„	„	33	„
„	„	„	6	„	„	25	„
„	„	„	7	„	„	15	„
„	„	„	71/2	„	„	1	„
„	„	„	8	„	„	10	„
„	„	„	9	„	„	2	„
„	„	„	10	„	„	38	„
„	„	„	11	„	„	2	„
„	„	„	12	„	„	12	„
„	„	„	14	„	„	1	„
„	„	„	15	„	„	12	„
„	„	„	16	„	„	6	„
„	„	„	161/2	„	„	4	„
„	„	„	18	„	„	1	„
„	„	„	20	„	„	18	„
„	„	„	24	„	„	1	„
„	„	„	30	„	„	9	„
„	„	„	36	„	„	1	„
„	„	„	40	„	„	3	„
„	„	„	45	„	„	1	„
„	„	„	50	„	„	1	„
„	„	„	60	„	„	4	„
„	„	„	80	„	„	1	„ [12]

სულ გორის მაზრის საბატონო გლეხებს ჰქონდათ 3038 დღიური.

[12]. სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 1-752.

ნასყიდი მიწა, ანუ საერთოდ მათ მფლობელობაში მყოფი მიწების 16% მათ საკუთრებას შეადგენდა[13]. სახნავ-სათესი მიწების გარდა გორის მაზრის საბატონო გლეხებს ჰქონდათ ნასყიდ მიწებზე გაშენებული ვენახებიც. ეს ვენახები უმთავრესად 1/2, ან 1 დღიურ მიწის ფართობს მოიცავდა: თითო-ოროლა შემთხვევა იყო ისეთი, როცა ვენახის ფართობი უდრიდა ორ, სამ, ხუთ და ათ დღიურსაც კი. სულ 176 კომლ საბატონო ყმას ჰქონდა 109 დღიური „ნასყიდ“ მიწაზე გაშენებული ვენახი[14].

1818 წელს გორის მაზრაში აღწერილ 841 კომლ სახელმწიფო გლეხებიდან „ნასყიდი“ სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა 62 კომლს—თითოეულს შემდეგი რაოდენობით:

ნასყიდი	სახნავ-სათესი	მიწა	1	დღიური	ჰქონდა	3	კომლს	
„	„	„	„	1 1/2	„	„	1	„
„	„	„	„	2	„	„	2	„
„	„	„	„	3	„	„	3	„
„	„	„	„	3 1/2	„	„	1	„
„	„	„	„	4	„	„	5	„
„	„	„	„	4 1/2	„	„	1	„
„	„	„	„	5	„	„	4	„
„	„	„	„	5 1/2	„	„	1	„
„	„	„	„	6	„	„	3	„
„	„	„	„	7	„	„	2	„
„	„	„	„	8	„	„	1	„
„	„	„	„	9	„	„	3	„
„	„	„	„	10	„	„	8	„
„	„	„	„	10 1/2	„	„	1	„
„	„	„	„	11	„	„	3	„
„	„	„	„	12	„	„	2	„
„	„	„	„	13	„	„	2	„
„	„	„	„	14	„	„	1	„
„	„	„	„	15	„	„	3	„
„	„	„	„	16	„	„	1	„
„	„	„	„	17	„	„	1	„

[13] გორის მაზრის საბატონო გლეხებს ჰქონდათ სულ 18857 1/2 დღიური მიწა. აქედან ნადელი იყო 15819 1/2 საკუთარი, 3038 დღიური.

[14] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 1—752.

ნასყიდი სახნავ-სათესი მიწა 18 1/2 დღიური ჰქონდა 1 კომლს

„ „ „ „ 19 „ „ 1 „
„ „ „ „ 20 „ „ 2 „
„ „ „ „ 22 „ „ 1 „
„ „ „ „ 26 „ „ 1 „
„ „ „ „ 28 „ „ 1 „
„ „ „ „ 29 „ „ 1 „
„ „ „ „ 30 „ „ 1 „
„ „ „ „ 34 „ „ 1 „ [15]

61 კომლ სახელმწიფო გლეხს ნასყიდი სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა სულ 650 დღიური, რაც მათ მფლობელობაში მყოფი მიწების 18%-ს შეადგენდა[18]. გარდა ამისა, სახელმწიფო გლეხების 90 კომლს ჰქონდა 86 1/2 დღიურ მიწაზე გაშენებული ვენახები, თითოეულს უმთავრესად 1/2 ან 1 დღიური.

ნასყიდი მიწები ჰქონდათ გორის მაზრის საეკლესიო გლეხებსაც. 741 კომლ საეკლესიო გლეხიდან ნასყიდი მიწა ჰქონდა 119 კომლს — თითოეულს შემდეგი რაოდენობით:

ნასყიდი სახნავ-სათესი მიწა 1/2 დღიური ჰქონდა 1 კომლს

„ „ „ „ 1 „ „ 8 „
„ „ „ „ 1 1/2 „ „ 1 „
„ „ „ „ 2 „ „ 11 „
„ „ „ „ 2 1/2 „ „ 1 „
„ „ „ „ 3 „ „ 11 „
„ „ „ „ 3 1/2 „ „ 1 „
„ „ „ „ 4 „ „ 10 „
„ „ „ „ 5 „ „ 11 „
„ „ „ „ 6 „ „ 5 „
„ „ „ „ 7 „ „ 3 „
„ „ „ „ 8 „ „ 6 „
„ „ „ „ 9 „ „ 2 „
„ „ „ „ 10 „ „ 15 „

---

[15] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 541, ფურც. 1—252.

[18] გორის მაზრის სახაზინო გლეხები ფლობდნენ 1483 დღიურ სახელმწიფო მიწას, 1483 დღიურს საბატონო და საეკლესიო მიწებს ამუშავებდნენ, საკუთარი ჰქონდათ 650 დღიური, ე. ი. სულ მათ სარგებლობაში იყო 3616 დღიური მიწა (650 კი 3616-ის 18%-ს უდრის).

ნასყიდი	სახნავ-სათესი	მიწა	12	დღიური	ჰქონდა	3	კომლს	
„	„	„	13	„	„	2	„	
„	„	„	14	„	„	2	„	
„	„	„	15	„	„	7	„	
„	„	„	16	„	„	1	„	
„	„	„	18	„	„	2	„	
„	„	„	20	„	„	9	„	
„	„	„	28	„	„	1	„	
„	„	„	30	„	„	2	„	
„	„	„	40	„	„	3	„	
„	„	„	200	„	„	1	„	[17]

სულ 119 კომლ საეკლესიო გლეხს ჰქონდა 1248 დღიური ნასყიდი მიწა, რაც მათ მფლობელობაში არსებული მიწის[18] 18%-ს შეადგენდა, გარდა ამისა 14 კომლ საეკლესიო გლეხს ჰქონდა 22 1/2 დღიური „ნასყიდი“ ვენახი.

1818 წელს სამივე კატეგორიის გლეხი გორის მაზრაში აღწერილი იყო სულ 4860 კომლი, ისინი ფლობდნენ საბატონო, სახელმწიფო, საეკლესიო და „ნასყიდ“ მიწებს 29900 დღიურს. აქედან 4936 დღიური, ანუ მთელი მათი მიწების 17% „ნასყიდი“ მიწა იყო. საკუთარი მიწა ჰქონდა სულ 506 კომლს. დღემდე გავრცელებული იყო აზრი, რომ ცალკეული გლეხების „ნასყიდი“ მიწების ფართობი უმრავლეს შემთხვევაში 1—2 დღიურს არ აღემატებოდა. ჩვენი მასალიდან კი ირკვევა, რომ დიდი ფართობის „ნასყიდ“ მიწებს გლეხები საკმაოდ ხშირად ფლობდნენ. 506 კომლ მესაკუთრე გლეხიდან 1—2 დღიური სახნავ-სათესი მიწის პატრონი იყო 96 კომლი, 3-დან 10 დღიურამდე მიწა ჰქონდა 215 კომლს და 10 და მეტი დღიური მიწა 195 კომლს. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებს „ნასყიდი“ ჰქონდათ 40, 50, 60, 80 და 200 დღიურიც კი. დიდი ფართობის „ნასყიდი“ მიწა გლეხს სავსებით ათავისუფლებდა ამ ძირითადი საწარ-

---

[17] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 7, საქ. 544, ფურც. 1—193.

[18] სულ მათ ჰქონდათ 7427 დღიური, აქედან 6179 დღიური მიწა იყო საეკლესიო და 1248 დღიური კი „ნასყიდი“.

მოო საშუალებით მომარაგების ბატონყმური ფორმებისაგან.

10, 20, 40 და მეტი დღიური „ნასყიდი“ მიწის პატრონი გლეხების მეურნეობა თითქმის მთლიანად საკუთარ მიწებზე წარმოებდა და მის მფლობელს პირადი დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას აძლევდა. მაგ. სოფელ სათემოში მცხოვრებ საბატონო ყმას სიმონ ფარახელაშვილს ჰქონდა 30 დღიური „ნასყიდი“ მიწა, ჰყავდა 14 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მოჰყავდა 200 კოდი მარცვლეული[19]. კარალეთში მცხოვრებ საბატონო ყმას ბეჟან გოგიაშვილს ჰქონდა 50 დღიური საკუთარი მიწა, ჰყავდა 16 სული პირუტყვი, მოჰყავდა 140 კოდი პური[20], კარალეთშივე მცხოვრებ მეორე კომლს ჰქონდა 30 დღიური „ნასყიდი“ მიწა, ჰყავდა 16 სული პირუტყვი, მოჰყავდა 160 კოდი მარცვლეული[21], ძევრელ საბატონო ყმას გაბრიელ სესიკაძეს 40 დღიური ნასყიდი მიწიდან მოჰყავდა 160 კოდი ხორბალი[22]. ბერშუეთში მცხოვრებ საბატონო ყმას დიმიტრი ბიძინაშვილს ჰქონდა 20 დღიური „ნასყიდი“ მიწა, ჰყავდა 18 სული პირუტყვი, მოჰყავდა 200 კოდი ხორბალი[23]. ბერშუეთელსავე გოგია წიკლაურს ჰქონდა 12 დღიური საკუთარი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი პური, ჰყავდა 20 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 300 ცხვარი[24], სოფელ ურბნისში მცხოვრებ საეკლესიო გლეხს აბრამ კაკოშვილს ჰქონდა 20 დღიური „ნასყიდი“ მიწა, მოჰყავდა 260 კოდი პური, ჰყავდა 22 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 40 ცხვარი[25], სივნიეთში მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ელიზბარ ბერუაშვილს 40 დღიური საკუთარი მიწიდან მოჰყავდა 200 კოდი პური, ჰყავდა 20 სული საქონელი და 2 ცხენი[26], თევდორეთელი საეკლესიო გლეხი პეტრე მაისურაძე 200 დღიური ნასყიდი მიწიდან ამუშავებდა 25 დღიურს, მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი, ჰყავდა 22 მსხვილფეხა საქონელი, 1 ცხენი და 150 ცხვარი[27] და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ჩვენ მიერ

---

[19] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 115.
[20] იქვე, ფურც. 77—78.
[21] იქვე, ფურც. 72.
[22] იქვე, ფურც. 93.
[23] იქვე, ფურც. 140.
[24] იქვე, ფურც. 141.
[25] იქვე, საქ. 544, ფურც. 103—104.
[26] იქვე, ფურც. 14.
[27] იქვე, ფურც. 146.

ჩამოთვლილ გლეხებს არც ერთს არ ჰქონდა საბატონო ან საეკლესიო, „ნადელად“ მიცემული მიწები და მთელი მათი მეურნეობა მხოლოდ საკუთარ „ნასყიდ“ მიწებზე იყო გაშლილი. საერთოდ 506 კომლ მესაკუთრე გლეხიდან 228-ს არ ჰქონდა საბატონო, საეკლესიო, სახელმწიფო მიწები და მხოლოდ საკუთარი მიწის დამუშავებით ცხოვრობდნენ. ე. ი. მათ მიმართ მემამულეს აღარ გააჩნდა ექსპლოატაციის მატერიალური საფუძველი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი შედარებით დამოუკიდებელი მეურნეები იქნებოდნენ.

როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ 1818 წელს გორის მაზრის გლეხების მფლობელობაში არსებული მიწების დაახლოებით 1/5 „ნასყიდი“, ანუ საკუთარი იყო. რა თქმა უნდა, XIX ს-ის 30—40-იანი წლებიდან, როდესაც სწრაფი ტემპით წავიდა წინ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება, გლეხობის გარკვეული ნაწილის ხელში კიდევ უფრო დიდი ფართობის მიწა მოიყრიდა თავს. სამწუხაროდ, გორის მაზრის შემდეგი წლების კამერალურ აღწერებში „ნასყიდი“ მიწების აღრიცხვა აღარ უწარმოებიათ, მაგრამ სხვა ფონდებიდან ამოკრებილი ფრაგმენტული ცნობებიც კი ასეთ ვარაუდს ადასტურებს. მაგ., სოფელ თამარაშენში მცხოვრებ გლეხს ბერო დათაშვილს, რომლის ოჯახში 7 მამაკაცი იყო, როგორც 1818 წლის კამერალური აღწერიდან ჩანს, ბატონისაგან გამოყოფილი მიწა საერთოდ არ ჰქონია. მას ჰქონდა მხოლოდ 5 დღიური „ნასყიდი“ მიწა, მოჰყავდა 60 კოდი მარცვლეული, ჰქონდა 1/2 დღიური ვენახი, აყენებდა 10 კოკა ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი და 10 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხოვრობდა მიწათმოქმედებითა და გარესამუშაოებით[28], 1834 წელს დათაშვილი ბეროს შვილ სოსიას უყიდია დიმიტრი მაჩაბლისაგან 7 დღიური სახნავ-სათესი მიწა[29]; 1839 წ. იმავე სოსიას ღექტორ მაჩაბლისაგან უყიდია 5 დღიური ფართობის 3 ნაკვეთი მიწა[30], 1843 წელს სოსია ღექტორისგანვე ყიდულობს ვენახსა და ნავენახარ ადგილს 5 დღიური ფართობით[31]: 1845 წ. სოსიას ბიძაშვილი დათაშვილი ზაქარა, რომელიც 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით სოსიასთან ერთად ერთ კომლს შე-

[28] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 319.
[29] იქვე, ფ. 144, ანაწ. 5, საქ. 1, ფურც. 56.
[30] იქვე, ფურც. 45.
[31] იქვე, ფურც. 55.

ადგენდა, ყიდულობს სახნავ-სათეს მიწას საბატონო ყმისაგან გოგია მეტრეველისაგან[32], 1848 წ. ზაქარა დათაშვილი საბატონო ყმა ბასილა გოცირიძისაგან ყიდულობს ბაღსა და მიწას[33]; 1855 წ. იგივე ზაქარა გრიგოლ მაჩაბლისაგან ყიდულობს ვენახს[34], 1862 წ. კი დაუით მაჩაბლისაგან — 1 დღიურ სახნავ-სათეს მიწას[35]. როგორც ვხედავთ, 50-იანი წლებისათვის დათაშვილების ოჯახში საკუთარი „ნასყიდი“ მიწები საკმაო რაოდენობით (დაახლოებით 30-მდე დღიური) დაგროვდა. იმავე თამარაშენში მცხოვრებ მეორე კომლს—ნინია კობერიძეს 1818 წელს არც ნასყიდი მიწა ჰქონდა და არც ბატონისაგან მიცემული „ნადელი“, ამუშავებდა მხოლოდ საღალედ აღებულ 2 დღიურ მიწას, საიდანაც მოჰყავდა 25 კოდი მარცვლეული და უმთავრესად დღიური შრომით ცხოვრობდა[36]. 1834 წ. ნინია კობერიძეს დიმიტრი მაჩაბლისაგან შეუძენია 1/4 დღიური სახნავ-სათესი მიწა[37], 1836 წ. გლახა მაჩვენებლისაგან — 1/2 დღიური მიწა[38], 1842 წ. გვარაშვილი ნინიასაგან 2 დღიური მიწა[39] და 1845 წ. მიხეილ მაჩაბლისაგან 1 დღიური მიწა[40]. სოფელ კარალეთში მცხოვრებ ნონია და იოსებ ტერტერაშვილებს 1818 წელს ჰქონიათ 5 დღიური „ნასყიდი“ მიწა, 7 დღიური „ნადელი“, მოჰყავდათ 60 კოდი პური, ჰყავდათ 1 ცხენი და 16 სული მსხვილფეხა პირუტყვი. შემდეგში იოსებ ტერტერაშვილს რევაზ ერისთავისაგან უყიდია სახნავი მიწის ხუთი ნაკვეთი 2,3 და 2 1/2 დღიურიანი, სულ 15 დღიური ფართობით და ვენახი 1/2 დღიური[41]. მის შვილს მოსიკა ტერტერაშვილს იმავე რევაზ ერისთავისაგან შეუძენია სახნავ-სათესი მიწის ოთხი ნაკვეთი 3 და 2 1/2 დღიური ფართობით თითოეული და 1/2 დღიური ვენახი[42]; სოფელ ტეზერში მცხოვრებ ჩიტიაშვილ ბეროსა და მის ძმას სოსიას ჰქონდათ 1818 წ. „ნადელი“ 10 დღიური სახნავ-სათესი მიწა, საიდანაც მოჰყავდათ 60 კოდი პური[43]. 1835 წელს სოსია ჩიტიაშვილი

---

[32] სცსსა. ფ. 144, ანაწ. 5. საქ. 1, ფურც. 46.
[33] იქვე, ფურც. 22.
[34] იქვე, ფურც. 23.
[35] იქვე, ფურც. 24.
[36] იქვე, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 319.
[37] იქვე, ფ. 144, ანაწ. 5, საქ. 1, ფურც. 42.
[38] იქვე, ფურც. 40.
[39] იქვე, ფურც. 41.
[40] იქვე, ფურც. 43.
[41] იქვე, საქ. 4, ფურც. 42—43.
[42] იქვე, ფურც. 47.
[43] იქვე, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 542, ფურც. 563.

ოტია ჩხეიძისაგან ყიდულობს მიწას[44], 1854 წელს მისი შვილი ნინიკა ჩიტიაშვილი ივანე აბაშიძისაგან ყიდულობს სახნავ-სათეს მიწას[45], 1858 წელს იგივე ნინიკა ივანე ჩხეიძისაგან ყიდულობს 2 დღიურ სახნავ-სათეს მიწას[46] და შემდეგ კვლავ ივანე ჩხეიძისაგან — ისევ 2 დღიურ მიწას[47], და ა. შ.

საფიქრებელია, რომ მიწების შეძენის მხრივ ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა სხვა მაზრებშიაც. განსაკუთრებით ეს ითქმის დასავლეთ საქართველოზე, სადაც ყველაზე ძლიერად შეინიშნებოდა გლეხების მიერ მიწების შეძენის მისწრაფება. 1855 წ. მარტო ქუთაისის მაზრაში 1617 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰქონდა 5715 ქცევა „ნასყიდი" და 13081 ქცევა სახელმწიფო მიწა, ანუ მათ მფლობელობაში მყოფი მთელი მიწების 1/3 მათ საკუთრებას წარმოადგენდა[48]. დაახლოებით ასეთივე შეფარდება უნდა ყოფილიყო იმერეთ-გურიის საბატონო გლეხების მიწათმფლობელობაშიაც, რომელთა შესახებ 1865 წ. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ მათ სარგებლობაში არსებული მიწების 1/3 ნასყიდ, ანუ საკუთარ მიწებს უნდა შეადგენდესო[49].

XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის კი ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებს 43344 დესეტინა მიწა ჰქონდათ ნასყიდი. რა თქმა უნდა, ამ მიწების უმეტესი ნაწილი თუ არა, ნახევარი მაინც რეფორმამდელ ხანაში უნდა ყოფილიყო შეძენილი. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX ს-ის დასაწყისიდანვე ბატონყმობის გაუქმებამდე კარგა ხნით ადრე გლეხობას სერიოზული იერიში ჰქონდა მიტანილი ფეოდალურ საკუთრებაზე. გლეხთა მიერ საკუთარი მიწათმფლობელობის გაფართოების შედეგად ფეოდალური საკუთრება ორმხრივ შევიწროებას განიცდიდა. ირღვეოდა არა მარტო ფეოდალის მონოპოლიური საკუთრება მიწაზე, არამედ საგლეხო მეურნეობაში მცირდებოდა ბატონისაგან მიცემული მიწის — „ნადელის" როლი და ამდენად მცირდებო-

---

[44] სცსსა, ფ. 144, ანაწ. 5, საქ. 3, ფურც. 53.
[45] იქვე, ფურც. 46.
[46] იქვე, ფურც. 47.
[47] იქვე, ფურც. 45.
[48] АКАК, т. XI, ч. II, № 830.
[49] სცსსა, ფ. 220, საქ. 6, ფურც. 85.

დაყმის მუქთმუშახელზე ფეოდალის უფლება, ვინაიდან ამ უკანასკნელი გარემოების საფუძველი ბატონყმური მიწათმფლობელობა იყო.

რუსეთში გლეხების მიერ მიწების საკუთრად შეძენის მისწრაფებას ისტორიკოსი კოვალჩენკო მარტო დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით კი არ ხსნის, არამედ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ რეფორმის წინა ხანებში საგლეხო ნადელები მინიმუმადე იყო დაყვანილი და ხშირ შემთხვევაში ნადელის ფართობი. არამც თუ მეურნეობის გაფართოების საშუალებას არ აძლევდა გლეხს, არამედ საარსებოდაც აღარ იყო საკმარისი. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ ბატონყმური ექსპლოატაციის სისტემას მნიშვნელოვანწილად გამოეცალა ეკონომიური საფუძველი, რომ ფეოდალურ-ბატონყმურმა სისტემამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და რომ იგი დაღუპვისაკენ მიექანებოდა[50].

კიდევ უფრო ბეტი საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ასეთი შეხედულება გავავრცელოთ საქართველოს შესახებაც, სადაც საყოველთაო მცირემიწიანობა იყო და სადაც, როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ 1818 წელს „მესაკუთრე" გლეხების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ან სავსებით არ ჰქონდა საბატონო მიწები, ან ჰქონდა ისეთი მცირე რაოდენობით, რომ საარსებოდ არ იყო საკმარისი. გლეხის მეურნეობაში „ნასყიდი" მიწის როლის ზრდა ბატონისაგან მიცემული „ნადელის" ხვედრითი წონის შემცირება განსაკუთებით საგრძნობი გახდა რეფორმის წინარე ხანებში, როდესაც დასავლეთ საქართველოს საბატონო გლეხების ხარგებლობაში არსებული მიწების 1/3 მათ საკუთრებას წარმოადგენდა.

§ 2. მიწისჯარის ფორმები და გლეხობის მონაწილეობა საიჯარო ურთიერთობაში

XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში მიწა იქცევა არა მარტო ყიდვა-გაყიდვის საგნად, არამედ ფართოდ ვითარდება მიწის საიჯარო ურთიერთობაც.

ფეოდალური ფორმაციის საფუძველი პრივილეგიური წოდე-

[50] И. Д. Ковальченко. Русское крепостное крестьянство в первой половине XIX века. с. 274.

ბის ხელში მიწის მონოპოლიური საკუთრება და უშუალო მწარმოებლის არასრული საკუთრება იყო. გლეხი მიჯაჭვული იყო მიწის პატრონის მიერ გამოყოფილ ნაკვეთზე და პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ბატონთან. მიწის იჯარის ნებისმიერ ფორმას კი, განვითარების რაც არ უნდა დაბალ საფეხურზე, ყოფილიყო იგი, მაინც მიწის მფლობელსა და იჯარადარს შორის თავისუფალი გარიგება ედო საფუძვლად, ანუ საიჯარო ურთიერთობაში გარეეკონომიური იძულება ეკონომიური იძულებით იყო შეცვლილი და ამდენად იჯარა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ტიპურ მოვლენას არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ფეოდალური ფორმაციის დროს იჯარის დაბალი განვითარების ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება. ასეთ დაბალ, განუვითარებელ ფორმას განეკუთვნება ე. წ. მიწის „საღალედ“ გაცემა, როცა მხარეებს შორის დადებული შეთანხმება გულისხმობს ღალის — მოსავლის გარკვეული ნაწილის — გადახდას და მეღალე იჯარადარსა და მიწის პატრონს შორის ურთიერთობა თანდათანობით ბატონყმურ ურთიერთობაში გადაზრდისაკენ იხრება, რადგანაც „საღალედ“ მიწას გლეხი უმეტეს შემთხვევაში მთელი სიცოცხლის მანძილზე ამუშავებდა, ხშირად მემკვიდრეობითაც გადასცემდა მას. სულ სხვაა მიწის იჯარის განვითარებული ფორმა, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას გულისხმობს.

XVIII ს-ის საქართველოში უმთავრესად იჯარის დაბალი განვითარების ფორმა, მიწის „საღალედ“ გაცემა ყოფილა გავრცელებული[51]. მ. დუმბაძესა და დ. გოგოლაძეს იჯარის ასეთივე სახეობა მიაჩნიათ გაბატონებულად XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაშიც. მაგრამ სათანადო მასალებზე დაკვირვება სრულიად სხვა სურათს იძლევა.

როგორც აღვნიშნეთ, 1818 წლიდან ფულადი რენტა საიჯარო ურთიერთობაშიც შეიჭრა და თანდათანობით დომინირებული მდგომარეობა მოიპოვა. სოფლის მწარმოებელი საზოგადოება ხშირ შემთხვევაში, კერძო მფლობელის ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მამულის — საკომლოს („ნადელის“) სიმცირის გამო, იძულებული იყო ფულადი ქირის გადახდით იჯარით აღებული მიწების დამუშავებისთვის მიემართა. ჩვენ მრავლად შეგვხვდა ისეთი საიჯარო ხელშეკრულება, სადაც იჯარადარი უშუალო მწარმოებელთა მთელი სოფელი, ან საზოგადოებაა. ქვემოთ დავასახელებთ ზოგიერთ

---

[51] ნ. ჭ ა ნ თ ა რ ი ა. იჯარა XVIII ს. საქართველოში; „საქართველოს სახ-ფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XIXA—XXI B, 1947, გვ. 67—79.

მათგანს. შულავერის საზღვარზე მდებარე თეთრი სოფლის მიწებს, რომლებიც სულხან და შიოშ თუმანიშვილებს ეკუთვნოდათ და რომლებითაც შულავერლები სარგებლობდნენ პატრონისათვის ხან ღალისა და ხან ფულადი ქირის გადახდით, 1819 წლიდან შულავერელთა საზოგადოება იღებს 15-წლიანი იჯარით წელიწადში 100 მანეთად[52]; ბორჩალოს დისტანციაში არახლოს არხი მასთან მიმდებარე სახაზინო მიწებით 1815 წლიდან ჰქონია იჯარით აღებული აზნაურ პეტრე ყაითმაზოვს 12 წლის ვადით, წელიწადში 30 კოდი ხორბლისა და 20 კოდი ქერის გადახდით. ყაითმაზოვი ვალდებული იყო არხის წესრიგში ყოფნაზე ეზრუნა, მაგრამ ვინაიდან არხის გაწმენდაზე ზრუნვა ისევ არახლოს სახაზინო გლეხებს უხდებოდათ, მათ არხის იჯარით გაცემა მოითხოვეს. 1818 წლიდან ხაზინამ არახლოელ გლეხებს გაუფორმა იჯარა არახლოს არხსა და მის ახლომახლო მიწებით სარგებლობაზე, 9 წლის ვადით წელიწადში 50 მანეთი ქირით[53]; 1821 წლიდან ყაზახისა და შამშადილის დისტანციებს შორის მდებარე სახაზინო მიწები იჯარით მიუციათ შამშადილის დისტანციის სოფლების ამერლინისა და გოგარლინის სახელმწიფო გლეხებისათვის[54], 1836 წელს ეს მიწები ისევ ამერლინისა და გოგარლინის მცხოვრებლებს ეჭირათ, რისთვისაც წელიწადში 100 მანეთს იხდიდნენ[55]; საბუთებიდან ჩანს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გლეხებს იჯარით აღებული მიწების საზღაურად მოსავლის წილის გადახდის ნაცვლად ფულადი რენტის გადახდა ერჩივნათ. მაგალითად, 1826 წელს არქიმანდრიტ თეოდოსს ალავერდის ეკლესიის სახნავ-სათეს მიწებზე საიჯარო ხელშეკრულება დაუდვია თავადებთან გრიგოლ ჩოლოყაშვილთან და იოსებ მაყაშვილთან, რის შესახებაც სოფელ ოჟიოს გლეხები უცხადებდნენ არქიმანდრიტს, რომ „აქამდეც ამ მიწებით ვცხოვრობდით და ახლაც ჩვენ მოგვეცეს და თუ ჩვენ არ მოგვეცემა ვიცით ჩვენ შევსწუხდებით, ესრეთ რომელ იჯარადართა მათ თავადთათვის არ არის სახნავად საჭირო. მაინც ჩვენ უნდა მოვხნათ და ღალის აღებაზედ შეგვაწუხებენ. ამისთვის ვსთხოვთ მაღალ ღირსებასა თქვენსა ამას ზედა გვიშუამდგომლოთ, რაც ფასი მიუცია თა-

[52] სცსსა, ფ. 112, ანაწ. 2, საქ. 42, ფურც. 55—57.

[53] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 520, ფურც. 583—584; საქ. 563. ფურც. 500.

[54] იქვე, საქ. 656, ფურც. 318.

[55] იქვე, საქ. 1508, ფურც. 103.

ვალს გრიგოლ ჩოლოყოვს და იოსებ მაყაევს ჩვენ ორ შაურს მიუმატებთ დღიურზედო“[56]. საქმიდან აღარ ჩანს დააკმაყოფილეს თუ არა სოფელ ოჭიოს გლეხების თხოვნა, მაგრამ საერთოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ხაზინა თუ სინოდალური კანტორა მიწების იჯარით გაცემის დროს, სხვა იჯარადართა წინაშე, უშუალო მწარმოებელთა მთელ საზოგადოებებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. მაგალითად, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საბუთმა, საიდანაც ჩანს, რომ 1843 წელს ხაზინას ქუთაისის და საბეკის უბნებში მდებარე სახნავ-სათესი მიწების იჯარა წელიწადში 1500 მანეთად აზნაურ ველიშვილისათვის მიუცია. საიჯარო ფასის მიხედვით ვასკვნით, რომ ამ მიწების ფართობი 1000 დესეტინაზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ უნდა ყოფილიყო. მთელი ეს მიწა თავის დროზე სოფ. ჭოგნარში, გოდოგანში, ჭალისთავსა და ნაოღლევში მცხოვრებ გლეხებს გაუჩეხავთ და გაუკაფავთ ტყე-ბუჩქნარისაგან და სახნავ-სათესად ვარგის მიწებად უქცევიათ. ამ მიწებით სარგებლობისათვის ისინი როგორც ხაზინას, ისე ველიშვილამდე არსებულ სხვა იჯარადრებს მოსავლის 1/10-ს უხდიდნენ. ველიშვილი ამ ფასს აღარ დაჯერებულა. უფრო მეტი მოგების მიღების მიზნით, მას წვრილ-წვრილ ნაკვეთებად დაყოფილი მიწებით სარგებლობისათვის გლეხებისაგან მოსავლის 1/10-ის გარდა, დამატებით, ქცევაზე სამი აბაზის გადახდა მოუთხოვნია. აღშფოთებულ გლეხობას უჩივლია ველიშვილისათვის. მათი აღშფოთება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ხაზინა გლეხების ამბოხების შიშით ამჯერად მატერიალურ ზარალსაც არ მორიდებია. მას ველიშვილთან დადებული ხელშეკრულება დაურღვევია და გლეხებისათვის ახალი ხელშეკრულებით ეს მიწები წელიწადში 1200 მანეთად, ე. ი. 300 მანეთით ნაკლებად, გადაუცია[57]. 1845 წლიდან გორის მაზრის სოფელ კოდისწყაროში მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ნინიკა ღვინაძეს იჯარით ჰქონდა აღებული კოდისწყაროსთან მდებარე საეკლესიო მიწები 80 დესეტინა, წელიწადში 82 მანეთად. კოდისწყაროს საეკლესიო და სახელმწიფო გლეხებმა, რომელთაც სახნავ-სათესი მიწების ფართობი ერთობ მცირე ჰქონდათ, იჩივლეს, რომ ზემოთ აღნიშნულ 80 დესეტინა მიწას თუ მათ არ მისცემდნენ იჯარით, ისინი იძულებული იქნებოდნენ სხვა სოფლებში გადასახლებულიყვნენ. 1853 წლიდან 80 დესეტინა მიწა ჩამოერთვა ნინიკა ღვინაძეს და გადაეცა კოდისწყაროელ სახელმწიფო

[56] სცსსა, ფ. 501, ან. 1, საქ. 12, ფურც. 7.
[57] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 8480, ფურც. 26—29, 40.

და საეკლესიო გლეხებს 12 წლის ვადით, წელიწადში ასევე 82 მანეთად[58]; 1854 წელს წილკნის ეკლესიის 140 დღიური სახნავ-სათესი მიწის იჯარით გაცემის დროს გამართულ საჯარო ვაჭრობაზე უპირატესობა წილკნელ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებს მიანიჭეს და 1854 წლიდან, 12 წლის ვადით, ამ მიწების იჯარა გაუფორმეს წელიწადში 30 მანეთი ჭირით, მაშინ. როცა ამავე მიწებში თავადი ირაკლი მუხრანბატონი 35 მანეთს სთავაზობდა ეკლესიას, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წილკნელ გლეხებს წილკნის ეკლესიის შესაკეთებლად 200 მანეთი შეუწირავთ და შემდეგისთვისაც დაპირებიან სხვადასხვა თანხის შეგროვებას[59]. უშუალო მწარმოებლების, მთელი სოფლის ან საზოგადოების ხელში საიჯარო მიწების თავმოყრას ადასტურებს 1846 წლის აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის საშემოსავლო უწყისიც, საიდანაც ჩანს, რომ სოფელ საბუეს გლეხებს ეკლესიისაგან იჯარით ჰქონიათ აღებული მიწა 35 მანეთად წელიწადში, სოფ. ნადარბაზევის გლეხებს ამავე სოფლის საეკლესიო მიწები 125 მანეთად ჰქერიათ, სოფელ კეხში მიწა და წისქვილი იქაურ მცხოვრებთ 50 მანეთად აუღიათ იჯარით ეკლესიისაგან. სოფელ ზეგდულეთისა და ახალსოფლის საეკლესიო და სახელმწიფო გლეხები იმავე სოფლების საეკლესიო მიწების იჯარაში 261 მანეთს იხდიდნენ წელიწადში, შულავერელ გლეხებს ხუცისსოფლის მიწები 61 მანეთად ჰქონდათ წელიწადში აღებული, უფლისციხელი გლეხები 100 დღიურ საეკლესიო მიწის იჯარაში 25 მანეთს იხდიდნენ, ერწოს სოფლების გორანისა და სიმონიანთხევის გლეხები სოფ. ნადოკრის საეკლესიო მიწებში 51 მანეთს აძლევდნენ. ეკლესიას, ზემო ავჭალაში საეკლესიო გლეხთა საზოგადოებას 80 დღიური მიწა 36 მანეთად ჰქონია აღებული, სოფ. სიმონიანთხევთან, დოლენჯთან და გორანასთან მდებარე საეკლესიო მიწები ამავე სოფლების სახელმწიფო გლეხებს 234 მანეთად ჰქონიათ აღებული, სოფელ ნადირაანთ ხევისა და საყდრიონის საეკლესიო მიწების იჯარაში იქაური სახელმწიფო და საბატონო გლეხები 205 მანეთს იხდიდნენ[60] და სხვ.

იჯარით მიწას იღებდნენ ცალკეული პირებიც. მრავლადაა შემონახული ისეთი საიჯარო ხელშეკრულებები, საიდანაც ჩანს, რომ თითო-ოროლა დღიურ მიწას იჯარით ამუშავებდნენ საბატონო, სახელ-

---

[58] სცსსა, ფ. 489, აწ. 1, საქ. 14969, ფურც. 16, 37.

[59] იქვე, საქ. 16110.

[60] იქვე, საქ. 11574, ფურც. 48—55.

მწიფო ან საეკლესიო გლეხები, რისთვისაც სათანადო ფულად ანაზღაურებას იხდიდნენ. ყველა ჩვენ მიერ ჩამოთვლილ შემთხვევაში იჯარადარი თვითონ იყო უშუალო მწარმოებელი მიწის დამმუშავებელი. მათთვის, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, იჯარა „გაჭირვებით გამოწვეულ გარიგებას“[61] წარმოადგენდა. მაგრამ, გარდა ამისა, 40-იანი წლების საქართველოს სოფელში იჯარის ისეთი ფორმებიც ყოფილა გავრცელებული, რომლებიც ფულად რენტასთან ერთად კაპიტალისტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებსაც ატარებდნენ. იგულისხმება ისეთი იჯარა, როცა მიწის პატრონი მოწყვეტილია მიწისგან, ხოლო იჯარადარი უშუალო მწარმოებელი მიწის მუშა კი აღარ არის, არამედ ან დაქირავებული მუშახელის საშუალებით ამუშავებს მას, ან ე. წ. მეორადი იჯარით აქვს გაცემული; ანუ ისეთი იჯარა, როცა იჯარადარი „სოფლის მეურნეობას ეწევა მხოლოდ როგორც კაპიტალის ექსპლოატაციის გარკვეულ დარგს, როგორც თავისი კაპიტალის დაბანდებას წარმოების განსაკუთრებულ სფეროში“[62]. იჯარის ასეთ ფორმას ხშირად ვხვდებით ვენახების იჯარით გაცემის დროს. სახაზინო ან საეკლესიო ვენახების საიჯარო ხელშეკრულებებში სპეციალური მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ მუდმივი სამუშაოებისათვის იჯარადრებს უნდა ჰყოლოდათ გარკვეული რაოდენობით დაქირავებული მუშახელი — „იჯარადართ უნდა ყვანდესთ უთუოდ ზვრებში სრულისა იჯარისა დროსა საჭირო რიცხვი მეზვრეებისა თავის ხარჯზედ ყოველთვის მათ შინა მუშაობისათვის“[63]. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი სეზონურ სამუშაოებს ასრულებდნენ ის საეკლესიო ან სახელმწიფო გლეხები, რომელთაც ბეგარად ედოთ ამ ვენახების შემუშავება. ასეთი პირობებით საიჯარო ვენახები თავად-აზნაურობისა და ვაჭარ-მოქალაქეების პარალელურად გლეხებსაც ჰქონდათ აღებული. მაგალითად, სოფელ კონდოლში ორი საეკლესიო ზვარი 1831—1833 წლებში საეკლესიო გლეხებს ცუცუნაშვილს, ჭიკაძეს, შოშიაშვილს და სხვ. ჰქონიათ აღებული 515 მანეთად[64], 1842 წელს კრწანისში საეკლესიო ვენახი საეკლესიო გლეხს გიგო ნავტიკოვს ჰქონია

---

[61] ვ. ი. ლენინი. ტ. 3, 1948, გვ. 218.
[62] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 198.
[63] სცსსა, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 3396, ფურც. 16.
[64] იქვე, ფურც. 11.

აღებული 60 მანეთად[65], 1847 წელს ორთაჭალაში ვენახი საეკლესიო გლეხს გლახა ნავტიკოვს — 90 მანეთად[66], ჩუმლაყში ერთი ვენახი საეკლესიო გლეხს იოსებ იოვაშვილს—50 მანეთად[67], ძეგვში ვენახი საეკლესიო გლეხს კიკოლა კვახიძეს — 100 მანეთად[68] პატარძეულში ორი საეკლესიო ვენახი მირანდაშვილს — 110 მანეთად[69], სოლოლაკში საეკლესიო ვენახი სახელმწიფო გლეხს კონია მაილოვს— 180 მანეთად[70], 1847 წელს კავთისხევში 2 ვენახი გლეხებს ფეფანა მამულოსა და ეგნატე დამრიანს—140 მანეთად[71], მარტყოფში საეკლესიო ვენახი საბატონო გლეხს დავით ჩუბინიძეს—140 მანეთად[72], ორი საეკლესიო ვენახი შილდაში სახელმწიფო გლეხს მიხეილ ანტონოვს — წელიწადში 300 მანეთად[73], ერთი ვენახი ხაშმში საეკლესიო გლეხებს სიმონ ქარუმიძესა და დავით ცხადაძეს — წელიწადში 500 მანეთად[74] და მრავალი სხვა. საერთოდ 40-იანი წლების ბოლოსათვის იჯარით გაცემული აღმოსავლეთ საქართველოს 50-მდე საეკლესიო ვენახის საიჯარო ქირა წელიწადში 5000 მანეთს უდრიდა[75], მათ შორის, XIX ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ისეთი, როცა ვენახის იჯარადარი თვითონ იყო უშუალო მწარმოებელი. სახელდობრ 1831 წელს სოფ. არტოზნის საეკლესიო ზვრის იჯარადრები საეკლესიო გლეხები ონანაშვილი, ბექაშვილი, ბაზუაშვილი და არუთინაშვილი საიჯარო ხელშეკრულებაში წერდნენ, რომ „მეზვრეების ადგილას თვით ჩვენ ვიქნებით მოიჯარადრეები რიგზედ მცველად და პატრონად და შიგდაშიგ დამნერგველად და ყოვლისა სამუშაოს მოქმედად“[76]. დანარჩენ შემთხვევებში კი ვენახის იჯარადრებს, ნაწილობრივ დაქირავებული და ნაწილობრივ ყმური შრომის გამოყენებით, მიღებული მოსავალი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ სჭირდებოდათ, არამედ ბაზარზე გასაყიდად.

---

[65] სცსსა, ფ. 489. ანწ. 1, საქ. 8230.
[66] იქვე, საქ. 11574.
[67] იქვე.
[68] იქვე.
[69] იქვე.
[70] იქვე.
[71] იქვე.
[72] იქვე, საქ. 10284.
[73] იქვე, საქ. 15487, ფურც. 18.
[74] იქვე, საქ. 13559.
[75] იქვე, ფურც. 66.
[76] იქვე, საქ. 3396, ფურც. 21; ფ. 501, ანწ. 1, საქ. 85, ფურც. 46.

სახნავი მიწისა თუ ბაღ-ვენახების საიჯარო ხელშეკრულებებში სპეციალური მუხლით აღნიშნული იყო, რომ იჯარადარს უნდა დაემუშავებინა მიწები, შეეტანა სასუქი, ვენახებში მეჩხერი ადგილები შეევსო ვაზების გადაწვენა-გადარგვით, დაბერებული ვაზები გაეახლებინა, ვენახი ისე გაესხლა, რომ მომავალი წლების მოსავალი არ დაეზიანებინა, დაერგო ახალი ხეხილი და შეესრულებინა სხვა სამუშაოები. ამ სამუშაოების შესრულების შედეგად იზრდებოდა მოსავლის რაოდენობა და ამდენადვე იზრდებოდა მიწის ფასიც, რაც მიწის პატრონს საშუალებას აძლევდა ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადების დროს საგრძნობლად გაეზარდა საიჯარო ქირა. მაგალითად, 1820 წლიდან 1825 წლამდე ხუნაგისის სახნავი მიწები იჯარით ჰქონიათ აღებული საეკლესიო გლეხებს ფარეშაშვილსა და ჩადუნელს წელიწადში 20 მანეთად, იგივე მიწები 1825—1833 წლებში ფარეშაშვილისა და ჩადუნელისათვის მიუციათ 31 მანეთად[77], ხაშმის საეკლესიო ვენახისა და წისქვილის იჯარაში საეკლესიო გლეხი სიმონ ქარუმიძე 1846 წლამდე იხდიდა 450 მანეთს, 1847 წლიდან კი იგივე ვენახისა და წისქვილის იჯარა ქარუმიძისა და დავით ცხადაძისათვის 500 მანეთად გაუფორმებიათ[78], 1846 წლამდე მოქალაქე იაგორ ზუბალაშვილი საეკლესიო მიწების იჯარაში იხდიდა 220 მანეთს, 1846—1858 წლებში ნადარბაზევის საეკლესიო გლეხები იმავე მიწების იჯარაში 250 მანეთს იხდიდნენ[79],1844—1854 წლებში მღვდელ იოანე დათოშვილს იჯარით ჰქონია აღებული ზემო ხოდაშენში ერთი საეკლესიო ვენახი და 7 დღიური სახნავი მიწა წელიწადში 12 მანეთად, 1855—1865 წლებში იგივე მიწები საეკლესიო გლეხ პეტრე სვინიკაშვილისათვის 30 მანეთად მიუციათ[80], მარტყოფელი საბატონო გლეხი დავით ჩუბინიძე საეკლესიო ვენახის იჯარაში 1838—1846 წლებში წელიწადში იხდიდა 70 მანეთს. კახეთის საეკლესიო სამფულების განმგებელი არქიმანდრიტი იოანე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჩუბინიძე ვენახს სანიმუშოდ უვლიდა, ვენახში მეჩხერი ადგილები შევსებული ჰქონდა ახალი ძირებით, ვაზებს სარს ყოველწლიურად უცვლიდა და იჯარის ქირასაც დროულად იხდიდა[81]. დავით ჩუბინიძის შემდგომ სანიმუშო საქმიანობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ

---

[77] სცსსა, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 1696.
[78] იქვე, საქ. 11053.
[79] იქვე, საქ. 10296.
[80] იქვე, საქ. 14968.
[81] იქვე, საქ. 10284, ფურც. 2, 8.

მას 1852 წელს თბილისში გამართულ პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თავის ბაღ-ბოსტნიდან მიღებული ხილ-ბოსტნეულის ნიმუშები წარუდგენია და ფულადი პრემია 50 მანეთი დაუმსახურებია[82].

1846 წელს, მარტყოფის ზვრის ახალი ვადით გასაცემ საიჯარო ვაჭრობაზე, დავით ჩუბინიძეს კონკურენციას უწევდნენ საეკლესიო გლეხი დიმიტრი ძეგველოვი და მოქალაქე ოსეფ ქალინოვი. კონკურენციაში დავით ჩუბინიძემ გაიმარჯვა, რომელსაც 1846 წელს გაფორმებული ახალი ხელშეკრულებით იმავე ვენახის იჯარაში 140 მანეთის გადახდა დაეკისრა[83].

როგორც ვხედავთ, მიწის მფლობელსა და იჯარადარს შორის შეთანხმება მუდმივ ხასიათს კი აღარ ატარებს, არამედ საიჯარო ნაკვეთის გაუმჯობესებაზე დახარჯული მუშაობის შედეგად მიწისმფლობელს მომეტებულ ფასად მისი გაცემის შესაძლებლობა ეძლევა და ეს უკანასკნელიც ზედმეტი მოგების მიღების მიზნით მოკლევადიანი იჯარით არის დაინტერესებული. ეს გარემოება კი კაპიტალისტური ურთიერთობისათვის არის დამახასიათებელი.

XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის არა მარტო ბაღ-ვენახების იჯარა ატარებდა სამრეწველო ხასიათს, არამედ მოგების მიღების მიზნით სახნავ-სათესი, სათიბი მიწებისა და საძოვრების იჯარით აღებაც იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა. საკმაოდ გახშირდა ისეთი შემთხვევები, როცა იჯარადარი სახნავ-სათეს მიწას ან დაქირავებული მუშახელის საშუალებით ამუშავებდა, ან წვრილ-წვრილ ნაკვეთებად დაყოფილი მიწა ე. წ. მეორადი იჯარით ჰქონდა გაცემული და მიღებული მოსავალი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ სჭირდებოდა, არამედ ბაზარზე გასატანად. იჯარის ასეთ ფორმას გლეხობის ზედაფენის წარმომადგენლებიც მიმართავდნენ და თავიანთი საქმიანობით კულაკებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ შეძლებულ გლეხებს. მაგალითად, 1846 წელს ერწოელ გლეხებს ბაბო და ბიძინა არაბულებს იჯარით ჰქონიათ აღებული ტყიანი სახნავი ნაკვეთი ფიჩვიანში 12 მანეთად[84], იმავე გლეხებს 70-დღიურიანი მიწის ნაკვეთი ჰქონიათ სოფელ ნავჯიკეთში, რაშიც 30 მანეთს იხდიდნენ[85], მათვე ჰქონიათ

---

[82] პ. გუგუშვილი. სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა, ტ. I, თბ., 1937, გვ. 197.

[83] სცსსა, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 10284, ფურც. 4, 5.

[84] იქვე, საქ. 11574, ფურც. 55.

[85] იქვე, ფურც. 56.

147 დღიური სახნავ-სათესი მიწა სოფელ ნადოკრასთან ერწოს ხეობაში 63 მანეთად აღებული[86] და ალავერდის ეკლესიისადმი კუთვნილი მთა საძოვრად — 40 მანეთად[87]. ერთი კომლი გლეხის მიერ 300 დღიურზე მეტი სახნავ-სათესი და საძოვარი მიწების იჯარით აღება გვაფიქრებინებს, რომ მას ეს მიწები ღარიბი გლეხებისათვის წვრილ-წვრილ ნაკვეთებად მეორადი იჯარით უნდა ჰქონოდა გაცემული; ახმეტელ საბატონო გლეხს იოსებ სისაურს იჯარით ჰქონია აღებული ვენახი და წისქვილი თიანეთში 120 მანეთად[88], საძოვარი და ტყე თიანეთში—20 მანეთად[89], ახმეტაში ორი ვენახი, წისქვილი და 8 დღის მიწა—110 მანეთად[90], ჯიჯეთად წოდებული საეკლესიო მამული და ვენახი—140 მანეთად[91]. საარქივო საქმეში პირდაპირ არის მითითებული, რომ სისაურს სახნავი მიწები მეორადი იჯარით „საღალეთ“ ჰქონია გაცემული, ვენახების დასამუშავებლად კი მოჯამაგირეები ჰყავდა დაქირავებული. „ვიკვრი გვყუანდეს მიუცილებლად ვენახებში სრულსა განგრძელებასა შინა იჯარის დროისასა საჭირო რიცხვი მეზვრეთა ჩვენსა ხარჯზედა...“ წერია მის საიჯარო გარიგებაში[92]: 1835 წლიდან სახელმწიფო გლეხებს კიკოლა ფოცხვერაშვილსა და თევდორე ქიტიაშვილს გორის მაზრის სოფლებში კორბალოში, კერეში, ბერბუკსა და გორიჯვარში 223 1/2 დღიური, 2-დან 15 დღიურიან ნაკვეთებად მდებარე, სახნავ-სათესი მიწები ჰქონიათ იჯარით აღებული, რისთვისაც ეკლესიას წელიწადში 120 მანეთს უხდიდნენ[93]; 1831—1837 წლებში საეკლესიო გლეხს ანდრია ბარნაბაშვილს სოფელ ზემო ხანდაკსა და ხოვლეს შორის მდებარე 100 დღიური სარწყავი და 150 დღიური ურწყავი სახნავ-სათესი მიწა ჰქონია იჯარით აღებული 55 მანეთად წელიწადში[94]; გორელ მოქალაქე აბელ შერმაზანოვსა და სახელმწიფო გლეხს ეფრემ კასრაძეს 1845 წლიდან 10 წლის ვადით სოფელ ქვენატკოცის 500 დღიური საეკლესიო მიწები აუღიათ იჯარით, წე-

---

[86] სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 11574, ფურც. 57.
[87] იქვე, ფურც. 67.
[88] იქვე, ფურც. 42.
[89] იქვე, ფურც. 50.
[90] სცსსა, ფ. 501, ან. 1, საქ. 48, ფურც. 37—42.
[91] იქვე, საქ. 89, ფურც. 26—28.
[92] იქვე, საქ. 48, ფურც. 37—42.
[93] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 6049, ფურც. 10, 12—13, 16—18.
[94] იქვე, საქ. 3396, ფურც. 5.

ლიწადში 55 მანეთად. ამ მიწებიდან, დეკანოზ იაკობ ლომოურის განცხადებით, სახნავ-სათესად გამოსადეგი 200—300 დღიური უნდა ყოფილიყო, დანარჩენი კი უნაყოფო იყო[95]. 1849 წლიდან 12 წლის ვადით ვარდისუბნელ საეკლესიო გლეხებს ანდრია ჯაშიაშვილს და შიო ყარაულაშვილს იჯარით ჰქონიათ აღებული ცივგომბორის საძოვრები და სახნავი მიწის ნაკვეთები; სოფელ ალავერდში 3 ნაკვეთი, ობოლიძეში—1 ნაკვეთი, ოქიოში—1 ნაკვეთი, ბაიხოში—1 ნაკვეთი და ხორხელში—4 ნაკვეთი, რისთვისაც ეკლესიას წელიწადში 220 მანეთს უხდიდნენ[96]. გარდა ამისა, ჯაშიაშვილსა და ყარაულაშვილს 1850 წლიდან საჩალე ნაკვეთის იჯარაც ჰქონიათ აღებული წელიწადში 80 მანეთად[97]. მართალია, ჯაშიაშვილისა და ყარაულაშვილის ხელში თავმოყრილი მიწის ნაკვეთების ფართობი მითითებული არ არის, მაგრამ მათ მიერ გადახდილი საიჯარო ქირის, 300 მანეთის, მიხედვით ვასკვნით, რომ მათ განკარგულებაში საკმაოდ დიდი ფართობის მიწა უნდა ყოფილიყო, რომლის იჯარით აღება, თუ მას დაქირავებული მუშახელით არ დაამუშავებდნენ, ან თუ მეორადი იჯარით არ გასცემდნენ, ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. საინტერესოდ გამოიყურება არტოზნელი საეკლესიო გლეხის სოსია ნაცარაშვილის საქმიანობა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება ჰქონია გაფორმებული. 1843 წელს სოსია ნაცარაშვილი, სახელმწიფო გლეხი ანდრია ჩხუბიანიშვილი და თელავის მოქალაქე იაკობ იაგოროვი იჯარით იღებენ სოფელ ხორხელში 40 დღიურ სახნავ-სათეს მიწასა და ვენახს 268 მანეთად, რომლის იჯარა მანამდე სოლომონ ყორჩიბაშვილს ჰქონია. ამიერიდან,—სწერდა არქიმანდრიტი ნიკიფორე ყორჩიბაშვილს,—ამ „მიწებთა ზედა თქვენ აღარ იუფლოთ, არც ღალები აიღოთ: უნდა აიღონ ზემორე ხსენებულთა სამთა იჯარადართა“[98]. ნაცარაშვილს, ჩხუბიანიშვილსა და იაგოროვს ამავე წლებში სოფელ არტოზანშიც ჰქონიათ ორი ვენახი 261 მანეთად იჯარით აღებული[99], რომლის დასამუშავებლად ორი მეზვრე ჰყოლიათ ოთხ-ოთხ თუმნად წელიწადში დაქირავებული[100]. ნაცარაშვილი და მისი ამხანაგები 1843 წელსავე საიჯარო

---

[95] სცსსა, ფ. 489, ან. 1. საქ. 9025, ფურც. 13.
[96] იქვე, საქ. 15487, ფურც. 10 და საქ. 15488, ფურც. 5.
[97] იქვე, ფურც. 12.
[98] იქვე, ფ. 501, ან. 1, საქ. 82, ფურც. 24.
[99] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 11574.
[100] იქვე, ფ. 501, ან. 1, საქ. 82, ფურც. 111—112.

ხელშეკრულებას დებენ სოფელ ახატელის 200 დღიურ სახნავ-სათეს მიწებზე. ამ მიწებით ადრე ახატელის თათრები სარგებლობდნენ და ღალას მიწისმფლობელს ეკლესიას უხდიდნენ, ახლა კი, როგორც არქიმანდრიტი ნიკიფორე წერს, „შთავაბარე აღნიშნული ორასის დღის მიწა არტოზნის ვენახების იჯარადართ სახაზინო ყმას ანდრია ჩხუბიანიშვილს, სოსია ნაცარაშვილსა და თელავის მოქალაქე იაგოროვს... და ეგრეთვე ამა ჩყმდ წელსა ზემოაღნიშნულთ იჯარადართ ახატელელთ საზოგადო თათართაგან აიღეს კიდეცა ღალა...“[101], იმავე იჯარადრებს მდინარე ალაზანში თევზის ჭერის იჯარაც ჰქონიათ აღებული[102], მაგრამ სოსია ნაცარაშვილი მხოლოდ ამ საქმიანობით არ კმაყოფილდებოდა და ყოველწლიურად თავისი მეურნეობის გაფართოებას ცდილობდა. 1843 წელს სოფელ არტოზანში 2 1/2 დღიურ მიწაზე გაშენებული ვენახის ხელში ჩაგდების მიზნით ნაცარაშვილი თავის თავს უპოვარ და უქონებელ გლეხად აცხადებდა და ამ ვენახის იჯარას თხოულობდა. მაგრამ არქიმანდრიტი ნიკიფორე მის ტყუილებს ააშკარავებდა და სინოდალურ კანტორას სწერდა, რომ „საეკლესიო გლეხს ნაცარაშვილსა ტყუილად შეჰყავს თავის თავი ვითომც მას არავითარი კმასაყოფილი უძრავი ქონება არ ჰქონდეს. იგი ნაცარაშვილი საეკლესიო ყმათა შორის არის უპირველესი მეკომური და აქვს მას კმასაყოფილი უძრავი ქონებანი“[103]. 1849 წელს იმავე ნაცარაშვილს ალავერდის ეკლესიისადმი კუთვნილი ტყის აღება განუზრახავს იჯარით და სასულიერო ხელისუფლებისათვის წელიწადში სამი თუმანი შეუძლევია, მაგრამ, ვინაიდან ამ ტყის შემოსავალი საბოლოოდ გარკვეული კიდევ არ ყოფილა, ეკლესიას მისი იჯარით გაცემისაგან ჯერჯერობით თავი შეუკავებია[104].

ჩვენთვის სოსია ნაცარაშვილის სხვაგვარი საქმიანობაც არის ცნობილი. 1849 წელს ივანე და სოლომონ ქობულაძეების ყმამამულის საჯარო ვაჭრობის დროს ყმებს გლახა ზურაბაშვილსა და ზაქარია იმერლიშვილს თავგამოსასყიდად საჭირო თანხა 454 მანეთი სწორედ ამ არტოზნელი გლეხის, სოსია ნაცარაშვილისაგან უსესხიათ და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება მასთანვე დაუგირა-

---

101 სცსსა, ფ. 501, ან. 1, საქ. 82, ფურც. 92.
102 იქვე, ფურც. 53.
103 იქვე, ფურც. 57—58.
104 იქვე, საქ. 104, ფურც. 18—19.

ვებიათ[105]. რა თქმა უნდა, ეჭვი აღარავის შეიძლება შეეპაროს, რომ ნაცარაშვილი ტიპურ კულაკს წარმოადგენს. კიდევ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენლად მივიჩნიოთ საეკლესიო გლეხი სოლომონ უტარნიშვილი, რომელსაც 1842 წლის იანვრიდან 5 წლის ვადით იჯარით ჰქონია აღებული ე. წ. ჩილინგაანთკარის მიწები. ადრე ეს მიწები პროკურორის მოადგილე პოკროვსკის მფლობელობაში ყოფილა. პოკროვსკის ამ მიწების ნაწილზე—4 დესეტინაზე გაუშენებია ვენახი, ხეხილის ბაღი, აუგია საჯინიბე, საქონლის სადგომები, სარდაფები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი, რომელსაც „პოკროვსკის ხუტორს“ უწოდებდნენ, 1842 წელს უტარნიშვილისათვის იჯარით გაცემულ მიწებში „პოკროვსკის ხუტორი“ არ შედიოდა. ჩილინგაანთკარის მიწები შეიცავდა 1000 დღიურს. აქედან 500 დღიური იყო საძოვარი, 400 დღიური ტყებუჩქნარს ეკავა და 100 დღიური სახნავ-სათესად ვარგისი მიწა იყო. გარდა ამისა უტარნიშვილის საიჯარო მიწებში შედიოდა კიდევ 3 სათიბი ნაკვეთი სულ 41 დღიური ფართობით. ყველა ამ მიწებში უტარნიშვილი წელიწადში 80 მანეთს იხდიდა. საიჯარო ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები იჯარადარს შეეძლო როგორც უნდოდა ისე გმოეყენებინა, ან თვითონ დაემუშავებინა, ან სხვებისთვის მიეცა „საღალედ“, ტყით სარგებლობა კი მას მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის შეეძლო. ხე-ტყის გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, პირიქით, იგი ვალდებული იყო მოევლო და დაეცვა ტყე გარეშე პირებისაგან[106]. უტარნიშვილს ჩილინგაანთკარის მიწებზე საქონლის საზამთრო სადგომები აუშენებია, რომლებშიც, როგორც საქმის შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, ათასამდე სული საქონელი ეტეოდა[107].

1842 წლის მაისიდან სოლომონ უტარნიშვილს ჩილინგაანთკარის მიწების ის ნაკვეთიც აუღია 12 წლიანი იჯარით, რომელზედაც ე. წ. „პოკროვსკის ხუტორი“ იყო გაშენებული. ამ ნაკვეთის იჯარაში ის ეკლესიას წელიწადში 52 მანეთს უხდიდა[108]. საიჯარო ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ თუ უტარნიშვილი პოკროვსკის აშენებულ სამეურნეო ნაგებობებისა და ხეხილისა და ვაზების შესყიდვას არ მოინდომებდა, მაშინ პოკროვსკი ვალდებული იყო დაენ-

---

[105] სცსსა, ფ. 254, აწ. 2, საქ. 152, ფურც. 392.

[106] სცსსა, ფ. 489, აწ. 1, საქ. 7563, ფურც. 8—19, 34—37.

[107] იქვე, საქ. 8221, ფურც. 47—48.

[108] იქვე, საქ. 7563, ფურც. 66.

გრია ეს ნაგებობანი, გაეკაფა ვაზები, აეჩეხა ხეხილი და გაწმენდილი მიწა ჩაებარებინა ახალი იჯარადრისათვის. 1844 წელს უტარნიშვილს პოკროვსკისგან შეუსყიდია ვენახი, ხეხილის ბაღი და სამეურნეო ნაგებობანი[109]. რამდენი გადაიხადა უტარნიშვილმა, საქმეში აღნიშნული არ არის, ეს ვენახი და ხეხილის ბაღი სამეურნეო ნაგებობების გარეშე 1854 წელს 2050 მანეთად იყო შეფასებული. აქედან ვასკვნით, რომ უტარნიშვილის მიერ გადახდილი თანხა საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამ მიწებზე უტარნიშვილს გაშენებული ჰქონია 150-მდე ძირი სხვადასხვა ხეხილი, 2450 ძირი ვაზი, ჰქონია ბოსტანი და რამდენიმე ათასი ვარდის ბუჩქი[110]. რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბაღ-ვენახის, ბოსტნისა და განსაკუთრებით ყვავილების გაშენება უტარნიშვილის მიერ სამრეწველო მიზნით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

1845 წლიდან სოლომონი, მიხეილ უტარნიშვილთან ერთად, 12 წლით იჯარით იღებს კიდევ მამკოდისა და ტბებისნაწყლევის მიწებსა და ნორიოს 2 ხოდაბუნს, რისთვისაც ეკლესიას წელიწადში 220 მანეთს უხდის[111]. ამჯერად მიწების ფართობი მითითებული არ არის, მაგრამ საიჯარო ქირის მიხედვით ვასკვნით, რომ ფართობი ბევრჯერ მეტი უნდა ყოფილიყო. მართალია. 1854 წელს სასულიერო ხელისუფლების მიერ შექმნილ კომისიას ეს მიწები და ჩილინგაანთკარის მიწა ერთ და იმავედ მიაჩნდა[112], მაგრამ, ჩვენი აზრით, კომისია ცდებოდა, ვინაიდან ჩილინგაანთკარის მიწები უტარნიშვილს 1847 წლამდე ჰქონდა იჯარით აღებული, მამკოდისა კი იმან და მიხეილმა 1845 წლიდან აიღეს. 1846 წლის ეკლესიის საშემოსავლო ნუსხაშიაც ჩილინგაანთკარისა და მამკოდის მიწის იჯარაც ორივე ცალცალკე არის ნახსენები. ამდენი სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწების ერთი კომლის ხელში თავმოყრა კი, რა თქმა უნდა, გაჭირვებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სამრეწველო ხასიათს ატარებდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ უტარნიშვილს დაქირაველებული შრომაც ექნებოდა გამოყენებული და მის მიზანს მოგების მიღება შეადგენდა.

კიდევ უფრო აშკარად გამოხატულ სამრეწველო ხასიათს ატარებდა თბილისელი სახელმწიფო გლეხის კონია სტეფანიშვილის

---

[109] სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 7563, ფურც. 66.
[110] იქვე, ფურც. 70, 193.
[111] იქვე. საქ. 15546.
[112] იქვე.

იჯარა. მის მიერ 1847 წელს 6 1/2 წლის ვადით იჯარით აღებული სოფელ პატარა ლილოს სახნავი და სათიბი მიწების ფართობი 800 დღიურს მოიცავდა, რაშიც ის ეკლესიას წელიწადში 900 მანეთს უხდიდა[113]. ეს მიწები ადრე პორუჩიკ იაგორ მირზოევს ჰქონია იჯარით აღებული. მას ამ მიწების ნაწილზე გაშენებული ჰქონია ვენახი, ხეხილი, ექვსი გომი, საბძელი, თავლა და სხვა სამეურნეო ნაგებობანი[114]. ყველა ეს სამეურნეო გამართულობანი სტეფანაშვილს მირზოევისაგან 2200 მანეთად შეუსყიდია[115].

როგორც საქმიდან ჩანს, სტეფანაშვილს ხვნა-თესვის გარდა პატარა ლილოს მიწები მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ცხვრის საძოვრადაც ჰქონია გამოყენებული[116] და მისი მეურნეობა მთლიანად დაქირავებულ მუშახელზე ყოფილა დამყარებული. მას სეზონური მუშების გარდა რამდენიმე მუდმივი მოჯამაგირეც ჰყავდა დაქირავებული[171]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა კაპიტალისტური საზოგადოების სამივე კლასის წარმომადგენელი: დაქირავებული მუშა, მრეწველი კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე[118].

როგორც ვხედავთ, XIX ს-ის 40-იანი წლებიდან საქართველოს სოფელში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება მიწის იჯარის ისეთი ფორმები, რომლებიც კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას გულისხმობენ. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ამ ურთიერთობაში უშუალო მწარმოებლის ჩაბმის შედეგად გლეხობის ზედაფენა თავისი მეურნეობის გაფართოების მიზნით მონაწილეობს საიჯარო ურთიერთობაში. იგი ღარიბი გლეხობის მევახშური ექსპლოატაციის პარალელურად (დიდი ფართობი მიწის წვრილ-წვრილ ნაკვეთებად მეორადი იჯარით გაცემა), საიჯარო მიწებზე წვრილბურჟუაზიული ფერმერული მეურნეობების მოწყობასაც ჰკიდებს ხელს.

---

[113] იქვე, საქ. 15508, ფურც. 10.
[114] იქვე, საქ. 11021, ფურც. 96.
[115] იქვე, ფურც. 91.
[116] იქვე, ფურც. 79.
[117] იქვე, ფურც. 17, 44.
[118] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 198—199.

§ 3. ვაჭარ-მოქალაქეთა მიწათმფლობელობა და მათი მოვაჭრეობა მიწის საიჯარო ურთიერთობაში

ქართველი მემამულეების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა ან ცდილობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შესაბამისად თავისი მეურნეობის გადაკეთება-წარმართვას. უმეტესობამ ფულზე გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვა-დაგირავებას მიჰყო ხელი. რეფორმის წინარე ხანებში, 1863 წლისათვის, მათი მამულების 32 % ყოფილა დაგირავებული[119]. დაგირავებული მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. მათ შეძენაში გლეხობის ზედაფენასთან ერთად ვაჭარ-მოქალაქეებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და შეძენილ მიწებზე უმთავრესად წვრილბურჟუაზიულ მეურნეობებს აარსებდნენ[120].

XVIII ს-ის ბოლოსათვის ქ. თბილისის გარეუბნები — სეიდაბადი, ავლაბარი; ორთაჭალა, დიდუბის ჭალა, გარეთუბანი, დირსიჭალა, ახლომახლო მდებარე სოფლები კუკია, დიღომი, კრწანისი, ავჭალა და სხვ. თითქმის მთლიანად ბაღ-ვენახებით ყოფილა დაფარული, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ეკუთვნოდათ მოქალაქეებს. უმეტესობა, კი განსაკუთრებით დღევანდელი სოლოლაკის ადგილას გაშენებული ბაღ-ვენახები, მეფის ოჯახისა და თავადიშვილთა საკუთრება იყო.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის საგვარეულოს მამულები 800-იანი წლების დასაწყისშივე ხაზინის ხელში გადავიდა. ხაზინამ ამ მამულებზე სარფიანი მეურნეობების წარმართვა ვერ მოახერხა. მეფის საგვარეულოსათვის ჩამორთმეული ბაღ-ვენახების ზედამხედველად და მომვლელად მეტროპოლიიდან აგზავნიდნენ მებაღეობა-მევენახეობაში განსწავლულ პირებს, მაგრამ არც ეს და ხაზინის მიერ მიღებული არც სხვა ზომები გამოდგა შედეგიანი. ბაღ-ვენახების მოვლისათვის გაწეული ხარჯი შემოსავალს სჭარბობდა. მაშინ ხაზინამ გადაწყვიტა ამ მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. 1833 წელს პირველსავე საჯარო ვაჭრობაზე გაყიდული 10 ვენახიდან 5 თბილისელი

---

[119] დ. გოგოლაძე. კაპიტალისტური საწარმოები..., გვ. 91.

[120] ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი XIX-ის პირველ ნახევარში დაარსებული შედარებით მსხვილი სამოიდე ბურჟუაზიულ-ფერმერული მეურნეობა (კუჩენბახის, ანანოვისა და ბარონ ნიკოლაის), ამიტომ მათ შესახებ ჩვენ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

ვაჭარ-მოქალაქეების მიერ იყო შეძენილი. სახელდობრ: 1. დავით უფლისწულის ბაღ-ვენახი, გარეთუბანში გაშენებული 4 დესეტინა მიწაზე, 4944 ძირი ვაზითა და 600 ძირი მსხმოიარე ხეხილით 21 500 მანეთად ვერცხლით შეიძინეს თბილისელმა მოქალაქემ იაგორ ქეთხუდოვმა და ერევნიდან ახლად გადმოსახლებულმა მესროპ ასტვაცატუროვმა, 2. სეიდაბადში 1 1/2 დესეტინა მიწაზე გაშენებული ბაღი 765 ძირი ვაზით და 114 ძირი ხეხილით შეიძინა თბილისელმა მოქალაქემ დავით მირიმანოვმა 2200 მანეთად, 3. კრწანისში დედოფალ ანასტასიას ვენახი 270 ძირი ვაზითა და 225 ძირი ხეხილით—მოხელე სიმონოვმა 2030 მან. 4. ბორჩალოს დისტანციის სოფელ შულავერში გაშენებული ვენახი უფლისწულ ალექსანდრესი 8579 ძირი ვაზით — თბილისის მოქალაქე დავით მანანოვმა 5300 მანეთად და 5. დუშეთთან უფლისწულ ვახტანგის ვენახი 6367 ძირი ვაზით— მოქალაქე დავით თამამშევმა 2110 მანეთად[121]. როგორც სხვა საარქივო საქმიდან ჩანს, დავით ბატონიშვილის ბაღ-ვენახის შემსყიდველების მემკვიდრეებს, იაგორ ქეთხუდოვისა და მესროპ ასტვაცატუროვის შვილებს, ლუარსაბ და სოლომონ ქეთხუდოვებსა და ოსეფა და მიკირტუმ ასტვაცატუროვებს 1840 წელს ეს ბაღი ნაწილებად დაუყვიათ და მიუყიდიათ ვაჭარ-მოქალაქეებისათვის. ამ ბაღ-ვენახის ერთი ნაწილი შეუძენია ივანე აბრამის ძე შადინოვს 1200 მანეთად, მეორე ნაწილი — თავად ივანე ამატუნს 4000 მანეთად, მესამე ნაწილი — მოქალაქე ავეტიქ და მიკირტუმა ბაბანასოვებს 1500 მანეთად, მეოთხე ნაწილი — ივანე ლორის-მელიქოვს 3617 მანეთად, მეხუთე ნაწილი—მოქალაქე ივანე დავითის ძე ფუღინოვს 3200 მანეთად, მეექვსე ნაწილი—გაბრიელ აბელის ძე შადინოვს 1525 მანეთად, მეშვიდე ნაწილი — ოსეფ ასტვაცატუროვს 3387 მანეთად, მერვე ნაწილი მოქალაქე ზურაბ სტეფანეს ძე ამირაღოვს — 3987 მანეთად და მეცხრე ნაწილი გაბრიელ და თომა ფრიდონოვებს — 4200 მანეთად[122]. სულ ქეთხუდოვებსა და ასტვაცატუროვებს 1823 წელს 21000 მანეთად ნაყიდ ბაღ-ვენახში 5000 მანეთი მოგება მიუღიათ.

XIX ს-ის I ნახევრის მანძილზე მრავლად გვხვდება მამულის ნასყიდობის წიგნები, საიდანაც ჩანს, რომ მეფის ყოფილი საგვარეულოსა და თავადიშვილების მამულების საგრძნობი ნაწილი ვა-

---

[121] სცსსა, ფ. 112, ან. 1, საქ. 1645, ფურც. 1—6, 21—23.

[122] იქვე, საქ. 5806, ფურც. 3, საქ. 7106, ფურც. 1.

ჭარ-მოქალაქეების ხელში გადაღის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თეკლა ბატონიშვილის საქმიანობა. 1832 წელს თეკლა ბატონიშვილს თბილისის მოქალაქე ივანე აბელის ძე შადინოვისათვის მიუყიდია გარეთუბანში გაშენებული ბაღის ნაწილი 3300 მანეთად[123]. 1834 წელს თეკლა ბატონიშვილს ამ ბაღის მეორე ნაწილი მიუყიდია ივანე შაროევისათვის 1250 მანეთად[124], 1834 წელსვე მიუყიდია გარეთუბანში მდებარე სხვა ბაღი თეკლა ბატონიშვილს გაბრიელ აბელის ძე შადინოვისათვის 2000 მანეთად[125], 1836 წელს თეკლა ბატონიშვილს გარეთუბანშივე მდებარე ვენახის ნაწილი მიუყიდია თავად აბა-მელიქოვისა და მოქ. შადინოვისათვის[126]. იმავე წელს ამ ვენახის უფრო მოზრდილი ნაწილი (22880 კვადრატული ადლი) მიუყიდია სიმონ, გაბრიელ და დავით ივანეს ძე შადინოვებისათვის 4032 მანეთად[27]. გარდა ამისა, 1834 წელს მირზა ენიკოლოფოვს გარეთუბანში გაშენებული ბაღ-ვენახის ერთი ნაწილი მიუყიდია იაგორ თამამშევისათვის 9000 მანეთად ასიგნაციებით და მეორე ნაწილი მოქ. ივანე კურცოვისათვის 11000 მანეთად ასიგნაციებით[128]. ეს ბაღ-ვენახი მირზა ენიკოლოფოვს თავის დროზე თეკლა ბატონიშვილისაგან ჰქონია შესყიდული. ასევე თეკლა ბატონიშვილისაგან ჰქონია შესყიდული გარეთუბანში სავენახე ადგილი დანიელ ლორის-მელიქოვს, რომელსაც ეს მიწა 1834 წელს იაგორ თამამშევისათვის მიუყიდია 1423 მანეთად[129]. როგორც ვხედავთ, თეკლა ბატონიშვილის უძრავი ქონების საგრძნობი ნაწილი თბილისის მოქალაქეების ხელში გადავიდა. თბილისის გარშემო მდებარე ბაღ-ვენახებს თეკლა ბატონიშვილის გარდა სხვებიც ჰყიდდნენ. მაგალითად, ვანქის ეკლესიის დიაკვანს მართებია იაგორ და ნიკოლოზ ქეთხუდოვების 3000 მანეთი, რადგანაც მან ვალის გადახდა ვერ შეძლო, აუწერეს დირსიპალაში ვენახი, რომელიც შეაფასეს 3000 მანეთად. საჯარო ვაჭრობაზე 1824 წ. ეს ვენახი შეიძინა თბილისელმა მოქალაქემ პეტრე სარქისოვმა 5100 მანეთად[130]. ასევე საჯარო ვაჭრობით გაიყიდა სახელმწიფო გლეხის ნონია გარეწელოვის ვენახი ორთაჭა-

---

123 სცსსა, ფ. 112, აწ. 1, საქ. 3762, ფურც. 1—2.
124 იქვე, საქ. 4455, ფურც. 1—2.
125 იქვე, საქ. 4433.
126 იქვე, საქ. 4839.
127 იქვე, საქ. 4888.
128 იქვე, საქ. 4460, ფურც. 1—2.
129 იქვე, საქ. 4461.
130 იქვე, საქ. 6451.

ლაში 1824 წ., რომელიც ნასყიდ მიწაზე ყოფილა გაშენებული. გარეწელოვს 1816 წლიდან მართებია თბილისელი მოქალაქის მიკირტუმ სარქისოვის 1200 მანეთი. 1824 წლისათვის თავნი და სარგებელი 2060 მანეთი შედგა. გარეწელოვს აუწერეს ორთაჭალაში ვენახი, შეაფასეს 600 მანეთად. საჯარო ვაჭრობაზე ამ ვენახის 1065 მანეთად შეძენის მსურველი აღმოჩნდა, მაგრამ კრედიტორი მიკირტუმ სარქისოვი, 2060 მანეთი ვალის ნაცვლად, ვენახის შეძენას დათანხმდა და ნასყიდობაც მას დაუმტკიცეს[131]. 1824 წელს საეკლესიო გლეხმა დავით ხუციშვილმა ზემო ავჭალაში ნასყიდ მიწაზე თავის ძიერ გაშენებული ვენახის ნახევარი თბილისელ მოქალაქე სტეფანე მიზუაშვილს მიჰყიდა 1500 მანეთად[132]. უკვე 1825 წელს დავით ხუციშვილის ქვრივმა ნინომ ამ ვენახის მეორე ნახევარიც იმავე მიზუაშვილს მიჰყიდა 1640 მანეთად[133].

1825 წელს სახელმწიფო გლეხებმა ხეჩო და ავაქა სტეფანოვებმა დიღომში მაჩაბლისაგან ნასყიდი ბაღ-ვენახი მიჰყიდეს თბილისელ მოქალაქეს სტეფანე დავითის ძე კაფანოვს 2500 მანეთად[134]. 1826 წელს თბილისელმა მოქალაქემ ავეტიქა ბაისოგოლოვმა საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა კრწანისში სახელმწიფო გლეხის არაქელ მელქუაშვილის 2 ვენახი 200 და 300 მანეთად შეფასებული. ამ ვენახებში აივაზოვი 700 მანეთს სთავაზობდა, მაგრამ ბაისაგოლოვმა ისინი 1000 მანეთად დაინარჩუნა[135]. 1827 წელს სახელმწიფო გლეხმა დავით ბეჟინოვმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს სარად ევანგულოვს ორთაჭალაში ბაღი 3000 მანეთად[136]. 1832 წელს ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს კონია სადაღოვს ვენახი დიღომში 450 მანეთად[137], 1834 წელს სახელმწიფო გლეხმა იოსებ კანანოვმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს ისაი ჩიგიანოვს ბაღ-ვენახი ქვემო კრწანისში 4250 მანეთად[138]. როგორც გაირკვა, კანანოვს ეს ბაღი ნასყიდი ჰქონია, მაგრამ რადგანაც იგი გაშენებული ყოფილა საეკლესიო მიწაზე, მყიდველი ვალდებული იყო ეკლე-

---

131 სცსსა, ფ. 112, ან. 1, საქ. 1824, ფურც. 1—4.
132 იქვე, საქ. 1911, ფურც. 1.
133 იქვე, საქ. 2089.
134 იქვე, საქ. 6490.
135 იქვე, საქ. 2322, ფურც. 2, 7.
136 იქვე, საქ. 2254.
137 იქვე, საქ. 3756.
138 იქვე, საქ. 4430, ფურც. 4, 6.

სიისათვის ყოველწლიურად კულუხი ეხადა. სახელმწიფო გლეხმა გიორგი შუაქრიშვილმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს ფარსადან ავეტისოვს დიდუბის ჭალაში თავისი წილი მიწა[139]; 1836 წელს ეფემია მელიქიშვილ-ბარათაშვილისამ მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეებს იოსებ და მელქისეტ ითხანოვებს საკუთარი ვენახი ორთაჭალაში 1800 მანეთად[140], 1838 წელს სახელმწიფო გლეხებმა ნონია და გეო მადათოვებმა მიჰყიდეს თბილისელ მოქალაქეს გასპარ მირიმანოვს სოღანლუღში ახლად გაშენებული ვენახი 400 მანეთად[141]. იმავე წელს დავით და ძსაკ თუმანიშვილებმა მიჰყიდეს თბილისელ მოქალაქეებს იაკობ ზუბალაშვილს, დავით თამამშევს და დავით ტერგუკასოვს კუკიაზე ვენახი 1600 მანეთად[142], 1839 წელს აზნაურ ფიცხელაურს მიუყიდია თბილისელი მოქალაქის ტერ-შმოვანოვისათვის ვენახი 6500 მანეთად. თავის დროზე ეს ვენახი ფიცხელაურს დავით ბატონიშვილისაგან ჰქონია ნაყიდი[143]. 1840 წელს კოლეგიის ასესორის ქვრივმა ქალია სურგუნოვმა მიჰყიდა იაგორ ისაის ძე ფითოევს და მოქ. იოსებ მირიმანოვს სოფელ გლდანის 1/2 ნაწილი 4000 მანეთად[144]. სურგუნოვებს სოფელ გლდანის სამი ნაწილი 1828—1829 წ. ედიშერ, მიხეილ, სიმონ და ზაალ ჯანდიერებისაგან ჰქონიათ ნაყიდი. 1846 წელს დიღმელმა სახელმწიფო გლეხმა მათე მიჩელაშვილმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილს 11 1/2 დღიური სახნავი მიწა დიღომში 300 მანეთად[145]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1845 წელს მიჩელაშვილებს მუხრანბატონისაგან გამოუსყიდიათ თავი 30 დღიური სახნავი მიწით, რაშიაც სულ 200 მანეთი გადაუხდიათ, თვითონ კი ამ მიწების 1/3 ნაწილი (11 1/2 დღიური) 300 მანეთად გაუყიდეს[146]; 1846 წელს სახელმწიფო გლეხმა ივანე გორგასლიძემ მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს ივანე აბელის ძე შადინოვს ვენახი დიღომში 600 მანეთად. ეს ვენახი გორგასლიძეს ნასყიდი ჰქონია[147], 1846 წელს ისაკ, ალექსანდრე, იაზონ და ნიკოლოზ თუმანიშვილებმა მიჰყიდეს მოქალაქე

---

[139] სცსსა, ფ. 112, ან. 1, საქ. 6416, ფურც. 13.
[140] იქვე, საქ. 6814.
[141] იქვე, საქ. 5578.
[142] იქვე, საქ. 5613, ფურც. 1—2.
[143] იქვე, საქ. 5552, ფურც. 13—15.
[144] იქვე, საქ. 5763.
[145] სცსსა, ფ. 112, ან. 2, საქ. 296, ფურც. 1.
[146] იქვე, ფურც. 14.
[147] იქვე, საქ. 251, ფურც. 3.

დავით თამამშევს საკუთარი, მემკვიდრეობით მიღებული ვენახი თბილისში, სეიდაბადის უბანში 14000 მანეთად. როგორც ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, ამ ვენახს სამხრეთით იმავე დავით თამამშევის ვენახი ესაზღვრებოდა[148].

როგორც ვხედავთ, XIX ს-ის I ნახევრის ბოლოსათვის თბილისის გარეუბნებისა და ახლომახლო სოფლების ბაღ-ვენახების დიდი ნაწილი ვაჭარ-მოქალაქეებს ჰქონიათ შესყიდული. ვაჭარ-მოქალაქეები არა მარტო თბილისის გარშემო იძენდნენ მიწებს, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მაგალითად, 1807 წელს თბილისელ მოქალაქეს თეიმურაზ ბაღდასაროვს ვახვახიშვილისათვის უსესხებია 440 მანეთი. 1818 წლისათვის ვახვახიშვილის ვალი, თავნი და სარგებელი უკვე 880 მანეთს შეადგენდა. რადგანაც ვახვახიშვილმა ვალის გადახდა ვერ შეძლო, ბაღდასაროვს გადაეცა მისი 1 ვენახი 1 დღ. მიწაზე, 7 დღიური სავენახე ადგილი და სახნავი მიწა ტყით[149]. 1818 წელს რამაზ ჩერქეზიშვილმა მიჰყიდა ხოჯა მიკირტუმას შვილს დანიელს თავის ბეითალმანი ყმის ჩუბინიძის ვენახი თოხლიაურში 420 მანეთად[150], 1818 წელს სახელმწიფო გლეხმა ზაზა შპეტისშვილმა თავისი საკუთარი ნასყიდი ვენახი მარტყოფში მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს ასატურ როსტომას 480 მანეთად[151], 1822 წელს იმავე მოქალაქემ ასატურ როსტომამ და მისმა ძმამ არუთინამ მარტყოფში ნაყიდი ვენახის გვერდით კვლავ შეიძინეს ვენახი სახელმწიფო გლეხების სოსია და გარსევან გიტაშვილებისაგან 380 მანეთად[152]. 1819 წელს იოანე ამილახვარმა მიჰყიდა სოფელი პატარა ქოლაგირი შანშე ერისთავსა და მოქალაქე სოლომონ ნაზარბეგოვს 2500 მანეთად[153]. 1822 წელს გორელ მოქალაქეს პეტრე ალხაზოვს ვალში დარჩა აზნაურ ბეჟან ბერძენიშვილის ვენახი შინდისში[154], ასევე ვალში დარჩა თბილისელ მოქალაქეს პეტრე სარქისოვს აზნაურ ნონია ტანიასშვილის ვენახი თელავის მაზრა სოფელ ბაიხოში 250 მანეთად შეფასებული[155], 1824 წელს შიოშ სულხანის ძე თუმანიშვილმა სოფელ ხაშმთან მდებარე 4 დღიური სახნავი მიწა

---

148 სცსსა, ფ. 112, ან. 2, საქ. 342, ფურც. 8.
149 იქვე, ან. 1, საქ. 356, ფურც. 1, 4, 5, 6, 7, 9.
150 იქვე, საქ. 351, ფურც. 1.
151 იქვე, საქ. 817, ფურც. 1—2.
152 იქვე, საქ. 1406.
153 იქვე, საქ. 989.
154 იქვე, საქ. 1589.
155 იქვე, საქ. 1479, ფურც. 3.

600 მანეთად მიჰყიდა თბილისელ მოქალაქე ანდრია შათირიშვილს[156]. 1829 წელს ვალში დარჩა გორელ მოქალაქეს გიორგი ტერ-აკოფოვს მუხათგვერდში სახელმწიფო გლეხის ივანე ცარციძის 2 დღ. ვენახი 320 მანეთად შეფასებული[157], ასევე ვალში დარჩა 1826 წელს თბილისელ მოქალაქე აფრიამ ივანგულოვს მაჩაბლის 3 დღიური ვენახი სოფელ ზემო ხვითში[158]. 1826—1827 წლებში აზნაურმა ზაქარია მირზაშვილმა მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული სოფელ ყელქცეულთან (მიწების 1/3; ვენახი, ნახევარი ეკლესია, მთით, მინდვრითა და ბარით) გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილს 2000 მანეთად[159], 1827 წელსავე გიორგი ზუბალაშვილმა მოქალაქე აღალო ალიხანოვთან ერთად სოფელ ბოდაბეთში ფირანა მდივნისშვილისაგან 500 მანეთად იყიდა 10 დღიური სახნავი მიწა, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი ზუბალაშვილისა და ალიხანოვის წისქვილის რუს ემიჯნებოდა[160], 1829 წელს გიორგი ამილახვარმა მიჰყიდა კოლეგიის ასესორს გამაზოვს და მოქალაქე შაიკოვს ნახევარი სოღანლუღი, ბორჩალოს დისტანციაში სოფლები ყოშაქილისა, 1/4 შაისულთანი, ნახევარი კატავეტი და საღსაღანი, მთელი გოზალას სოფელი, ნახევარი სვიმონა და გოზალასქანდი, ტატუზას სოფელი, დიდ შულავერში სოფლები: ზემო, ქვემო და შუა მარხარაჯი თავიანთი სახნავი და უხნავი მიწებით, ტყით, მთითა და წყლით 10000 მანეთად[161]. 1832 წელს ივანე და ზაალ ბეგთაბეგოვებმა მიჰყიდეს გორის მოქალაქეებს ზაქარია და პეტრე მურადოვებს ცხინვალში ორი ვენახი 600 მანეთად[162]. 1832 წელს ვალში დარჩა თბილისელ მოქალაქეს გეო ამირჯანოვს სოფელ კოდაში საბატონო გლეხის სააკა ფაჩიკაშვილის ვენახი 1000 მანეთად შეფასებული[163], ასევე ვალში დარჩა იმავე მოქალაქეს გეო ამირჯანოვს 1835 წელს სოფელ კოდაშივე საბატონო გლეხების ნონია და ბაღდასარ სარქისაშვილების ვენახი 2560 მანეთად შეფასებული. როგორც საბუთიდან ირკვევა, ნონია და ბაღდასარ სარქისაშვილებს მართებდათ ამირჯანოვის 2000 მანეთი, 1835

---

156 სცსსა, ფ. 112, აღ. 1, საქ. 1908, ფურც. 1.
157 იქვე, საქ. 1907, ფურც. 1—4.
158 იქვე, საქ. 2271.
159 იქვე, საქ. 2193, ფურც. 15.
160 იქვე, საქ. 2580, ფურც. 1.
161 იქვე, საქ. 2962.
162 იქვე, საქ. 3773.
163 იქვე, საქ. 5498.

წლისათვის სარგებლით ვალმა 2720 მანეთს მიაღწია და ვინაიდან საჯარო ვაჭრობაზე მათი ვენახის შეძენის მსურველი არავინ აღმოჩნდა, ვენახი ამირჯანოვს დაუმტკიცეს[164], 1835 წელს თავად სოფიო და სალომე უსტიაშვილებმა მიჰყიდეს დუშეთის მოქალაქე სტეფანე ზალინოვს დუშეთის გარეუბანში 2 დღიური ვენახი, 15 დღიური სახნავი მიწით, საწისქვილე, სახლი, ბეღელი, ბოსელი და სხვ. 1200 მანეთად[165]. 1835 წელს თბილისის მოქალაქე ამიროვს ვალში დარჩა სოლომონ დავითაშვილის მამული; მდ. ფრონის პირას 10 დღ. ხოდაბუნი, მტკვრის პირას 4 დღ. და კიდევ ცალკე ნაკვეთად მდებარე 20 დღ. სახნავი მიწა[166], 1837 წელს თათარმა შარიფ შამამად ოღლიმ მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს სოლომონ ფარუნბეკოვს ვენახი სოფელ ტაკლში[167], 1842 წელს ლუარსაბ ჩერქეზიშვილმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქეს თომა შუბაშევს სავენახე ადგილი სოფ. თოხლიაურში[168], 1846 წ. აივაზოვსა და თბილისელ მოქალაქე იზმიროვს ვალში დარჩათ რევაზ, მაყა და ათანასე მაყაშვილების 3 ვენახი რუისპირსა და იყალთოში 7600 მანეთად შეფასებული[169],1846 წელს ალექსანდრე იაგორის ძე თუმანიშვილმა ქვემო ავჭალაში, საგურამოსა და წიწამურში გურამიშვილებისაგან ნასყიდი სახნავი, სათიბი, მიწები, საძოვრები, სავენახე ადგილები, წისქვილი, დუქანი და სხვ. იაგორ მირზოევს მიჰყიდა 12600 მანეთად[170], 1852 წელს მანანა ორბელიანმა მიჰყიდა მოხელე ალექსი ტერ-გუკაკსოვს სოფ. სამხრეთის სამი ნაწილი 3400 მანეთად[171] და სხვ.

ჩვენ მიერ აღწერილი ნასყიდობის წიგნები ერთგვარ კანონზომიერებაზე მიუთითებენ. სახელდობრ XIX ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე ვაჭარ-მოქალაქეები იძენენ მიწებს, უპირატესად ბაღ-ვენახებს. განსაკუთრებული ინტენსიურობით იძენენ ისინი მიწებსა და ვენახებს თბილისის გარეუბნებსა და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში. ხშირად ერთი და იგივე პირი იძენს რამდენიმე ერთმანეთის გვერდით, ან სხვადასხვა ადგილას გაშენებულ ვენახს. მა-

---

164 სცსსა, ფ. 112, ან. 1, საქ. 4649, ფურც. 1.
165 იქვე, საქ. 4585, ფურც. 10.
166 იქვე, საქ. 4681.
167 იქვე, საქ. 5177.
168 სცსსა, ფ. 112, ან. 2, საქ. 68, ფურც. 1—4.
169 იქვე, ან. 1, საქ. 7185, ფურც. 66—67.
170 იქვე, ან. 2, საქ. 328, ფურც. 1—2,26.
171 იქვე, საქ. 1952.

გალითად, გაბრიელ და ივანე აბელის ძე შადინოვებმა თეკლა ბატონიშვილისაგან ოთხი ვენახი შეისყიდეს, ქეთხუდოვისაგან დავით ბატონიშვილისეული ბაღის ორი ნაწილი და დიღომში ერთი ვენახი. სულ მათ 1832—1846 წლებში 14757 მანეთი დახარჯეს ვენახების შესყიდვაზე. ასევე რამდენიმე ბაღ-ვენახი იყიდეს დავით და იაგორ თამამშევებმა. მათ 40-იანი წლების ბოლოსათვის ვენახები ჰქონდათ გარეთუბანში, სეიდაბადზე, დირსიჭალაში, დიღომში, კუკიაზე, დუშეთთან და სხვ. ამათგან სეიდაბადზე მდებარე მარტო ერთი ვენახი თუმანიშვილებისაგან 14000 მანეთად ჰქონდათ შეძენილი. ასევე რამდენიმე ვენახი ჰქონდათ ზუბალაშვილებს, მირიმანოვებს და სხვ. თამამშევები, შადინოვები, ზუბალაშვილები, მირიმანოვები, ტერ-შმოვანოვები და მრავალი ზემოთ ჩამოთვლილი მოქალაქე მსხვილი ვაჭარ-მრეწველი იყო. მათ ხელში, უპირატესად, თბილისის ახლომახლო მიდამოებში გაშენებული ბაღ-ვენახების თავმოყრის ძირითადი მიზანი სასაქონლო პროდუქციის წარმოება იყო.

უკვე 1840 წლისათვის მარტო კრწანისში, ორთაჭალასა და ვარდანისჭალაში 162 ვენახი თბილისელ მოქალაქეებს ეკუთვნოდათ, რომელთა დამუშავება დაქირავებული მუშახელით წარმოებდა[172]. საარქივო საქმეში მითითებულიც კი არის, თუ რა ჯდებოდა ზოგიერთი მათგანის დამუშავება. მაგალითად, დავით იასამანოვი, რომელსაც ორთაჭალაში ჰქონია ვენახი, საიდანაც წელიწადში 15 საპალნე ღვინოსა და 2 საპალნე არაყს აყენებდა, დაქირავებულ მუშახელს წელიწადში 120 მანეთს უხდიდა, მელქო ვართანოვი კრწანისში მდებარე ვენახის დამუშავებისათვის 60 მანეთს იხდიდა, ლორის მელიქოვი დაქირავებულ მოჯამაგირეს 100 მანეთს აძლევდა, გიორგი გურგინბეგოვს ვენახის დამუშავება 150 მანეთი უჯდებოდა, მირო მირიმანოვსაც — 150 მანეთი, არუთინ კუკუჯანოვს — 120 მანეთი, ნაზარბეგოვს — 160 მანეთი და სხვ[173]. ორთაჭალასა და კრწანისში მდებარე მხოლოდ 9 ვენახში წელიწადში 218 საპალნე ღვინოსა და 18 1/2 საპალნე არაყს აყენებდნენ. ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი კი 2245 მანეთს უდრიდა[174]. 50—60-იანი წლებიდან თბილისის გარეუბნის სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად სასაქონლო მეურნეობად იქცევა, რომლის პროდუქცია კა-

---

[172] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1691, ფურც. 619—625.
[173] იქვე, ფურც. 623—625.
[174] იქვე, ფურც. 625.

პიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი მზარდი ქალაქის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდებოდა.

ვაჭარ-მრეწველთა მონაწილეობა სოფლის მეურნეობაში მარტო მიწების საკუთრად შეძენაში როდი გამოიხატებოდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მიწის საიჯარო ურთიერთობაშიც. განსაკუთრებული ხალისით ვაჭრები ბაღ-ვენახების იჯარას ჰკიდებდნენ ხელს, ვინაიდან ამ დროისათვის მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაბანდების ყველაზე უფრო ხელსაყრელ სფეროს წარმოადგენდა. საიჯაროდ ჰქონიათ აღებული 1811—1817 წლებში დუშეთის სახაზინო ვენახები — თბილისელ მოქალაქეს გულასპოვს[175], 1819—1825 წლებში დავით ბატონიშვილისეული ბაღი—პაპა შიოევს 650 მანეთად[176]; თბილისელი მოქალაქე ანდრია შათირიშვილი, რომელიც სახაზინო ვენახებიდან მიღებული ღვინის შესყიდვასა და თბილისში ღვინით ვაჭრობას მისდევდა[177] 1824 წლიდან, უფრო მეტი მოგების მიღების მიზნით, ვენახების იჯარასაც ჰკიდებს ხელს. 1824—1832 წლებში ის შილდაში, ახმეტასა და ნინოწმინდაში 9 საეკლესიო ვენახს იღებს იჯარით 625 მანეთად[178]. გარდა ამისა იმავე ხანებში სოფელ ხაშმთან სავენახე მიწასაც ყიდულობს, იმავე შათირიშვილს 1852 წლიდან სოფელ კალაურში, ხორხელსა და ოქიოში 4 ვენახი ჰქონია იჯარით აღებული, რაშიც წელიწადში 485 მანეთს იხდიდა[179]; 1847 წელს თბილისელ მოქალაქეებს სტეფანე მირიმანოვსა და ივანე ალადათოვს სოფ. კონდოლში საეკლესიო ვენახი ჰქონდათ იჯარით აღებული 480 მანეთად[180]; სოლომონ ბოგდანოვს 2 საეკლესიო ვენახი ბოდბისხევსა და კედელში—270 და 80 მანეთად[181]; ბაღდასარ ივანგულოვს 2 ვენახი ოქიოსა და ხორხელში—335 მანეთად[182]; დავით ხითაროვს ორთაჭალაში საეკლესიო ბაღი—273 მანეთად[183], სიღნაღის მოქალაქე გა-

---

[175] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 520.

[176] იქვე, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 655, ფურც. 159.

[177] იქვე, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 520, ფურც. 567—572; საქ. 563, ფურც. 597—608.

[178] იქვე, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 1699, ფურც. 13.

[179] იქვე, ფ. 240, ანაწ. 1, საქ. 622, ფურც. 6, 7.

[180] იქვე, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 11574.

[181] იქვე.

[182] იქვე, საქ. 15488.

[183] იქვე, საქ. 15508, ფურც. 8.

პარ ყაჟარდუზოვს წმ. საბას მონასტრის ბაღი—120 მანეთად[184], თბილისელ მოქალაქეს ივანე თამოევს მანავსა და საგარეჯოში 5 საეკლესიო ვენახი—350 მანეთად[185] და მრავალი სხვა. ყველა ამ ვენახის დამუშავება, ზემოთ აღწერილი წესის თანახმად, ნაწილობრივ დაქირავებული მებაღეებისა და ნაწილობრივ საეკლესიო და სახელმწიფო ყმა გლეხების შრომით ხორციელდებოდა. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ვაჭარ-იჯარადრები მეტი შემოსავლის მიღების მიზნით ამ მამულების კეთილმოსაწყობად საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეზვრეების გარდა, დამატებით მუშახელის დაქირავებასაც მიმართავდნენ, მაგალითად: 1811—1817 წლებში ველისციხის დიდი სახაზინო ვენახი თბილისელ მოქალაქეს მათე აზრიევს ჰქონია იჯარით აღებული წელიწადში 800 მანეთად. მას აქ თავისი ხარჯით 1000 ძირი ხეხილი და 16000 ძირი ვაზი დაურგავს და უკვე საიჯარო ვადის ბოლო წლისათვის ახლად გაშენებული ვენახიდან უფრო მეტი შემოსავალი მიუღია, ვიდრე ძველიდან. ხაზინას აზრიევი, წახალისების მიზნით, ბრილიანტის ბეჭდით დაუჯილდოვებია, მაგრამ, ამასთანავე შემოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდის შედეგად, იმავე ვენახზე ახალი საიჯარო ხელშეკრულება აზრიევისთვისვე 220 მანეთით უფრო ძვირად — 1020 მანეთად გაუფორმებია[186]; მოქალაქე სტეფანე მეღვინოვს, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული კარსნის მიწები, დაქირავებული ხელოსნებისა და დღიური მუშების შრომით კეთილმოუწყვია მამული. აუგია სამეურნეო შენობები, შორიდან გამოუყვანია წყალი, მიწაში ჩაუყრია ქვის მილები და მოუწყვია დახურული კანალიზაცია[187]; სიღნაღელ მოქალაქეს აღალო მინასოვსაც მნიშვნელოვანი თანხა დაუხარჯავს სოფ. ბოდბისხევში წმინდა ნინოს მონასტრის ვენახის გასაუმჯობესებლად. აქ მას სამი მუდმივი მოჯამაგირის გარდა დღიური მუშებიც მრავლად ჰყოლია დაქირავებული და სულ რაღაც 2—3 წლის მანძილზე საიჯარო ვენახში დაუყენებული ღვინის რაოდენობა გაუორმაგებია[188]. 1835 წელს თბილისელ მოქალაქეებს არტემ ყალამჭაროვსა და გეო შახნაზაროვს მარნეულის მახლობლად 10 დღიურ სახელმწიფო მიწაზე გაუშენებიათ ვენახი და ხეხილის ბაღი. მათ ამ ვრცელი ბაღ-

---

184 იქვე, საქ. 15487, ფურ. 4.
185 იქვე, საქ. 13559.
186 იქვე, ფ. 2, ანაწ 1, საქ. 585, ფურც. 1—4.
187 იქვე, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 12370, ფურც. 4.
188 იქვე, საქ. 20228, ფურც. 11.

ვენახის შემოღობვა, გაშენება და დამუშავება მთლიანად დაქირავებული შრომით განუხორციელებიათ, 7 მუდმივი მებაღის გარდა დღიური მუშებიც მრავლად ჰყოლიათ და სულ ამ საქმეზე 3500 მანეთი დაუხარჯავთ. 1840 წელს ხაზინას მათთვის ახლად გაშენებული ვენახის გვერდით დამატებით 16 დესეტინა მიწა გამოუყვია, რომელზედაც აგრეთვე დაქირავებული მუშახელით თუთის ხის პლანტაციებისა და ვენახის გაშენებას აპირებდნენ[189].

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საარქივო საქმემ, საიდანაც ჩანს, რომ სიღნაღელ მოქალაქეს აღალო ნუბაროვს 1848 წლიდან 10 წლის ვადით სოფელ ხირსაში სამი საეკლესიო ვენახი ჰქონია იჯარით აღებული. მას ნაცვლად იმისა, რომ სეზონური სამუშაოებისათვის იმ საეკლესიო ყმა გლეხების შრომა გამოეყენებინა, რომლებსაც ამ ვენახების შემუშავება ბეგარით ემართათ, ვენახების დამუშავება მთლიანად დაქირავებული მუშახელისათვის მიუნდვია. „გაკეთებაში იმა მამულისა, — წერს იგი, — უ ნ დ ა ე შ ვ ე ლ ა თ ჩ ე მ თ ვ ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო ყ მ ა თ ა ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს ა მ ე ბ რ, მ ა გ რ ა მ რ ა დ გ ა ნ ა ც ვ ხ ე დ ა ვ დ ი, რ ო მ ი გ ი ნ ი ა რ ა თ უ ა კ ე თ ე ბ დ ნ ე ნ რ ა ს მ ე ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ს, ა რ ა მ ე დ უ ფ რ ო ა ფ უ ჭ ე ბ დ ნ ე ნ ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ს მ ა მ უ ლ ს, ა მ ი ს ა გ ა მ ო მ ე ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ვ ი ყ ა ვ ი დ ა მ ე ჭ ი რ ა ბ ა თ მ ა გ ი ვ რ ა დ ს ხ ვ ა ნ ი მ უ შ ა ნ ი შ ვ ი დ ი კ ა ც ი წ ლ ო ბ ი თ, რ ო მ ე ლ ი ც დ ღ ე ს ა ც მ ი ჭ ი რ ი ა ნ დ ა გ ა მ ე კ ე თ ე ბ ი ნ ა...[190]. ნუბაროვს ამ საქმეზე 2000 მანეთი ვერცხლით დაუხარჯავს. არქიმანდრიტი ეპიფანე, რომელსაც ამ ვენახების ზედამხედველობა ევალებოდა, ნუბაროვის საქმიანობის შესახებ წერდა, რომ „ნუბაროვი მუშაობს კეთილად, როგორათაც შვენის ვენახების განკეთილებას და წარაგებსცა ჯერათ მათზე არა მცირედსა ფულსა მუშებთა ზედა“[191]. იჯარის ვადის გასვლამდე აღალო ნუბაროვი გარდაცვლილა და მისი საქმე მის ძმას სტეფანე ნუბაროვს გაუგრძელებია. მასაც ასევე მოჯამაგირეები და დღიური მუშები ჰყოლია დასაქმებული, რომლებსაც ვენახში მწვანილსა და ბოსტნეულსაც ათესინებდა და მოსავალს იქვე დუქანში ჰყიდდა წელიწადში დაახლოებით 250 მანეთისას[192]. როგორც ვხედავთ, ჩვენს წი-

[189] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 1686, ფურც. 202—213; საქ. 1695, ფურც. 610—611.

[190] იქვე, საქ. 11691, ფურც. 88.

[191] იქვე, ფ. 501, ან. 1, საქ. 117, ფურც. 9.

[192] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 16115, ფურც. 10.

ნაშეა ტიპური მაგალითები კაპიტალისტური წესის წანამძღვრისა, როცა „ნამდვილი მიწათმოქმედნი არიან დაქირავებული მუშები, დასაქმებულნი კაპიტალისტის მოიჯარის მიერ, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა მხოლოდ როგორც კაპიტალის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ დარგს, როგორც თავისი კაპიტალის დაბანდების წარმოების განსაკუთრებულ სფეროში“[193]. ბაღ-ვენახების იჯარადრების მოგების ნორმა ეტყობა საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ეს ჩანს თუნდაც სტეფანე ნუბაროვის საჩივრიდან, რომლისთვისაც 120 მან. იჯარით აღებული ვენახი 1 წლით ჩამოურთმევიათ და სხვისთვის გადაუციათ. ამ ვენახის დაბრუნების შემდეგ სტეფანე ნუბაროვი ჩიოდა — ერთი წლის განმავლობაში 2000 მანეთი ვიზარალე, რადგანაც იმ წელიწადს ღვინოზე განსაკუთრებით მაღალი ფასები იყოო და მოითხოვდა იმდენი ხნით გაეგრძელებიათ საიჯარო ვადა, ვიდრე 2000 მანეთს არ ამოიგებდა. რა თქმა უნდა, ნუბაროვის ეს განცხადება 1 წელიწადში 2000 მანეთი ზარალის შესახებ გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ თავისთავად მაინც მოგების მაღალ ნორმაზე მიუთითებს.

40—50-იანი წლებისათვის მეცხოველეობის განვითარების შედეგად სათიბი და საძოვარი მიწის ნაკვეთების იჯარადრების მოგების ნორმაც საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ამ დროიდან ვაჭარ-მოქალაქეები სათიბი და საძოვარი ნაკვეთების იჯარასაც ხალისით ჰკიდებენ ხელს. მაგალითად, 1854—1860 წლებში პატარა ლილოს სათიბი და საძოვარი მინდვრები, რომლებიც ადრე სახაზინო გლეხს კონია სტეფანიშვილს ჰქონდა იჯარით აღებული, თბილისელ მოქალაქეებს ადამ ფორაქოვსა და მიკირტუმ თეიმურაზოვს აუღიათ 920 მანეთად[194], 1849 წლიდან საცხენისის სათიბი და საძოვარი მიწების იჯარა 650 მანეთად მოქალაქე მეპინოვს ჰქონია[195], 1854 წელს წეროვანისა და ჯვარის მიწები 450-მდე დესეტინა აივაზოვს აუღია იჯარით 220 მანეთად. მას ეს მიწები მთლიანად სათიბ-საძოვრებად უნდოდა, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ თვითონ მრავლად ჰყავდა საქონელი, ცხენები და ცხვრის ფარა, თივაზე ფასებიც მაღალი იყო, მაგრამ მცხეთელი საეკლესიო გლეხების ენერგიული პროტესტისა და სახაზინო ექსპედიციის მოთხოვნის შედეგად, იძულებული იყო ამ

---

[193] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 198.
[194] სცსსა, ფ. 240, ან. 1, საქ. 307, ფურც. 157.
[195] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 14193.

მიწების ნაწილი გლეხებისათვის დაეთმო. შემდეგში აივაზოვი უჩიოდა სახაზინო ექსპედიციას, რომ მცხეთელებისათვის მიწების დათმობის გამო 14634 მანეთი ვიზარალეო და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა[196]. აივაზოვის განცხადება, რა თქმა უნდა, რეალური მდგომარეობიდან ძალიან შორს უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავისთავად ფაქტი მაინც სათიბ-საძოვარ მიწებზე კაპიტალის დაბანდების შედეგად მოგების მაღალი ნორმის მიღების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ჩვენ მიერ მოტანილ მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX ს-ის I ნახევრიდან სოფლის მეურნეობაში, როგორც წარმოების განსაკუთრებულ სფეროში, ვაჭარ-მოქალაქეების მიერ კაპიტალის დაბანდების პროცესი იწყება. ვაჭარ-მოქალაქეები განსაკუთრებით აქტიურად ყიდულობენ ბაღ-ვენახებს კაპიტალისტურად მზარდი ქალაქის, თბილისის გარეუბნებსა და ახლომახლო სოფლებში. სულ მოკლე ხანში ამ მეურნეობების წამყვან მოტივად საცლელი ღირებულების წარმოება იქცევა. გარდა ამისა, შეიმჩნევა ვაჭარ-მრეწველთა მონაწილეობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ისინი კაპიტალს აბანდებენ უმთავრესად სოფლის მეურნეობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა მევენახეობა-მეღვინეობა და მეცხოველეობა, სადაც სასაქონლო ურთიერთობის თანდათანობითი განვითარების შედეგად მოგების ნორმა საკმაოდ მაღალი იყო.

* * *

ყოველივე ზემოთ ნათქვამი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, სასაქონლო ურთიერთობის განვითარებისა და ნატურალური რენტის თანდათანობით ფულად რენტად გადაქცევის კვალად, მიწების ამოძრავებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. შეძლებული გლეხობა და ვაჭართა ფენა მონაწილეობას იღებს მიწების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში და საფუძველი ეყრება გლეხურ პარცელარულ საკუთრებას, რომელიც კ. მარქსის მოძღვრების თანახმად

[196] სცსსა, ფ. 240, ან. 1, საქ. 296, ფურც. 223.

[197] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 431.

„ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოსდგება“[197].

მიწა იქცევა არამარტო ყიდვა-გაყიდვის საგნად, არამედ ფართოდ განვითარებული საიჯარო ურთიერთობის საფუძვლადაც. იჯარით აღებულ და „ნასყიდ“ მიწის ნაკვეთებზე გლეხობის ზედაფენის წარმომადგენლები თუ ვაჭარ-მოქალაქეები ფერმერული ტიპის წვრილ მეურნეობებს აარსებენ.

თავი V

გატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი

განსახილველი ხანის საქართველოს სოფელში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების შედეგად გაძლიერდა გლეხობის მისწრაფება არა მარტო მიწების შეძენისა, არამედ პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენაც.

XIX ს-ის I ნახევარი საქართველოს ისტორიაში ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებით აღინიშნება. ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად ფულზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ბატონები XIX ს-ის I ნახევრის მანძილზე უკიდურესად ამწვავებდნენ გლეხობის ექსპლოატაციას, უჩვეულოდ ამძიმებდნენ მათ უფლება-მოვალეობებს, თვითნებურად ზრდიდნენ ბეგარა-გადასახადებს. განსაკუთრებით იზრდებოდა პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ბატონყმური რიგის გადასახადები, რომელთა რაოდენობა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული არ ყოფილა. რეფორმის წინარე წლებში საბატონო გლეხების მხოლოდ პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე გადასახადები 6-ჯერ უფრო მეტად აღემატებოდა უმაღლესი ზომით დაბეგრილი სახელმწიფო გლეხის ყველა გამოსაღებებს[1].

თავის მხრივ, გლეხობა ამ მოვლენას ბატონყმობისაგან თავისდაღწევისათვის ბრძოლის გააქტიურებით პასუხობდა. იგი ამისთვის ყველა საშუალებას მიმართავდა: ეს იქნებოდა იურიდიული გზით თავისუფლების მოპოვება, მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აყრა, სხვა კუთხეებში გაქცევა და ხიზნად დაჯდომა, თუ გარკვეული საზღაურით თავის გამოსყიდვა.

ბატონყმობისაგან თავგამოსყიდვა ქართული ფეოდალური სამართლით აკრძალული არ ყოფილა. ბატონისა და ყმის ურთიერთ-

---

[1] И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, т. I, с. 477.

შეთანხმების საფუძველზე, გარკვეული საზღაურის გადახდით გლეხს შეეძლო თავისუფლების მოპოვება. მაგრამ XVIII ს-მდე ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. XVIII ს-ში, როგორც პროფ. ი. ანთელავამ გამოიკვლია, ამ მოვლენამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო, XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება და, XVIII ს-გან განსხვავებით, ერთხელ თავგამოსყიდული გლეხის ხელახალი დაყმევების შემთხვევები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის აღარ გვხვდება. ერთი მხრივ, ყმა გლეხთა ეკონომიური ექსპლოატაციის გაძლიერება და მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება იყო მიზეზი ამ პროცესის გაძლიერებისა. მეორე მხრივ კი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ამ ურთიერთობაში ჩაბმული გლეხობის ნაწილს საშუალებას აძლევდა დაეგროვებინა სათანადო თანხა და პირადი თავისუფლების მოპოვებისათვის ეზრუნა. გარდა ამისა, ამ პროცესს ცარიზმის კანონმდებლობაც უწყობდა ხელს, რომელიც საქართველოში სახაზინო უწყების ყმა-მამულის გამრავლებისაკენ იყო მიმართული. კერძოდ, 1831 წელს გამოცემული კანონის თანახმად, დავალიანებული მებატონის ყმა-მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დროს გლეხებს თავგამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ. 1842 წელს გამოსული კანონის თანახმად, ასეთივე უფლება ეძლეოდათ გლეხებს კერძო შეთანხმებით ყმა-მამულის გაყიდვის დროსაც. 1848 წლის კანონით კი ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხებს ნება ეძლეოდათ ჩარიცხულიყვნენ სახელმწიფო უწყებაში ან მოქალაქეებად ჩაწერილიყვნენ[2].

გლეხების მიერ თავგამოსყიდვის შემთხვევები სტატისტიკურად აღრიცხულია მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, ისიც 1850 წლიდან 1864 წლამდე. ამ აღრიცხვით ასეთი 1314 შემთხვევაა დადასტურებული. დღემდე ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მწარმოებელი საზოგადოების ფეოდალური ურთიერთობიდან განთავისუფლების მასშტაბებზე მსჯელობა უმთავრესად აღნიშნულ აღრიცხვას ემყარებოდა, თუმცა გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ მთლიანად საქართველოში XIX ს-ის I ნახევრის მანძილზე ბატონყმობიდან თავგამოსყიდვის შემთხვევები გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ისტორიული არქივის სათანადო

---

[2] И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии ..., т. I, с. 108.

ფონდებში 1805 თავდახსნის საბუთს მივაკვლიეთ. ამ 1805 საბუთით ბატონყმობისაგან განთავისუფლდა 1967 კომლი, რაც კიდევ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ განსახილველი ხანის საქართველოში გლეხობის მიერ თავგამოსყიდვის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ჩვენ მიერ შესწავლილ 1805 თავდახსნის წიგნიდან 878 დასავლეთ საქართველოს შეეხება. ამათგან 1850 წლიდან გაცემული არის 516 საბუთი. ე. ი. სტატისტიკურად აღრიცხული ბატონყმობისაგან თავდახსნის 1314 შემთხვევის ამსახველი საბუთებიდან მხოლოდ 516-მა, ანუ დაახლოებით 1/3-მა მოაღწია ჩვენამდე. აღმოსავლეთ საქართველოში 927 საბუთით თავისუფლება მიიღო 1087 კომლმა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს საბატონო გლეხების 6%-ს შეადგენს. უკვე მარტო ესეც კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რეფორმამდელ საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის პროცესი საკმაოდ ღრმად იყო წასული. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთ საქართველოში თავგამოსყიდვის ცნობილი შემთხვევების ამსახველი საბუთებიდან მხოლოდ 1/3-მა მოაღწია ჩვენამდე და ანალოგიურად ვიმსჯელებთ აღმოსავლეთ საქართველოზეც, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ასეთი შემთხვევები გაცილებით მეტი იქნებოდა და საბატონო გლეხების 12—18% მაინც უნდა ჩავთვალოთ თავგამოსყიდულად.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა მებატონისაგან გაქცეული და სხვა კუთხეში დასახლებული გლეხი მის ასაყრელად მოსულ მებატონეს აღარ ემორჩილებოდა და ეს უკანასკნელიც იძულებული იყო სათანადო ანაზღაურების მიღებით თავისი ყოფილი ყმა გაეთავისუფლებინა. ეს უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან კახეთსა ან ქართლში გამოქცეულ გლეხებს შეეხება. მაგალითად, 1841 წელს იმერელი თავადი დავით წულუკიძე შემდეგი შინაარსის თავდახსნილობის წიგნს აძლევს თავის ყმას იოსებ ყიზილეიშვილს „...შენ გარდმოხველ იმერეთიდან უნებლიეთ ჩემდა და იმყოფებოდი თელავის ქალაქსა შინა, რომლისათვის მეც გარდმოველ საქართველოს ყმათა ჩემთა გარდასასახლებლად მუნვე თავის სამკვიდრებელსა აღგილმამულსა, გარნა შენ არ ისურვე და არც დაემორჩილე, დაეთანხ-

მე ბრძანებასა ჩემსა იმერეთს გარდაყვანისათვის და მე ვინაიდგან მივხედე აზრსა და სინდისსა შენსა ესრეთითა სახითა, ამისთვის დაგიტევე ვითარცა ისურვე და დაგახსნევინე (თავი) ყმობისა ჩემისა თვინიერ შენი მამულისა"[3]. ასეთივე შინაარსის საბუთს აძლევს 1818 წელს იმერელი აზნაური ვახტანგ სვანიძე საგარეჯოში გადახვეწილ თავის ყმებს სვიმონ, ხუცია, დათიკა და მახარე ზალიკანიანებს „მამის ჩვენის ნასყიდი იყავით და იმერეთიდამ საქართველოში წამოხვედით, მოვედი მე თქვენ წამოსაყვანად და აღარ გამომყევით, პატიოსანნი კაცნი შუა შემოაყვანე და თავის დახსნა მთხოვეთ, მეც ვისმინე თქვენი თხოვნა და თაკი დაგახსნევინე"[4]. მებატონისაგან გაქცეულ გლეხს თავის დასახსნელად ფულის გადახდა უხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის დიდი ხნის წინათ იყო გადმოხვეწილი თავის „სამკვიდრო" ადგილ-მამულიდან. ამ მხრივ ჩვენ ყურადებას იპყრობს შემდეგი საბუთები: „...ესე განთავისუფლების წერილი მოგეც მე რაჭველმა სხიველმა აბაშიძე დავით მღვდლის შვილმა ზურაბ, შენ ჯაფარაშვილის როსტომისაგან მოსყიდულს დვალეთელს ქიტესა ჩერქეზოვს, ასე რომ პატარა ტფილისის ქალაქს გადმოსულიყავ და იქ გეცხოვრა 16 წ ე ლ ი წ ა დ ი და მას უკან ცოლიც შეგერთო, მე გადმოველ იმერეთიდამ ტფილისში და ბატონყმობაზედ გამოგელაპარაკე, რადგან შენი ნასყიდობის სიგელი მჭონდა, შენ ჩემი გული შეიჯერე რითაც იყო და მე გამითავისუფლებიხარ"[5]. ასევე პატარაობიდან წამოსული ყმის განთავისუფლებისათვის ფული აუღია აზნაურ ლევან გამყრელიძეს: „...ასე რომ იყავ წამოსული ადრევე სიყმაწვილეში კახეთში სიღნაღის უეზდში სოფ. კაკაბეთში და ცოლიც შეგერთო მანდაური ქალი. ჩამოვედი შენ ასაყრელად და წასაყვანად და შენც შემევედრე სოფლის ხალხიც შუა შემოიყვანე. მეც პატივი გეც და გამოგართვი ფასი სრული..."[6].

სულ ჩვენ მიერ განხილული საბუთებიდან 143 შემთხვევა გვაქვს ისეთი, როცა გაქცეული გლეხი აღარ თანხმდებოდა უკან დაბრუნებაზე და მებატონეები იძულებული იყვნენ გაეთავისუფლებინათ ისინი.

ბატონყმობისაგან თავდახსნისას გლეხები ცდილობდნენ სარგებლობაში მიცემული ადგილ-მამულის გამოსყიდვასაც, მაგრამ პა-

---

[3] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1956, ფურც. 58.
[4] იქვე, ფ. 1450, დავთ. 36, საბ. 102, 1818 წ.
[5] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 72, 1810 წ.
[6] იქვე, ფ. Hd. საბ. 9593, 1833 წ.

რადი თავისუფლების მოპოვება იმდენად სასურველად მიაჩნდათ, რომ ხშირად მთელი თავისი ადგილ-მამულის და სახლ-კარის დათმობასაც არ ერიდებოდნენ და უმიწაწყლოდ იხსნიდნენ თავს. ჩვენ მიერ განხილული საბუთებიდან 264-ში არ არის აღნიშნული გლეხებმა უძრავ-მოძრავი ქონებით გამოისყიდეს თავი თუ არა, დანარჩენებიდან 813 უმიწაწყლოდ არის განთავისუფლებული და 728 ადგილ-მამულითა და მთელი საცხოვრებელით. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ განთავისუფლებული გლეხების დაახლოებით ნახევარი ქონების გამოსყიდვა აღარ ახერხებდა. სამწუხაროდ, თავდახსნის წიგნებში იშვიათად არის მითითებული გამოსყიდული მიწის ფართობი, მაგრამ იმ მცირერიცხოვანი საბუთებიდან, სადაც ეს აღნიშნულია, ჩანს, რომ ქონებით თავგამოსყიდული გლეხების უმეტესობა ძირითადი საწარმოო საშუალებით — მიწით, სავსებით უზრუნველყოფილი იყო. კერძოდ, 218 საბუთიდან, სადაც მითითებულია თავდახსნილი გლეხის მიწის ფართობი, 75 კომლს შედარებით უმნიშვნელო 2-დან 10 დღიურამდე მიწა ჰქონდა, 143 კომლის სახნავ-სათესი მიწის ფართობი კი 10 დღიურს აღემატებოდა. ქვემოთ ჩვენ მოგვაქვს ცხრილი, სადაც ამ შეძლებული გლეხების უმეტესობის ქონება არის აღწერილი (იხ. გვ. 170—179).

ცხრილში აღნიშნულ 106 კომლ გლეხს გამოუსყიდია სულ 2440 დღიური სახნავ-სათესი მიწა და ვენახი, რაც კომლზე საშუალოდ 23 დღიურს შეადგენს.

ზოგიერთ კომლს სახნავ-სათესი მიწა მცირე რაოდენობით ჰქონდა, სამაგიეროდ, ან დიდ ფართობზე გაშენებულ ვენახს ფლობდა, ან მისი ძირითადი საქმიანობა, ხვნა-თესვის ნაცვლად, ვაჭრობა-მრეწველობა იყო და საკუთარი დუქნები და სამღებროები ჰქონდა გახსნილი. მაგალითად, სოფელ ოზურგეთში მცხოვრებ ესიკა დოლიძეს 5 დღიური ვენახი ჰქონდა, სახნავ-სათესი მიწა კი მხოლოდ 2 1/2 დღიური; გურჯაანში მცხოვრებ ფრიდონა კოპლიშვილს სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არ ჰქონდა, სამაგიეროდ ჰქონდა 8 დღიურზე გაშენებული ვენახი; სოფელ ახალგორში მცხოვრებ გიორგი ერისთავის ყოფილ ყმას ზოსიმე სტეფანიშვილს ჰქონდა 6 დღიური მიწა და 2 დუქანი, იმავე ახალგორში მცხოვრებ თუთუა აშარუმაშვილს კი სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არ ჰქონდა, სამაგიეროდ ჰქონდა 2 ვენახი, 2 ბოსტანი, 2 სავენახე ადგილი, 2 საწისქვილე ადგილი, 3 დუქანი, სამღებრო და სხვ. ჩვენ ყველა ესენი შეძლებულ

გლეხთა ნუსხაში შეეიყვანეთ, რამაც ძირს დასწია თითოეული კომლის მიერ გამოსყიდული მიწის საშუალო ფართობი, მაშინ როცა, როგორც ცხრილიდან ჩანს, იყვნენ ისეთი გლეხები, რომელთაც 45, 55,60 და მეტი დღიური მიწაც კი ჰქონდათ. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 3 კომლი, რომელთაგან ერთს მარკოზ ბოდოკიას 1845 წელს თავად ივანე აბაშიძისაგან გამოუსყიდია 4 დღიური ვენახი და 110 დღიური სახნავ-სათესი მიწა, ორს კი ანტონა ბერძენაშვილს და ტასია ჩეგელაშვილს სოფელ ვარიანში ცალკეულ ნაკვეთებად მდებარე სახნავი მიწებისა და ვენახების გარდა გამოუსყიდიათ ერთი მთლიანი 110 დღიურიანი ნაკვეთი სახნავი მიწა, ე. წ. ხოდაბუნი. მარკოზ ბოდოკიას ოჯახი 9 სულისაგან შედგებოდა, აქედან მამაკაცი იყო 4. რა თქმა უნდა, 110 დღიური სახნავი მიწისა და 4 დღიური ვენახის დამუშავებას გაცილებით მეტი მუშახელი დასჭირდებოდა და მის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელი იქნებოდა დასაქმებული. იგივე ითქმის ტასია ჩეგელაშვილისა და ანტონა ბერძენიშვილის მეურნეობებზეც. მართალია, ამ ორივე კომლში მამაკაცი 13 იყო, მაგრამ 100 დღიური ხოდაბუნისა და ცალკეული ნაკვეთი სახნავ-სათესი მიწებისა და ვენახების დამუშავებას კიდევ უფრო მეტი მუშახელი სჭირდებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ ცხრილში ჩამოთვლილი სხვა გლეხების მეურნეობებშიც, მაგ. გაბრიელ წრიალაშვილის მეურნეობაში, რომელსაც 55 დღიური სახნავ-სათესი მიწა, 3 1/2 დღიური ვენახი და 1 წისქვილი ჰქონდა. ოჯახში კი მამაკაცი მხოლოდ 3 იყო; პეტრე მკალავიშვილის მეურნეობაში—ჰქონდა 20 დღიური სახნავ-სათესი მიწა, 10 დღიური ვენახი, ჰყავდა 24 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 60 ცხვარი. ოჯახში იყო 8 მამაკაცი, აქედან 4 მცირეწლოვანი; ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებულ აშარუმაშვილის მეურნეობაში, რომლის საქმიანობა ისე მრავალფეროვანი იყო (მევენახეობა, მებოსტნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა), რომ მხოლოდ ოჯახის წევრები (6 მამაკაცი) ვერ გაართმევდნენ თავს და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ ცხრილში აღნუსხული გლეხების მეურნეობაში წამყვანი ადგილი საქონლის საბაზროდ წარმოებას უნდა სჭეროდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სათანადო ფულადი თანხის დაგროვებასა და მნიშვნელოვანი ქონებით თავის გამოსყიდვას ვერ მოახერხებდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქონებით განთავისუფლებული გლეხების ნაწილი, რომელთა მიწის ფართობი საბუთებში მითითებული არ არის, ასევე შეძლებული იქნებოდა, განსაკუთრებით ისინი, ვინც გამოსყიდვისათვის მნიშვნელოვანი თანხა გადაიხადეს.

№№	გამოსყიდვის თარიღი	თავდახსნილი გლეხი	ბატონი	გამოსყიდული სახნავი მიწა (დღიურებში)
1	2	3	4	5
1	1843	ბერუა თურმანიშვილი	დიმიტრი ერისთავი	20
2	1845	ღვინიაშვილი	არჩილ მუხრან-ბატონი	23 1/2
3	1846	აბრამ იმედაშვილი	ალექსანდრე ანდრონიკაშვილი	20
4	1847	ღვთისა გნოლიძე	გიორგი ამილახვარი	35
5	1847	გაბრიელ წრიალაშვილი	„ „	55
6	1847	შიო კვიციძე	ბეჟან ამილახვარი	45
7	1857	გიორგი ჯალანტიაშვილი	თეიმურაზ თარხნიშვილი	81/2
8	1842	გიორგი მჭედლიშვილი	ლევან ციციშვილი	15
9	1842	სოსია ტურაშვილი	„ „	15
10	1842	ზოსიმე სტეფანიშვილი	გიორგი ერისთავი	6
11	1845	თომა კაპანაძე	ლუარსაბ ვაჩნაძე	19
12	1846	გიორგი ჯავახიშვილი	სოფიო სავარსამიძე	20
13	1843	გაბრიელ პაპიაშვილი	დიმიტრი ერისთავი	30
14	1844	იოსებ ჭამგელაშვილი	ეფემია ანდრონიკაშვილი	17
15	1848	იოსებ შალიკაშვილი	გიორგი მუხრანბატონი	32 1/2
16	1843	მახარე ამირბარაშვილი	„ „	31

გამოსყიდული ვენახი	სხვა ქონება	სოფელი, სადაც ეს მიწებია	არქივის ფონდი, საქმე, ფურცელი
6	7	8	9
1—1 დღ.	სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი	შინდისი	ფ. 254, ან. 1, საქ. 1378, ფურც. 87
—		დიღომი	იქვე, ფურც. 100
1—1 დღ.		ვეჯინი	იქვე. ფურც. 125
2—4,1/2 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, წისქვილი 4 დღიურ მიწაზე	ყარაბაღი	იქვე, საქ. 1378, ფურც. 147.
3,1/2 დღ.	წისქვილი	ფხვენისი	იქვე, ფურც. 159
3—3 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, 12 სული ხარ-კამეჩი	ბერშუეთი	„ „ 172
2—2,1/2 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით	გორის მაზრა	ფ. 254, ან. 2, საქ. 2389, ფურც. 217
—	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, საკარმიდამო ნაკვეთი, 11 სული ხარ-ძროხა	დოესი	ფ. 254, ან. 1, საქ. 1955, ფურც. 23.
4 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, საკარმიდამო ნაკვეთი	დოესი	იქვე
1	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, სამოსახლო, 2 დუქანი	ახალგორი	იქვე, ფურც. 34.
1	ზედუბნის ტყე	ზედუბანი	იქვე, საქ. 2207, ფურც.10.
—	მოძრავი ქონება	ახმეტა	იქვე, ფურც. 43
2	—	შინდისი	იქვე, საქ. 2051, ფურც. 17
3	—	შილდა	იქვე. ფურც. 36
—	—	დიღომი	ფ. 254, ან. 2, საქ. 2357, ფურც. 2—3
—	3 სახლი, კალო, საბძელი	დიღომი	იქვე, ფურც. 4—5

1	2	3	4	5
17	1853	ესიკა დოლიძე	დავით ჯაყელი	21/2
18	1853	დავით კიკვაძე	იესე ხუნდაძე	5
19	1857	დავით კოხრეიძე	ივანე წულუკიძე	10
20	1862	დიანოზ აბზიანიძე	გიორგი წულუკიძე	4
21	1862	ნინია ჯუფაძე	ნიკოლოზ მიქელაძე	17
22	1860	ივანე პაპავა	„ „	25
23	1862	დათია პაპავა	ალექსანდრე მიქელაძე	15
24	1862	გლახუა ბენერიძე	სალომე ჭილაძე	10
25	1860	დავით ბარკალაია	როსტომ მიქელაძე	15
26	1864	სიმონ მელუხა	ალექსანდრე გუგუნავა	121/2
27	1857	საყვარელა ერჯიბაძე	სიმონ აბაშიძე	121/2
28	1853	გიორგი სიხარულიძე	იასე ქღენტი	16
29	1843	გიორგი ტაბარაშვილი	მალალაშვილი	15
30	1843	თევდორე ხიზაბავრელი	„	14
31	1843	ნინია რთველიაშვილი	„	20
32	1847	ზაქარია მჭედლიშვილი	მარიამ ვაჩნაძე	30
33	1848	თუთუა აშარუმაშვილი	ალექსანდრე ერისთავი	—
34	1847	ვასილ გოგიშვილი	გიორგი ფავლენიშვილი	12
35	1850	შიო ბეწილაშვილი	ზაქარია ჯორჯაძე	20
36	1849	ფრიდონ ქიტუაშვილი	სიმონ მაყაშვილი	10
37	1849	პეტრე მკალავიშვილი	„ „	20
38	1850	ბეჩო ტურიშვილი	იაკობ ზუბალაშვილი	18
39	1850	ოთარა ზაქარეიშვილი	კოხტა დუდუჩავა	71/2
40	1851	გლახა ხიზანაშვილი	ილია ორბელიანი	12
41	1851	სოლომონ ღვდლისშვილი	„ „	12

6	7	8	9
5 დღ.	—	საოზურგეთი	იქვე, საქ. 2372, ფურც. 6
4 დღ.	—	ჩოხატაური	იქვე, ფურც. 11
1/2 დღ.	7 1/2 დღიური ტყე	ფარცხანა-ყანევი	იქვე, საქ. 2383, ფურც. 10
4 დღ.	2 1/2 დღიური ტყე	ქვიტირი	იქვე, საქ. 2427
—	—	კულაში	იქვე
—	—	კულაში	იქვე
—	სამი სახლი	კულაში	იქვე
—	—	წიაღობანი	იქვე
7, 1/2 დღ.	—	ჩხენიში	ფ. 254, ან. 2, საქ. 2543, ფურც. 2
1	—	ძიმითი	იქვე, საქ. 2451, ფურც. 21
1/2 დღ.	ტყე	დილიკაური	იქვე, საქ. 2536. ფურც. 131
—	—	ამაღლება	იქვე, ფურც. 132
—	—	გორის მაზრა	იქვე, ან. 1, საქ. 2035
2, 1/2 დღ.	1 წისქვილი	გორის მაზრა	იქვე
1 დღ.	—	გორის მაზრა	იქვე
5 დღ.	—	ანაგა	ფ. 254, ან. 2, საქ. 124, ფურც. 175
2	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, 2 ვენახი, 2 ბოსტანი, 2 საძენახე ადგილი, 2 საწისქვილე ადგილი, 3 დუქანი, სამლებარო	ახალგორი	იქვე, ფურც. 214
3/4 დღ.	1/4 დღიური ხეხილის ბაღი	ზემო ხვითი	იქვე, ფურც. 235
3	—	ახმეტა	იქვე, ფურც. 291
4 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით	რუისპირი	იქვე, ფურც. 303
10 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით	რუისპირი	იქვე, ფურც. 303
1, 1/2 დღ.	2 სახლი სამეურნეო ნაგებობებით	დოესი	იქვე, ფურც. 353
6, 1/2 დღ.	—	ოზურგეთის მაზრა	ფ. 254, ან. 2. საქ. 130, ფურც. 43
20 დღ.	სახლი სარდაფით 2 დღიურზე	გურჯაანი	იქვე, ფურც. 80—81
6 დღ.	სახლი სარდაფით 1 დღ-ზე	〃	იქვე

1	2	3	4	5
42	1851	ბეჟანა ნინიაშვილი	ილია ორბელიანი	12
43	1851	გლახა საჭალელი	მელიტონ ამილახვარი	19
44	1837	აბრამ ქვახარშიაშვილი	ანდრონიკე მაყაშვილი	15
45	1837	გოგია ლარიბაშვილი	„„	15
46	1837	რევაზ კალანდარიშვილი	„„	10
47	1837	სოლომონ იგრიაშვილი	„„	14
48	1851	ოტია ციბაძე	ივანე წულუკიძე	10
49	1851	ზაქარია კოხრეიძე	ივანე წულუკიძე	20
50	1847	აღდგომელა სამხარაძე	დარეჯან მაჭავარიანი	171/2
51	1857	გიორგი ზაქარაშვილი	გიორგი ფავლენიშვილი	121/2
52	1856	იაკობ სულაშვილი	ტარიელ ხიმშიაშვილი	29
53	1851	გიტულა ჩხაიძე	გიორგი ებრალიძე	31/2
54	1850	მაისურაძე	მაჩაბელი	15
55	1847	გლახა ოსაძე	ზაქარია ჯორაშვილი	16
56	1847	ილარიონ ფხაკაძე	„„	20
57	1847	სიმონ ლამაზაშვილი	„„	15
58	1846	მიქელ მოსაშვილი	გიორგი წულუკიძე	10
59	1848	ნიკოლოზ ქორიძე	სალომე ჯაიანი	15
60	1847	თამაზ პეტრიაშვილი	ბერი წულუკიძე	15
61	1864	ბიჭუნია ბალანჩივაძე	ალექსანდრე მიქელაძე	16
62	1848	გიორგი თევდორაძე	ივანე ჯაყელი	20
63	1846	გაბრიელ მამრიკიშვილი	დავით კანდელაკი	20
64	1848	გოგინა მოსეშვილი	ივანე წულუკიძე	11
65	1848	ბიჭია აბზიანიძე	ბეჟან ღოღობერიძე	15
66	1849	ლაზარე კუპაიძე	ნესტორ წერეთელი	30

6	7	8	9
2 დღ.	სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი 2 დღიური	„ „	იქვე
2	სახლი, სარდაფი, ეზო	ჭალა	იქვე, ფურც. 69
4 დღ.	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	რუისპირი	ფ. 254, ან. 2, საქ. 151, ფურც. 76—85.
4 დღ.	„ „	„ „	იქვე
2 დღ.	—	„ „	იქვე
4 დღ.	„ „	„ „	იქვე
1 დღ.	სახლი, ეზო-კარმიდამო 1 დღიური. 5 დღ. ტყე	ფარცხანაყანევი	ფ. 254, ან. 2. საქ. 152, ფურც. 216
3/4 დღ.	სახლი, კარმიდამო 2 დღ., ტყე 15 დღ.	„ „	იქვე, ფურც. 234
1,1/2 დღ.	სამოსახლო 1 დღ. ტყე 30 დღ.	წყალშაური	იქვე, ფურც. 358
1 დღ.	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	გორის მაზრა	იქვე, საქ. 190, ფურც. 33
1 დღ.	—	რუისი	იქვე, ფურც. 281
2,1/2 დღ.	2 დუქანი, ტყე—10 დღ.	ოზურგეთი	იქვე, ან. 2, საქ. 2534, ფ. 19
—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, საკარმიდამო ნაკვეთი	დუმაცხო	იქვე, საქ. 2095, ფურც. 11
—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	სატივე	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 35—36.
—	სახლი, სამეურნო ნაგებობები	სატივე	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 35—36.
—	„ „	„ „	იქვე
1 დღ.	ტყე	გუბი	იქვე, ფურც. 88.
1	—	ქონეთი	იქვე, ფურც. 128
1	—	კაჩეთი	იქვე, ფურც. 192
1	—	კულაში	ფ. 254, ან. 2, საქ. 448, ფურც. 93.
—	—	აცანა	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 131
—	—	ვანი	იქვე, ფურც. 203
2,1/2 დღ.	საკარმიდამო ნაკვეთი 3 დღ., ტყე 5 დღ.	გუბი	იქვე, ფურც. 114
1 დღ.	საკარმიდამო ნაკვეთი 3 დღ., ტყე 6 დღ.	ჯიხაიში	იქვე, ფურც. 124
1 დღ.	სამოსახლო 2 დღ.	საყულია	იქვე, ფურც. 167—168

1	2	3	4	5
67	1849	დავით კუჭაიძე	ნესტორ წერეთელი	
68	1848	გოგია ნეფარიშვილი	დავით ყენია	25
69	1847	სიმონა რობაქიძე	მელანია იშხნელი	35
70	1848	ოტია შვანგირაძე	გიორგი იოსელიანი	20
71	1846	სიმონა ნოზაძე	მარიამ წერეთელი	60
72	1845	მარკოზა ბოდოკია	ივანე აბაშიძე	110
73	1855	სოლომონ ნატროშვილი	სოლომონ ჯანდიერი	20
74	1855	ლაზარე ყარანელაშვილი	„„	10
75	1855	სიმონ ყარანელაშვილი	„„	10
76	1856	გლახა ქიტიაშვილი	მარიამ ავალიშვილი	59 1/2
77	1856	ანტონა ბერძენაშვილი	ალექსანდრე დობრინსკი	100
78	1856	ტასია ჩეგელაშვილი	„„	
79	1857	სოლომონ ზარდიაშვილი	რამაზ ანდრონიკაშვილი	20
80	1857	ფრიდონ იმერლიშვილი	„„	20
81	1857	ბექან იმერლიშვილი	„„	20
82	1857	მიხა ზარდიაშვილი	„„	20
83	1857	ბექან ზარდიაშვილი	„„	20
84	1857	ანდრია ზარდიაშვილი	„„	20
85	1857	ელეფთერ როსტიაშვილი	„„	22
86	1857	სოლომონ როსტიაშვილი	„„	30
87	1857	კიკო ზარდიაშვილი	„„	21
88	1857	ლაზარე ზარდიაშვილი	„„	15
89	1857	დათია არაქელაშვილი	„„	15
90	1857	ფრიდონ კოჭლიშვილი	„„	—
91	1857	ლევან კოჭლიშვილი	„„	30

6	7	8	9
—	—	წიაღობანი	იქვე, ფურც. 213
—	—	შორაპანი	იქვე, ფურც. 122
1/2 დღ.	სახლი, ეზო 1 დღ., ტყე 30 დღ.	გვიშტიბი	იქვე, ფურც. 105
2 დღ.	3 სახლი	ქუთაისის მაზრა	იქვე, ფურც. 137
4 დღ.	3 სახლი, სამეურნეო ნაგებობები	„ „	ფ. 254, ან. 2, საქ. 448, ფურც. 74
3	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, 25 სული ხარ-კამეჩი	ვაჩნაძიანი	იქვე, საქ. 190, ფურც. 221
1	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	„ „	იქვე
2	სახლი, სამეურნეო ნაგებობები 7 სული ხარ-კამეჩი	„ „	იქვე
—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	ხაშური	ფ. 254, ან. 2, საქ. 152, ფურც. 239.
—	ცალკე ნაკვეთად მდებარე სახნავი მიწები და ვენახები	ვარიანი	იქვე, ფურც. 167—168
3—5 დღ.	—	გურჯაანი	იქვე, საქ. 2383, ფურც. 15—20
1—1	—	„ „	იქვე
4	—	„ „	ფ. 254, ან. 2, საქ. 2383, ფურც. 15—20.
4	—	„ „	იქვე
4	—	„ „	იქვე
4	—	„ „	იქვე
4	—	„ „	იქვე
9	—	„ „	იქვე
4	—	„ „	იქვე
3	—	„ „	იქვე
3	—	„ „	იქვე
8	—	„ „	იქვე
4	—	„ „	იქვე

1	2	3	4	5
92	1857	დიმიტრი კოკლიშვილი	რამაზ ანდრონიკაშვილი	15
93	1857	ალექსი კოკლიშვილი	„„	20
94	1857	აბრამ კოკლიშვილი	„„	15
95	1857	ნინია იმერლიშვილი	„„	20
96	1857	პაპუა იმერლიშვილი	„„	16
97	1857	გლახა იმერლიშვილი	„„	20
98	1857	ლუარსაბ იმერლიშვილი	„„	30
99	1857	სოსია ნიკოლაშვილი	„„	20
100	1857	სოლომონ ნიკოლაშვილი	„„	15
101	1857	ოთარა ნიკოლაშვილი	„„	15
102	1857	ტეტია ნიკოლაშვილი	„„	16
103	1857	თამაზ მენაბდიშვილი	„„	15
104	1857	დათია ზარდიაშვილი	„„	15
105	1857	სოსია მენაბდიშვილი	„„	14
106	1857	ზაქარია ტრანკაშვილი	დავით ერისთავი	49

XIX ს-ში ყველა თავდახსნილი გლეხი, როგორც წესი, სახელმწიფო უწყებაში გადადიოდა, მაგრამ ფაქტიურად ქონებით თავდახსნილი ყმები უკვე მესაკუთრე გლეხებს წარმოადგენდნენ და მათ მიერ გამოსყიდულ საკუთარ მიწაზე მოწყობილი მეურნეობა ბურჟუაზიული მეურნეობა იყო.

ახლა, რაც შეეხება გამოსასყიდი თანხის რაოდენობას. სამწუხაროდ, ქართულ დიპლომატიკაში თანხის აღნიშვნა არ იყო მიღებული. როგორც წესი, ნასყიდობისა თუ თავდახსნის წიგნებში თანხის რაოდენობის ნაცვლად წერდნენ: „მივიღეთ ფასი სრული რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა“. მხოლოდ XIX ს-ის 40—50-იანი წლებიდან თანდათანობით გვხვდება საბუთები, სადაც თანხა მითითებულია. ასეთი საბუთი ჩვენ გვაქვს სულ 647. როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, გამოსასყიდი თანხის რაოდენობა 50-დან 3000 მანეთამდე ვერცხლით მერყეობდა და უმთავრესად გლეხის ეკონომიკურ შეძლებასა და ბატონისა და გლეხის ურთიერთშეთანხმებაზე იყო დამოკიდე-

6	7	8	9
4 დღ.	—	გურჯაანი	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
1 დღ.	—	„	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
3 დღ.	—	„	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
3 დღ.	—	„	იქვე
1 დღ.	—	„	იქვე
3 დღ.	—	„	იქვე
3 დღ.	—	„	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
3 დღ.	—	„	იქვე
2 დღ.	—	„	იქვე
3,1/4 დღ.	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, ხეხილის ბაღი 2 დღიური	ცხინვალი	ფ. 254, ან. 2, საქ. 152, ფურც. 3.

ბული. 647 კომლიდან 1000 და მეტი მანეთი გადაუხდია 80-ს, ე. ი. ყოველი მერვე კომლი გამოსასყიდად საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას იხდიდა, ათას-ათასი მანეთი გადაუხდია 41 კომლს, დანარჩენ 39-ს კი 1000 მანეთზე მეტი. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ყველა ამ 39 კომლის დასახელებას.

1843 წელს დავით კაკაშვილმა მიწაწყლიანად გამოხსნისათვის თავად ღექტორ მაჩაბელს გადაუხადა 1200 მანეთი ვერცხლით[7]. დავით და გლახუა მოდებაძეებმა უძრავ-მოძრავი ქონებით განთავისუფლებისათვის გადაიხადეს 1700 მანეთი[8], ჭუთაისის მაზრაში თარელაშვილმა თავად იოანე ერისთავს ადგილ-მამულით თავგამოსყიდვისათვის გადაუხადა 1300 მანეთი[9], სოფელ ნერბანში დათიკო და სოლო არევაძეებმა 1200 მანეთად გამოისყიდეს თავი[10]. სოფ. კოდა-

[7] სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1378, ფურც. 72.
[8] იქვე, ან. 2, საქ. 2403, ფურც. 42.
[9] იქვე, საქ. 2409, ფურც. 19.
[10] იქვე, ფ. 254, ან. 2, საქ. 2357, ფურც. 18—19.

ლოში კი დუღარელიძეებმა თავად ერასტი ანდრონიკაშვილს 1500 მანეთი გადაუხადეს[11]. სოფ. საღანძილეში მცხოვრებმა გლეხმა ხაბუტა კიკნაძემ ადგილ-მამულით განთავისუფლებაში გადაიხადა 1700 მანეთი[12], ლახუნდარელმა სიმონ აბულაძემ — 1900 მანეთი[13], შორაპნელმა დათიკა ნერბანიძემ—2200 მანეთი[14], დავით კოხრეიძემ 1200 მანეთი[15], კულაშელმა ებრაელმა ელო მოძღვრიშვილმა 2000 მანეთი[16], ხოლო ონში მცხოვრებმა ებრაელმა არონა ხიტიბაშვილმა 2070 მანეთი[17], კიკოლა იამანიძემ—1600 მანეთი[18], ლაზარე ხაინდრავამ — 1500 მანეთი[19], 1836 წელს გლახა ჯავახოვს 11 სულისაგან შემდგარი ოჯახის უმიწაწყლოდ გამოსასყიდად ბორის ჭილაშვილისათვის გადაუხდია 1200 მანეთი[20]. ასევე 1200 მანეთი მიუცია 1850 წ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ქვემო ხევში მცხოვრებ ოთარა ზაქარეიშვილს აზნაურ კოხტა დუდუჩავასათვის 8 სულისაგან შემდგარი ოჯახის, 13 ქცევა ვენახისა და 15 ქცევა მიწის გამოსასყიდად[21], 1854 წ. ქუთაისის მაზრის სოფ. ფუთში მცხოვრებ გლეხს გოგია თითბერიძეს ადგილ-მამულითა და მთელი საცხოვრებლით 1210 მანეთად გამოუსყიდია თავი[22], 1857 წელს ქუთაისის მაზრა სოფ. ჯიხაიშში მცხოვრებ ზაქარია ბექაიას მთელი თავისი ქონება 1 დუქნის გარდა 1310 მანეთად გამოუსყიდია[23]. ებრაელ შამილა ელაშვილს გიორგი წულუკიძისათვის 1850 წელს მთელი თავისი ქონებისა და 9 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსასყიდად 1760 მანეთი მიუცია[24], ასევე 1760 მანეთი გადაუხდია ადგილ-მამულისა და თავის დასახსნელად შაქარა მიქატაძეს 1858 წელს[25], გიორგი ყორღანაშვილის ყმას, ივანე ბალკინაშვილს 1854 წელს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონე-

---

11 სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 2359, ფურც. 1—3.
12 იქვე, საქ. 2427, ფურც. 2.
13 იქვე, საქ. 2376, ფურც. 31.
14 იქვე, საქ. 2378, ფურც. 6.
15 იქვე, საქ. 2383, ფურც. 10.
16 იქვე, საქ. 2427.
17 იქვე, საქ. 152, ფურც. 142.
18 იქვე, საქ. 2447.
19 იქვე, საქ. 2536, ფურც. 103.
20 იქვე, საქ. 124, ფურც. 74.
21 იქვე, საქ. 130, ფურც. 43.
22 იქვე, საქ. 151, ფურც. 17.
23 იქვე, საქ. 190, ფურც. 19.
24 იქვე, საქ. 2534, ფურც. 5.
25 იქვე, საქ. 206, ფურც. 304.

ბით 2000 მანეთად დაუხსნია თავი და, როგორც საქმიდან ჩანს, იმავე წელს თბილისის მოქალაქის წოდებაც მოუპოვებია[26], 1832 წელს თომა ანდრონიკაშვილს სოფელ ახმეტაში 10000 მანეთად 41 კომლი ყმა უმიწაწყლოდ გაუთავისუფლებია[27]. ეს ფული ანდრონიკაშვილს ხაზინის ვალის დასაფარავად სჭირდებოდა. მართალია, ამ შემთხვევაში თითოეულ კომლს დიდი თანხა არ გადაუხდია, მაგრამ ჩვენ ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ერთი სოფლის გლეხებმა ერთბაშად შეძლეს 10000 მანეთის გადახდა, რაც იმდროისათვის ძალიან დიდი თანხა იყო; 1859 წელს, შორაპნის მაზრის სოფელ ფუთში მცხოვრებ გლეხებს მამუკა სარალიძეს[28] და ივანე თითბერიძეს[29] თავისა და ქონების გამოსასყიდად აზნაურ ჩხეიძისათვის თითოეულს 1200 მანეთი მიუცია; ქუთაისის მაზრის სოფელ ბარში მცხოვრებ მარკოზ ხაბეიშვილს მამა-პაპისეული და კეთილშენაძენი ადგილ-მამულისა და თავის გამოსყიდვისათვის 2000 მანეთი გადაუხდია[30]. 1300 მანეთი გადაუხდია რაჭის სოფ. უწერაში მცხოვრებ გლეხს მამუკა მეტრეველს მიწაწყლითა და მთელი თავისი საცხოვრებლით თავდახსნისათვის[31], ქუთაისელ მიქელა ქორიძეს თავად სიმონ ავალიანისათვის 1857 წელს ადგილ-მამულისა და 2 დუქნის გამოსასყიდად 1800 მანეთი[32] მიუცია, ხოლო 31 სულისაგან შემდგარი ოჯახის უმიწაწყლოდ დასახსნელად გორის მაზრის სოფ. ყელქცეულში მცხოვრებ გლეხს გიორგი ონიაშვილს თავად დიმიტრი აბაშიძისათვის 2400 მანეთი მიუცია[33]. ქუთაისის მაზრის სოფ. მაღლაკში მცხოვრებ ბეჟან დეისაძეს თეიმურაზ ნიჟარაძისათვის 9 სულისაგან შემდგარი ოჯახისა და ადგილ-მამულის გამოსასყიდად 2200 მანეთი[34] გადაუხდია, ასევე 2200 მანეთი მისცა 1858 წელს ნესტორ წერეთელს ონში სომეხმა ვაჭარმა როსტომ ალიბეგოვმა 4 სულისაგან შემდგარი ოჯახის, მამულისა და დუქნების გამოსასყიდად[35]. შორაპნის მაზრის სოფ. დილიკაურში მცხოვრებმა ბუჭუა ოტიაშვილმა

---

[26] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 2101, ფურც. 57.
[27] იქვე, ფურც. 64—67.
[28] იქვე, საქ. 206, ფურც. 171.
[29] იქვე, ფურც. 305ა .
[30] იქვე, ფურც. 263.
[31] იქვე, საქ. 190, ფურც. 223.
[32] იქვე, ფურც. 251.
[33] იქვე, ფურც. 216—220.
[34] იქვე, ფურც. 36.
[35] იქვე, ფურც. 68.

მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით 2500 მანეთად დაიხსნა თავი[36], რაჭველმა მარკოზა ასანიძემ კი 31 სულისაგან შემდგარი ოჯახისა და მამულის დასახსნელად 3000 მანეთი მისცა წერეთელს[37] და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცხრილში აღნუსხული მნიშვნელოვანი ქონებით განთავისუფლებული გლეხების გამოსასყიდი თანხა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მითითებული არ არის. რა თქმა უნდა, მათ მიერ ქონებისა და თავის დასახსნელად გადახდილი თანხა 1000 და 1000 მანეთზე მეტი იქნებოდა.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ 1857 წელს გურჯაანში თავად რამაზ ანდრონიკაშვილის ყმა-მამულით საჯარო ვაჭრობის დროს ერთბაშად თავი გამოისყიდა 57-მა კომლმა[38]. ამათგან 1 კომლს ჰქონდა 30 დღიური სახნავ-სათესი მიწა და 9 დღიური ვენახი, 30 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი ჰქონდა 2 კომლს, 30 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი—1 კომლს, 20 დღიური მიწა და 4 დღიური ვენახი—15 კომლს, 16 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი—3 კომლს, 15 დღიური მიწა და 3 დღიური ვენახი—8 კომლს, 15 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი—1 კომლს, 14 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი—1 კომლს, 12 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი—1 კომლს, 10 დღიური მიწა და 3 დღიური ვენახი—2 კომლს, 10 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი—3 კომლს და 10 დღიურ მიწაზე ნაკლები—19 კომლს. ამ 75-მა კომლმა, ზემოთ ჩამოთვლილი ადგილ-მამულით თავგამოხსნისათვის საჯარო ვაჭრობის დროს ერთბაშად 30116 მანეთი გადაიხადა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ვაჭრობის დროს გლეხებს ეძლევათ ერთთვიანი ვადა, თუ ისინი ამ ხნის განმავლობაში გამოსასყიდი თანხის შეტანას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდნენ. შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რომ გლეხები მევახშეს მიმართავდნენ და თავის გამოსყიდვას უმთავრესად ნასესხები ფულით ახერხებდნენ, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ნასესხები ფულით თავგამოხსნის შემთხვევაში კრედიტორისათვის ქონების დაგირავება უნდა მომხდარიყო იმავე სასამართლოში, სადაც ხდებოდა თავდახსნის წიგნების დამტკიცება ან საჯარო ვაჭრობის აქტების შედგენა-გაფორმება. სულ 1805 საბუთიდან 3 შემთხვევა გვაქვს მხოლოდ ისე-

---

[36] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 2427.

[37] იქვე, საქ. 151, ფურც. 100.

[38] იქვე, საქ. 2383, ფურც. 15—20.

თი, როცა გლეხებმა ნასესხები ფულით დაიხსნეს თავი, ერთხელ 1837 წელს მაყაშვილის ყმა-მამულის საჯარო ვაჭრობის დროს 6 კომლმა გლეხმა ისესხა დავით თამამშევისაგან გამოსასყიდი თანხა 3520 მანეთი და მასთანვე დააგირავა 1 წლით მთელი თავისი ქონება, მეორედ 1855 წელს სოლომონ ჯანდიერის 3 კომლმა ყმამ ისესხა თელაველ ვაჭარ მიღდისოვისაგან 845 მანეთი და მეხამედ 2 კომლმა, გლახა ზურაბაშვილმა და ზაქარია იმერლიშვილმა, გამოსასყიდი თანხა 445 მანეთი ისესხა საეკლესიო გლეხის სოსია ნაცარაშვილისაგან და მასთანვე დააგირავა მთელი თავისი გამოსყიდული ქონება. დანარჩენ შემთხვევებში, გლეხები გამოსყიდული ქონების სრული ბატონ-პატრონები იყვნენ.

ჩვენ მიერ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ სოფლის მწარმოებელი საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში. ბევრი მათგანი მნიშვნელოვანი თანხის დაგროვებასა და უძრავ-მოძრავი ქონებით ბატონყმური დამოკიდებულებიდან თავის გამოსყიდვას ახერხებდა. ადგილ-მამულიანად განთავისუფლებული გლეხების უმეტესობა მესაკუთრე გლეხი იყო, იგი სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდა და მის მიერ საკუთარ, გამოსყიდულ მიწაზე მოწყობილი მეურნეობა ბურჟუაზიული მეურნეობა იყო. უმიწაწყლოდ განთავისუფლებული გლეხების ნაწილი ქალაქებში სახლდებოდა და დღიური მუშებისა და წვრილმან ვაჭარ-ხელოსნების რიგებს ავსებდა. კერძოდ, უმიწაწყლოდ განთავისუფლებული 813 კომლიდან 278 კომლი თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, სიღნაღში და სხვა ქალაქებში გადასახლდა და „ახლად დასახლებულ ქალაქელთა, ანუ „вновь поселившиеся граждане "-ს რიცხვს მიეწერა. დანარჩენი უმიწაწყლო გლეხები სოფელში რჩებოდნენ და იძულებული იყვნენ სამუშაო ძალის გაყიდვით ერჩინათ თავი.

ყოველივე ეს სოფლის ბურჟუაზიული განვითარების ტენდენციას აძლიერებდა და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ინტენსიური რღვევის მაჩვენებელი იყო.

თავი VI

გლეხთა კლასობრივი დაშლა

წინამდებარე ნაშრომში გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შესწავლისადმი სპეციალური თავი იყო მიძღვნილი. როგორც დავინახეთ, XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს გლეხობაში ქონებრივი უთანასწორობა მეტისმეტად მკაფიოდ იყო გამოხატული. ქონებრივი უთანასწორობის გაჩენა-გაღრმავება, როგორც ცნობილია, გლეხთა კლასობრივი დაშლის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს[1]. მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია ყველა ვითარებაში ვერ წარმოშობს კლასობრივს. ამისათვის საჭიროა გარკვეული ობიექტური პირობები, სახელდობრ, სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა განვითარება და, რაც მთავარია, ნატურალური რენტის შეცვლა ფულადი რენტით. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „...ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფართოებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები, მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდეგი ფორმისას, ფ უ ლ ა დ ი რ ე ნ ტ ი ს დროს, რომელიც ნატურალური რენტის ფორმის უბრალო შეცვლას წარმოადგენს. უშუალო მწარმოებელი მიწათმფლობელს აძლევს არა პროდუქტებს, არამედ ამ პროდუქტების ფასს... დამოკიდებული გლეხის ტრადიციული, ადათზე დამყარებული ურთიერთობა მიწათმფლობელთან აქ იქცევა წმინდა ფულად ურთიერთობად, რომელიც დამყარებულია ხელშეკრულებაზე. ეს იწვევს, ერთი მხრით, ძველი გლეხობის ექსპროპრიაციას, მეორე მხრით — გლეხის მიერ თავისი მიწის და თავისი თავისუფლების გამოსყიდვას“[2].

XIX ს-ის 40-იანი წლებიდან საქართველოს მთელ საადგილმა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. III, გვ. 187.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 189.

მულო ურთიერთობაში ფულადი რენტის დომინირების კვალად გლეხთა კლასობრივი დაშლის პროცესიც აშკარად შესამჩნევი ხდება. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამ დროისათვის კახეთის სახელმწიფო გლეხებში საშუალო გლეხობის ფენა რიცხობრივად მათი საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებ—43,45%-ს შეადგენდა და წამყვანი ადგილი გლეხობის უკიდურეს ჯგუფებს, ღარიბსა (38,14%) და მდიდარ გლეხებს(18,41%), ეჭირათ. შეძლებული გლეხობაც თავის მხრივ ერთფეროვან მასას როდი წარმოადგენდა. მათში გამოირჩეოდნენ განსაკუთრებით მდიდარი გლეხები. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, ჩვენ ქვემო მოვიტანთ მათი ქონების აღმნუსხველ ცხრილს (იხ. გვ. 186—198).

ცხრილში აღწერილ 320 კომლ გლეხს, რომელიც კომლთა საერთო რაოდენობის 6,2%-ს შეადგენდა, მფლობელობაში ჰქონდა 5657 დღიური სახნავ-სათესად ვარგისი მიწა, ანუ მიწის საერთო ფართობის 20,1%, მოჰყავდა 85,107 კოდი პური, აყენებდა 3219 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 8837 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 34927 სული ცხვარი. ე. ი. კახეთის სახელმწიფო გლეხობის 6,2%-ის ხელში კონცენტრირებული იყო მარცვლეულის მოსავლის 26%, ღვინის მოსავლის 21,9%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 34,27% და ცხვრის საერთო რაოდენობის 72,6%.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ მდიდარ გლეხებს ბაზარზე შეეძლოთ გამოეტანათ თავიანთი მარცვლეულის მოსავლის 77%, ასევე მათი ღვინის მოსავლისა და მესაქონლეობის პროდუქციის უდიდესი ნაწილი საბაზროდ უნდა ყოფილიყო წარმოებული. მდიდარი გლეხების უმეტესობას თავისი უშველებელი მეურნეობის გასაძღოლად დაქირავებული მუშახელის გამოყენებაც დასჭირდებოდა. მაგალითად, ველისციხელ ბეჟან კარდენახლიშვილს ჰქონდა 25 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 140 კოდი მარცვლეული, აყენებდა 48 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 12 სული პირუტყვი, მის ოჯახში მხოლოდ 3 მუშახელი იყო. ცხადია, მას სეზონური ან მუდმივი მუშის დაქირავება დასჭირდებოდა. ასევე დაქირავებული მუშის გარეშე ვერ გაუძღვებოდნენ თავის მეურნეობას: სტეფანე ყაზარაშვილი, რომელსაც 60 დღ. მიწა ჰქონდა, მოჰყავდა 320 კოდი მარცვლეული, 60 საპალნე ღვინო, ჰყავდა 30 სული ხარ-კამეჩი, 2 ცხენი და 150 ცხვარი. ოჯახში მხოლოდ 4 მუშახელი იყო; გეურქა მიჩიტაშვილი, ჰქონდა 80 დღ. მიწა, მოჰყავდა 220 კოდი პური, 42 საპალნე ღვინო, ჰყავდა 30 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 2 ცხენი და 100 ცხვარი, ოჯახში

№№	კომლები	მეშახელის რაოდენობა	სახნავი მიწა დღეებში	მარცვლეულის მოსავალი კოდებში	დაყნებული ღვინის რაოდენობა საშალ ნებით	მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა	ცხენების რაოდენობა	ცხვრების რაოდენობა	სოფელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ბექან კარდენახლიშვილი	3	25	140	48	12	2	—	ველისციხე
2	თევდორე კობიაშვილი	8	20	140	15	24	1	—	
3	სიმონ ქიტუაშვილი	8	20	140	18	14	1	40	
4	მარტირუს აბელაშვილი	7	20	160	18	12	1	—	
5	სტეფანე ყაზარაშვილი	4	60	320	60	30	2	150	
6	გეურქა მიტიჩაშვილი	3	80	220	42	30	2	100	
7	იოსებ ჯინჯიბუხაშვილი	9	60	180	30	25	2	—	ვეჯინი
8	ივანე ჭანკოშვილი	3	20	172	9	7	—	—	
9	ნინია ბიაშვილი	4	30	280	3	10	—	—	
10	პეტრე ჯამუტაშვილი	6	40	260	6	12	—	—	
11	გოგია ტაველაშვილი	3	10	130	24	40	1	—	გურჯაანი
12	გლახა ტაველაძვილი	3	10	210	18	40	2	—	
13	იობა კუპრაშვილი	2	30	270	24	80	1	—	
14	მახარე კუპრაშვილი	5	30	210	12	80	1	—	
15	გლახა განორელაშვილი	4	20	240	—	58	1	—	ჯიმითი
16	პეტრე ცეცხლაშვილი	5	30	200	40	12	1	100	შილდა
17	სიმონ ქვაპრელაშვილი	4	30	260	8	20	—	—	ჭიკაანი
18	სიმონ მევდიშვილი	3	20	180	4	20	—	—	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
19	თომა ქვაჭრელა-შვილი	3	20	180	6	20	—	—	ჭიკაანი
20	შერმაზან ხუცი-შვილი	3	25	200	6	20	—	—	
21	იოსებ ვარდიაშვი-ლი	3	100	300	20	25	5	—	
22	ივანე შუბითიძე	2	30	320	20	20	2	100	კრჭალტანი
23	ნინია დათუკიშვი-ლი	4	20	260	15	26	1	40	
24	კონია ათულაშვი-ლი	2	20	280	6	20	1	—	
25	ვარადა ვარადაშვი-ლი	5	30	160	4	17	1	—	გავაზი
26	მიხეილ ქევხიშვილი	5	30	260	10	20	2	—	
27	ნინია წყალობაშვი-ლი	5	30	240	8	15	—	2	
28	ხარიტონ მახარო-ბლიშვილი	3	40	180	8	20	—	—	
29	ჩუკი გულოშვილი	6	30	140	6	25	1	—	
30	ანდრია გახკარა-შვილი	5	20	260	4	20	2	—	
31	სპირიდონ ჭიტია-შვილი	5	30	290	4	20	—	—	
32	საბა ბუთიაშვილი	5	15	200	2	20	—	—	
33	მათე ფიცხელაური	7	4	170	17	16	—	—	
34	გოდერძი ჩურხა-ული	3	10	180	16	20	2	60	ზემო ხოდაშენი
35	სოსია ფიცხელაური	3	3	180	12	12	12	—	
36	გიორგი ხუციშვილი	6	4	145	12	12	—	80	ქისტაური
37	შერმაზან ქვლივიძე	4	30	200	10	18	—	—	ტოლნიანი
38	ლაზარე საკაშვილი	8	15	240	15	30	1	60	
39	ნინია მიზანაშვილი	5	15	340	9	30	2	100	
40	დავით მიზანაშვილი	4	15	230	8	20	—	—	
41	ნონია მიზანაშვილი	3	15	230	8	20	—	—	
42	სტეფანე მირზაშვი-ლი	5	20	280	12	20	—	—	
43	დიმიტრი მეგუთნი-შვილი	4	60	390	30	30	2	—	ურათუბანი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
44	დავით შაქარაშვილი	7	16	200	15	20	1	—	
45	„	7	19	140	15	14	1	—	
46	დავით სოლომონაშვილი	7	20	240	12	30	1	—	
47	დავით ბუთულაშვილი	8	40	260	18	16	2	—	
48	გლახა თადიაშვილი	7	25	220	12	52	1	150	
49	დავით თადიაშვილი	5	25	220	12	15	1	60	
50	სიმონ როსტიაშვილი	4	25	240	12	15	1	—	ურიათუბანი
51	ანდრია როსტიაშვილი	3	25	240	12	15	1	—	
52	სტეფანე სოლომონაშვილი	8	30	250	10	20	1	—	
53	იოსებ სოლომონაშვილი	7	25	240	12	20	1	—	
54	გიორგი ტერტერაშვილი	3	15	155	10	10	2	—	
55	სტეფანე სოლომონაშვილი	3	15	170	12	20	1	—	
56	დავით ძამუკაშვილი	6	30	240	21	20	2	20	
57	სოლომონ ერგემლიძე	3	20	170	16	12	2	—	კალაური
58	თევდორე ჯოხარიძე	5	15	150	6	20	2	100	
